

არასოდეს გამიშვა

www.PDF.ChiatuRaINFO.GE



კანონი
იშობურო

კაზუო იშიგურო

არასოდეს გამიშვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„დიდ კინოდ ქცეული წიგნები“

„არასოდეს გამიშვა“ – იაპონელის მიერ დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ინგლისური რომანი

...

კაზუო იშიგუროს რომანი „არასოდეს გამიშვა“ ბრიტანელმა რეჟისორმა აქცია ფილმად და არც შემცდარა – იგი ბოლო დროის ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო ფანტასტიკურ კინოფილმად აღიარეს. იშიგუროს რომანი ასი საუკეთესო ინგლისური რომანის სიაშია შეტანილი.

მუსიკოსობაზე მეოცნებე მწერალი

კაზუო იშიგურო იაპონური წარმოშობის ბრიტანელი მწერალია. იგი 1954 წლის 8 ნოემბერს დაიბადა იაპონიის ქალაქ ნაგასაკიში. 1960 წელს მისი ოჯახი ბრიტანეთში გადავიდა საცხოვრებლად. მამამისმა ოკეანოგრაფიის ეროვნულ ინსტიტუტში დაიწყო კვლევები. თავად კაზუომ ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო განათლება. მუსიკოსობაზე ოცნებობდა, კლუბებში უკრავდა, პროდიუსერებს უგზავნიდა ჩანაწერებს, მაგრამ წარუმატებლად. 1978 წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო კენტის უნივერსიტეტში. ლონდონში სოციალურ მუშაკად მუშაობდა. 1980 წელს ხელოვნების მაგისტრი გახდა აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტში. სულ ცოტა ხანში იშიგურომ სიტყვები დაწერა ჯაზური მომღერლის სტეისი კენტის ალბომისთვის „საუზმე დილის ტრამვაიში“.

ლიტერატურული კარიერა 1981 წელს დაიწყო სამი მოთხრობის გამოქვეყნებით. 1983 წელს, თავისი პირველი რომანის გამოქვეყნებიდან სულ მალე, გრანტზე წარადგინეს, როგორც „ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა ბრიტანელი მწერალი“. რომანს ერქვა „იქ, საიდანაც გორაკები ჩანს“. ასეთივე წამახალისებელი ჯილდო მიიღო მილწევებისთვის 1993 წელს. შემდეგი რომანები იყო „წებოვანი სამყაროს მხატვარი“, „დღის ნარჩენი“, რომელმაც ბუკერის პრემია მიიღო. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ იაპონელმა დაწერა „XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ინგლისური რომანი“. მას ჯოზეფ კონრადსა და ვლადიმირ ნაბოკოვს ადარებდნენ. ამ რომანის მიხედვით საკმაოდ წარმატებული ფილმი გადაიღეს, რომელშიც ენტონი ჰოპკინსი და ემა ტომპსონი მონაწილეობდნენ. უფრო დიდი წარმატება მოჰყვა მისი რომანის „არასოდეს გამიშვას“ ეკრანიზებას.

იმიგურო ლიტერატურის სამეფო საზოგადოების წევრია, მისი ნაწარმოებები მსოფლიოს 30-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

მწერალი ამჟამად ლონდონში ცხოვრობს ცოლთან – ლორნა მაკდუგალსა და ქალიშვილთან ერთად. „არასოდეს გამიშვა“ ჯერჯერობით მისი უკანასკნელი რომანია, რომელიც 2005 წელს დაწერა. ეს რომანი ჟურნალმა „ტაიმმა“ ყველა დროის 100 საუკეთესო ინგლისურ რომანს შორის დაასახელა. „არასოდეს გამიშვა“ ასევე წარდგენილი იყო ბუკერის პრემიაზე.

„ჩემი მიზანია „საერთაშორისო რომანები“ ვწერო. რა არის „საერთაშორისო რომანი“? ეს არის რომანი, რომელიც მსოფლმხედველობით ახლოსაა ყველაზე განსხვავებულ ადამიანებთან, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი. მის გმირებს შეუძლიათ მართლაც იმოგზაურონ კონტინენტიდან კონტინენტზე, ან კიდევ მთელი ცხოვრება მშობლიურ სოფელში გაატარონ, – ამბობს ცნობილი მწერალი. – ჯერ მხოლოდ 50 წლის ვარ, მაგრამ უკვე მართლა ვგრძნობ, როგორ სწრაფად გამირბის დრო. „სიამაყე და ცრურწმენა“ დაწერა ვიღაც ახალგაზრდამ. „ომი და მშვიდობა“ დაწერა ვიღაცამ, რომელიც იოლად მოიპოვებდა ჯილდოს, როგორც „საუკეთესო ახალგაზრდა რუსი მწერალი“. იმას არ ვამბობ, რომ უკვე სიკვდილის დრო დამიდგა, მაგრამ მესმის, რომ ჩემი შესაძლებლობები, როგორც მწერლის, ასაკთან ერთად შეიძლება აღარ იყოს ისეთ დონეზე და მე შეიძლება გავხდე ერთ-ერთი იმ მწერალთა შორის, რომლებსაც პატივს სცემენ იმ სამუშაოს გამო, რომელიც ახალგაზრდობისას შეასრულეს, მაგრამ ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო“.

„ოთხვარსკვლავიანი“ ფილმი

რომანის „არასოდეს გამიშვას“ მიხედვით, 2010 წელს რეჟისორმა მარკ რომანეკმა გადაიღო ფილმი-უტოპია ამავე სახელწოდებით. ფილმში მთავარ როლებს კირა ნაიტლი, კერი მალიგანი და ენდრიუ გარფილდი თამაშობენ. აშშ-ში სურათი 2010 წელს გამოვიდა ეკრანებზე, დიდ ბრიტანეთში კი ერთი წლის შემდეგ. სურათი უფრო ფანტასტიკური გამოვიდა, ვიდრე რომანი იყო. რეჟისორს მეტად გამძაფრებული ჰქონდა მთავარი თემა – უჩვეულო სკოლა-ინტერნატში ადამიანების კლონირება ხდება ცოცხალი დონორების შესაქმნელად, ორგანოების გადანერგვისთვის.

რომანის ეკრანიზაციას დიდი მოწონებით შეხვდა როგორც კრიტიკა, ასევე ფართო საზოგადოება, ცნობილმა კინოკრიტიკოსმა როჯერ ებერტმა ფილმს უმაღლესი შეფასება მისცა – 4 ვარსკვლავი. 2010 წელს ბრიტანეთის დამოუკიდებელი კინოს პრემია მიიღო კერი მალიგანმა, როგორც საუკეთესო მსახიობმა, ამას გარდა ფილმი ამავე პრემიის ხუთ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. 2011 წელს ასევე ხუთი ნომინაცია ჰქონდა „სატურნის“ პრემიაზე (მათ შორის, როგორც საუკეთესო სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმს) და „დამოუკიდებელი სულის“ პრემიაზე, როგორც საუკეთესო ოპერატორულ ნამუშევარს.

...

ლორნას და ნაომის

ნაწილი პირველი

თავი პირველი

ქეით ეიჩი მქვია. ოცდათერთმეტი წლის ვარ. უკვე თერთმეტ წელზე მეტია მომვლელად ვმუშაობ. ვიცი, ბევრია, მაგრამ, სხვათა შორის, უნდათ, რომ განვაგრძო. კიდევ რვა თვე – წლის ბოლომდე. თითქმის თორმეტი წელი გამომივა. ახლა უკვე ვიცი, რომ თორმეტი წლის განმავლობაში მაინცდამაინც იმიტომ არ მამუშავებენ მომვლელად, რომ ამ საქმეში ბადალი არ მყავს. არაერთი ჩინებული მომვლელი დაუთხოვიათ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში. არაერთი უვარგისი მომვლელიც მახსენდება, რომელმაც მთელ თოთხმეტ წელს იმუშავა. ასე რომ, არ ვტრაბახობ. თუმცა ისიც ვიცი, რომ ჩემით კმაყოფილები არიან და არც მე ვუჩივი სამსახურს. ჩემი დონორები ყოველთვის მოსალოდნელზე სწრაფად მოდიოდნენ ჯანზე. გასაოცრად მალე გამოკეთდებოდნენ ხოლმე და იშვიათად თუ ღელავდა ვინმე სისხლის მეოთხედ გაცემის წინაც კი. კარგი, უკვე თავის ქება გამომდის. უბრალოდ, სამუშაოს კარგად შესრულება ბევრს ნიშნავს ჩემთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დონორებისთვის სიმშვიდის შენარჩუნება. მათთან ურთიერთობაში გარკვეული ინსტინქტიც გამიჩნდა. ვგრძნობ, როდის უნდა დავრჩე და ველაპარაკო, როდის გავეცალო და განმარტოება ვაცალო, როდის მოვუსმინო მათ სათქმელს, როდის ავიჩირო მხრები და მოვაკეტიხო.

ასეა თუ ისე, თავი დიდად არ მომაქვს. ისეთ მომვლელებსაც ვიცნობ, დღესდღეობით მომუშავეებს, რომლებიც არაფრით ჩამომივარდებიან, მაგრამ ჩემს ნახევარ გასამრჯელოსაც არ იღებენ. თუ თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, მესმის, რომ შეიძლება, აღშფოთებული იყოთ ჩემი საძინებლით, მანქანით, პირველ რიგში კი იმიტომ, რომ თვითონ ვირჩევ, ვის მოვუარო. თანაც ჰეილშემდამთავრებულებს გახლავართ. ეს კი, თავისთავად, საკმარისია იმისთვის, რომ დროდადრო ვიღაცას ჩემზე გული მოსდიოდეს: „ქეით ეიჩს სულ ასარჩევად აქვს საქმე და სულ თავისნაირებს ირჩევს: ჰეილშემელებს ან სხვა მდიდრებს. გასაკვირი არ არის, რაკი ასეთი ბრწყინვალე მონაცემები აქვს“. ასეთი რამ ბევრჯერ მსმენია. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ უფრო მეტჯერ გაიგონებდით და, შესაძლოა, არის კიდევ ამაში სიმართლის ნატამალი. მაგრამ მე პირველი არ ვარ, ვისაც მოსავლელთა არჩევის უფლება მისცეს, და არც ის მგონია, რომ ბოლო აღმოვჩნდე. ბოლოს და ბოლოს, ჩემს წილ გაურკვეველი წარმოშობის დონორებს მეც მოვუარე. არ დაგავიწყდეთ: სამსახურს რომ დავამთავრებ, უკვე თორმეტი წლის სტაჟი მექნება. პაციენტების შერჩევის უფლება კი მხოლოდ ბოლო ექვსი წელია, რაც მომცეს.

ვითომ რატომ არ უნდა მოეცათ? მომვლელები რობოტები არ არიან. ინდომებ და ყველა პაციენტს საუკეთესოდ ემსახურები, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც იქანცები. არავის მოეპოვება ულვევი მოთმინება და ენერჯია. ჰოდა, როცა არჩევის საშუალება გეძლევა, რაღა თქმა უნდა, შენნაირს ირჩევ. ეს ხომ ბუნებრივია. ამსიშორეხე ვერაფრით წამოვიდოდი ჩემს დონორებთან ერთად, მათი გზის თითოეული

საფეხური რომ არ განმეცადა. დაბოლოს, შერჩევა რომ არ დამეწყო, როგორღა დავუახლოვდებოდი რუთს და ტომის ამდენი წლის შემდეგ?

რუთი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემ მიერ ამორჩეული სულ რაღაც მესამე თუ მეოთხე დონორი. მომვლელი უკვე მიწერილი ჰყავდა. მახსოვს, გარჯამაც მომიწია, მაგრამ ბოლოს ჩემი გავიტანე. იმავე წამს ვიგრძენი, დოუერის რეაბილიტაციის ცენტრში რომ გადავაწყდი: ყველა განსხვავება, რომელიც ჩვენ შორის არსებობდა, მოსატანიც არ იყო იმასთან, რომ ერთად გავიზარდეთ ჰეილშემში და რომ ჩვენ ორმა ვიცოდით და გვახსოვდა რაღაცები, რაც სხვამ არავინ იცოდა. სწორედ მას შემდეგ დავიწყე დონორებად ჩემნაირი წარსულის ადამიანების და – როცა მიხერხდებოდა – თვით ჰეილშემელების შერჩევა.

იყო დრო, როდესაც ჰეილშემის დავიწყება ვცადე. საკუთარ თავს ვუმტკიცებდი: წარსულზე ამდენი არ უნდა იფიქრო-მეთქი. რაღაცის შემდეგ კი წინააღმდეგობა შევწყვიტე. ამაში ჩემი მომვლელობის მესამე წლის ერთი პაციენტის ხელი ურევია, ანუ მისი რეაქცია, როცა გაიგო, რომ ჰეილშემელი ვიყავი. ის იყო, მესამედ გაეცა სისხლი. ოპერაციას ცუდად ჩაევლო და იცოდა, რომ ვერ გადარჩებოდა. ძლივსღა სუნთქავდა. შემომხედა და მითხრა: „ჰეილშემი, ალბათ, მშვენიერი ადგილი იყო“. მეორე დღით, როცა ვესაუბრებოდი და მისი ყურადღების გადატანას ვცდილობდი, ვკითხე, შენ თვითონ სად გაიზარდე-მეთქი. დორსეტში მდებარე რაღაც ადგილი დაასახელა და სახის გამომეტყველებაც მთლად შეეცვალა. ვიგრძენი, როგორ არ უნდოდა იმ ადგილის გახსენება. სამაგიეროდ, ჰეილშემზე სურდა მოსმენა.

მომდევნო ხუთი თუ ექვსი დღის განმავლობაში ვუყვებოდი ყველაფერს, რაც აინტერესებდა. იწვა და ინტერესით აღვსილი მისმენდა. სახეზე სუსტი ღიმილი დაჰფენოდა. მეკითხებოდა დიდ და პატარა ამბებს. ჩვენს მასწავლებლებზე მკითხა, კომოდებზე – თითოეულს თავისი რომ ჰქონდა საწოლთან, ფეხბურთზე, რაუნდერებზე, პატარა ბილიკზე – მთავარი შენობის შემოგარენის ყველა კუნჭულში რომ გადიოდა, იხვების ტბორზე, საჭმელზე, ხელოვნების ოთახის ფანჯრიდან გადაშლილ მინდვრების ხედზე ნისლიან დილას. ხანდახან ბევრჯერ მამეორებიანებდა ერთსა და იმავეს. წინა დღის ნაამბობს ისე იკითხავდა თავიდან, თითქოს სრულებით არაფერი მეთქვას. „სპორტის პავილიონი თუ გქონდათ?“ „შენი საყვარელი მასწავლებელი რომელი იყო?“ თავიდან ნარკოტიკის ეფექტი მეგონა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ საკმაოდ ნათელი გონება ჰქონდა. მას არა მხოლოდ წარმოდგენის შექმნა უნდოდა ჰეილშემზე, არამედ მისი დამახსოვრება, თითქოს საკუთარი ბავშვობის ამბავს ისმენსო. იცოდა, მალე გათავდებოდა და, აი, რას აკეთებდა: ჩემ მიერ მოთხრობილ ამბებში დანთქმას ცდილობდა. უძინარი ღამეების, ნარკოტიკის, ტკივილისა და გადაღლილობის ფონზე საზღვარი ჩემს და მის მოგონებებს შორის ბუნდოვნდებოდა. მაშინ გავიგე პირველად, მართლა გავიგე, როგორ გაგვიმართლა ტომის, რუთს, მე და ყველა დანარჩენს.

ახლაც, ქვეყანაზე აქეთ-იქით რომ დავდივარ, მრავალი რამ მაგონებს ჰეილშემს. შეიძლება ნისლიანი მინდვრის კუთხეს ჩავუარო, შეიძლება ხეობაში ჩამომავალმა მოშორებით მდგარი დიდი სახლის ნაწილი დავინახო, შეიძლება ალვის ხეების ჯგუფს მოვკრა თვალი რომელიმე ბორცვის ფერდობზე და ვიფიქრო: „იქნებ ესაა! ვიპოვე! ეს მართლა ჰეილშემია!“ შემდეგ ვხვდები, რომ შეუძლებელი წარმოვიდგინე და გზას ვაგრძელებ. ვაგრძელებ, ჩემი გონება კი სხვაგან დაფარფატებს.

განსაკუთრებით – ის პავილიონები. სად აღარ მხვდება, სათამაშო მოედნებიდან მოშორებით მდგარი. პატარა, თეთრი, დასაშლელი შენობები არაბუნებრივად მაღლა ჩამწკრივებული, თითქმის ზედ სახურავქვეშ შეკეცილი ფანჯრებით. უამრავი ასეთი შენობა ააგეს, მგონი, 50-60-იანებში. ალბათ, ჩვენიც მაშინ დადგეს. ასეთ შენობასთან რომ ვხვდები, იმდენ ხანს ვუყურებ, რამდენსაც შევძლებ. ვიცი: ასე გაბრუებული ერთ დღესაც ავარიაში მოვყვები, მაგრამ მაინც ვერ ვაშორებ თვალს. ახლახან, უორსესტმირის ცარიელ ტრასაზე მიმავალმა, ასეთი შენობა კრიკეტის მოედნის გვერდით დავინახე. ჰეილშემში რომ გვექონდა, ზუსტად ისეთი. მეორედ რომ შემეხედა, მანქანა მოვაბრუნე.

გვიყვარდა ჩვენი სპორტის პავილიონი. ალბათ, იმიტომ, რომ იმ კოტეჯებს ჰგავდა, ბავშვობის დროინდელ სურათებთან წიგნებში რომ ეხატა. მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდით პირველკლასელები მასწავლებლებს, რომ შემდეგი გაკვეთილი საკლასო ოთახის ნაცვლად პავილიონში ჩაეტარებინათ. მოგვიანებით, მეშვიდე კლასში, ანუ თორმეტი-ცამეტი წლის ასაკში, პავილიონი საუკეთესო მეგობრებთან ერთად დასამალ ადგილად იქცა, როცა ჰეილშემის დანარჩენი საზოგადოებისგან გაქცევა მოგვინდებოდა.

ორი სხვადასხვა ჯგუფი ისე ეტეოდა პავილიონში, რომ ერთმანეთს არ აწუხებდნენ. ზაფხულობით ვერანდაზე მესამე ჯგუფიც ეტეოდა. თუმცა, იდეალურ შემთხვევაში, მაინც მარტო შენთვის და შენიანებისთვის გინდოდა მთელი შენობა. ამიტომ კამათიც ხშირი იყო. მასწავლებლები ამ საკითხში ერთთავად კულტურულობისკენ მოგვიწოდებდნენ, მაგრამ, სინამდვილეში, თუ პავილიონში დასვენებას ან თავისუფალი დროის გატარებას მოისურვებდით, ჯგუფში ძლიერი პიროვნებები უნდა გყოლოდათ. მე მაინცდამაინც დიდი მჩაგვრელი ვერ ვიყავი. ჩვენი ხშირი მოხვედრა პავილიონში რუთის დამსახურება იყო.

ჩვეულებრივ, სკამებზე ვთავსდებოდით. ვიყავით ხუთნი ან ექვსნი, თუ ჯენი ბიც წამოვიდოდა. ერთი კარგი ჭორიც და, საქმე იჩარხებოდა. გარკვეული სახის საუბრები მხოლოდ პავილიონში დამალულებს შეგვეძლო. შეგვეძლო გვესაუბრა ჩვენ-ჩვენს სადარდებელზე, სიცილით გავმსკდარიყავით ან სულაც გააფთრებით გვეჩხუბა. პირველ რიგში კი, ეს იყო საუკეთესო მეგობრებთან განმარტოების საშუალება.

იმ კონკრეტულ ნაშუადღევს, ახლა რომ მახსენდება, სკამებსა და ტაბურეტებზე ვიდექით და მაღლა გამოჭრილ ფანჯრებს ვწვდებოდით. იქიდან ნათლად მოჩანდა ჩრდილოეთის სათამაშო მოედანი, სადაც ჩვენხელა და ჩვენზე ერთი წლით უფროსი ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. თავარა მზე ანათებდა, თუმცა დღის პირველ ნახევარში, ეტყობოდა, ეწვიმა. მახსოვს, როგორ ირეკლებოდა მზე ტალახიანი ბალახის ზედაპირზე.

ვილაცამ თქვა, ასე გაფაციცებით არ უნდა ვუყურებდეთო, მაგრამ თითქმის არ გავნძრეულვართ. რუთმა მიუგო: „ვერ გვამჩნევს, შეხედეთ. ნამდვილად ვერ გვამჩნევს“.

ეს რომ თქვა, რუთს შევხედე. მის გამომეტყველებაში იმის გამამტყუნებელ ნიშნებს ვეძებდი, რის გაკეთებასაც ბიჭები ტომის უპირებდნენ. წამიც და, სიცილით დაამატა: „იდიოტი!“

მივხვდი: რაც უნდა ექნათ ბიჭებს, რუთისთვის და დანარჩენებისთვის მაინც გაუგებარი დარჩებოდა, იმის მიუხედავად, მხარს ვუჭერდით თუ არა მათ ნამოქმედარს. იმიტომ კი არ ვიდევით ფანჯრებთან, რომ ტომის მორიგი დამცირება გაგვემძაფრებინა. გვსურდა, ამ უახლესი შეთქმულებისთვის ყური მოგვეკრა, რადგან გულის სიღრმეში გვაინტერესებდა, რა მოხდებოდა. არა მგონია, იმხანად ბიჭების ურთიერთობა ამაზე ღრმა ყოფილიყო. რუთისთვის და დანარჩენებისთვის იქ მომხდარს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია და, შეიძლება, მეც ვეთანხმებოდი.

შესაძლოა, მეშლება კიდევ. შეიძლება მაშინაც, ტომი რომ დავინახე, რომელიც ემოციების დამალვას არ ცდილობდა, მინდვრისკენ მოიჩქაროდა გუნდში დაბრუნების იმედით და იმის თამაშს აპირებდა, რაც ასე კარგად გამოსდიოდა, – შეიძლება მაშინაც ვიგრძენი პატარა ტკივილი. დანამდვილებით მახსოვს, რომ ტომის თავისი ცისფერი, საყვარელი, წინა თვის სეილებზე შეძენილი მაისური ეცვა. ვიფიქრე: „სულელი არაა, მაგით რომ თამაშობს ფეხბურთს?! როცა გაუფუჭდება, მერე რას იზამს?“ ხმამაღლა წარმოვთქვი, თუმცა კონკრეტულად არავის მისამართით: „ტომის თავისი მაისური აცვია, საყვარელი ცისფერი მაისური“.

მგონი, ჩემი ნათქვამი არავის გაუგონია. ყველა ლორაზე იცინოდა, ჩვენს დიდ კომიკოსზე, რომელიც ტომის სახის თითოეულ მიმიკას იმეორებდა, სანამ ეს უკანასკნელი მორბოდა, ხელს იქნევდა, რაღაცებს იმახდა. სხვა ბიჭები ნელა მოძრაობდნენ მინდვრის გარშემო. მოთელვისას შვრებოდნენ ხოლმე ასე. აგზნებული ტომი კი მთელი ძალით მიერეკებოდა. უფრო ხმამაღლა ვთქვი: „მაისურს თუ გაიფუჭებს, ძალიან გაბრაზდება“. რუთმა გაიგონა, მაგრამ ერთგვარ ხუმრობად მიიღო. ცალყბად გაიცინა და თვითონაც რაღაც ენამახვილობა ისროლა.

ბიჭებმა ბურთაობა შეწყვიტეს და ტალახში შეჯგუფდნენ. გუნდების შერჩევის მოლოდინში მკერდები ნელა აუდ-ჩაუდიოდათ. ორივე გუნდის კაპიტნად ჩვენზე ერთი წლით უფროსი დაინიშნა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ თამაშში ტომის ბადალი არ ჰყავდა. პირველი არჩევანის უფლებისთვის მონეტა ააგდეს. მოგებულმა ბიჭების ჯგუფს გადახედა.

– შეხედეთ, – თქვა ვიღაცამ ჩემ უკან, – დარწმუნებულია, რომ პირველს მაგას აირჩევენ. არა, შეხედეთ!

იმწუთას რაღაც სასაცილო მართლაც იყო ტომიში, რაღაც ისეთი, რაც გაფიქრებინებდათ: ასე თუ გაიგიჟებს თავს, მაშინ კი ღირსია იმის, რაც მოელისო. დანარჩენი ბიჭები თავს იკატუნებდნენ, თითქოს არც აინტერესებდათ, რომელ შემადგენლობაში მოხვდებოდნენ. ზოგი ჩუმად ებაასებოდა გვერდით მყოფს, ზოგი თასმას იკრავდა, ზოგიც თავის ტალახიან ფეხებს დაჰყურებდა. ძლიერი სურვილით ატანილი ტომი კი მერვეკლასელ ბიჭს ისე შეჰყურებდა, თითქოს ამ უკანასკნელს უკვე დაესახელებინოს „ტომი“.

გუნდების შერჩევის მთელ პროცესში ლორა არ გაჩერებულა. გაიმეორა ყველა მიმიკა, რაც ტომის სახეზე აღიბეჭდა: ჯერ ნათელი სიამაყე, მერე მოულოდნელი წუხილი იმის გამო, ოთხი არჩევის შემდეგაც რომ არ დაასახელეს, მერე ტკივილი და პანიკა, ნელ-ნელა რომ მიხვდა, რაც ხდებოდა. მე ლორასთვის ბევრი არ მიცქერია, ტომის ვუყურებდი. მხოლოდ სხვების სიცილით და წაქეზებით მივხვდი, რასაც ლორა

შვრებოდა. ტომი მთლად მარტო რომ დარჩა და ბიჭები ხითხითს მოჰყვნენ, რუთმა წარმოთქვა: – მოდის. დაელოდეთ. შვიდი წამი. შვიდი, ექვსი, ხუთი...

ერთამდე ჩამოსვლაც ვერ მოასწრო: ტომი ხმამაღლა აღრიალდა. ახლა კი ბიჭები ახარხარდნენ და სირბილით მიაშურეს სამხრეთ მოედანს. ტომიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბიჭებისკენ. ვერ გაიგებდით, შურისძიებას აპირებდა თუ მარტო დარჩენისგან თავის დაღწევას ცდილობდა. ასეა თუ ისე, მალევე გაჩერდა და, სახეაღწევილი, დაჟინებით მიაცქერდა ბიჭებს. მერე კი აყვირდა და აღრიალდა. უაზროდ ურევდა ერთმანეთში გინებას და ცუდ სიტყვებს.

ტომის გაცხარება უკვე ბევრჯერ გვენახა, ამიტომ სკამებიდან ჩამოვედით და ოთახს მოვედეთ. ვცადეთ, სხვა რამეზე გველაპარაკა, თუმცა შიგადაშიგ ისევ ტომის ვუბრუნდებოდით. მართალია, ვცდილობდით, ამაზე აღარ გვეფიქრა, ბოლოს – მთელი ათი წუთის შემდეგ, რაც სკამებიდან ჩამოვედით – თავები ისევ ფანჯრებში გავყავით.

სხვა ბიჭები საერთოდ აღარ ჩანდნენ. ტომის კომენტარებმაც დაკარგა კონკრეტული ადრესატი. ბოდავდა, ხელ-ფეხს იქნევდა, უქნევდა ცას, ქარს და ღობის უახლოეს ბოძს. „შიდღება შექსპირს იმეორებს“, თქვა ლორამ. ვილაცამ შეამჩნია, როგორ სწევდა ტომი ცალ ფეხს ჰაერში, როცა რაღაცას ყვიროდა. „ძალი რომ ფსამსო“, შეადარა ლორამ. ფეხის აწევა მეც შევამჩნიე, მაგრამ ყურადღებას უფრო მეტად ფეხის მიწაზე დადგმისას ტომის წვივებთან აჭყაპებული ტალახის შხეფებს ვაქცევდი. ისევ მისი ძვირფასი მაისური გამახსენდა, მაგრამ სიშორის გამო ვერ ვარჩევდი, ძალიან გატალახიანებულიყო თუ არა.

– მგონი მაინც ცუდად ექცევიან, სულ ასე რომ ჩაგრავენ, – დასძინა რუთმა, – მაგრამ მისივე ბრალია. თავის დაჭერა რომ ესწავლა, მაშინვე მოეშვებოდნენ.

– არაფერსაც არ მოეშვებოდნენ, – თქვა ჰანამ, – გრეჭემ კეისაც ტომივით ცუდი ხასიათი აქვს, მაგრამ მას ასე იოლად ვერ გაუბედავ. ტომის ასე იმიტომ ერჩიან, რომ ზარმაცია.

წამიც და, ყველა ტომის სიზარმაცეზე ალაპარაკდა. საგაზაფხულო გაცვლებისთვის საერთოდ არაფერი გაუკეთებიაო. მე თუ მკითხავთ, ამ დროს თითოეული ჩვენგანი გულში იმას ფიქრობდა, ნეტავ მასწავლებელი მოვიდეს და ტომი შინ წაიყვანოსო. და მიუხედავად იმისა, რომ მისი წყობიდან გამოყვანის ამ ბოლო გეგმაში ჩვენი ხელი არ ერია, სეირის მაყურებლებად ხომ მაინც გამოვდექით და ნელ-ნელა თავს უკვე დამნაშავედ ვგრძნობდით. თუმცა მასწავლებელი არსად ჩანდა და ჩვენც ვაგრძელებდით მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რატომ იმსახურებდა ტომი ამ ყველაფერს. რუთმა საათს დახედა. დრო კიდევ გვრჩებოდა. მაგრამ როცა თქვა, მთავარ შენობაში უნდა დავბრუნდეთო, არავინ შეჰკამათებია.

პავლიონიდან რომ გამოვედით, ტომი ისევ ჯავრობდა. მთავარი შენობა ჩვენგან მარცხნივ მდებარეობდა, ტომი კი მინდორში, ჩვენ პირდაპირ იდგა. მის სიახლოვეს ჩავლის საჭიროება არ იყო, ისედაც სხვა მხარეს იყურებოდა და ვერ გვხედავდა. და მაინც: ჩემი მეგობრები მოედნის კიდეზე რომ გაუყვნენ, მე ნელ-ნელა ტომისკენ წავედი. ვიცოდი, დანარჩენებს გავაოცებდი, მაგრამ მაინც წავედი. მაშინაც არ გავჩერებულვარ, უკნიდან რუთის საგანგაშო ჩურჩული რომ წამომეწია, დაბრუნდიო.

ტომი არ იყო შეჩვეული თავის მრისხანებაში სხვების ჩარევას. როცა მივუახლოვდი, ერთი ამომხედა და ისევ სიშმაგეში დაინთქა. თითქოს შუა შექსპირის წარმოდგენისას ვიღაც აუვარდა სცენაზე. რომ ვუთხარი, შენს საყვარელ მაისურს დასვრი-მეთქი, არც მაშინ შეიმჩნია.

წინ წავიწიე და მკლავზე ხელი დავადე. მოგვიანებით სხვები ფიქრობდნენ, ტომიმ ეს განზრახ ქნაო, მე კი ვიცოდი, რომ შემთხვევით მოუვიდა. ჯერ კიდევ იქნევდა მუშტებს და არ იცოდა, ხელით შეხებას რომ ვაპირებდი. მოკლედ, მოქნეული მკლავი ხელზე გამკრა და სახეში გამარტყა. არ მეტკინა, მაგრამ მეც და უკან დატოვებული გოგონების უმეტესობამაც მძიმედ ამოვიოხრეთ.

მაშინდა შემამჩნია ტომიმ. მაშინდა შეამჩნია დანარჩენებაც, შეამჩნია, რას აკეთებდა, გაახსენდა რომ მოედანზე იდგა, მიხვდა, როგორ იქცეოდა და ბრიყვულად შემომხედა.

– ტომი, – ვუთხარი ჩუმად და მკაცრად, – მაისური სულ ტალახში გაქვს მოთხვრილი.

– მერე რა? – ჩაიბუტბუტა თავისთვის. ეს კი თქვა, მაგრამ ტანზე რომ დაიხედა და ყავისფერი ლაქები დაინახა, კინაღამ აღშფოთებისგან შეჰყვირა. მერე სახეზე გაკვირვება შევნიშნე: საიდან ვიცოდი მე, როგორ უყვარდა თავისი პოლოს მაისური?

– საგანგაშო არაფერია, – ვთქვი, სანამ სიჩუმე შეაწუხებდა, – მოშორდება. თვითონ თუ ვერ გააცლი, მის ჯოდის წაუღე.

– ეს შენ მაინც არ გეხება, – თქვა პირქუმად, მაისურის კარგად დათვალიერების შემდეგ.

თქვა თუ არა, ინანა და მოსაწყლებულმა შემომხედა. ჩემგან რაღაც კარგის გაგონება სურდა. თუმცა მოთმინების ფიალა უკვე ამევსო, მით უმეტეს – გოგონების თვალწინ და კიდევ, ვინ იცის, რამდენი თვალი გვიყურებდა მთავარი შენობის ფანჯრებიდან. მხრები ავიჩიჩე და მეგობრებს დავუბრუნდი.

რომ წამოვედით, რუთმა ხელი გადამხვია: – ცოტა ხომ დააწყნარე. კარგად ხარ? გიჟი.

თავი მეორე

ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა და რაღაცები შეიძლება არასწორადაც მახსოვდეს. მაგრამ იმ ნაშუადღევს ტომისთან მიახლოება ნაწილობრივ შეადგენდა ეტაპს, რომელსაც იმხანად გავდიოდი. განზრახ ვიწვევდი ჩემს თავს. რამდენიმე დღის შემდეგ, ტომიმ რომ გამაჩერა, უკვე ყველაფერი მეტ-ნაკლებად დავიწყებული მქონდა.

არ ვიცი, თქვენთან როგორ იყო, მაგრამ ჰეილშემში თითქმის ყოველ კვირას გვიტარებოდა მედიცინა, როგორც წესი – მეთვრამეტე ოთახში, შენობის ბოლო სართულზე, მკაცრ ექთან ტრიშასთან, მეტსახელად – ყვავთავასთან. იმ მზიან დილასაც მისი გამოცდა გვქონდა და ცენტრალურ კიბეს ჯგროდ მივუყვებოდით. ამ დროს წინა ჯგუფი ზემოდან ჩამოდიოდა. ხმაურიან კიბეზე თავდახრილი, ჩემ წინ მიმავალს ფეხდაფეხ მივყვებოდი, როდესაც მთლად ახლოდან ვიღაცამ მომმართა: „ქეით!“

ქვემოთ მომავალი ტომი გაბადრული დაყუდებულიყო კიბეზე. მისმა დანახვამ მომენტალურად გამაღიზიანა. რამდენიმე წლის წინ ვინმე ისეთს თუ შევეყრებოდი, ვისი ნახვაც გვინდოდა, მაშინ მოვირგებდით ხოლმე სახეზე ასეთ ღიმილს. ახლა უკვე ცამეტი წლის ვიყავით და საქმე გვექონდა ბიჭთან, რომელიც გოგონას ხალხში უღიმოდა. მინდოდა მეთქვა: ტომი, რით ვერ გაიზარდე-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და სხვა რამე წარმოვთქვი: – ტომი, ხალხს სიარულში ხელს ვუშლით შენც და მეც!

კიბეს ახედა. იქ მართლაც გროვდებოდა ხალხი. წამით შეშინდა, მერე ჩემ გვერდით კედელს აეკრო ისე, რომ ამსვლელ-ჩამომსვლელებს გვერდი აექციათ. მითხრა: – სად არ გეძებე, ქეთ. ბოდიშის მოხდა მინდოდა. ძალიან, ძალიან ვნანობ. იმ დღეს მართლა არ ვაპირებდი გარტყმას. გოგოსთვის გარტყმა აზრადაც არ მომივიდოდა და რომც მომსვლოდა, ეს გოგო შენ არ იქნებოდი. ძალიან, ძალიან ვნანობ.

– არა უშავს რა, შემთხვევით მოგივიდა, – თავი დავუკარი და გზის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ გახარებულმა ტომიმ განაგრძო: – მაისური გადარჩა. გაირეცხა.

– კარგია.

– გეტკინა, რომ დაგარტყი?

– თან როგორ! თავის ქალა გამეზარა. მაგარი ტვინის შერყევა მაქვს. ყვავთავამაც კი შეიძლება შემამჩნიოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ოდესმე ავალწევ იქამდე.

– არა, მართლა, ქეთ, ხომ არ მიბრაზდები? გულწრფელად ვნანობ. მართლა.

ბოლოს და ბოლოს, გავუღიმე და ირონიის გარეშე ვუთხარი: – მომისმინე, ტომი: ეგ შენ შემთხვევით მოგივიდა და უკვე წარსულს ჩაჰბარდა. ოდნავადაც არ ვბრაზობ შენზე.

ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ უკნიდან უკვე უფროსი მოსწავლეები აწვებოდნენ და გაიწიო, ეუბნებოდნენ. წამით გამიღიმა, მხარზე ხელი მომითათუნა, თითქოს პატარა ბიჭი ვიყავი, და დინებას გაჰყვა. კიბეს რომ ავუყევი, ზურგში მომამახა: „გნახავ, ქეთ!“

ეს ყველაფერი ცოტა უხერხულად მეჩვენა, თუმცა არც გავბრაზებულვარ და არც ის მიფიქრია, რომ ჭორაობას გამოიწვევდა. უნდა ვაღიარო: კიბეზე შეხვედრა რომ არა, უახლოეს რამდენიმე კვირას ტომის პრობლემებით აღარ დავინტერესდებოდი.

რამდენიმე ინციდენტი ჩემი თვალითაც ვნახე, საერთოდ კი ამბებს სხვისგან ვიგებდი. იმდენს ვწურავდი ამბის მომტანს, სანამ მეტ-ნაკლებად სრულ პატაკს არ ჩამაბარებდა. ტომი არაერთხელ გამოსულა წყობიდან, როგორც, მაგალითად, მაშინ, ორ მერხზე რომ ამვრა მეთოთხმეტე ოთახში და რაც ზედ ელაგა, სულ ძირს გადმოყარა. ამასობაში მთელმა კლასმა ოთახიდან გაასწრო და კარი ჩახერგა, გარეთ რომ არ გამოსულიყო. ერთხელ ბატონ კრისტოფერს ტომისთვის ხელის ამოტრიალება დასჭირდა, რათა ეს უკანასკნელი რეჯი დის არ დასხმოდა თავს. ისიც ყველამ ნახა: მერვეკლასელი ბიჭები სარბენად რომ გავიდნენ, მხოლოდ ტომის არ ჰყავდა პარტნიორი. კარგმა მორბენალმა, მან ათი-თხუთმეტი იარდით უკან ჩამოიტოვა ყველა. ალბათ, იმის გადაფარვას ცდილობდა, რომ მასთან სირბილი არავის სურდა. ყოველდღე ჭორი ვრცელდებოდა ახალ ოინზე, რომელიც ტომის მოუწყვეს. როგორც წესი, განსაკუთრებული არაფერი: უცნაური საგნები მის ლოგინში ან ჭიკაყელა მის საუზმეში. ზოგი კი მართლაც საძაგლად ჟღერდა: ვიღაცამ ტომის კბილის ჯაგრისით უნიტაზი გაწმინდა, მერე კი

ადგილზე დააბრუნა განავლით სავსე. ტომის ზომების, ჯან-ღონის და, ალბათ, ხასიათის გამო მასთან პირდაპირ შერკინებას ვერავინ ბედავდა, მაგრამ მსგავსი შემთხვევები, თუ არ ვცდები, ორ თვეს მაინც გაგრძელდა. მეგონა, ადრე თუ გვიან ტომის ვინმე გამოესარჩლებოდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა და ოინებიც გრძელდებოდა.

ერთხელ მე თვითონ ვცადე გამოსარჩლება საძინებელში შუქის ჩაქრობის შემდეგ. მაღალ კლასებში სულ ექვსნი ვიწეეთ ოთახში, მხოლოდ ჩვენი პატარა ჯგუფი. ხშირად ყველაზე პირადული საუბრები სწორედ საძინებელში გვექონდა, სანამ ძილს მივეცემოდით, რადგან აქ ისეთ რამეებზე შეგვეძლო გველაპარაკა, აზრადაც რომ არ გავივლებდით სხვაგან, თვით პავილიონშიც კი. ჰოდა, ერთ ღამეს ტომიზე ჩამოვაგდე სიტყვა. ბევრი არ მილაპარაკია, იმ ყველაფერს მოვუყარე თავი, რაც მას დამართეს, და თან ჩემი აზრიც დავურთე: ეს მაინცდამაინც სამართლიანად არ მიმაჩნია-მეთქი. ლაპარაკი რომ დავამთავრე, უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი: ყველა რუთის პასუხს ელოდა. ყოველთვის ასე ხდებოდა, როდესაც რამის მიმხრობა-არმიმხრობაზე მიდგებოდა საქმე. დავიცადე. ბოლოს რუთმა სიჩუმე დაარღვია: – მართალი ხარ, ქებით. ცუდად გამოსდით. მაგრამ თუ რამის შეცვლა უნდა, თავისი ხასიათით უნდა დაიწყოს. გაზაფხულის გაცვლებისთვის ხელიც არ გაუნძრევია. ან მომდევნო თვისთვის თუ აქვს რამე? რაღაც არა მგონია.

აქ ცოტა ჰეილშემის გაცვლებზეც უნდა გიამბოთ. წელიწადში ოთხჯერ – გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში – გამოფენა-გაყიდვის მსგავს რამეს ვაწყობდით. გამოვფენდით ყველაფერს, რასაც შევქმნიდით სამ თვეში ბოლო გამოფენის შემდეგ: ფერად თუ შავ-თეთრ ნახატებს; პოეზიას; რისგან აღარ – დაწყლებილი თუნუქის ქილებისა თუ მუყაოში ჩარჭობილი ბოთლის თავსახურებისგან – აწყობილ „სკულპტურებს“. თითოეულ ნივთს მასწავლებლები აფასებდნენ და შესაბამისი რაოდენობის „გაცვლით ქულას“ გვიწერდნენ. გაცვლის დღეს კი შენი ქულებიანად მიდიოდი და რაც მოგეწონებოდა, ყიდულობდი. წესების მიხედვით, მხოლოდ შენივე წლოვანების მოსწავლის ნამუშევრის ყიდვა შეიძლებოდა. მაინც დიდი არჩევანი გვექონდა. ზოგიერთები საკმაოდ ნაყოფიერად ატარებდნენ მოსამზადებელ სამ თვეს.

ახლა რომ ვიხსენებ, ვხვდები, რატომაც იყო გაცვლები ესოდენ მნიშვნელოვანი ჩვენთვის. დავიწყოთ იმით, რომ, სეილების გარდა, ერთადერთი ღონისძიება, სადაც ჩვენი პირადი კოლექციის გამდიდრება შეგვეძლო, სწორედ გაცვლები გახლდათ. თუ რამე გინდოდა საწოლის გარშემო კედლის მოსართავად ან ჩანთით სატარებლად, კლასიდან კლასში გასაყოლებლად ან მერხზე დასადებად – ყველაფერს გაცვლებში იპოვიდი. ახლა ვხედავ, რა სათუთი რამ იყო ჩვენთვის გაცვლები. თუ დაუკვირდებით: ის ნივთები, რომლებიც შეიძლება შენი პირადი საგანძური გახდეს, ურთიერთობებზეც უთუოდ იმოქმედებს. ტომის ამბავიც ტიპური გახლდათ. კარგა ხანს ჰეილშემში რეპუტაციას – მოწონებას თუ პატივისცემას – სწორედ საკუთარი შემოქმედებით იხვეჭდი.

მე და რუთიც ხშირად ვიხსენებდით ამ ყველაფერს რამდენიმე წლის წინ, დოუერში რომ ვუვლიდი.

- ერთ-ერთი მიზეზი, რაც ჰეილშემს ასე განსაკუთრებულს ხდის, ისაა, თუ როგორ გვაქვებდნენ ერთმანეთის ნამუშევრის ღირებულების დანახვაში, - მითხრა ერთხელ.

- ჰო, მართლაც, - მივუგე, - მაგრამ, ხანდახან, გაცვლებს რომ ვიხსენებ, ცოტა მოსაწყენად მეჩვენება. მაგალითად, პოეზია. ნახატების მაგივრად ლექსის მიტანაც შეგვეძლო და ეს ყველას ნორმალურად მიგვაჩნდა.

- რატომაც არა? პოეზია მნიშვნელოვანია.

- ცხრა წლის ბავშვების რვეულებში შეცდომებით სავსე სასაცილო სტრიქონებზე ვლაპარაკობთ. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ მიერ დაგროვილი ქულებით რამე ისეთი გვეყიდა, რითიც საწოლ ოთახს გავილამაზებდით, მაგ რვეულებში ვხარჯავდით. თუ ასე მოგვწონდა ვინმეს პოეზია, იქნებ ჯობდა, ყიდვის მაგივრად, რომელიმე საღამოს მისთვის გამოგვერთმია და გადაგვეწერა? მაგრამ, ხომ გახსოვს, როგორც ხდებოდა: გაცვლის დრო რომ მოდიოდა, სიუზი ქეის ლექსებსა და ჯეკის ჟირაფებს შორის არჩევანს ვერ ვაკეთებდით!

- ჯეკის ჟირაფები, - სიცილით თქვა რუთმა, - რა კარგები იყვნენ! ერთი მეც მყავდა.

ეს საუბარი ზაფხულის მშვენიერ საღამოს, რუთის სარეაბილიტაციო ოთახის პატარა აივანზე შედგა. მისი პირველი სისხლის გაცემიდან რამდენიმე თვე იყო გასული. ყველაზე მძიმე პერიოდი ჰქონდა. ჩემს საღამოს ყოველთვის ისე ვგეგმავდი, რომ ნახევარი საათი მაინც გამომეყო რუთთან ერთად აივნიდან დაისის საყურებლად. იქიდან ბევრი სახურავი, მავთული და სატელიტური ანტენა ჩანდა. დროდადრო კი, შორს, ყველაფრის იქით, ზღვაც დაგვენახებოდა ხოლმე მოელვარე რკალად. ამ სანახაობას მინერალურ წყალს და ბისკვიტებს ვაყოლებდი. ვისხედით და ვსაუბრობდით ყველაფერზე, რაც თავში მოგვდიოდა. დოუერის ცენტრი, რომელშიც რუთი მკურნალობდა, ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. მეც სიამოვნებით მოვიკალათებდი იქ. პატარა, მაგრამ მყუდროდ და კომფორტულად მოწყობილი სარეაბილიტაციო ოთახები. თეთრი კაფელის მოელვარე კედლები და იატაკი. ოთახში პირველად შესულს თავი სარკეებში გეგონებოდა. მართალია, საკუთარი ანარეკლის ურიცხვი მწკრივი არ ჩანდა, მაგრამ თითქოს მაინც ხედავდი. ლოგინიდან ხელის აწევა ან წამოჯდომა მკრთალ აჩრდილად ირეკლებოდა კაფელზე. რუთის ოთახში დამატებით კიდევ მინის დიდი პანელები ეკრა, ისე, რომ საწოლიდანაც თავისუფლად იყურებოდა გარეთ. ბალიშზე თავმიდებულიც კი ხედავდა ცის მოზრდილ ნაწილს. სითბოში ყოველთვის შეეძლო აივანზე გასულიყო და გაძლომამდე ესუნთქა სუფთა ჰაერი. მიყვარდა მასთან სტუმრობა და მასლაათი. მთელი ზაფხული და ადრეული შემოდგომა აივანზე ჯდომასა და საუბარში გავატარეთ. ვსაუბრობდით ჰეილშემზე, კოტეჯებზე, ყველაფერზე, რაც ტვინში მოგვიფრიალდებოდა.

- იმას ვამბობ, რომ, ვთქვათ, თერთმეტი წლისეებს ერთმანეთის პოეზია საერთოდ არ გვიანტერესებდა, - განვაგრძე მე, - გახსოვს კრისტი? დიდი პოეტის რეპუტაცია ჰქონდა და ჩვენც სამაგალითოდ მიგვაჩნდა. შენც კი ვერ ბედავდი კრისტისთან უფროსობას, რუთ. იმიტომ, რომ ყველას დიდი პოეტი გვეგონა. ეგაა, პოეზიისა არაფერი გაგვეგებოდა. არ გვიზიდავდა. უცნაურია.

რუთმა ან ვერ გამიგო, ან საგანგებოდ იცილებდა თავიდან ამის გაგებას. შესაძლოა ერჩივნა, ჩვენი ბავშვობა უფრო ჩამოყალიბებულად ხსომებოდა, ვიდრე

სინამდვილეში იყო. ან, ეგებ, მიხვდა საითაც მივყავდით საუბარს, იქით წასვლა კი არ სურდა. ასე იყო თუ ისე, ღრმად ამოისუნთქა და თქვა: – კრისტის ლექსები ყველას მოგვწონდა. ახლა რა თვალთ შევხედავდით? ნეტავ თან გვქონდეს. მაინტერესებს, რას ვიფიქრებდით, – გადაიხარხარა რუთმა და განაგრძო: – პიტერ ბის ლექსები კი დღემდე შემომრჩა. თუმცა უფრო გვიანდელია, მაშინ უკვე თოთხმეტი წლის ვიყავით. ალბათ, მომწონდა. აბა, რატომ ვიყიდდი მის ლექსებს? რომ წაიკითხო, სიცილით ჩაბჭირდები, ისე სერიოზულ ადამიანად მოაქვს თავი. კრისტი კი მართლა კარგად წერდა. მე ასე მახსოვს. ხატვა რომ დაიწყო, წერას მაშინვე შეეშვა. უცნაურია. არადა, წერა ბევრად უკეთესად გამოსდიოდა.

ტომის დავუბრუნდები. იმ დღეს, შუქის ჩაქრობის შემდეგ, საძინებელში ნათქვამი რუთის სიტყვები – ყველაფერი, რაც ტომის ემართება, მისივე ბრალიაო – ტომიზე იმდროინდელი ჰეილშემის ზოგად შეხედულებას ემთხვეოდა. მე კი სწორედ ამ სიტყვების შემდეგ მთლიანობაში დავინახე, დაწყებითი კლასებიდან მოყოლებული, რომ ტომი განზრახ არ აკეთებდა არაფერს. გავიაზრე, რომ ტომის ამბავი კვირებს ან თვეებს კი არა – უკვე წლებს ითვლიდა. შემაცია.

ამ ყველაფერზე თვით ტომისაც ვესაუბრე არცთუ დიდი ხნის წინ. უსიამოვნებების დაწყების მისივე ვერსია ჩემს იმდამინდელ ნაფიქრალს დაემთხვა. ტომის თქმით, ყველაფერი ერთ ნაშუადღევს, მის ჯერალდინის ხელოვნების გაკვეთილზე დაიწყო. თურმე ამ მომენტამდე ტომის ხატვაც ჰყვარებია. იმ დღეს კი, მის ჯერალდინის გაკვეთილზე, მაღალ ბალახში მდგარი სპილო დახატა აკვარელით და ამით დასაბამი დაუდო თავის უსიამოვნებებს. მისივე თქმით, ეს ნახატი ერთგვარი ხუმრობა იყო. ამაზე არაერთგზის ჩავეკითხე. მე მგონი, რამე კონკრეტული ჩანაფიქრი არ ჰქონია. ამ ასაკში რაღაცებს უბრალოდ, დაუფიქრებლად აკეთებ, სხვების გასაცინებლად ან ალიაქოთის ასატეხად. მერე, ახსნას რომ გთხოვენ, არ გესმის, რატომ. ასე ყველა მოვქცეულვართ. ტომი სხვანაირად მოჰყვა, მაგრამ ვიცი, რომ სწორედ ასე მოხდა.

ჰოდა, დახატა ეს სპილო. სამი წლით უმცროსის ნახატს ჰგავდა. სულ ოცი წუთი დასჭირდა. სიცილი ნამდვილად გამოიწვია, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც თავად ელოდა. მიუხედავად ამისა, მაინცდამაინც მის ჯერალდინი რომ არ ყოფილიყო იმ დღეს მასწავლებლად, ალბათ, სპილო სპილოდვე დარჩებოდა. ბედის ირონიაა.

იმხანად მის ჯერალდინი ყველას უსაყვარლესი მასწავლებელი გახლდათ. ზრდილობიანი იყო, წყნარი, არასოდეს დაგტუქსავდათ, მაშინაც კი, როდესაც რამეს დააშავებდით ან სხვა მასწავლებელი გისაყვედურებდათ. და თუ ოდესმე თვითონ მოუწევდა საყვედურის თქმა, რამდენიმე დღის შემდეგ მეტ ყურადღებას იჩენდა, თითქოს ვალი აქვსო. ტომის კი არ გაუმართლა და მისტერ რობერტის ან მთავარი მასწავლებლის – მის ემილის სანაცვლოდ, ხშირად რომ ატარებდა ხელოვნების გაკვეთილებს, სწორედ მის ჯერალდინი შეხვდა. დანარჩენი ორი მასწავლებლიდან რომელიმე რომ შეხვედროდა, ცოტას გაიკენწლებოდა, მერე სულელურად გაიღიმებდა და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. დანარჩენები იფიქრებდნენ: ტომიმ, როგორც ჩანს, ცუდად იხუმრაო. ზოგს მისი ოხუნჯობა შეიძლება მოსწონებოდა კიდევ. მის ჯერალდინის მისჯერალდინური ხასიათის გამო კი ყველაფერი სხვაგვარად წავიდა. კეთილი მასწავლებელი ნახატს მთელი თავისი სითბოთი და გაგებით მოეკიდა. რაკი ხვდებოდა, რომ შეიძლებოდა თანაკლასელებს ტომისთვის დაეცინათ, მის

ჯერალდინი მოსალოდნელის საპირისპიროდ მოიქცა და შეუქო კიდეც ნახატი ყველას თვალწინ. ასე დაიწყო საყოველთაო აღშფოთება.

– კლასიდან რომ გამოვედით, პირველად მაშინ გავიგონე ჩემზე ლაპარაკი, – იხსენებდა ტომი, – არ ადარდებდათ, რომ მესმოდა.

გული მიგრძნობს: ამ ბოლო სპილოს დახატვამდე ტომის ეჩვენებოდა, რომ სხვებს ჩამორჩა და რომ განსაკუთრებით ხატვაში ჩამოუვარდებოდა თავის ასაკს. ჰოდა, თავს იმით იცავდა, რომ განზრახ ხატავდა ბავშვურად. სპილოს ამბის შემდეგ ყველაფერი გამჟღავნდა. სხვები უკვე ელოდნენ, კიდეც რას მოიმოქმედებდა ტომი. ერთხანს ცდილობდა საქმის გამოსწორებას, მაგრამ როგორც კი რამეს ხელს ჰკიდებდა, ირგვლივ ხითხითი იწყებოდა. ბოლოს, რაც უფრო მეტად ინდომებდა, მით უფრო სასაცილო ჩანდა.

სულ მალე ტომი თავის ცნობილ „დაცვით პოზიციაში“ ჩადგა. ყველაფერს შეგნებულად აფუჩებდა. მის ყოველ ნაბიჯში „არ მაინტერესებს“ იგრძნობოდა. დროის სვლასთან ერთად ტომის თავდაცვაც ღრმავდებოდა.

ჯერ მხოლოდ ხელოვნების გაკვეთილებზე უწევდა ტანჯვა. თუმცა არც ეს იყო ცოტა: იმხანად ხელოვნება ხშირად გვიტარდებოდა. შემდეგ ვითარება უფრო გართულდა. თამაშებიდან გამოაგდეს, სადილის დროს ბიჭები გვერდით აღარ უსხდებოდნენ და, თუ შუქის ჩაქრობის შემდეგ საძინებელში რამეს იტყოდა, თითქოს არავის ესმოდა. თავიდან ეს არც ისე აუტანელი ჩანდა. თვეები ინციდენტის გარეშე მიდიოდა. ტომის უკვე ეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა. თუმცა მისი ან მისი რომელიმე მტრის, მაგალითად, არტურ ეიჩის ერთი ნაბიჯი და – ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ზუსტად ვერ ვიტყვი, როდიდან დაეწყო წყობიდან გამოსვლა. მახსოვს, ტომი თავიდანვე ცნობილი იყო ფეთქებადი ხასიათით. თვითონ მიმტკიცებდა: ეს მას შემდეგ დამეწყო, რაც სხვებმა ბოლომდე შემაქციეს ზურგიო. არადა, მათ სწორედ ტომის წყობიდან გამოსვლა ახალისებდა, რაც, საბოლოოდ, ყველაფერს აუარესებდა. იმ დროს, რომელზეც მე ვყვები, ანუ ჩვენს მეცამეტე ზაფხულში, ტომის დევნამ პიკს მიაღწია.

და ყველაფერი უეცრად შეწყდა. ერთ დღეში არა, მაგრამ საკმაოდ მალე. მაშინ ტომის ამბებს დაკვირვებით ვადევნებდი თვალყურს და ცვლილებებსაც სხვებზე ადრე ვამჩნევდი. ეს ერთთვისანი ან ცოტა უფრო გრძელი პერიოდით დაიწყო. ხრიკებს და ფანდებს არ აკლებდნენ, მაგრამ ტომი წყობიდან აღარ გამოდიოდა. ზოგჯერ უჭირდა თავის შეკავება, მაგრამ მაინც ახერხებდა. ხანდახან კი მხრებს ჩუმად იჩეჩდა ან საერთოდ არ იმჩნევდა არაფერს. თავიდან მისი ამგვარი რეაქცია განაწყენებას იწვევდა, თითქოს სხვებს იმედებს უცრუებდა. როგორც იქნა, ყველას მოჰბეზრდა ტომის ქირდვა და გამოჯავრება. ხრიკები უფრო და უფრო სახელდახელო გახდა. ერთ მშვენიერ დღეს კი შევამჩნიე, რომ ბოლო ხრიკიდან უკვე მთელი ერთი კვირა გასულიყო.

მხოლოდ ოინების შეწყვეტა ბევრს ვერაფერს იზამდა, მაგრამ მე სხვა ცვლილებებიც შევნიშნე. დავინახე, რა ბუნებრივად ესაუბრებოდნენ ტომის და როგორ მიაბიჯებდნენ მის გვერდით ალექსანდერ ჯეი და პიტერ ენი. მესმოდა სულ პატარა, მაგრამ მკაფიო განსხვავება ბავშვების ხმაში, როდესაც ტომის სახელი ესმოდათ. ერთხელ,

ნაშუადღევის შესვენების ბოლოს, ჯგუფად ვისხედით ბალახზე ბიჭების საყვარელი სამხრეთის საფეხბურთო მოედნის შორიახლოს. ჩვენს მასლაათს არ ვწყდებოდი, მაგრამ თვალი მაინც თამაშში ჩართულ ტომიზე მეჭირა. რაღაც მომენტში წააქციეს. ადგა და თავისუფალი დარტყმისთვის ბურთი თვითონ დაიდო წინ. სანამ ბიჭები მოედანზე იმლებოდნენ, თვალი მოვკარი არტურ ეიჩს – ტომის ერთ-ერთ მთავარ მტანჯველს: რამდენიმე იარდით უკან ედგა და ჰბამავდა, ტომის მიმიკას იმეორებდა, ვითომ თვითონაც ბურთთან იდგა წელზე შემორტყმული დოინჯით. დაკვირვებით ვუყურებდი. არტურის ქარაგმა არავის აუტაცებია, დანახვით კი უთუოდ დაინახავდნენ. ყველა ტომის უყურებდა, არტური კი მის უკან იდგა. მაგრამ არავინ დაინტერესდა. ტომიმ დაარტყა, თამაში გაგრძელდა და არტურსაც მეტი აღარაფერი უცდია.

თან მიხაროდა ცვლილებები ტომის ცხოვრებაში, თანაც მიკვირდა. მის მუშაობაში კი ცვლილება არ ჩანდა. შემოქმედებაში ძველებურად დაბალი რეპუტაცია შერჩა. წყობიდან არგამოსვლამ და სიმშვიდის შენარჩუნებამ დიდი როლი ითამაშა, მაგრამ მთავარ მიზეზს მაინც ვერ ვხვდებოდი. თვითონ ტომში შეიცვალა რაღაც. სხვანაირად ეჭირა თავი, ხალხს უყურებდა და თამამად, ბუნებრივად ელაპარაკებოდა. ადრე სხვაგვარად იქცეოდა. ასე კი გარშემო მყოფთა დამოკიდებულება შეცვალა. ვერ გამეგო, რამ მოიტანა ეს ყველაფერი, და მიკვირდა. გადავწყვიტე, გამომეცადა, როგორც კი დავიმარტოხლებდი. შემთხვევაც მალე მომეცა. ლანჩის რიგში ჩემზე რამდენიმე კაცი წინ დავლანდე.

უცნაურად ჟღერს, მაგრამ ჰეილშემში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი ვინმესთან ერთი-ერთზე სალაპარაკოდ სწორედ ლანჩის რიგი გახლდათ. ალბათ, დიდი, მაღალჭერიანი დარბაზის აკუსტიკის გამო. საერთო ხმაურში თუ ხმას საკმაოდ ჩაუწყვდით, თანამოსაუბრესთან საკმაოდ ახლოს დადგებოდით და დარწმუნდებოდით, რომ სხვები თავ-თავიანთ საუბარში იყვნენ გართულნი, უცხო ყურისგან დაცულად ლაპარაკის კარგი შანსი გემლეოდათ. ასე იყო თუ ისე, ხელს მაინც არავინ შეგიშლიდათ. უხმაურო ადგილები კი, როგორც წესი, ყველაზე საშიში იყო. თითქმის ყოველთვის ჩაივლიდა ვინმე ისეთ მანძილზე, რომ რაღაც გაეგონა. და როგორც კი განმარტოების და საიდუმლო საუბრის სურვილს შეგამჩნევდნენ, ამ შანსს მაშინვე გაკარგვინებდნენ.

მაშ ასე, ტომი ჩემზე ცოტა წინ დავინახე და ხელი დავუქნიე. წესის თანახმად, რიგში წინ გადასვლა არ შეიძლებოდა, უკან – კი ბატონო. სასიამოვნო ღიმილით მომიახლოვდა. ერთხანს უხმოდ ვიდექით. არა ერთმანეთის გამო, არამედ ტომის უკან გადმოსვლით ხალხის დაინტერესებას ვეძებდით. შემდეგ ვუთხარი: – ამ ბოლო დროს ბევრად ბედნიერი ჩანხარ. საქმე უკეთ მიგდის.

– ყველაფერს ამჩნევ, არა, ქეით? – მითხრა სარკაზმის გარეშე, – ჰო, ყველაფერი კარგადაა. სანაღვლო არაფერი მაქვს.

– და რა მოხდა? გასხივოსნდი თუ?

– გასხივოსნდი... – წამით დაიბნა ტომი, გაიცინა და დაამატა: – აა, მივხვდი. იმას გულისხმობ... რომ აღარ ვბრაზდები ხოლმე.

– არა მარტო მაგას, ტომი. ცხოვრება შემოიბრუნე. გაკვირდებოდი. ამიტომაც გკითხე.

– ალბათ, ცოტათი გავიზარდე, – მხრები აიჩეჩა ტომიმ, – სხვებიც გაიზარდნენ. სულ ერთნაირად ხომ არ მოვიქცევით? მოსაწყენია.

არ მიპასუხია. მხოლოდ ვუცქერდი ტომის, სანამ კიდევ გაიცინა ჩუმად და მითხრა: – რა ცნობისმოყვარე ხარ, ქეთი! კეთილი, მართლა მოხდა რაღაც. თუ გინდა, გეტყვი.

– აბა, გისმენ.

– გეტყვი, ოღონდ არავის არ მოუყვე, კარგი? ორი თვის წინ მის ლუსის ველაპარაკე. ძალიან მესიამოვნა. ძნელი ასახსნელია. რაღაც მითხრა და მეც მომეშვა.

– და რა გითხრა?

– რა და... ალბათ, უცნაურად ჟღერს. თავიდან მეც მეუცნაურა. მითხრა: შეიძლება შენ თვითონ მართლა, მართლა არ გინდა შემოქმედებითი ცხოვრება და მაგაში ცუდი არაფერიაო.

– ეგრე გითხრა?

ტომიმ თავი დამიქნია, მაგრამ მე უკვე ზურგს ვაქცევდი.

– სისულელეა, ტომი. უაზრობების ლაპარაკს თუ აპირებ, მე თავი დამანებე.

მართლა გავბრაზდი. მეგონა, ზუსტად მაშინ მომატყუა, როცა ვიფიქრე, მისი ნდობა მოვიპოვე-მეთქი. რამდენიმე ადგილით უკან ნაცნობი გოგო დავინახე რიგში და მას მივაშურე. ტომი უკან დარჩა. შეცბა და ეწყინა. თუმცა, მასზე ღელვაში გატარებული თვეების შემდეგ თავი მოტყუებულად ვიგრძენი და სულ არ მადარდებდა, რას გრძნობდა ახლა. მეგობარს – თუ არ ვცდები, მათილდა იყო – ნამალადევად მხიარულად ველაპარაკე და, სანამ რიგში ვიდექით, ტომისკენ თითქმის არ გამიხედავს.

ლანგარი მაგიდისკენ რომ მიმქონდა, იგი წამომეწია და სწრაფად მითხრა: – შენი გამასხარავება არც მიფიქრია, ქეთი. მართლა ასე მოხდა. მომისმინე და ყველაფერს მოგიყვები.

– ნუ სულელლობ, ტომი.

– გეტყვი, ქეთი. ლანჩის შემდეგ ტბორთან დაგელოდები. თუ მოხვალ, მოგიყვები.

ნაწყენი თვალებით შევხედე და მოვცილდი. თუმცა, ალბათ, უკვე მაშინ ვიფიქრე, რომ მის ლუსისთან დაკავშირებით ტომი არ იტყუებოდა. მეგობრებს რომ მივუჯექი, უკვე იმაზე ვფიქრობდი, როგორ დავსხლტომოდი მათ ტბორზე გასასვლელად ისე, რომ ეჭვი არავის გასჩენოდა.

თავი მესამე

ტბორი შენობის სამხრეთით მდებარეობდა. უკანა კარით უნდა გასულიყავი, ვიწრო, დაკლაკნილ ბილიკს ჩაჰყოლოდი და გაბარდულ გვიმრას გასცდებოდი, შემოდგომაზეც კი რომ აბრკოლებდა გავლას. თუკი მასწავლებლები არ ჩანდნენ, მაშინ რევანდის ნარგავების გავლით მოკლეზეც შეიძლებოდა მოჭრა. ტბორამდე მისულს,

წყნარი გარემო, იხვეები, ლერწამი და წყალმცენარეები გხვდებოდა, თუმცა ეს ადგილი საიდუმლო საუბრებისთვის ლანჩის რიგს მაინც ვერ შეედრებოდა. ჯერ ერთი, შენობიდან თავისუფლად დაგინახავდნენ, წყლის ზედაპირზე ხმის გავრცელების განსაზღვრა კი რთული საქმეა. მოყურადების მსურველისთვის გარეთა ბილიკით მოსვლასა და ტბორის მეორე მხარეს ბუჩქში შემალვაზე ადვილი არაფერი იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, რაკი ლანჩის რიგში ტომის მე გავაწყვეტინე სიტყვა, ახლა სიტუაცია ისევ მე უნდა გამომესწორებინა. უკვე შუა ოქტომბერი იდგა, თუმცა მზე გემრიელად ანათებდა. შემეძლო ისე, სასეირნოდ წავსულიყავი და ტბორთან სრულიად შემთხვევით გადავყროდი ტომის.

წარმოდგენა არ მქონდა, მიყურებდა თუ არა ვინმე. წყლის პირას დიდ, ბრტყელ ქვაზე ჩამომჯდარი ტომი იმდენად ლამაზ სანახაობად წარმომიდგა, რომ მე თვითონ ფეხზე დავრჩი. პარასკევი ან შაბათ-კვირა უნდა ყოფილიყო, რადგან, მახსოვს, არასასკოლო ტანსაცმელი გვეცვა. ტომის რა ეცვა, ზუსტად ვერ ვიხსენებ, ალბათ, ერთ-ერთი თავისი ფარღალა საფეხბურთო მაისური, სიცივეშიც რომ არ იხდიდა. მე კი ნამდვილად წინა წელს სეილებზე ნაყიდ ელვაშესაკრავიან ჟილეტში ვიყავი გამოწყობილი. მივუახლოვდი და გავჩერდი. წყლისკენ ზურგშექცეული, შენობას ვუყურებდი. ფანჯრებთან ვინმე რომ მდგარიყო, პირდაპირ დავინახავდი. მომდევნო რამდენიმე წუთს ტომი და მე რაღაცებს მივედ-მოვედეთ, ვითომ ლანჩის რიგში არაფერი მომხდარიყოს. ზუსტად არ ვიცი, ტომის თუ ვის დასანახად, მაგრამ სულ ორიოდ წამით შეჩერებულვით ვიდექი. რაღაც მომენტში ვითომ გავაგრძელე კიდევ სეირნობა. როცა გავინძერი, ტომის სახე შეუტოკდა. ვინანე. მისი წყენინება არ მინდოდა. ისე ვუთხარი, თითქოს იმწამს გამახსენდა: – ჰო, მართლა, რას მეუბნებოდი? მის ლუსიმ რაღაც მითხრაო?

– აა... – ტომიმ წყალს გახედა, ვითომ თვითონაც დავიწყებოდა ეს ამბავი, – მის ლუსი... ჰო, გამახსენდა.

ჰეილშემის მასწავლებელთა შორის მის ლუსი ყველაზე სპორტული გახლდათ. თუმცა, ერთი შეხედვით, ამას ვერ მიხვდებოდით. ბულდოგვით ჩასკვნილი ტანი ჰქონდა, უცნაური შავი თმა კი ვერტიკალურად ეზრდებოდა, რათა არასოდეს დაეფარა ყურები და დაკუნთული კისერი. ჯან-ღონეს არ უჩიოდა. მოგვიანებითაც, როცა გავიზარდეთ, ჩვენს უმეტესობას – ბიჭების ჩათვლით – სირბილში ჯობნიდა. ჰოკეიში ბადალი არ ჰყავდა და მოზრდილ ბიჭებთან ერთად ფეხბურთსაც კი თამაშობდა. მახსოვს, ჯეიმს ბიმ მისი წაქცევა სცადა. შედეგად, მის ლუსიმ ბურთით სვლა განაგრძო, ჯეიმსი კი თავად დაასკდა მიწას. მის ჯერალდინივით კეთილი არასოდეს ყოფილა. მის ლუსისთან სანუგეშოდ ვერ მიხვიდოდი. პატარებს საერთოდ არ გველაპარაკებოდა ბევრს. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მაშინლა დავიწყეთ მისი სიმკვირცხლის დაფასება.

– რაღაცას ამბობდი, – ვუთხარი ტომის, – მის ლუსიმ მითხრა, აუცილებელი არ არის, შემოქმედებითი იყო, თუ რაღაცაო.

– რაღაც ეგეთი ნამდვილად მითხრა. არ იდარდო, მითხრა. ანუ არ უნდა ვიდარდო სხვების აზრზე. უკვე ორი თვეა, რაც ეს მითხრა. შეიძლება მეტიც.

შენობის კიბის ერთ-ერთ ფანჯარას რამდენიმე დაწყებითკლასელი მოსდგომოდა. ჩვენ გვიყურებდნენ. თუმცა, უკვე ტომის წინ ჩაკუზული, მე თავს აღარ ვიკატუნებდი.

- უცნაური რამე უთქვამს, ტომი. ნამდვილად სწორად გაიგე?

- რა თქმა უნდა, - უცბად დაიდაბლა ხმა, - ერთხელ კი არ მითხრა. მის ოთახში ვიყავით და სერიოზულად მელაპარაკა.

პირველად რომ დაუძახა მის ლუსიმ თავის ოთახში ხელოვნების გაკვეთილის შემდეგ, ტომის ეგონა, კიდევ ერთხელ მომიწევს იმის მოსმენა, რომ უფრო მეტად უნდა ვცადო თავის ხელში აყვანა და მუშაობაო. ეს უკვე ვის აღარ ეთქვა მისთვის, თვით მის ემილისაც კი. მთავარი შენობიდან ორანჟერეისკენ რომ გაემართნენ, სადაც მასწავლებლების საცხოვრებელი ოთახები იყო, ტომი თანდათან მიხვდა, რომ ამჯერად სხვა რამე ხდებოდა. მის ლუსიმ ტომი სავარძელში ჩასვა, თვითონ კი ფანჯარასთან დარჩა და სთხოვა, რაც ხდება, ყველაფერზე გამიზიარე შენი აზრიო. ტომიმაც თავიდან დაიწყო. შუამდეც არ იყო მისული, რომ მის ლუსიმ გააწყვეტინა და თვითონ ალაპარაკდა. ბევრი ისეთი მოწაფე ვიცი, კარგა ხანს რომ უჭირდათ შემოქმედებითი აქტივობაო. წლების განმავლობაში არც ხატვა გამოსდიოდათ, არც ლექსების წერაო. ერთ მშვენიერ დღესაც აყვავდნენ და გაიფურჩქნენო. შეიძლება შენც ასე მოგივიდესო.

ეს ყველაფერი უკვე მოესმინა, მაგრამ მის ლუსის თავი სხვანაირად ეჭირა და ტომიც ამით დაინტერესდა.

- ვიგრძენი, რომ სხვაგან უმიზნებდა, სხვა რაღაცისკენ მიდიოდა, - მითხრა მან.

რა თქმა უნდა, მალე ისეთი რაღაცეებიც უთხრა, რაც ტომიმ მაინცდამაინც ვერ გაიგო. მის ლუსი კი იმდენ ხანს ელაპარაკა, სანამ, ბოლოს და ბოლოს, არ გააგებინა. თუ მართლა ეცადე და მაინც არ გამოგივიდა, სანერვიულო არაფერიაო, - ეუბნებოდა. და ყველა ცდებოდა, მოსწავლე თუ მასწავლებელი, რომელიც ტომის ამის გამო ადანაშაულებდა. რა ტომის ბრალია? როცა გააპროტესტა და თქვა, ყველას ჩემი ბრალი ჰგონიაო, მის ლუსიმ ამოიხვნეშა, ფანჯარაში გაიხედა და მიუგო: - შეიძლება არაფერი შეიცვალოს, მაგრამ დაიხსომე ჩემი ნათქვამი: ჰეილშემში ერთი ადამიანი მაინც მოიძებნება, რომელიც სხვანაირად ფიქრობს. ერთი მაინცაა, რომელსაც კარგ მოსწავლედ მიაჩნია, სხვებზე არანაკლებად, შენი შემოქმედებითი დონის მიუხედავად.

- ხომ არ გატყუებდა? - ვკითხე მე, - დასამშვიდებლად ხომ არ გითხრა ეგ?

- არა, არა, ნამდვილად არა. ჰოდა... - ტომი პირველად შეშინდა, ვინმე გარეშე ხომ არ გვისმენსო. ზურგს უკან შენობას გახედა. ფანჯარასთან მდგარ პატარებს ცნობისწადილი დაჰკარგოდათ და წასულიყვნენ. რამდენიმე ჩვენხელა გოგო პავილიონისკენ მიდიოდა. ჯერ კარგა შორს იყვნენ. ტომი ისევ შემობრუნდა და თითქმის ჩურჩულით მითხრა: - ჰოდა, ეს რომ მითხრა, მის ლუსი კანკალებდა.

- როგორ თუ კანკალებდა?

- კანკალებდა. ბრაზისგან. შევატყვე. გულში მძვინვარებდა.

- ვისზე ბრაზობდა?

- ვერ მივხვდი. რაც მთავარია, ჩემზე არა! - გაიცინა ტომიმ. მერე ისევ სერიოზულად განაგრძო: - არ ვიცი ვისზე, მაგრამ ნამდვილად ბრაზობდა.

ფეხები დამიბუჟდა. ავდექი.

– უცნაურია, ტომი.

– და რაც მთავარია, ეს საუბარი მართლა დამეხმარა. ძალიან დამეხმარა. შენც ხომ მითხარი, უკეთ მიგდის საქმეებიო. ჰოდა, იმ საუბრის დამსახურებაა. მოგვიანებით მის ლუსის ნათქვამზე დაფიქრდი და მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა. კარგი, მეც მეშვებოდა რაღაცები, მაგრამ ჩემი ბრალი მაინც არ იყო. განსხვავებაც ესაა. როცა გამიჭირდებოდა, სადმე მის ლუსის მოვიხელთებდი ხოლმე მზერით, გარეთ მიმავალს ან საკლასო ოთახში, გაკვეთილზე. თქმით აღარაფერი უთქვამს, მაგრამ ხანდახან თვითონაც მამჩნევდა და თავს მიკრავდა. მეტი არც მჭირდებოდა. შენ მკითხე, რამე ხომ არ მოხდაო. ჰოდა, აი, რა მოხდა. ოღონდაც, ქვით, არავისთან კრინტი არ დამძრა ჩემს ნათქვამზე, კარგი?

თავი დავუქნიე, თუმცა ესეც მოვაცოლე: – იგივე პირობა მის ლუსიმაც ხომ არ დაგადებინა?

– არა, არა, მსგავსი არაფერი. შენ კი უნდა შემპირდე, რომ არაფერს იტყვი.

– კარგი, – ჰავილიონისკენ მიმავალმა გოგონებმა დამინახეს. მეძახდნენ და ხელს მიქნევდნენ. მეც ხელი დავუქნიე და ტომის ვუთხარი: – ახლა წავალ. მერე კიდევ ვილაპარაკოთ.

– რაღაც არის კიდევ, – ნათქვამი არაფრად ჩამიგდო ტომიმ, – კიდევ რაღაც მითხრა და ბოლომდე ვერ გავიგე. მინდოდა შენთვის მეკითხა. საკმარისად არ გასწავლიანო, მითხრა.

– არ გასწავლიანო? ანუ, მის ლუსის აზრით, კიდევ უფრო მეტს უნდა ვსწავლობდეთ?

– არა. არა მგონია, ეგ ეგულისხმა. ჩვენ გვგულისხმობდა. ჩვენს მომავალს. დონორობა და ეს ამბები.

– ეგ ყველაფერი ხომ გვასწავლეს, – მივუგე, – კიდევ რას გულისხმობდა? ჰგონია, რომ რაღაცები ჯერ არ უთქვამთ ჩვენთვის?

ტომი წამით ჩაფიქრდა და თავი გააქნია.

– არა მგონია, ეგ ეგულისხმა. უბრალოდ, ჰგონია, რომ საკმარისად არ გვასწავლიან; რომ აჯობებს, თვითონ დაგველაპარაკოს ყველაფერზე.

– მაინც რაზე?

– ზუსტად არ ვიცი. იქნებ, საერთოდ მომეჩვენა, ქვით, არ ვიცი. შეიძლება სულ სხვა რამეს გულისხმობდა. თუნდაც პირადად ჩემზე, შემოქმედებითი რომ არ ვარ. წესიერად არ მესმის.

ტომი თვალებით პასუხს მთხოვდა. კიდევ რამდენიმე წამს ვიფიქრე და მივუგე: – ტომი, კარგად გაიხსენე. ხომ თქვი, გაბრაზდაო...

– ჰო, ეგრე მომეჩვენა. არაფერი უთქვამს, მაგრამ კანკალებდა.

- კარგი, კარგი. ვთქვათ, გაბრაზდა. როცა გაბრაზდა, მაშინდა ალაპარაკდა მაგ სხვა რამეებზე? დონორობაზე, კარგად არ გასწავლიანო და რაღაცებო?

- მგონი...

- ახლა კი დაფიქრდი, ტომი. საერთოდ, რატომ დაიწყო ამაზე ლაპარაკი? შენზე და შენს შემოქმედებით უნარზე ლაპარაკობდა, მერე უეცრად სულ სხვა თემაზე გადავიდა. რა შუაშია? რა მოსატანი იყო შეწირვები? რა კავშირშია ეს შენს შემოქმედებასთან?

- არ ვიცი. რამე მიზეზი უნდა იყოს, ასე მგონია. იქნებ ერთმა ამბავმა მეორე გაახსენა. უკვე შენც იბნევი ამ ამბით, ქეით.

მართალს ამბობდა. გამეცინა. შუბლშეკრული, მთლად ჩავიძირე ფიქრებში. ფაქტია, რომ ჩემი გონება ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ფიქრობდა. ტომის საუბარმა მის ლუსისთან მეც რაღაცები გამახსენა, პატარ-პატარა რაღაცები, რაც თავის დროზე მის ლუსიმ მოიმოქმედა, და ჩამაფიქრა.

- აი... - გავჩერდი და ამოვიხვნეშე, - მეც ვერ ვალაგებ აზრებს, მაგრამ შენი მონაყოლი კარგად ერგება ბევრ სხვა გაუგებარ რამეს. სულ მაგ რაღაცებზე ვფიქრობ. მაგალითად, რატომ მიაქვს მადამს ჩვენი საუკეთესო ნახატები? რად უნდა?

- გალერეისთვის.

- რა გალერეაა ეგეთი? სულ მოდის და ჩვენი ნამუშევრებიდან საუკეთესოები მიაქვს. უკვე ბლომად დაუგროვდებოდა. ერთხელ მის ჯერალდინს ვკითხე, რამდენი ხანია, რაც მადამი აქ დაიარება-მეთქი. რაც ჰეილშემი არსებობსო, მითხრა. რა გალერეაა მაინც? რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენი ნივთების გალერეა?

- იქნებ, ყიდის? გარეთ ხომ ყველაფერს ყიდიან.

თავი გავაქნიე: - ეგრე არ იქნება. რაც მითხრა მის ლუსიმ, იმასთან უნდა იყოს კავშირში. უნდა გვეხებოდეს ჩვენ და იმასაც, ერთ დღეს შეწირვები რომ დაგვეწყება. არ ვიცი, როგორ, ან ამას რა მაფიქრებინებს, მაგრამ უკვე დიდი ხანია მგონია, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. ახლა უნდა წავიდე, ტომი. მოდი, რაც ვილაპარაკეთ, ჯერ არავის ვუთხრათ.

- კარგი. და არც მის ლუსიზე წამოგცდეს ვინმესთან.

- და მე ხომ მეტყვი, კიდევ თუ დაგელაპარაკა რამე ეგეთზე?

ტომიმ თავი დამიქნია და კიდევ ერთხელ მიმოიხედა.

- მართალი ხარ, ჯობია წახვიდე, ქეით. მალე ვინმე გაგვიგებს.

იმ გალერეასთან ერთად გავიზარდეთ, მე და ტომი რომ ვსაუბრობდით. მას ყველა ისე ახსენებდა, თითქოს ნამდვილად არსებობდა, თუმცა სინამდვილე არავინ იცოდა. ვერ ვიხსენებდი, როდის გავიგე გალერეის შესახებ პირველად. მასწავლებლებს ნამდვილად არ უთქვამთ. მასწავლებლები გალერეას საერთოდ არ ახსენებდნენ. დაუწერელი კანონის მიხედვით, ეს თემა მათთან აკრძალული იყო.

ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს ჰეილშემის სხვადასხვა თაობის მემკვიდრეობაა. მახსოვს, ხუთი თუ ექვსი წლის ვიქნებოდი, როცა ამანდა სისტან ერთად დაბალ მაგიდას ვუჯექი. ხელები თიხაში ამოგვესვროდა. არ მახსოვს, სხვა ბავშვებიც თუ იყვნენ ან გაკვეთილს ვინ ატარებდა. მხოლოდ ამანდა სი მახსოვს. ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო. ჩემს ნახელავს უყურებდა და დროდადრო აღმოხდებოდა ხოლმე: „ძალიან მაგარია, ქეთ! ძალიან კარგია! ეჭვი არ მეპარება, გალერეაში მოხვდება!“

მაშინ უკვე უნდა მცოდნოდა გალერეის შესახებ. ამანდას სიტყვებმა სიხარულით ამაცახცახა. მერე კი ვიფიქრე: რა სისულელეა, გალერეისთვის ჯერ პატარები ვართ-მეთქი.

ვიზრდებოდით და განვაგრძობდით გალერეაზე ლაპარაკს. თუ ვინმეს ნამუშევრის შექებას ისურვებდით, უნდა გეთქვათ: „საგალერეა“. მოგვიანებით, როცა ირონია აღმოვაჩინეთ, ვინმეს სამარცხვინო ნაცოდვილარს შემდეგი სიტყვებით ვხვდებოდით: „ჰო, ნამდვილად! პირდაპირ გალერეაში!“

მართლა გვჯეროდა გალერეის არსებობა? დღეს აღარ ვიცი. როგორც ვთქვი, მასწავლებლებთან არასოდეს ვახსენებდით. როგორც მახსოვს, ეს წესი მასწავლებლებთან ერთად ჩვენც დავადასტურეთ. ასე, თერთმეტი წლის ასაკიდან, ერთი ეპიზოდი მახსოვს. ზამთრის ერთ მზიან დილას მეშვიდე ოთახში ვიყავით. ბატონი როჯერის გაკვეთილი ახალი დამთავრებული იყო. რამდენიმე მოსწავლე მასთან სალაპარაკოდ დავრჩით. მერხებზე ვისხედით. არ მახსოვს, ზუსტად რაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ბატონი როჯერი, როგორც ყოველთვის, გვაცინებდა და გვაცინებდა. მერე ქეროლ ეიჩს ხითხითში წამოსცდა: „შეიძლება გალერეისთვისაც შეარჩიო!“ ელდანაცემმა, იმწამსვე ხელი პირზე აიფარა და ატმოსფეროც არ დამძიმებულა, თუმცა ყველამ ვიცოდით: ბატონმა როჯერმა ქეროლის ნათქვამი ცუდ საქციელად ჩათვალა. დიდი კი არაფერი, როგორც ცუდი სიტყვის წამოცდენა ან მასწავლებლის გასაგონად მისი მეტსახელის ხსენება იქნებოდა. ბატონმა როჯერმა შემწყნარებლურად გაიღიმა, თითქოს ამბობდა: „გავატაროთ, ვითომ არაფერი გითქვამსო“, და ჩვენც საუბარი განვაგრძეთ.

გალერეის ამბავი ბურუსით მოცული რჩებოდა. სამაგიეროდ, მადამი, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ, ხანდახან სამჯერ ან ოთხჯერაც გვაკითხავდა ჩვენი საუკეთესო ნამუშევრების შესარჩევად. ფრანგი იყო თუ ბელგიელი და ამიტომაც ვეძახდით „მადამს“. მასწავლებლებიც ასე მიმართავდნენ. მის ზუსტ წარმოშობაზე კი სულ ვკამათობდით. მაღალი, გამხდარი ქალი მოკლედ შეკრეჭილი თმით, ალბათ, საკმაოდ ახალგაზრდაც. თუმცა მაშინ ამაზე არ ვფიქრობდით. ყოველთვის რუხი ფერის კოსტიუმი ეცვა. მასწავლებლებისგან, ჩვენი მომმარაგებელი მძღოლებისგან და ყველა იმათგან განსხვავებით, ვინც გარედან შემოდიოდა, მადამი არასოდეს გველაპარაკებოდა და თავისი ცივი გამოხედვით მუდმივი დისტანცია ეჭირა. გვეგონა, თავის ღირსად არ მივაჩნდით. ერთ ღამეს კი, რვანი რომ ვიყავით, რუთმა ახალი თეორია შემოგვთავაზა.

– ჩვენი ეშინია, – განაცხადა.

სადინებლის სიბნელეში ვიწექით. დაწყებით კლასებში საწოლ ოთახში თხუთმეტს გვეძინა. მაშინ ასეთი გრძელი პირადული საუბრების უფლებას თავს არ ვაძლევდით.

ახლა კი უკვე შეგვეძლოს ჩვენს „ჯგუფს“ საწოლები იმთავითვე ახლო-ახლოს ედგა და ნელ-ნელა ღამეში ლაპარაკს შევეჩვიეთ.

– როგორ თუ ეშინია? – ჰკითხა ვილაცამ, – რატომ უნდა ეშინოდეს? რას დავუშავებთ?

– არ ვიცი, – მიუგო რუთმა, – არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად ეშინია. მეგონა, ზემოდან გვიყურებდა, მაგრამ ასე არ ყოფილა. მადამს ჩვენი ეშინია.

მომდევნო დღეებში სულ ამ თემას ვტკეპნიდით. ჩვენი უმეტესობა რუთს არ ეთანხმებოდა, რის გამოც ის მეტი და მეტი დაბეჯითებით გვარწმუნებდა. ბოლოს და ბოლოს, გეგმა შევადგინეთ: მადამის მომდევნო ვიზიტის დროს რუთის თეორიას გადავამოწმებდით.

მადამის მოახლოებას არავინ გვამცნობდა, მაგრამ მაინც არასოდეს გვეპარებოდა მხედველობიდან. სტუმრის მოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე მასწავლებლები ჩვენი ნამუშევრების ჩხრეკას იწყებდნენ. ნახატებს, ესკიზებს, პოეზიას, ესეებს – ყველაფერს ნახულობდნენ. ეს ყველაფერი ორი კვირით ადრე მაინც იწყებოდა. თითოეული მაღალი თუ დაწყებითი კლასიდან ოთხი-ხუთი ნამუშევარი იყრიდა თავს ბილიარდის ოთახში. ამ დროს საბილიარდო იკეტებოდა, მაგრამ ტერასის დაბალ კედელზე თუ დადგებოდით და ფანჯარაში შეიჭყიტებოდით, დაინახავდით, როგორ თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა ნადავლი. მასწავლებლები ყველაფერს კობტად აწყობდნენ მაგიდებსა და მოლბერტებზე, რაც ჩვენი გაცვლების მინიატიურულ ვერსიას წააგავდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ერთ-ორ დღეში მადამიც გამოჩნდებოდა.

იმ შემოდგომაზე, მე რომ ვგულისხმობ, მადამის გამოჩენის არა მარტო დღე, არამედ ზუსტი დროც უნდა გვცოდნოდა. ხშირად, ორიოდ საათზე მეტს არ ჩერდებოდა. ჰოდა, როდესაც დავინახეთ, რომ საბილიარდოს ავსებდნენ, მორიგეობა დავაწყესეთ.

ამ დავალების შესრულებას ადგილობრივი ლანდშაფტიც უწყობდა ხელს. ჰეილშემი ოთხივე მხარეს აღმავალი მინდვრებით გარშემორტყმულ ვაკეზე იდგა. შესაბამისად, მთავარი შენობის თითქმის ყველა საკლასო ოთახის ფანჯრიდან და პავილიონიდანაც კარგად მოჩანდა გრძელი, ვიწრო გზა, მინდვრებიდან კარიბჭისკენ რომ მოემართებოდა. სანამ მთავარი შენობის ეზოს მოაღწევდა, მოშორებით მდგარ ამ კარიბჭეში შემოსულ მანქანას ბუჩქებჩაყოლებული ხრეშიანი გზაც უნდა გამოეველო. იყო დღეები, როცა ვიწრო გზაზე ერთი მანქანაც არ ჩანდა. და თუ მაინც გამოჩნდებოდა რამე, როგორც წესი, მომმარაგებელი ფურგონი ან სატვირთო მანქანა უნდა ყოფილიყო. ხანაც მეეზოვე ან მუშები მოდიოდნენ. საერთოდ, მანქანა იშვიათობას წარმოადგენდა. ზოგჯერ ფანჯრიდან მისი დანახვა კლასს საგიჟეთად აქცევდა ხოლმე.

მადამის მანქანა ერთ მზიან-ქარიან ნაშუადღევს შენიშნეს. ცაში რამდენიმე საწვიმარი ღრუბელი გაერთიანებას ღამობდა. იმ მომენტში ჩვენ შენობის წინა მხარეს, პირველ სართულზე, მეცხრე ოთახში ვიყავით. ყველამ ჩურჩული ატეხა. საწყალ ბატონ ფრანკს, რომელიც ჩვენთვის მართლწერის სწავლებას ცდილობდა, ვერაფრით გაეგო, რამ დაგვაკარგვინა ასე მოსვენება.

რუთის თეორიის შესამოწმებლად ადვილი გეგმა მოვიფიქრეთ: ჩვენ – ექვსი შეთქმული – სადმე უნდა დავმალულიყავით და როცა მადამი მოგვიახლოვდებოდა, ერთად მივცვივნიდით. არაფერს დავუშავებდით. ჩვენი გზით წავიდოდით.

ყველაფერს თუ კარგად გავთვლიდით და ამ ქალს მარტოკას მოვიხელთებდით, ვნახავდით, რომ ჩვენი მართლა ეშინოდა.

სადარდებელი ერთი გვექონდა: ჰეილშემში ცოტა ხანს ჩერდებოდა და მასთან შეხვედრის შანსი არ გვეძლეოდა. ბატონი ფრანკის გაკვეთილის მიწურულს მადამს ფანჯრის ქვეშ ვხედავდით. მანქანას აყენებდა. დერეფანში ნაჩქარევი თათბირი მოვაწყვეთ და კიბეზე დანარჩენებს ჩავყევით. მთავარ შემოსასვლელთან უსაქმურად ხეტიალი დავიწყეთ. ნათელ ეზოში კარგად ჩანდა: მადამი ისევ საჭესთან იჯდა და რაღაცას საგულდაგულოდ ეძებდა ჩანთაში. ბოლოს მანქანიდან გადმოვიდა და ჩვენკენ გამოემართა. ჩვეული რუხი კოსტიუმი ეცვა. ჩანთა მყარად ეჭირა ორივე ხელით. რუთის ნიშანზე ყველანი გარეთ გავედით და, ვითომც აქ არაფერიაო, წელა მივაშურეთ მადამს. უეცრად მკაცრად შედგა. ყველამ ჩავიბუტბუტეთ: „უკაცრავად, მის“ და დავიშალეთ.

ამის შემდეგ მომხდარ უცნაურ ცვლილებას ვერასოდეს დავივიწყებ. მანამდე მთელი ეს მადამის ამბავი ხუმრობა თუ არა, სამეგობროში გასარკვევი ერთ-ერთი საკითხი გვეგონა. იმაზე არასოდეს გვეფიქრა, რომ თვით მადამი ან სხვა ვინმე შეიძლებოდა ამის ნაწილი გამხდარიყო. ანუ, მანამდე საკმაოდ უმნიშვნელო ამბად მიგვაჩნდა. ერთი გაბედვა უნდოდა და ეგ იყო. მადამს ისეთი არაფერი გაუკეთებია, რასაც არ ველოდით. ადგილზე გაქვავდა და ჩავლა გვაცადა. არ დაუკვივლია, არც შემკრთალა. ჩვენ კი მისი რეაქცია ძალიან გვაინტერესებდა. ამიტომაც მოახდინა მადამმა ასეთი შთაბეჭდილება. როდესაც შედგა, სწრაფად შევხედე სახეში. ალბათ, დანარჩენებიც ასე მოიქცნენ. ახლაც ვხედავ, როგორ ცდილობდა მღელვარების დამალვას. ძრწოლამ აიტანა. ეშინოდა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი დაეჯახებოდა. წყნარად მივაბიჯებდით, მაგრამ ყველამ ვიგრძენით, თითქოს მზის სინათლიდან გრილ ჩრდილში გადავინაცვლეთ. რუთი მართალი გამოდგა – მადამს ჩვენი მართლაც ეშინოდა, ოღონდაც სხვანაირად: ისე, როგორც ადამიანს შეიძლება ეშინოდეს ობობების. ამას არ მოველოდით. არასოდეს გვეფიქრა, რას ვიგრძნობდით, ვიღაცას ობობებად რომ მივეჩნიეთ.

ეზო რომ გადავჭერით და ბალახზე გავედით, უკვე დიდად განვსხვავდებოდით იმ ჯგუფისგან, წამის წინ მგზნებარედ რომ ელოდა მადამის გადმოსვლას მანქანიდან. ჰანას ცრემლების გადმოყრამდე ბევრი აღარ უკლდა. რუთიც კი შეძრული ჩანდა. ბოლოს ერთ-ერთმა (მე მგონი, ლორამ) თქვა: – თუ არ მოვწონვართ, ჩვენი ნამუშევარი რად უნდა? მაშინ თავი დაგვანებოს. ვინ სთხოვს, მოდიო?

პასუხი არავის გაუცია. პავილიონს მივაშურეთ. მომხდარზე სიტყვა აღარავის დაუძრავს.

ახლა რომ მახსენდება, ისეთ ასაკში ვიყავით, რომ საკუთარ თავზე ბევრი არაფერი ვიცოდით. ვინ ვიყავით? რით განვსხვავდებოდით მასწავლებლებისგან ან გარეთ მცხოვრები ხალხისგან? ჯერ არაფერი გვესმოდა. დარწმუნებული ვარ, თქვენც გეჩვენებოდათ ისეთი შემთხვევა ბავშვობაში, როგორიც მე მქონდა მადამთან. არა მაინცდამაინც დეტალებში იგივე, არამედ მსგავსი შეგრძნების მომტანი. მნიშვნელობა არა აქვს, რაოდენ კარგად გამზადებენ მასწავლებლები: მთელი ის ლაპარაკი, ფილმები, საუბრები, გაფრთხილებები არსებითად ვერაფერს გვაგებინებდა. რვა წლის ასაკში ჰეილშემისნაირ ადგილას – კეთილ მასწავლებლებში, მეეზოვეებსა და კურიერებში, რომლებიც სულ გვეხუმრებოდნენ და „საყვარლებს“ გვემახდნენ – არაფერი გვესმოდა.

და მაინც, ადრე თუ გვიან, რაღაცას გაიგებ, აუცილებლად გაიგებ, რადგან როცა ასეთი მომენტი დგება, ხვდები, რომ შენი არსების ნაწილი ამას კიდევაც ელოდებოდა. ალბათ, ხუთი-ექვსი წლის ასაკიდანაც გესმის ჩურჩული სადღაც ღრმად გონებაში: „ერთ დღეს შენც იგრძნობ“. კარგად არც იცი, მაგრამ მაინც ელოდები. ელოდები მომენტს, როცა გაიგებ, რომ სხვებისგან მართლა განსხვავდები. გაიგებ, რომ არსებობენ მადამის მსგავსი ადამიანები, რომლებსაც ცუდი არ უნდათ შენთვის, მაგრამ შენი არსებობის გახსენებაც კი ელდას სცემთ. მათში ჟრუანტელს იწვევს იმაზე ფიქრი, თუ რატომ და როგორ მოვევლინე ამ ქვეყანას. ეშინიათ ხელის ჩამორთმევა, პირველად რომ დაგინახავენ. ასეთი ადამიანების თვალები ცივია. თითქოს იმ სარკეს ჩაუარე, რომლის წინაც ყოველდღე მიდი-მოდიოდი, მაგრამ ამჯერად რაღაც სხვა დაგანახვა, რაღაც უცნაური და შემამოფოთებელი.

თავი მეოთხე

წლის ბოლოდან მომვლელი აღარ ვიქნები. ამ საქმემ ბევრი მომიტანა, მაგრამ, ვაღიარებ, მისგან დასვენება მინდა. დრო მექნება ფიქრისა და მოგონებისთვის. ცხოვრების სტილის მოსალოდნელი შეცვლა ძველი მოგონებების გამოძახების ერთ-ერთი მიზეზი მაინც ხდება. არსებითად, მინდოდა გამეხსენებინა ყველაფერი, რაც მოხდა ჩემს, ტომისა და რუთს შორის გაზრდისა და ჰეილშემიდან წამოსვლის შემდეგ. თან იმასაც ვაცნობიერებ, მოგვიანებით მომხდარი ამბებიდან რამდენს ედო სათავე ჰეილშემში. ამიტომაც ვიხსენებ იქაურ ამბებს ასე გულდასმით, თუნდაც მადამის ამბებს. ერთი მხრივ, ბავშვების უბრალო ოინბაზობა, მეორე მხრივ კი – მადამთან პირისპირ შეხვედრა გახდა დასაბამი იმ პროცესისა, წლიდან წლამდე რომ გაიზარდა და ბოლოს ჩვენი ცხოვრების დომინანტი გახდა.

იმ დღიდან მოყოლებული, მადამი ტაბუდადებულ თუ არა, საკმაოდ იშვიათად სახსენებელ საკითხად გვექცა. ასეთი დამოკიდებულება მალე გავრცელდა ჩვენი პატარა ჯგუფიდან ყველა ჩვენზე. ინტერესი არ დაგვცხრომია, მაგრამ ვხვდებოდით: უფრო ღრმად ჩაძიება, ჩვენი ნამუშევრების ასავალ-დასავლის ძებნა და იმის გარკვევა, მართლა არსებობდა თუ არა გალერეა, ისეთ ადგილას მიგვიყვანდა, რომლისთვისაც ჯერ მზად არ ვიყავით.

გალერეის თემა კი დროდადრო ისევ ამოტივტივდებოდა ხოლმე. ჰოდა, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ტომი ტბორთან მელაპარაკა თავის უცნაურ საუბარზე მის ლუსისთან, ჩემს ხსოვნაშიც გაიღვიძა რაღაცამ. ეს მაშინ მოხდა, ტომი ლოდზე მჯდომარე რომ დავტოვე და მინდვრისკენ წასულ მეგობრებს დავედევნე. ერთხელ მის ლუსის მიერ გაკვეთილზე ნათქვამი სიტყვები გამახსენდა. გამახსენდა იმიტომ, რომ თავის დროზე ამ სიტყვებმა საკმაოდ დამაზნია. გარდა ამისა, ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც გალერეა ასე განზრახ უხსენეს მასწავლებელს.

ვიყავით შუა პროცესში, რომელსაც მოგვიანებით „ქულების კამათი“ დაერქვა. ქულების კამათი მე და ტომიმ რამდენიმე წლის წინ გავიხსენეთ. ზუსტად როდის მოხდა, ამაზე ვერ შევთანხმდით. მე ვამბობდი, ათი წლისა ვიყავით-მეთქი, ტომის უფრო გვიანდელ ამბად მიაჩნდა, მაგრამ ბოლოს დამეთანხმა. დარწმუნებული ვარ, არ მეშლება, რომ იმხანად მეოთხე კლასში ვიყავით. მადამთან მომხდარი ინციდენტიდან გარკვეული დროის შემდეგ და ტბორთან საუბრამდე სამი წლით ადრე.

„ქულების კამათი“, ალბათ, ჩვენი ზრდისა და გათვითცნობიერების ერთ ნაწილს შეადგენდა. წლების განმავლობაში (ეს, ვგონებ, უკვე გითხარით) ჩვენი ნამუშევრის შერჩევა საბილიარდოში დასადებად თითოეულ ჩვენგანს გამარჯვებად მიაჩნდა. ხოლო ის, რომ ამ ნამუშევარს მადამი წაიღებდა, არავის ადარდებდა. ათ წლამდე მიღწეულებმა კი ამ საკითხს უკვე ეჭვის თვალით შევხედეთ. გაცვლები და მათი ვალუტა – ქულები – ჩვენი პროდუქციის შეძლებისდაგვარად მაღალი შეფასებისკენ გვიბიძგებდა. დავიწყეთ მაისურებზე ზრუნვა, საწოლის მიმდებარე კედლის გაფორმება, მერხების პერსონალიზაცია. ამ ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, „კოლექციებზეც“ უნდა გვეზრუნა.

არ ვიცი, თქვენ თუ გქონდათ „კოლექციები“ იქ, სადაც იყავით. ძველ ჰეილშემელს თუ გადაეყრებით, ადრე თუ გვიან, უთუოდ დარწმუნდებით, რა ჩინებულად ახსოვს თავისი კოლექციები. იმხანად ყველაფერი თავისთავად გარანტირებულად მიგვაჩნდა. საწოლის ქვეშ ყველას გვქონდა ჩვენსახელამოტვიფრული ხის ზარდახმა. შიგ ჩვენს ნივთებს ვინახავდით, გაცვლებზე ან სეილებზე ნაშოვნს. მართალია, რამდენიმე ისეთი მოსწავლეც მახსენდება, საკუთარი კოლექციით თავს რომ არავის აბეზრებდა, მაგრამ ჩვენი უმრავლესობა სულ ზედ დასტრიალებდა თავის ქონებას: ზოგი რამ საჩვენებლად გამოგვქონდა, ზოგსაც სათუთად ვინახავდით.

საქმე ისაა, რომ მადამის მიერ ათი წლის ბავშვების ნამუშევართა არჩევის პატივი შეეჯახა განცდას, რომ თითოეული ჩვენგანი თავის ყველაზე ღირებულ ნივთს კარგავდა. ეს აზრი ქულებზე კამათის დროს მოგვივიდა.

უპირატესად, ბიჭებმა წამოიწყეს: მადამს ჩვენს ნამუშევრებს რომ ვატანთ, კომპენსაციის სახით ქულებს უნდა ვიღებდეთო. მათ მოსაზრებას მრავალი მოსწავლე ეთანხმებოდა, ძირითადად, ბიჭები. ერთხანს ვიკამათეთ. ბოლოს ჩვენზე ერთი წლით უფროსმა როი ჯეიმ, რომლის შემოქმედებიდანაც მადამს უკვე წაელო რაღაცები, გადაწყვიტა ამ საკითხზე მის ემილის დალაპარაკებოდა.

ჩვენი მთავარი მასწავლებელი, მის ემილი, სხვებზე უფროსი იყო. მაღალი არ ყოფილა, მაგრამ თავი ისე ეჭირა და ისეთი წელგამართული დადიოდა, მაინც მაღალი გეგონებოდათ. უკან გადაწეული ჭაღარა თმიდან ყოველთვის ეშლებოდა კულულები, რომლებიც მერე ირგვლივ უფარფატებდა და მუდამ მაღიზიანებდა. თვითონ მის ემილი ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს არავითარი კულულები არ არსებობდა. საღამოობით საკმაოდ უცნაური შესახედავი იყო: ყველგან თმა ჰქონდა ჩამოშლილი, სახეზეც კი. მისთვის ჩვეული დინჯი ტონით გელაპარაკებოდა და თმის გადაწევისთვის თავს არ იწუხებდა. მის ემილისა საკმაოდ გვეშინოდა და ისე არ ვახსენებდით, როგორც სხვა მასწავლებლებს. სამართლიან ადამიანად მიგვაჩნდა და პატივისცემით ვეკიდებოდით მის გადაწყვეტილებებს. დაწყებით კლასებშიც კი ვხვდებოდით, რომ ჰეილშემში სწორედ მის ემილი გვაგრძნობინებდა თავს დაცულად. ამას არავინ იმჩნევდა, მაგრამ ასე იყო.

მასთან შესვლას გამოძახების გარეშე მტკიცე ნერვები სჭირდებოდა. როის მოთხოვნა კი საერთოდ თავგანწირვად გვეჩვენებოდა. თუმცა სულაც არ დასტეხია ის დელგმა, ჩვენ რომ მოველოდით. მეორე დღეს ამბები მოგვივიდა: მასწავლებლები საუბრობდნენ და კამათობდნენ კიდევ ქულების საკითხზე. ბოლოს გადაწყდა, რომ ქულებს მივიღებდით, ოღონდ – ცოტას, რადგან მადამის მიერ ნამუშევრის შერჩევა

ისედაც „გამორჩეული პატივი“ იყო. მიღწეული შედეგით მოკამათეთა არც ერთი მხარე არ დაკმაყოფილდა და კამათიც გაგრძელდა.

სწორედ ამ ყველაფრის ფონზე დაუსვა შეკითხვა პოლი თიმ მის ლუსის იმ დილას. ბიბლიოთეკაში მუხის დიდ მაგიდას ვუსხედით. ბუხარში კუნძი ტკაცუნობდა. პიესას ვკითხულობდით. პიესის რომელიღაც ფრაზის გაგონებაზე ლორამ რაღაც იხუმრა ქულების თაობაზე. ყველამ გადაიხარხარა მის ლუსის ჩათვლით, რომელმაც მერე დასძინა: რაკი ამჟამად მთელ ჰეილშემს სულ სხვა თემა გაუხდია სალაპარაკოდ, გაკვეთილის დარჩენილ დროს პიესის კითხვის ნაცვლად ქულების საკითხზე საუბარს დავუთმობთო. ჰოდა, სწორედ ქულებზე ვსაუბრობდით, როდესაც პოლიმ მოულოდნელად დაახეთქა: „მის, რატომ მიაქვს მადამს ჩვენი ნამუშევრები?“

სიჩუმე ჩამოვარდა. მის ლუსი ხშირად არ ბრაზდებოდა, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა, უთუოდ შეამჩნევდით. წამით გვეგონა, პოლი ცუდ დღეში ჩავარდაო, მაგრამ არა, მის ლუსი არ გაბრაზებულა, მხოლოდ ღრმად ჩაიძირა ფიქრებში. თან ძალიან გავბრაზდი პოლიზე დაუწერელი კანონის ასე მეტიჩრულად დარღვევის გამო, თან იმის ინტერესი მკლავდა, რას უპასუხებდა მის ლუსი. ყველა ჩემსავით იყო: ჯერ პოლის შეხედეს გულმოსული მზერით, შემდეგ კეთილმოსურნედ მიუბრუნდნენ მის ლუსის. ვგონებ, პოლი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდა. საათებად გაწელილი წამების შემდეგ მის ლუსიმ გვითხრა: – დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კარგი მიზეზით მიაქვს, მნიშვნელოვანი მიზეზით. რომც ვცადო და ავიხსნათ, არა მგონია, გაიგოთ. იმედია, ოდესმე ამ მიზეზსაც შეიტყობთ.

აღარ ჩავეკითხეთ. ატმოსფერო იმედეგაცრუებამ და დაუკმაყოფილებელმა ცნობისწადილმა მოიცვა. ლაპარაკის დროს მაინც გვინდოდა ამ უხერხული თემიდან გამოძვრომა. წამიც და, ყველას გულზე მოგვეშვა. ისევ ქულებზე ვკამათობდით, შესაძლოა – რამდენადმე ნაძალადევად. მის ლუსის სიტყვები გულში ჩამრჩა. მომდევნო რამდენიმე დღეს გამუდმებით გონებაში მიტრიალებდა. ამიტომაც ამომიტივტივდა იმ ბიბლიოთეკის და კიდევ რამდენიმე სხვა მოგონება, როდესაც ტომი ტბორის პირას მის ლუსისთან საუბრის ამბავს მომიყვა, ანუ ის, თუ როგორ უთხრა მის ლუსიმ, რაღაც საკითხებში საკმარისად არ გათვითცნობიერებნო.

სანამ ქულებზე ვსაუბრობთ, მინდა, ცოტა რამ სეილებზეც გიამბოთ. რამდენიმეჯერ უკვე ვახსენე. სეილებზე გარედან შემოტანილ ნივთებს ვიძენდით და ამიტომაც იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ტომის პოლოს მაისურიც სეილებიდან მოვიდა. სწორედ სეილებზე გვეძლეოდა ტანსაცმელი, სათამაშოები და ნივთები, რომლებიც სხვა მოსწავლის ნახელავს არ წარმოადგენდა.

თვიდან თვემდე გრძელ გზაზე დიდი თეთრი ფურგონის გამოჩენა მთელ შენობას აღტაცებულ მოლოდინად აქცევდა. ეზომდე რომ მივდიოდი, უკვე ხალხი მხვდებოდა, ძირითადად – პატარები. თორმეტ-ცამეტ წელს რომ მიაღწევდი, ყველას დასანახად აღტაცება მანქანის გამოჩენით აღარ შეგშვენოდა. ისე კი, მაინც ყველას გვიხაროდა.

აქედან რომ გავყურებ, მეცინება. სეილები, როგორც წესი, იმედეგაცრუებით მთავრდებოდა ხოლმე, ჩვენ კი ასე გვიხაროდა. განსხვავებულს ვერაფერს ვპოულობდით, ჩვენს ძველ, გაცვეთილ და გატეხილ ნივთს იმავეთი, ოღონდაც ახლით შევცვლიდით და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. საქმე, ალბათ, ის იყო, რომ თითოეულ ჩვენგანს წარსულში მოეძებნა რაღაც მისთვის მნიშვნელოვანი: ჟაკეტი,

საათი ან ფიგურული მაკრატელი, რომელსაც არასოდეს ვიყენებდით, მაგრამ მაინც ამაყად ვინახავდით საწოლის გვერდით. ერთხელ მაინც უნდა გვეპოვა ყველას რაღაც ამდაგვარი. ჰოდა, როგორც უნდა მოგვეკატუნებინა თავი, ძველ იმედსა და აღტაცებას ოდნავაც ვერ ვიოკებდით.

სანამ ფურგონს გადმოტვირთავდნენ, იქ ვიდექით. პატარები ფეხდაფეხ მისდევდნენ ორ კომბინეზონიან კაცს, საწყობში დიდი ყუთები რომ შეჰქონდათ, და ეკითხებოდნენ, შიგ რა არისო. „კარგი რაღაცები, ძვირფასო“, იყო სტანდარტული პასუხი. თუ ჩაეკითხებოდით: „ბევრია?“, ადრე თუ გვიან, ღიმილით გიპასუხებდნენ: „კი, ძვირფასო, ნამდვილად ბევრია“. პასუხი ბავშვების ჟივილ-ხივილს იწვევდა.

ხშირად ყუთებს სახურავები არ ჰქონდა. თვალს მოჰკრავდით ბევრ რამეს, რაც ზევიდან ეწყო. ხანდახან კაცები წესს არღვევდნენ და ყუთში ერთი-ორი ნივთის გადაადგილების უფლებას გაძლევდნენ, უკეთ რომ დაგენახა, კიდეც რა იდო შიგნით. ამიტომაც, სეილების ჩატარებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე უკვე დადიოდა ჭორები რომელიღაც სპორტულ სამოსზე ან მუსიკალურ კასეტაზე. ხანდახან ორი მოსწავლე ერთსა და იმავე ნივთს დაადგამდა თვალს და აყალმაყალიც იწყებოდა.

სეილებს გაცვლების ჩუმი ატმოსფეროს საპირისპირო აჟიოტაჟი ახლდა. ტარდებოდა ხალხით და ხმაურით სავსე სასადილოში. სხვათა შორის, გაწევ-გამოწევა და ყვირილიც მხიარულების ნაწილს შეადგენდა და, როგორც წესი, ჯანსაღად მიმდინარეობდა. თუმცა ზოგჯერ მოსწავლეები მაინც წაეკიდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, ჭიდაობდნენ და ჩხუბობდნენ კიდეც. ამ დროს ზედამხედველები გვემუქრებოდნენ ყველაფრის შეჩერებით და მეორე დილას, შეკრებაზე, მის ემილის სიტყვის მოსმენიებით.

დილა ჰეილშემში ყოველთვის შეკრებით იწყებოდა. როგორც წესი, ეს შეკრება ორიოდე განცხადებით შემოიფარგლებოდა. ხანდახან შეიძლება რომელიმე მოსწავლეს ლექსიც წაეკითხა. თვით მის ემილი, როგორც წესი, ლაპარაკით თავს არ იკლავდა. გამართული იჯდა სცენაზე და თავის დაკვირვებით ეთანხმებოდა ვისიმე ნათქვამს, ზოგჯერ კი ცივად გახედავდა დარბაზში მოჩურჩულე მავან სუბიექტს. ხულიგნობანარევი სეილების მომდევნო დღეს ყველაფერი სხვაგვარად მიდიოდა. შეკრებებზე, ჩვეულებისამებრ, ვიდექით ხოლმე, ასეთ დღეებში კი მის ემილი დაჯდომას გვიბრძანებდა და ოცი-ოცდაათი წუთის განმავლობაში ან, ზოგჯერ, უფრო დიდხანსაც გველაპარაკებოდა. ამ დროს არც განცხადებები კეთდებოდა და არც ლექსს კითხულობდა ვინმე. მის ემილი ხმას იშვიათად თუ აუწევდა, უამისოდაც ჰქონდა რაღაც ძალა – ვერავინ, თვით ყველაზე უფროსი მოსწავლეებიც კი ვერ ბედავდნენ ხმის ამოღებას.

ყველას ერთად გვეხურა მძიმე თვითშეგრძნების საბანი. მის ემილის იმედები გავუცრუეთ. მაგრამ რამდენიც უნდა გვეცადა, მისი ნალაპარაკები მაინც არ გვესმოდა ნათლად. გარკვეულწილად, მის ენაში ფიგურირებდა „უღირსი პრივილეგიისთვის“ ან „შანსის უხეიროდ გამოყენება“. ეს ორი ფრაზა გავიხსენეთ მე და რუთმა დოუერის ცენტრის ოთახში. რაც შეეხება მის ემილის ძირითად აზრს, ის კარგად ისმოდა: ჰეილშემის მოსწავლეები გამორჩეულები ვიყავით, რის გამოც ჩვენი ცუდი ყოფაქცევა მით უფრო მიუღებელი იყო. ამის იქით მის ემილის გამონათქვამები ბურუსში იკარგებოდა. ხანდახან სხაპასხუპით მიაყრიდა ფრაზებს, მერე კი უცბად

გაჩერდებოდა სიტყვებით: „რა არის ეს? ეს რა არის? ნუთუ ამან უნდა დაგვაბრკოლოს?!“. იტყოდა და წარბშეკრულ-თვალდახუჭული ყუჩდებოდა, თითქოს თვითონვე ცდილობს პასუხის მოძებნასო. შემცბარი და დამძიმებული ვისხედით, მაგრამ მაინც გვინდოდა, მის ემილის თავის თავში აღმოეჩინა ის, რასაც ეძებდა. ამის შემდეგ ან ჩუმად ამოიოხრებდა, ანუ პატიებას აპირებდა, ან იფეთქებდა: „მაგრამ ჩვენ ვერაფერი დაგვაბრკოლებს! ვერაფერი! ვერც ჰეილშემს დააბრკოლებს!“

ამას რომ ვისხენებდით, რუთმა შენიშნა, რა სამწუხაროა, რომ ასე ბუნდოვნად ლაპარაკობდაო. არადა, საკუთრივ გაკვეთილებს მის ემილი სავსებით ნათლად და გასაგებად ატარებდა. რუთს რომ ვუთხარი, ოცნებებში წასული მის ემილი რამდენჯერმე ჰეილშემში მოსეირნე და თავის თავთან მოლაპარაკე ვნახე-მეთქი, იმწამსვე გამიწყრა: – ეგეთი არასოდეს ყოფილა! როგორი იქნებოდა ჰეილშემი, მისი ხელმძღვანელი რბილი ადამიანი რომ ყოფილიყო?! მაგ ქალს ისეთი ინტელექტი ჰქონდა, ქვას გახეთქავდა.

არ შევეკამათე. მართლაც, მის ემილის შეეძლო შემზარავად მკაცრი ყოფილიყო. ვთქვათ, აკრძალულ ადგილას თუ იყავი მთავარ შენობაში ან მის გარეთ და შენკენ მომავალ მასწავლებელს შეამჩნევდი, შეგეძლო სადმე შეყუჟულიყავი. ჰეილშემი – შენობაცა და მიმდებარე ტერიტორიაც – სავსე იყო სამალავებით. ბუფეტები, კუნჭულები, ბუჩქები, ღობეები. აი, მის ემილის თუ მოჰკრავდი თვალს, გული გიჩერდებოდა. მას ხომ არც დამალული გამოეპარებოდი! ეს ალლო მეექვსე გრძნობასავით ჰქონდა. შეგეძლო, ბუფეტში შესულიყავი, კარი დაგეკეტა და გატრუნულიყავი, მაგრამ იცოდი, რომ ემილის ნაბიჯები გარეთ შეჩერდებოდა და მეორე წამს მის ხმასაც გაიგონებდი: „აბა, გარეთ!“.

ასე მოუვიდა ერთხელ სილვია სის მეორე სართულის კიბესთან. ამ შემთხვევას მის ემილის გაშმაგება მოჰყვა. ბრაზმორეული არასოდეს ყვიროდა, თუნდაც მის ლუსივით, თუმცა მასზე უფრო საშიში იყო. ამ დროს თვალეები უვიწროვდებოდა და გამალებით ჩურჩულებდა თავისთვის. თითქოს უხილავ კოლეგასთან ერთად განიხილავდა, რომელი სასჯელი იქნებოდა საკმარისად სასტიკი. ამასობაში შენს ერთ ნახევარს ერთი სული ჰქონდა, როდის შეიტყობდა გამოტანილ სასჯელს, მეორეს კი გაგონებისაც ემინოდა. თუმცა, როგორც წესი, მის ემილის დიდად საშინელი მსჯავრი არასოდეს გამოჰქონდა. იშვიათად თუ შეაყოვნებდა ვინმეს კლასში, სამუშაოს მიუსჯიდა ან რამე უფლებას ჩამოართმევდა. თავს მხოლოდ იმიტომ გრძნობდი ცუდად, რომ მის ემილის წინაშე შესცოდე, და გინდოდა, სასწრაფოდ მოგემოქმედა რამე ჩადენილის გამოსასწორებლად.

საქმე ის იყო, რომ მის ემილის ნაბიჯებს წინასწარ ვერ გათვლიდი. ზემოხსენებულ შემთხვევაში სილვიას შეიძლება დასჯა არ დაჰკლებია, მაგრამ ერთხელ, როდესაც რევანდის ნარგავებში მორბენალი ლორა დაინახა, მის ემილიმ მხოლოდ ეს მიაძახა: „მანდ რა გინდა, გოგო? გადადი“, და გზა განაგრძო.

ერთხელ კიდეც, მეგონა, მე დამატყდებოდა თავს მის ემილის რისხვა.

მთავარი შენობის უკან გამავალი საცალფეხო ბილიკი ჩემი საყვარელი გზა იყო. შენობის ყველა კუთხესთან და კედელთან გადიოდა. ჯერ ბუჩქებში უნდა გამძვრალიყავი, მერე – სუროთი დაფარული ორი თადის ქვეშ, რასაც ჟანგმოდებული ჭიშკარი მოსდევდა. გზად ყველა ფანჯარაში შეგეძლო შეგეჰყიტა. ალბათ, ერთ-ერთი

მიზეზი, რის გამოც ეს ბილიკი მიყვარდა, ის იყო, რომ არც კი ვიცოდი, შეიძლებოდა თუ არა მისით სარგებლობა. როდესაც ფანჯრებს მიღმა გაკვეთილი ტარდებოდა, მაშინ ნამდვილად არ უნდა ჩაგველო აქ. სადამოს ან შაბათ-კვირას? ეს არ ვიცოდი. მოსწავლეთა უმრავლესობა ამ ბილიკს თავს არიდებდა და, შესაბამისად, ჩემთვის ბილიკზე გავლის მეორე მიზეზი განმარტოება გახდა.

ჰოდა, ერთ მზიან სადამოს ჩემს მარშრუტს მივუყვებოდი. ვიქნებოდი, ასე, თოთხმეტიოდე წლის. ჩვეულებისამებრ, გავლისას ცარიელ ოთახებში ვიჭყიტებოდი. უეცრად ერთ ოთახში მის ემილი დავლანდე. მარტო იყო. ნელა მიდი-მოდიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა. ოთახში მყოფ უხილავ საზოგადოებას რაღაცებს ანიშნებდა და უთითებდა. ვიფიქრე, გაკვეთილის ჩატარებაში ან შეკრებაზე სიტყვით გამოსვლაში ვარჯიშობს-მეთქი. მინდოდა, დროზე გამესწრო და, ის იყო, თვალს უნდა მივფარებოდი, რომ შემამჩნია და მომაჩერდა. ადგილზე გავიყინე. მეგონა, გავები, იმან კი, მოულოდნელად, ისევ ის მოძრაობები განაგრძო. ოღონდ, ამჯერად, ყველაფერს ჩემთვის შვრებოდა. მერე სრულიად ბუნებრივად მიბრუნდა და ყურადღება წარმოსახვით მოსწავლეზე გადაიტანა კლასის სხვა ნაწილში. ბილიკით გავიძურწე და ერთ-ორ დღეს ცეცხლივით ვერიდებოდა მის ემილისთან შეხვედრას. მაინც რას მეტყოდა, როცა მნახავდა?

არაფერი უხსენებია.

ახლა კი სულ სხვა თემაზე მინდა გესაუბროთ. უმჯობესია, რუთის გაცნობაზე, მასთან დამეგობრებასა და ჩვენს პირველ პერიოდზე მოგიყვებ – სულ უფრო და უფრო ხშირად ვიჭერ თავს, რომ, როცა ნაშუადღევს მანქანით მივუყვები მინდვრებს ან ყავის ფინჯნით ხელში ავტოგასამართი სადგურის უშველებელ ფანჯარასთან ვზივარ, რუთზე ვფიქრობ.

თავიდანვე არ დავმეგობრებულვართ. ხუთი-ექვსი წლის რომ ვიყავი, მახსოვს, როგორ ვთამაშობდი ჰანასა და ლორასთან ერთად, მაგრამ არა რუთთან. ბავშვობიდან რუთზე ერთადერთი ბუნდოვანი მოგონება შემომჩა.

ქვიშაში ვთამაშობ. სხვებიც არიან. იმდენი ვართ, რომ ერთმანეთს ხელს ვუშლით. ღია ცის ქვეშ ვართ. მზე აჭერს. ალბათ, სკოლამდელების სათამაშო ქვიშაა ანდა ჩრდილოეთის მოედანთან სიგრძეში სახტუნაო ბილიკის ბოლოს რო ქვიშაა, ის. ჰოდა, ცხელა, მწყურია და ამდენი ხალხი რომ არის, არ მომწონს. შემდეგ რუთს ვხედავ. იქვე დგას. არა ქვიშაში, არამედ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. ძალიან გაბრაზებულია ჩემ უკან მდგომ ორ გოგოზე. ალბათ, მანამდე რაღაც მოხდა. დგას და იმათ უყურებს. როგორც ვხვდები, მაშინ რუთს ჯერ თითქმის არ ვიცნობდი. ალბათ, შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რადგან იმის შიშით, რომ მზერა ჩემკენ არ მოემართა, ფუსფუსი გავაგრძელე, ვითომც აქ არაფერია-მეთქი. ერთ რამეს ვოცნებობდი მხოლოდ: მიმხვდარიყო, რომ ჩემ უკან მდგომებთან ერთად არ ვიყავი და რაც უნდა ეწყენინებინათ რუთისთვის, ჩემი ბრალი არ იყო.

სულ ძველი დროიდან რუთზე მხოლოდ ეს მახსოვს. ერთი ასაკისა ვიყავით და ერთმანეთს, ალბათ, ხშირად ვხედავდით, მაგრამ, ქვიშის შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, საერთოდ არ მახსოვს. მოგვიანებით გავიცანი, უკვე სკოლაში, შვიდი წლის რომ ვიყავით და რვის ვხდებოდით.

დაწყებითი კლასების მოსწავლეები ძირითადად სამხრეთის მოედანზე თამაშობდნენ. ჰოდა, ამ მოედნის კუთხეში, ალვის ხეებთან, ერთი ლანჩის დროს მომადგა, შემათვალისწინებ და მკითხა: – გინდა ჩემს ცხენზე შეგსვა?

ორ-სამ სხვა ბავშვთან ერთად ვთამაშობდი, მაგრამ ნათელი იყო: რუთი მხოლოდ მე მომმართავდა. ძალიან გამიხარდა. მაგრამ სანამ ვუპასუხებდი, ვითომ შეეცოცხლანდი: – ჰმმმ, რა ჰქვია შენს ცხენს?

რუთმა ნაბიჯი გადმოდგა.

– ჩემს საუკეთესო ცხენს ჰქვია ჰქვია. მაგაზე ვერ დაგსვამ, საშიშია. მაყვლას გაგატარებინებ, მათრახს თუ არ დაარტყამ. თუ გინდა, სხვა გაატარე, ნებისმიერი.

კიდევ რამდენიმე სახელი წამოროშა, ახლა რომ აღარ მახსოვს. მერე მკითხა: – შენ გყავს ცხენები?

მივაცქერდი და, სანამ ვუპასუხებდი, დავფიქრდი.

– არა. ცხენები არ მყავს.

– არც ერთი?

– არა.

– კარგი, შეგიძლია მაყვლა გააჭენო. თუ მოგეწონება, შენი იყოს. ოღონდ მათრახი არ იხმარო! თანაც, ახლავე უნდა წამოხვიდე.

ჩემი მეგობრები მიბრუნებულიყვნენ და თავიანთ საქმიანობას აგრძელებდნენ. მეც მხრები ავიჩეჩე და რუთს გავყევი.

მინდორი სავსე იყო ბავშვებით, ჩვენზე ბევრად უფროსებითაც, მაგრამ რუთი მიზანდასახულად მიაბიჯებდა. ყოველთვის ერთი-ორი ნაბიჯით წინ იყო. თითქმის ბადის საზღვართან ვიყავით, როცა მომიბრუნდა და მითხრა: – კარგი, აქ გავაჭენოთ. შენ მაყვლა წაიყვანე.

რუთს წარმოსახვითი სადავე გამოვართვი და ბადის გასწვრივ ჰქენება დავიწყეთ. ხან ჩორთით მიგვყავდა, ხანაც მაგრად ვაჭენებდით. სწორად მოვიქეცი, როცა ვუთხარი, ჩემი ცხენები არ მყავს-მეთქი. მაყვლას შემდეგ სხვა ცხენებიც გამომაცდევინა ერთიმეორის მიყოლებით. თან თითოეული ცხენის ხასიათთან გასამკლავებელ რჩევებს მაძლევდა.

– ხომ გითხარი: ნარგიზაზე კარგად უნდა გადაიხარო უკან! უფრო, უფრო! კარგად თუ არ გადაიხარე, არ მოსწონს!

აღბათ, კარგად გამომივიდა, რაკი ბოლოს თავისი საყვარელი ჰქეცაც გამაჭენებინა. არ ვიცი, რამდენი ხანი გავატარეთ იმ დღეს რუთის ცხენებთან. გვარიანი დრო კი გავიდა. თამაშში ორივე ბოლომდე ვიყავით ჩართული. მერე კი, მოულოდნელად, რუთმა ყველაფერი შეაჩერა. მითხრა, განზრახ დღი ცხენებს და ახლა საჯინიბოშიც შენ უნდა წაიყვანო. მითხრა და ბადის ერთ მონაკვეთზე მიმითითა. მეც ცხენების იქით გალაღვას შევუდექი. რუთი უფრო და უფრო ბრაზდებოდა, ყველაფერს შეცდომით აკეთებო. მერე მკითხა: – მის ჯერალდინი მოგწონს?

ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, როცა იმაზე დავფიქრდი, მომწონდა თუ არა მასწავლებელი. ბოლოს მივუფე: – რა თქმა უნდა.

– არა, მართლა მოგწონს? განსაკუთრებულია შენთვის? შენი საყვარელი მასწავლებელია?

– კი, ჩემი საყვარელია.

რუთმა კარგა ხანს მიყურა. ბოლოს თქვა: – კარგი. მის ჯერალდინის საიდუმლო მცველობის უფლებას გაძლევ.

მთავარი შენობისკენ დავიძარი. მეგონა, ამიხსნიდა, რას ნიშნავდა ეს მცველობა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ მომდევნო დღეებში გავიგე.

თავი მეხუთე

ზუსტად არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა „საიდუმლო მცველობის“ ისტორია. რუთს რომ ვუვლიდი დოჟერში, მაშინ თქვა: ორი-სამი კვირის ამბავი იქნებოდა, მეტის არაო. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ცდებოდა. ეტყობა, რცხვენოდა ამ მოგონების და ამიტომაც დაპატარავებულიყო მის ტვინში. მე თუ მკითხავთ, ცხრა თვეს მაინც გაგრძელდა, შეიძლება მთელ წელიწადსაც, შვიდი-რვა წლისა რომ ვიყავით.

თვით რუთმა გამოიგონა საიდუმლო მცველობა? არ ვიცი, მაგრამ უდავო ლიდერი კი იყო. ჩვენი რიცხვი ექვსიდან ათამდე მერყეობდა. რუთის მიერ ახალი წევრის შემოშვება ან ძველის გაგდება გამუდმებით ცვლიდა ზუსტ რაოდენობას. მის ჯერალდინი ჰეილშემის საუკეთესო მასწავლებლად მიგვაჩნდა და საჩუქრებს ვუმზადებდით ხოლმე. მახსენდება დიდი ფურცელი ზედ დაწებებული დაპრესილი ყვავილებით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი არსებობის მთავარ მიზანს მისი დაცვა წარმოადგენდა.

დაცვას რომ შევუერთდი, რუთმა და დანარჩენებმა უკვე დიდი ხანია იცოდნენ მის ჯერალდინის მოტაცების გეგმის არსებობა. ზუსტად არ ვიცოდით, ვინ იდგა ამ გეგმის უკან. ხან რომელიმე მაღალკლასელ ბიჭზე მივიტანდით ეჭვს, ხანაც ჩვენს თანატოლზე. ერთი მასწავლებელი არ მოგვწონდა: მის აილინი. ჰოდა, ერთხანს სწორედ მის აილინი მიგვაჩნდა მოტაცების გეგმის ავტორად. სახელდობრ, როდის აპირებდნენ მოტაცებას, არ ვიცოდით, მაგრამ ტყეში რომ წაიყვანდნენ, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

ტყე ჰეილშემ-ჰაუსის უკან აღმართულ მთას აგვირგვინებდა და ჩვენგან ჩამუქებულ ქოჩრად მოჩანდა. თუმცა ნამდვილად არ ვყოფილვარ ერთადერთი, ვინც ტყის არსებობას დღედაღამ გრძნობდა. ცუდ ხასიათზე რომ ვიყავი, თითქოს ტყის ჩრდილი მთელ ჰეილშემს ეფინებოდა. მხოლოდ თავის მიბრუნება ან ფანჯრიდან გახედვა იყო საჭირო დაბინდული ტყის დასანახად. ყველაზე უსაფრთხო ადგილი მთავარი შენობის წინა მხარე გახლდათ. ამ კედლის ერთ-ერთი ფანჯრიდან ტყე არ ჩანდა, თუმცა მაინც ვერსად გაექცეოდი.

ტყის შესახებ არაერთი საშიში ამბავი გვსმენია. ერთხელ, აქ ჩვენს მოსვლამდე არც ისე დიდი ხნის წინ, ერთ ბიჭს მეგობრებთან დიდი შეხლა-შემოხლა მოუვიდა და ჰეილშემიდან გაიქცა. ორი დღის შემდეგ მისი გვამი ტყეში უპოვიათ, ხელფეხმოჭრილი და ხეზე მიბმული. სხვა თქმულების მიხედვით, ტყეს ერთი გოგონას მოჩვენება დაჰკატრონებოდა. ოდესღაც ისიც ჰეილშემის მოსწავლე ყოფილა. ერთ დღესაც კედელზე გადამძვრალა იმის სანახავად, რა ხდებოდა გარეთ. თან ეს ხომ ადრე მოხდა, როდესაც მასწავლებლები ბევრად უფრო მკაცრები იყვნენ, ბოროტებიც კი. ჰოდა, გოგონამ დაბრუნება რომ მოინდომა, შიგნით აღარ შეუშვეს. კედელს არ სცილდებოდა და შეშვებას იხვეწებოდა, მაგრამ ყური არავინ უგდო. ბოლოს წავიდა სადღაც, სადღაც გარეთ, რაღაც დაემართა და მოკვდა. მისი აჩრდილი ახლაც ტყეში დაძრწის, ჰეილშემს უყურებს და დაბრუნებას ნატრობს.

მასწავლებლები ყოველთვის ამბობდნენ, ეგ გამოგონილი ამბებიაო. მაგრამ უფროსკლასელებმა თქვეს: თქვენხელები რომ ვიყავით, ჩვენც მაგას გვეუბნებოდნენ, მაგრამ საზარელ სიმართლეს მალე თქვენც გეტყვიანო.

დამით, დაძინებას რომ ვცდილობდით, ჩვენი ფიქრები ტყეებს დაჰფარფატებდა. თითქოს ქარის ტოტებთან თამაშის ხმაც კი გვესმოდა. ლაპარაკის დაწყებას მხოლოდ უარესისკენ მივყავდით. მახსოვს, ერთ ღამეს მარჯ ქეიზე გულმოსულები ვიყავით. დღის განმავლობაში რაღაც დაგვიშავა და მისი დასჯა გადავწყვიტეთ. საწოლიდან გადმოვართიეთ, სახე ფანჯრის მინაზე მივუბჯინეთ და ვუბრძანეთ, ტყისთვის აეხედა. ჯერ თვალეხს არ ახელდა, მაგრამ ხელები მოვუგრინეთ და ვაიძულეთ, დაგვმორჩილებოდა: მთვარიანი ცისა და შორეული მთის გასაყარი დავანახვეთ და ძრწოლა-ტირილით სავსე ღამეც გამოვუწერეთ.

არა, იმას არ ვამბობ, მთელი ბავშვობა ტყის შიში გვქონდა-მეთქი. ხანდახან მთელი კვირა ისე ჩაივლიდა, რომ ტყე არ გამახსენდებოდა. დროდადრო სიმამაცის ტალღაც მომაწყდებოდა და იმასაც მაფიქრებინებდა, ასეთი სისულელის როგორ მჯერა-მეთქი. მერე კი სულ პატარა რამ – ვიღაცის მიერ რომელიმე საშიში ამბის კიდევ ერთხელ მოყოლა, წიგნში რაიმე მსგავსის წაკითხვა ან უბრალო მინიშნება ტყეზე – შიშიანობის ახალ ხანას იწყებდა. რაღა გასაკვირია, რომ, ჩვენი აზრით, მის ჯერალდინის მოტაცების გეგმაში ტყე უთუოდ დიდ როლს ითამაშებდა.

მის დასაცავად კი ბევრს არაფერს ვაკეთებდით. ძირითადად, ბოროტი გეგმის არსებობის სამხილთა შეგროვებით ვიყავით დაკავებული. მიგვაჩნდა, რომ ამით თავიდან ვიცილებდით მოულოდნელ საფრთხეს.

ეს სამხილები, უპირატესად, ის იყო, რომ შეთქმულთათვის შუა მოქმედებაში წაგვესწრო. მაგალითად, ერთ დილას მეორე სართულის ოთახიდან დავინახეთ, როგორ ელაპარაკებოდნენ მის აილინი და მისტერ როჯერი მის ჯერალდინს ეზოში. ცოტა ხნის შემდეგ მის ჯერალდინი მათ დაემშვიდობა და ორანჟერისკენ გაემართა. ჩვენ ისევ ვუყურებდით. მის აილინმა და მისტერ როჯერმა თავები ერთმანეთს მეტისმეტად მიუახლოვეს და უჩუმრად განაგრძეს ლაპარაკი, თან მიმავალ მის ჯერალდინს უყურებდნენ.

– მისტერ როჯერი... – ამოისუნთქა რუთმა, თან თავს აქანავებდა, – ვინ იფიქრებდა?

შევადგინეთ შეთქმულთა სია, რომელშიც მასწავლებლებიც შედიოდნენ და მოსწავლეებიც. ისინი ჩვენს მოსისხლე მტრებად გამოვაცხადეთ. ისე, ალბათ, მაშინაც ვხვდებოდით, რომ ჩვენივე ფანტაზიასთან გვქონდა საქმე, რადგან კონფლიქტს ყოველთვის ვერიდებოდით. ერთმანეთში ლაპარაკის შედეგად ვასკვნიდით, რომ რომელიღაც მოსწავლე შეთქმულებს ეკუთვნოდა. თუმცა მერე იმასაც გადავწყვეტდით, რომ არ გამოგვეწვია, ანუ ჯერ არ გამოგვეწვია, „სანამ საკმარის სამხილებს არ შევაგროვებდით“. არც მის ჯერალდინს უნდა სცოდნოდა რამე. აფორიაქდებოდა, რაც ნამდვილად არ ღირდა.

ვერ ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც შესაბამისი ასაკიდან გამოვედით, საიდუმლო დაცვის საქმიანობა მხოლოდ რუთის ინიციატივით გრძელდებოდა. რა თქმა უნდა, რუთისთვის მნიშვნელოვანი იყო დაცვა. შეთქმულების ამბავი ჩვენზე ბევრად ადრე შეეტყო და მისი ვეებერთელა ავტორიტეტიც სწორედ ამაში მდგომარეობდა. გადაკრულად გვაგრძნობინებდა, რომ მთავარი სამხილები მას ჩვენს მოსვლამდე ეპოვა და რაღაც-რაღაცები ჯერ ჩვენთვისაც არ გაენდო. ამიტომ, როგორც ყველა საიდუმლოს მცოდნე, იგი ხანდახან ერთპიროვნულად იღებდა ჩვენი ჯგუფისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას. მაგალითად, ვინმეს გაგდება თუ მოუნდებოდა და წინააღმდეგობას იგრძნობდა, ბუნდოვნად მიგვანიშნებდა ძველ სამხილებზე, რომლებიც ჩვენ არ ვიცოდით. რუთს ნამდვილად უნდოდა, ყველაფერი გაგრძელებულიყო. სიმართლე თუ გნებავთ, ჩვენც, რომლებიც რუთს დავუახლოვდით, ჩვენს საქმეს ვაკეთებდით ჩვენივე ფანტაზიის იმდენი ხნით გადასარჩენად, რამდენითაც მოვახერხებდით. ჭადრაკზე მომხდარი ჩხუბის შედეგები კარგად წარმოაჩენს იმას, რასაც ახლა ხაზს ვუსვამ.

გადავწყვიტე, რომ რუთი ჭადრაკის კარგი მცოდნე იყო და თამაშს მეც მასწავლიდა. ეს მოსაზრება მთლად ჩემი მოგონილიც არ იყო: ფანჯრის რაფაზე ან ბალახიან ფერდობზე ჭადრაკის დაფას ჩამტერებულ უფროს მოსწავლეებს რომ ჩავუვლიდით, რუთი ჩერდებოდა და უყურებდა. გზას რომ განვაგრძობდით, რომელიღაც საჭადრაკო სვლას აღნიშნავდა ჩემ გასაგონად, თვითონ რომ შეამჩნია, მოთამაშებმა კი – ვერა. „აზრზე არ არიან“, ჩაიბუტბუტებდა თავის ქნევით. მეც უფრო და უფრო მინდებოდა ამ თამაშის სწავლა. ჰოდა, სეილებზე ჭადრაკი რომ ვნახე, ყიდვა გადავწყვიტე. ცეცხლის ფასი ედო, მაგრამ მე რუთის იმედი მქონდა.

მომდევნო დღეებში კი, რამდენჯერაც ვუხსენე ჭადრაკი, იმდენჯერ ან უბრალოდ ამოიხვნეშა, ან ისე მოიქცა, ვითომ რაღაც გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ბოლოს მაინც გამოვიჭირე. ბილიარდის ოთახში დაფა გავშალეთ და რუთმა მასწავლა თამაში, რომელიც შაშის ბუნდოვან ვარიანტს წააგავდა. რუთის მიხედვით, ჭადრაკი ართურმას[1] მიმსგავსებული შაშისგან L-ის ფორმის სვლებით განსხვავდებოდა. ყველა ფიგურა ასე დადიოდა. ეტყობა, სხვების მოთვალთვალემ მხედრის სვლა დაიმახსოვრა. იმედი გამიცრუვდა და მეწყინა, მაგრამ არ შევიძინე და ერთხანს ვითამაშე კიდევ რუთის წესებით. რამდენიმე წუთი ერთმანეთის ფიგურების მხედრის სვლით განადგურებაში გავატარეთ. ბოლოს, ის იყო უნდა მომეგო, მაგრამ რუთმა განაცხადა, მეტისმეტად სწორხაზოვნად დაგყავს ფიგურები და ამიტომ არ ითვლებაო.

ავდექი, ფიგურები ყუთში ჩავაწყვე და წავედი. გაბრაზებულზეც მახსოვდა, რომ არ ღირდა რუთის მხილება თამაშის არცოდნაში. ადგომით და წამოსვლითაც ვთქვი ჩემი სათქმელი.

აღბათ, მომდევნო დღეს მოხდა, ბოლო სართულის მეოცე ოთახში რომ მივედი. მისტერ როჯერს პოეზიის გაკვეთილი ჰქონდა. არ მახსოვს, გაკვეთილის დაწყებამდე მოხდა ეს თუ დამთავრების შემდეგ. არც ის მახსოვს, ოთახში სულ რამდენი ბავშვი ვიყავით. წიგნები მეჭირა. რუთისკენ და დანარჩენებისკენ მივდიოდი. მერხებზე მზის ძლიერი სინათლე ეცემოდა.

პირმიქცეულები ჩურჩულებდნენ. ესე იგი, საქმე საიდუმლო დაცვას ეხებოდა. ჭადრაკის ეპიზოდი წინა დღეს მოხდა, მაგრამ მაინც ჩვეულებრივად მივაშურე ჯგუფს. უკვე თავზე ვადექი, როცა მივხვდი, რა მომხდარიყო ჩემს მისვლამდე. შესაძლოა, იმიტომ, რომ ჩემი დანახვისას ერთმანეთს გადახედეს. ეს მომენტი გუბეში ფეხის ჩაბიჯების წამს ჰგავდა: ხვდები, რომ აბიჯებ, მაგრამ უკვე დაგვიანებულია. სანამ გაისუსებოდნენ და შემომხედავდნენ, სანამ რუთი ლაპარაკს დაიწყებდა, უკვე ტკივილი ვიგრძენი.

– ვა, ქეთ, როგორ ხარ? რაღაც სალაპარაკო გვაქვს ახლავე. გცალია? წუთსაც არ წაგართმევთ.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ, მობრუნებული, ჯგუფს უკვე ვმორდებოდი. ჩემს თავზე უფრო ვბრაზობდი, საკუთარი ფეხით რომ მივედი მათთან, ვიდრე რუთზე ან დანარჩენებზე. ძალიან გავბრაზდი. ვიტყვი თუ არა, არ მახსოვს. მომდევნო დღეებში, კუთხეში შექუჩებულ ან მიწოდორში მიმავალ საიდუმლო დაცვას რომ დავინახავდი, ლოყებზე სიწითლეს ვგრძნობდი.

მეოცე ოთახში მომხდარი ამბიდან ორიოდე დღის შემდეგ მთავარი შენობის კიბეზე ჩამოვდიოდი, მორია ბი რომ წამომეწია. შევმასლაათდით, – ისე, უმნიშვნელო თემებზე, და გარეთაც გავედით. აღბათ, ლანჩის დრო იყო. ეზოში უსაქმურად დამძწოდა ოცამდე მოსწავლე. პატარ-პატარა გუნდებად დაჯგუფებულიყვნენ და ლაპარაკობდნენ. მზერა სასწრაფოდ მივმართე ეზოს მოშორებულ მხარეს, სადაც რუთი და საიდუმლო დაცვის სამი სხვა წევრი იდგა. ჩვენკენ ზურგმექცეულნი, დაჟინებით უთვალთვალდნენ სამხრეთის მოედანს. დავინტერესდი, რას მიშტერებოდნენ ასე. შევამჩნიე, რომ მორიაც მათ უყურებდა. მაშინღა გამახსენდა, რომ მორიაც ერთი თვის წინ გარიცხეს საიდუმლო დაცვიდან. უეცრად მძაფრი წუხილი ვიგრძენი. ორი დამცირებული ერთად ვიდექით და ჩვენს დამმცირებლებს ვუყურებდით. შეიძლება მორიაც იმავეს გრძნობდა. ასე იყო თუ ისე, სიჩუმე მან დაარღვია: – რა სისულელეა ეს დაცვა! კიდევ როგორ სჯერათ ასეთი რამის? ბალის ბავშვებივით არიან.

დღესაც საგონებელში მაგდებს ის ძლიერი ემოცია, მორიას ნათქვამმა რომ აღმიძრა. გაცეცხლებული მივუბრუნდი: – შენ რა იცი? არაფერიც არ იცი, რადგან საუკუნეა გამოგადეს! რომ იცოდე, აქამდე რეები გამოვიკვლიეთ, ეგეთ უაზრობას არ წამოროშავდი.

– ნუ სულელობ, – მორია ადვილად არასოდეს ნებდებოდა, – რუთის ფანტაზიის მორიგი ნაყოფია და სხვა არაფერი.

– აბა, მაშინ მე თვითონ როგორ გავიგე, რომ თათბირობდნენ? რძის ფურგონით აპირებდნენ მის ჯერალდინის წაყვანას ტყეში. ჩემი ყურით როგორ მოვისმინე? არც რუთი იყო იქ და არც სხვა ვინმე.

მორია დაიბნა.

– თვითონ გაიგონე? როგორ? როდის?

– გარკვევით გავიგონე ყველაფერი, თითოეული სიტყვა. არ იცოდნენ, რომ ვუსმენდი. ქვემოთ, ტბორთან. ვერ შემამჩნიეს. თურმე არაფერიც არ გცოდნია!

ვუთხარი მორიას და მოვშორდი. ხალხით სავსე ეზოს გავუყევი. კიდევ ერთხელ გავხედე რუთს და დანარჩენებს: ისევ სამხრეთის მოედანს უყურებდნენ. არ იცოდნენ, რა მოხდა წინა წამს მე და მორიას შორის.

ახლაც, გრძელ, ნაცრისფერ გზაზე რომ მივგორავ, თუ მნიშვნელოვანი საფიქრალი არაფერი მაქვს, ხანდახან ამ მოგონებას ვფურცლავ. რატომ გავბოროტდი ასე მორია ბიზე იმ დღეს, როცა ჩემი ბუნებრივი მოკავშირე გახდა? ალბათ, იმიტომ, რომ მორია გარკვეული ბარიერის გადალახვას მთავაზობდა თავისთან ერთად, მე კი მზად არ ვიყავი. ამ ბარიერის მიღმა რაღაც მძიმე და ბნელი ვიგრძენი. რაღაც ისეთი, რაც არ მსურდა არც ჩემთვის და არც დანარჩენებისთვის.

ხანდახან კი სხვა რამის ბრალი მგონია. ჩემი, რუთის და იმ ერთგულების ბრალი, რომელიც იმხანად რუთმა ჩამინერგა. ვგონებ, დოჟერში რომ ვუვლიდი, არც მაშინ მომიყოლია ეს ეპიზოდი. არადა, მინდოდა მომეყოლა.

ეს ყველაფერი მის ჯერალდინის შესახებ სამი წლით გვიან, ანუ საიდუმლო დაცვის გაუქმებიდან კარგა ხნის შემდეგ მომხდარ ამბავს მახსენებს.

შენობის უკანა მხარეს, პირველ სართულზე, მეხუთე ოთახში ვისხედით და გაკვეთილის დაწყებას ველოდებოდით. მეხუთე ოთახი ყველაზე პატარა იყო, იხუთებოდა ხოლმე, განსაკუთრებით – ზამთრის დილას, რადიატორი რომ ჩაირთვებოდა და ფანჯრებს დაორთქლავდა. შეიძლება ვაჭარბებ, მაგრამ როგორც მახსოვს, შიგ მთელი კლასი რომ შეტეულიყო, ბავშვებს ერთმანეთზე დახვავება უწყევდათ.

იმ დილას რუთს მერხის სკამი ერგო, მე მის წინ, ზედ მერხზე ვიჯექი. კიდევ ორი თუ სამი ჩვენიანი იქვე ახლოს შესკუპებულიყო. მგონი, შემჭიდროებას და ვინმესთვის ადგილის გამოყოფას ვცდილობდი, პირველად რომ დავინახე პენალი.

ახლაც თვალწინ მიდგას. გაკრიალებული ფეხსაცმელივით ელავდა. წითლად დაწინწკლული მუქი კარამელის ფერი ედო. ელვის ჩამკეტს ბოლოზე ბეწვის პომპონი ჰქონდა. კინაღამ ზედ დავაჯექი. რუთმა სწრაფად მომაცილა. რაც მთავარია, დავინახე და ვკითხე (იმასაც ეს უნდოდა): – ვაჰ! სად იშოვე? სეილებზე?

ოთახში ხმაური იდგა, მაგრამ ახლოს მსხდარმა გოგონებმა მაინც გაიგონეს. ჰოდა, წამიც და, პენალს უკვე ოთხი-ხუთი თაყვანისმცემელი ვუყურებდით. სანამ ხმას ამოიღებდა, რუთმა აუჩქარებლად შეამოწმა გარსმოჯარული სახეები. ბოლოს დაწერილი ტექსტით წარმოთქვა: – ასე ვთქვათ. ვთქვათ, სეილებზე ვიშოვე, – გვითხრა და ეშმაკურად გაგვიღიმა.

ამ ერთი შეხედვით უწყინარი პასუხით რუთმა ნამდვილი ციებ-ცხელება დამმართა. ზუსტად მივხვდი, რას გულისხმობდა ასეთი პასუხითა და ღიმილით: ამტკიცებდა, პენალი მის ჯერალდინმა მაჩუქაო.

ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, რადგან ამ ამბავს რამდენიმე კვირის განმავლობაში ამზადებდა. რაღაცნაირად ილიმებოდა, ხანდახან რაღაცნაირ ბგერას გამოსცემდა, თან თითოს ტუჩებზე მიიღებდა ან ხელს სწევდა და ხმამალა ჩურჩულებდა. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ მიენიშნებინა რაღაც წყალობაზე, რომელიც მის მიმართ გამოიჩინა მის ჯერალდინმა: შაბათ-კვირას, ოთხ საათამდე, საბილიარდოში რუთს მუსიკის ჩართვის ნებართვა მისცა; სიარულისას ყველას გაჩუმება უბრძანა, მაგრამ რუთი რომ წამოეწია, ლაპარაკი გაუბა და მხოლოდ შემდეგ მისცა დანარჩენებს ხმის ამოდების უფლება. რუთი პირდაპირ არასოდეს ამბობდა, მხოლოდ რაღაცით – ღიმილით ან გამოხედვით – მიანიშნებდა.

მასწავლებლებს რომელიმე მოსწავლისადმი მიკერძოების უფლება, რასაკვირველია, არ ჰქონდათ. მაგრამ ხანდახან რაღაც-რაღაცებში მაინც ავლენდნენ კერძო სიმპათიებს. რუთის ქცევა, როგორც წესი, მოსწონდათ. მე კი მეზიზღებოდა მისი მიკიბულ-მოკიბული მინიშნებები. ვერასოდეს ვიგებდი, სიმართლეს ამბობდა თუ არა. თან არც ამბობდა რამეს, უბრალოდ მიგვანიშნებდა. ამიტომაც მისი გამოწვევა შეუძლებელი ხდებოდა. ჰოდა, ყოველ ჯერზე მის ჟესტს რეაქციის გარეშე ვტოვებდი. ტუჩს ვიკვნიტდი და ვიმედოვნებდი, რომ მომენტი მალე ჩაივლიდა.

ხანდახან საუბრის მიმართულებაზე ვხვდებოდი, რომ წინ მსგავსი მომენტი მელოდა და თავს ხელში ვიყვანდი. მაინც ისეთი ძალით დამკრავდა ხოლმე, რომ ერთხანს სხვა ვერაფერზე ვფიქრობდი. ზამთრის იმ დილას კი, მეხუთე ოთახში, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. პენალის დანახვის შემდეგაც არ მიფიქრია, რომ მასწავლებლის ნაჩუქარი აღმოჩნდებოდა. არ ველოდი. ჰოდა, როდესაც რუთმა ეს თქვა, ჩემს მღელვარებას ვეღარ მოვერიე. ვუყურებდი და აღარც კი ვცდილობდი მძვინვარების დამალვას. რუთმა, ეტყობა, საშიშროება იგრძნო და უცნაურად ჩამჩურჩულა: „კრინტი არ დაძრა!“ და ისევ გაიღიმა. მე კი ღიმილი სად შემემლო? კვლავ მივჩერებოდი. მერე, საბედნიეროდ, მასწავლებელი შემოვიდა და გაკვეთილი დაიწყო.

ბავშვობაში ერთ რამეზე დიდხანს ფიქრი არ მჩვეოდა. ახლა ვიქცევი ასე, მაგრამ ეს ან სამსახურის ბრალია, ან ტრიალ მინდვრებზე გაყვანილ მანქანაში გატარებული საათების. ლორას არ ვგავდი, ლორას, რომელსაც თავისი ოხუნჯობის მიღმა შეეძლო დღეების ან კვირების განმავლობაში ვიღაცის ნათქვამ სრულებით უმნიშვნელო რამეზე ედარდა. მეხუთე ოთახში გატარებული იმ დილის შემდეგ კი რაღაც გადამიტრიალდა. შუა ლაპარაკისას ფიქრებში ვინთქმებოდი. გაკვეთილები გონების გარეთ მრჩებოდა. სულ სხვა აზრები მაწუხებდა. ამჯერად რუთს აღარ შევარჩენ-მეთქი, გადავწყვიტე, თუმცა კარგა ხანს არაფერი მიღონია. მხოლოდ გონებაში წარმოვიდგენდი ათას სიტუაციას, სადაც რუთის ტყუილები სააშკარაოზე გამომქონდა და ისიც თავისი პირით აღიარებდა სიცრუეს. ისეთი სცენაც წარმოვიდგინე, სადაც თვით მის ჯერალდინი შეიტყობდა რუთის ცრუპენტელობას და ყველას თვალწინ გაათათხავდა.

რამდენიმე დღის ფანტაზიორობის შემდეგ უფრო ქმედიტად დავიწყე ფიქრი. თუ პენალი მის ჯერალდინის ნაბოძები არ იყო, მაშინ საიდან მოიტანა? შეიძლებოდა სხვა მოსწავლეს მიეცა, თუმცა ეს ნაკლებად მოსალოდნელი იყო. მანამდე სხვისი რომ ყოფილიყო, თუნდაც რამდენიმე წლით უფროსის, ასეთი მშვენიერი ნივთი შეუმჩნეველი არ დაგვრჩებოდა. თანაც, რუთს რომ სცოდნოდა, პენალი უკვე უნახავთ

ჰეილშემშიო, ამისთანა სიცრუის გავრცელებას ვეღარ გაბედავდა. თითქმის ეჭვგარეშე იყო, რომ სეილებზე წააწყდა. მაგრამ აქაც არსებობდა რისკი: სანამ რუთი იყიდდა, ხომ შეიძლებოდა სხვებსაც ენახათ? რჩებოდა კიდევ ერთი გზა: თუ რუთმა პენალის შესახებ სეილებამდე შეიტყო, იქნებ, რომელიმე მეთვალყურეს პენალის გადადება და მისთვის შენახვა სთხოვა? საერთოდ, ეს იკრძალებოდა, მაგრამ მაინც ხდებოდა ხოლმე. ამგვარად, სხვა მოსწავლეს პენალი არც ნანახი ექნებოდა და არც გაგონილი.

რუთისთვის საუბედუროდ, სეილების ყველა გაყიდვა თავისი მყიდველიანად იწერებოდა და ინახებოდა. ამ ქაღალდების ნახვა ადვილი არ იყო, მაგრამ არც შეუძლებელ საქმეთა რიგს მიეკუთვნებოდა. ყველა სეილის შემდეგ მეთვალყურეებს ქაღალდები მის ემილის კაბინეტში მიჰქონდათ. მომდევნო სეილზე რომელიმე მეთვალყურეს თუ გავყვებოდი, ძველ ფურცლებში რაღაცის მოძებნა არ უნდა გამჭირვებოდა.

გეგმის მონახაზი უკვე მქონდა. რამდენიმე დღე კიდევ ვიფიქრე და ბევრი არასაჭირო ნაბიჯიც ამოვიღე. თუ პენალის შესახებ მართალი ვიყავი, ყველაფრის გასარკვევად ერთი კარგი ბლეფიც საკმარისი იქნებოდა.

ასე აღმოვჩნდი მე და რუთი შენობის სხვენში. ვსაუბრობდით. ნისლიანი დღე იდგა. ჟინჟულავდა. საძინებლიდან მოვდიოდით, შესაძლოა – პავილიონისკენაც, არ მახსოვს. წვიმამ იმატა. ჰოდა, რაკი არსად გვეჩქარებოდა, მთავარი შენობის სხვენს შევეფარეთ, მთავარი შესასვლელიდან არცთუ შორს.

ერთხანს აქ ვიყურყუტეთ. დროდადრო ნისლიდან რომელიმე მოსწავლე გამოვარდებოდა და შენობაში შემოხტებოდა. წვიმა არ იკლებდა. დრო გადიოდა და მეც ვიძაბებოდი. სწორედ ისეთი შემთხვევა მომეცა, რომელსაც უკვე ამდენი ხანია ველოდი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ რუთმაც იგრძნო რაღაც. ბოლოს გადავწყვიტე, პირდაპირ დამეწყო.

– წინა სამშაბათს სეილებზე ქაღალდები გადავათვალე, რეგისტრაციის ქაღალდები.

– რეგისტრაციის ქაღალდები რად გინდოდა? – სწრაფად მომიგო რუთმა, – რატომ გადაათვალე?

– ისე. ერთ-ერთი მეთვალყურე კრისტოფერ სი იყო და თან ვესაუბრებოდი. უფროსკლასელებში ყველაზე კარგი ვინმეა. რეგისტრაციის ქაღალდებს კი ისე ვფურცლავდი, დროის გასაყვანად.

ამ დროს შევატყვე, რომ რუთი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ არ შეიმჩნია და წყნარად მიპასუხა: – მოსაწყენი რამე მოგიფიქრებია.

– არა, საკმაოდ დამაინტერესა. ყველაფრის ნახვა შეგიძლია, ვინ რა იყიდა.

ეს რომ ვთქვი, წვიმას ვუყურებდი. მერე რუთს მივუბრუნდი და ელდა მეცა. არ ვიცოდი, რა სეირს ველოდი, მთელი თვის განმავლობაში რომ წარმოვიდგენდი ამ მომენტს. ახლა კი დავინახე, რა შავ დღეში იყო ეს უბედური. ბრინჯივით დაიბნა და ცრემლებამდე აღარაფერი უკლდა. უეცრად ჩემი საქციელი ძალზე სასტიკად მომეჩვენა. ამდენი ფიქრი და ენერჯია ჩემი უახლოესი მეგობრის გასაბრაზებლად

დავხარჯე. მერე რა, თუ ცოტა მოიტყუა თავის პენალზე? ჩვენ ხომ, დროდადრო, ყველანი ვოცნებობდით რომელიმე მასწავლებლისგან წესების დარღვევასა და ჩვენს სიამოვნებაზე, უეცარ ჩახუტებაზე, საიდუმლო წერილზე ან საჩუქარზე. რუთმა კი ერთი ასეთი ოცნება გააცოცხლა, სხვა არაფერი. მის ჯერალდინი არც კი უხსენებია.

თავი საშინლად ვიგრძენი. შევცბი. იქ, სხვენში, რუთის გვერდით მდგომი და წვიმის მაცქერალი, ჩადენილის გამოსწორების გზას ვერ ვხედავდი. მგონი, მაინც ვთქვი რაღაც, თითქმის გამოწოვილი: „დაწყნარდი, დიდი არაფერი მინახავს“. სულელურად გაიჟღერა ჰაერში. რამდენიმე უსიტყვო წამიც და – რუთი წვიმაში გაუჩინარდა.

თავი მეექვსე

რუთი თავისის გატანას რომ ცდილიყო, ჩემი ნაბიჯი, ალბათ, ნაკლებად სასტიკი მომეჩვენებოდა. მაგრამ არა. ზუსტად იმწამს ჩაიკეტა, თითქოს ისე შერცხვა, ისე მოხვდა ჩემი ნათქვამი, რომ ვერც გაბრაზება მოახერხა და ვერც ჩემი გაჩუმება მოინდომა. სხვენის ეპიზოდის შემდეგ რუთისგან, სულ ცოტა, აგრესიულობისთვის მაინც ვიყავი მზად. შევცდი. რუთს საგანგებო არაფერი უქნია. ცოტა მოსაწყენადაც კი იქცეოდა. ეშინოდა, ეს ამბავი არ გამეხეთქა. პენალი, რა თქმა უნდა, აღარსად ჩანდა. მომინდა მეთქვა, ჩემი ნუ გეშინია-მეთქი. პრობლემა ის იყო, რომ აქამდე ხმამაღლა არავის არაფერი გვეთქვა. ვერც ვხვდებოდი, როგორ დამეწყო ლაპარაკი.

ამასობაში ყველაფერს ვცდილობდი რუთისთვის იმის მისანიშნებლად, რომ მოსწავლეთა შორის საუკეთესო ადგილი ეჭირა მის ჯერალდინის გულში. მაგალითად, ერთხელ ერთი სული გვქონდა, როდის გავიდოდით დასვენებაზე გარეთ, რაუნდერებში სავარჯიშოდ. ერთი წლით უფროსი კლასისგან გამოწვევა მივიღეთ. საქმე ის იყო, რომ წვიმდა და არ ვიცოდით, გავვიშვებდნენ თუ არა. შენობაში მყოფ მასწავლებელთა შორის მის ჯერალდინიც შევნიშნე და ვთქვი: – რუთი თუ სთხოვს, შანსი გვაქვს.

როგორც მახსოვს, ეს შეთავაზება არ აუტაციათ. იქნებ, არც გაუგონია ვინმეს, ბევრი ლაპარაკობდა ერთდროულად. მთავარი კი ისაა, რომ ამ სიტყვების თქმისას რუთის უკან ვიდექი და დავინახე, რომ ესიამოვნა.

ერთხელ კიდევ, რამდენიმე ჩვენგანი და მის ჯერალდინი ერთად გავდიოდით კლასიდან. მე ზუსტად მის ჯერალდინის შემდეგ მიწევდა გასვლა. ფეხი შევანელე და უკან მომავალი რუთი წინ გავუშვი, ისე, ვითომც არაფერი. ორ საუკეთესო მეგობარს შორის მოხვედრილი, განზე გავედი, თითქოს თვით მის ჯერალდინს სურდა ასე. როგორც მახსოვს, რუთი წამით დაიბნა და გაუკვირდა. მერე კი თავი სწრაფად დამიკრა და გამცდა.

მსგავსი წვრილმანები რუთს სიამოვნებდა, მაგრამ იმ ნისლიან დღეს სხვენზე მომხდარის გამოსწორებისგან ჯერაც შორს ვიყავით. მე დღიდან დღემდე იმას ვიჯერებდი, რომ რაღაც გამოუსწორებელი ჩავიდინე. მახსოვს ერთი საღამო, მარტო რომ ვიჯექი სკამზე, პავილიონთან, და გამოსავლის პოვნაზე ვფიქრობდი. სინანულმა და იმედგაცრუებამ თითქმის ამაცრემლა. თუ არაფერი შეიცვლებოდა, არ ვიცოდი, რას ვიზამდი. შეიძლება საბოლოოდ ყველაფერი დავიწყებას მისცემოდა ან მე და რუთს ერთმანეთი დაგვეკარგა. მოკლედ, უეცრად ყველაფრის გამოსწორების შანსი მომეცა.

მისტერ როჯერის ხელოვნების გაკვეთილი გვიტარდებოდა. თვითონ რაღაც მიზეზით გარეთ იყო გასული. ჩვენ დავბოდიხავდით, ერთმანეთის მოლბერტებს ვათვალიერებდით, ვსაუბრობდით და სხვების ნამუშევარს ვუყურებდით. ერთი გოგო, სახელად მიჯი ეი, რუთს მიუახლოვდა და მეგობრულად უთხრა: – შენი პენალი სად არის? ისეთი კარგია...

დამაბულმა რუთმა მალულად მიმოიხედა. ამოწმებდა, ვინ ჰყავდა შორიახლოს. ირგვლივ ჩვენი ძირითადი შემადგენლობა შემორტყმოდა. შორიახლოს კიდევ ერთი-ორი გარეშე პირი დაბოდიხავდა. სეილების ქალაქების შესახებ სიტყვა არავისთან დამცდენია, მაგრამ რუთს სხვაგვარად ეგონა. ჩვეულებრივზე რბილი ხმით მიუგო მიჯის: – თან არ მაქვს. საკოლეჯიო კომოდში ვინახავ.

– არადა, რა კარგია... საიდან გაქვს?

უკვე გამოჩნდა, რომ მიჯი უკანა აზრების გარეშე სვამდა ამ კითხვებს. მეორე მხრივ, თითქმის ყველა, ვინც პენალის პირველი გამოჩენისას მეხუთე ოთახში ვიყავით, ახლაც გარშემო ვტრიალებდით. რუთი შეეყოყმანდა. მხოლოდ შემდეგ, ყველაფერი რომ გავიხსენე, მივხვდი, რა ჩინებული შანსი მომეცა. თავიდან ვერ გავიაზრე. სანამ მიჯი ან ვინმე სხვა შეამჩნევდა რუთის ფორიაქს, მე ჩავერთე: – მაგას ვერ გეტყვით.

რუთმა, მიჯიმ და მთელმა ოთახმა გაოგნებით შემომხედა. არ შევიძინე და მიჯის მიმართულებით განვაგრძე: – დიახაც, ვერ გეტყვით, და კარგი მიზეზიც გვაქვს.

– ესე იგი, საიდუმლოა, – მხრები აიჩეჩა მიჯიმ.

– დიდი საიდუმლო! – ვუთხარი და გავუღიმე. დავანახვე, რომ უხეშობა არ მიფიქრია.

გაგების ნიშნად ყველა თავის კანტურით მიყურებდა. მხოლოდ რუთს ჰქონდა გაუგებარი გამოხედვა, ვითომ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. მიჯიმ ისევ აიჩეჩა მხრები. ეს იყო და ეს. მერე წავიდა ან სხვა რამეზე გადაერთო.

როგორც მე ვერ მოვუბოდიშე იმის გამო, რაც სეილების რეგისტრაციის ქალაქებით დავმართე, ისე რუთმა ვერ გამოხატა მადლიერება მიჯისთან ნათქვამისთვის. თქმით ვერ მეუბნებოდა, თორემ მომდევნო დღეებისა და კვირების ქცევაზე აშკარად ეტყობოდა, როგორი მადლიერი იყო. ამ გამოცდილების შემდეგ არ გამჭირვებია რუთის პოზიციის დანახვა: გამუდმებით ცდილობდა ეამებინა ჩემთვის. უნდოდა, რამე განსაკუთრებული ექნა. ეს მე იმდენად მსიამოვნებდა, რომ, მახსოვს, როგორ მინდოდა, ამის შანსი წლობით არ მისცემოდა და კარგი გრძნობები ჩვენ შორის კიდევ და კიდევ გაგრძელებულიყო. ბოლოს, მიჯის ამბიდან ასე ერთ თვეში, რუთს შესაფერისი შემთხვევა მიეცა. ჩემი საყვარელი კასეტა დავკარგე.

იმ კასეტის ასლი დღემდე შემომრჩა. წვიმიან დღეს მანქანით მარტო რომ მივგორავდი, სულ ვუსმენდი ხოლმე. ამ ბოლო დროს ჩემი მანქანის მაგნიტოფონმა ისეთი ოინები დამიწყო, რომ რჩეული კასეტის შიგ ჩადებას ველარ ვბედავ. სახლში კი საამისო დროს ვერასოდეს ვპოულობ. და მაინც, ეს კასეტა ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი ნივთია. იქნებ წლის ბოლოდან, როცა მომვლელად აღარ ვიმუშავებ, უფრო ხშირად მოვახერხო მოსმენა.

ჯუდი ბრიჯუოტერის ალბომია, Songs After Dark. ამჟამად რომ მაქვს, ჰეილშემის კასეტა არ არის. ის კასეტა დავკარგე. ეს კი მე და ტომიმ ნორფოლკში ვიპოვეთ წლების შემდეგ. ამას მოგვიანებით გიამბობთ. ახლა კი იმ პირველ, დაკარგულ კასეტაზე მოგიყვებით.

სანამ განვაგრძობდე, უნდა აგიხსნათ, რას წარმოადგენდა იმხანად ჩვენთვის ნორფოლკი. პატარაობაში ჩატარებულ ერთ გაკვეთილზე დაწყებული ამბავი წლების განმავლობაში გაგრძელდა და ერთგვარ შიდა ხუმრობადაც იქცა.

ინგლისის სხვადასხვა საგრაფოზე თვით მის ემილი მოგვითხრობდა. დაფაზე დიდ რუკას კიდებდა და გვერდით მოლბერტს აყენებდა. თუ, ვთქვათ, ოქსფორდშირზე საუბრობდა, მოლბერტზე ოქსფორდშირის სურათებიან მოზრდილ კალენდარს კიდებდა. სურათებიანი კალენდრების კარგი კოლექცია ჰქონდა და საგრაფოების უმეტესობას მათი საშუალებით გვაცნობდა. რუკის რომელიღაც წერტილზე საჩვენებელი ჯოხის წვერს მიაბჯენდა და, პარალელურად, მოლბერტზე ახალ სურათს გადაფურცლავდა. გვიჩვენებდა მდინარით გაყოფილ პატარა სოფლებს, ფერდობზე წამოჭიმულ თეთრ ძეგლებს, მინდვრის განაპირას მდგარ ძველ ეკლესიებს. თუ ზღვისპირას მდებარე ადგილზე გვესაუბრებოდა, სურათებზე ხალხით მოფენილი პლაჟები ან თოლიებით გადაპენტილი კლდეები ჩანდა. სურდა, ჩვენც შეგვექმნოდა წარმოდგენა იმაზე, რაც ჩვენ გარშემო იყო. გასაოცარია: ახლაც კი, როცა ამდენი მილი გამივლია მომვლელის როლში, ქვეყნის რეგიონები თავში ისევ მის ემილის მოლბერტზე ნანახ სურათებად მახსენდება. მაგალითად, დერბშირისკენ გეზაღებული, მივხვდი, რომ რაღაც სოფლის სიმწვანეს ვეძებდი ლუდხანითა და ომის მემორიალით. გამახსენდა, რომ ასეთი სურათი მის ემილიმ გვაჩვენა დერბშირზე პირველად საუბრისას.

მის ემილის კალენდრების კოლექციას ერთი ნაკლი ჰქონდა: არც ერთ მათგანში არ იყო ნორფოლკის სურათი. იგივე გაკვეთილი თავიდან და თავიდან გვიტარდებოდა, მე კი სულ ნორფოლკის გამოჩენას ველოდი, მაგრამ უშედეგოდ. ჯოხს რუკის ზედა ნაწილზე ჩატარებდა და დაყოვნებით იტყოდა: „აქ კი ნორფოლკია, საუცხოო ადგილი“.

ერთ გაკვეთილზე, მახსოვს, გაჩერდა და ფიქრებში წავიდა. ალბათ, არ დაეგეგმა, რითი შეცვლიდა არარსებულ სურათს. ბოლოს ფიქრიდან გამოერკვა და ჯოხი ისევ რუკას მიარტყა.

– ხედავთ? ზღვაში გადაპარული კუზივითაა და ზედ არაფრის გზა არ გადის. ხალხი ჩრდილოეთით და სამხრეთით დადის, – ჯოხი ზემოთ-ქვემოთ გააქნია, – მაგრამ გზად ნორფოლკში არ ხვდებიან. ამიტომაც ნორფოლკი ინგლისის მშვიდი კუთხეა. მშვიდიც და დაკარგულიც.

დაკარგული კუთხე. ასე უწოდებდა მის ემილი და ასე დაიწყო ყველაფერი. ჰეილშემშიც გვქონდა „დაკარგული კუთხე“: მესამე სართული, სადაც დაკარგული ნივთები ინახებოდა. რამეს თუ დაკარგავდი, მოსაძებნად სწორედ იქ უნდა მისულიყავი. ვიღაცამ (ზუსტად არ მახსოვს, ვინ) თქვა, მის ემილი იმას გულისხმობს, რომ ინგლისში დაკარგული ყველა ნივთი თავს ნორფოლკში იყრის და ამიტომაც ჰქვია ინგლისის „დაკარგული კუთხეო“. ეს იდეა ბევრმა აიტაცა და მალე ჩვენი წლოვანების ყველა მოსწავლემ აღიარა.

არცთუ დიდი ხნის წინ მე და ტომი ამ ამბავს ვიხსენებდით. ტომის თქმით, ეს თავიდანვე ხუმრობა იყო და, სინამდვილეში, ნორფოლკი დაკარგული ნივთების კუთხედ არასოდეს მიგვიჩნევია. ჩემი აზრით, ცდებოდა. თორმეტი-ცამეტი წლის რომ ვიყავით, რა თქმა უნდა, ნორფოლკის ამბავი საერთო ხუმრობად იყო ქცეული. მე კი მახსოვს (და რუთიც მეთანხმება), რომ თავიდან მართლაც გვჯეროდა ნორფოლკის. გვჯეროდა, რომ, როგორც ჰეილშემში მოჰქონდათ სატვირთო მანქანებს სურსათი და სეილებს ნივთები, ასევე, ოღონდ უფრო დიდ მასშტაბში მთელ ინგლისში დადიოდნენ მანქანები, აგროვებდნენ ყველაფერ დაკარგულს, ყველაფერს, რაც ვინმეს მინდორში თუ მატარებელში დარჩენოდა, და მიჰქონდათ დანიშნულების ადგილზე, რომელსაც ნორფოლკი ერქვა. ამ ადგილის სურათის უნახაობა ფანტაზიას მხოლოდ მისტიკას მატებდა.

შეიძლება გაუგონარ ამბად ჟღერდეს, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ იმ პერიოდში ნებისმიერი ადგილი ჰეილშემს გარეთ ფანტასტიკურად გვეჩვენებოდა. იმაზე, თუ რა და როგორ ხდებოდა გარე სამყაროში, ყოვლად ზერელე წარმოდგენა გვქონდა. გარდა ამისა, ნორფოლკის თეორიის დაზუსტებას არანაირად არ ვცდილობდით. როგორც რუთმა თქვა ერთ მშვენიერ საღამოს დოუერში, კაფელებისანი ოთახიდან მზის ჩასვლის ცქერისას: „რამე ძვირფასს რომ ვკარგავდით, ყველგან ვეძებდით და ვერ ვპოულობდით, გულში მაინც ვიტოვებდით იმედს, რომ ერთ დღესაც, როცა გავიზრდებოდით და ქვეყანაზე მოგზაურობას შევძლებდით, ნორფოლკში წავიდოდით და დაკარგულ ნივთს უკან დავიბრუნებდით“.

მგონი, ამაში რუთი არ ცდებოდა. ნორფოლკი ჩვენთვის მართლაც ნუგემის წყარო იყო, ბევრად უფრო დიდი, ვიდრე მაშინ ვაღიარებდით. ამიტომაც ვაგრძელებდით ნორფოლკზე ლაპარაკს უკვე წამოზრდილებიც, – ვითომ ხუმრობით, მაგრამ მაინც. ამიტომაც, მრავალი წლის შემდეგ, ნორფოლკის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში მე და ტომიმ ჩემი დაკარგული კასეტის ასლი რომ ვიპოვეთ, რაღაც ვიგრძენით. უბრალოდ კი არ გაგვეცინა, გული რაღაცნაირად აგვიძვრდა. მოგვინდა, ისევ დაგვეჯერებინა ოცნებისთვის, რომლის კარიც ჩვენთვის უკვე დახურულიყო.

ჰო, ჩემს კასეტაზე მინდოდა მომეყოლა. ჯუდი ბრიჯუოტერის Songs After Dark, თავის დროზე, ალბათ, დიდ ფირფიტაზე ჩაწერილი, 1956 წელს გამოემავა. ჩემი კასეტის გარეკანი კი, ალბათ, ფირფიტის დაპატარავებული ყდა იყო. ჯუდის იმხანად პოპულარული, მხრიდან ჩამოვარდნილი, იისფერლაქებიანი კაბა აცვია, ბარის სკამზე ზის და მხოლოდ წელზემოდ ჩანს. ალბათ, სამხრეთ ამერიკაშია გადაღებული. უკან პალმები და სმოკინგში გამოწყობილი შავკანიანი მიმტანი მოჩანს. ჯუდის ბარმენის სამუშაო ადგილიდან უყურებ. ჯუდი შენ გიყურებს, მეგობრულად, არცთუ ძალიან გამომწვევად, თითქოს ოდნავ გეფლირტავება. თანაც, დიდი ხანია გიცნობს. ჯუდის მხრები ბარის თავზეა აზიდული, ხელში ანთებული სიგარეტი უჭირავს. სწორედ ამ სიგარეტის გამო გავხდი იძულებული, კასეტა ფარულად შემენახა სეილებზე პირველივე ნახვიდან.

თქვენთან როგორ იყო, არ ვიცი, მაგრამ ჰეილშემში მასწავლებლები მართლაცდა მკაცრად ეკიდებოდნენ მოწვევის საკითხს. ალბათ, ერჩივნათ, საერთოდ არაფერი გვცოდნოდა ამის შესახებ. ეს კი შეუძლებელი იყო, რის გამოც სიგარეტის ყოველ გამოჩენაზე ლექციებს გვიკითხავდნენ. ცნობილი მწერლის ან საზოგადო მოღვაწის სურათს თუ გვიჩვენებდნენ, ხელში სიგარეტი რომ ეჭირა, გაკვეთილი ფერხდებოდა.

ჭორიც კი დადიოდა: ისეთი წიგნები, როგორც შერლოკ ჰოლმსია, იმიტომ არ არის ჩვენს ბიბლიოთეკაში, რომ მისი გმირები ძალიან ბევრს ეწევიანო. ილუსტრირებულ წიგნში ან ჟურნალში ამოხეული გვერდის წაწყდომა კი იმას ნიშნავდა, რომ მწველის სურათი ამოიღეს. გარდა ამისა, ტარდებოდა ცალკე გაკვეთილებიც, სადაც გვიჩვენებდნენ საშინელ სურათებს, თუ რას უშვრებოდა მოწვევა ჩვენს ორგანიზმს. ამიტომაც გამოიწვია სკანდალი მარჯ ქეის მიერ მის ლუსისადმი დასმულმა შეკითხვამ.

რაუნდერებნათამაშევი ბალახზე ვისხედით. მის ლუსი სტანდარტულ რაღაცებს გვიყვებოდა მოწვევასთან დაკავშირებით. უეცრად მერჯიმ ჰკითხა, ოდესმე თვითონ თუ მოგიწევიათო. მის ლუსი ერთ ხანს დადუმდა, მერე კი უთხრა: – სიამოვნებით გიპასუხებდი არას, მაგრამ სიმართლე თუ გინდა, ერთხანს ვეწეოდი. ორი წელი, ახალგაზრდობაში.

პასუხმა გაგვაოგნა. სანამ მის ლუსი ხმას ამოიღებდა, მერჯის ყველანი მძვინვარედ ვუყურებდით: როგორ აკადრა ასეთი უხამსობა? ჩვენი აზრით, მერჯის ისეთივე წარმატებით შეეძლო ეკითხა მის ლუსისთვის, ვინმეს ნაჯახით თუ დასხმიხართ თავსო. მომდევნო დღეებში მერჯის სიცოცხლე ჯოჯობეთად ვუქცეით. აი, რომ გითხარით, ერთხელ მერჯის სახე ფანჯარაზე მივაღებინეთ და ტყისთვის ვაყურებინეთ-მეთქი. ეს სწორედ სიგარეტის ამბავს მოჰყვა. იმ წამს კი მის ლუსის პასუხმა ისე დაგვაბნია, რომ მერჯი სულ გადაგვავიწყდა. შემფოთებულები მივაჩერდით მის ლუსის და გაგრძელებას ველოდით.

ლაპარაკი რომ განაგრძო, მის ლუსი თითქოს თითოეულ სიტყვას წონიდა: – არ არის კარგი, რომ ვეწეოდი. არ ვარგოდა ჩემთვის და შევწყვიტე კიდეც. ისიც უნდა იცოდეთ, რომ მოწვევა თქვენთვის ბევრად, ბევრად უფრო მავნე იქნება, ვიდრე ჩემთვის იყო.

ამის შემდეგ გაჩუმდა და ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე ვილაც ამბობდა, ოცნებებში წავიდაო. მე და რუთი კი დარწმუნებულები ვიყავით, რომ იმაზე ფიქრობდა, შემდეგ რა ეთქვა.

– ეს თქვენ უკვე იცით. მოსწავლეები ხართ. თქვენ... გამოირჩევით. ჰოდა, თავის შენახვა და ჯანმრთელობის დაცვა თქვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემთვის.

ისევ გაჩუმდა და უცნაურად შემოგვხედა. მერე, როდესაც მის ლუსის ნალაპარაკებს განვიხილავდით, ვილაცამ თქვა, მაგ დროს ოცნებობდა, რომ ვინმეს გვეკითხა, რატომ არის ჯანმრთელობა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. არავინ ჰკითხა. ამ დღეზე ბევრი მიფიქრია და მოგვიანებით მომხდარი ამბის შემდეგ უკვე ვიცი, რომ ოღონდ გვეკითხა და მის ლუსი ყველაფერზე გვიპასუხებდა. მხოლოდ ერთი კითხვაც უნდა დაგვესვა მოწვევაზე და საკმარისი იქნებოდა.

რატომ არ ვკითხეთ არაფერი? ალბათ, იმიტომ, რომ მაშინაც კი – ცხრა თუ ათი წლის ასაკში – იმდენს ვხვდებოდით, რომ მსგავს საკითხებში სიფრთხილე გამოგვეჩინა. მნელია იმის გახსენება, ზუსტად რა და როგორ გვესმოდა. ის კი ვიცოდით, რომ განვსხვავდებოდით მასწავლებლებისგანაც და გარეთ მობინადრე ჩვეულებრივი ადამიანებისგანაც. ესეც ისე, ჭკუის დაუტანებლად გვესმოდა. ალბათ, ისიც ვიცოდით, რომ შორეულ მომავალში შეწირვა გველოდა. თუმცა ზუსტად არ გვესმოდა, მაინც რას

წარმოადგენდა ეს შეწირვა. ალბათ, უფრო იმიტომ ვარიდებდით თავს გარკვეულ თემებს, რომ არ გვსიამოვნებდა მათზე ლაპარაკი. სათუთი თემის გაგონებაზე მასწავლებლების გარდასახვის ყურებას ვერ ვიტანდით. ალბათ, ამიტომაც არ დავსვით ის მომდევნო კითხვა. ამიტომაც დავსაჯეთ მერჯი ქეი ასე მკაცრად რაუნდერების მატჩის შემდეგ დასმული უხერხული კითხვისთვის.

ჰოდა, სიგარეტის გამო ვმალავდი-მეთქი ჩემს კასეტას. ყდას უკუღმაც კი ვატრიალებდი, ჯუდი და მისი სიგარეტი პლასტმასის კოლოფის გახსნისთანავე რომ არ დაენახა ხალხს. თუმცა კასეტა სიგარეტის გამო როდი მომწონდა. არც ჯუდი ბრიჯუოტერის სიმღერებზე ვგიჟდებოდი. თავისი დროის ერთ-ერთი მომღერალი იყო, ბარის მუსიკას მღეროდა. ასეთები ჰეილშემში არ გვიზიდავდა. ჩემთვის მთავარი გახლდათ ერთი კონკრეტული, N3 სიმღერა: „არასოდეს გამიშვა“.

ნელი, მშვიდი და ამერიკული სიმღერაა, რომელშიც მეორდება ერთი ადგილი: „არასოდეს გამიშვა... პატარავ, ჩემო პატარავ... არასოდეს გამიშვა...“. მაშინ თერთმეტი წლის ვიყავი და ბევრ მუსიკას არ ვისმენდი, მაგრამ ეს სიმღერა გულში ჩამივარდა. სულ ისე ვცდილობდი კასეტის გადახვევას, რომ, როგორც კი დროს ვიხელთებდი, ჩემი საყვარელი სიმღერისთვის მომესმინა.

ხშირად არც მქონდა მოსმენის საშუალება: ეს ამბავი ხომ სეილებზე ყურსაცვამების გამოჩენამდე რამდენიმე წლით ადრე ხდებოდა. საბილიარდოში დიდი აპარატი იდგა, მაგრამ იქ იშვიათად თუ ჩამირთავს ჩემი კასეტა, რადგან სულ ხალხმრავლობა იყო. მოსმენა ხელოვნების ოთახშიც შეიძლებოდა, მაგრამ ხმაურიანობით არც ის ჩამოუვარდებოდა საბილიარდოს. ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანურად შემემლო მუსიკის მოსმენა, ჩვენი საძინებელი იყო.

ამ დროისთვის უკვე ცალკე კოტეჯებში განლაგებულ ექვსლოგიანიან საძინებლებში ვცხოვრობდით. ჩვენს საძინებელში, რადიატორის ზემოთ, თაროზე პორტატიული მაგნიტოფონი გვედო. სწორედ იქ შევდიოდი ხოლმე შუადღისას, როცა, როგორც წესი, ახლომახლო არავინ იყო, და ვუსმენდი და ვუსმენდი ჩემს სიმღერას.

მაინც რა მომწონდა ამ სიმღერაში? საქმე ის იყო, რომ ტექსტს წესიერად არ ვუსმენდი, მხოლოდ იმ ადგილს ველოდებოდი: „პატარავ, პატარავ, არასოდეს გამიშვა...“. წარმოვიდგენდი ქალს, რომელსაც უთხრეს, შვილი არ გეყოლებაო. ის კი მთელი ცხოვრება ბავშვებზე ოცნებობდა. მერე სასწაული მოხდა და მაინც ეყოლა შვილი. ჰოდა, აი, გულში ჩაკრული ბავშვით ბოლოთას სცემს და ღიღინებს: „არასოდეს გამიშვა, პატარავ...“. თან ბედნიერია, თან ეშინია, ჩვილი ავად რომ გაუხდეს ან ვინმემ წაართვას. თავიდანვე ვეჭვობდი, რომ არასწორ ინტერპრეტაციას ვაკეთებდი, რადგან ასეთი შინაარსი ტექსტის დანარჩენ ნაწილს არ ემთხვეოდა. მაგრამ ეს სულაც არ მადარდებდა. სიმღერა იმაზე იყო, რაზეც მე მოვინდომებდი, და როგორც კი დროს ვიხელთებდი, ვუსმენდი და ვუსმენდი.

იმ დროს კიდევ ერთი უცნაური რამ მოხდა, რაზეც ახლა გიამბობთ და რამაც გვარიანად ამაწრიალა. მომხდარის ნამდვილ მნიშვნელობას წლების მერეღა მივხვდი, თუმცა ამ უკანასკნელის არსებობას, ვგონებ, იმთავითვე ვგრძნობდი.

მზიან ნაშუადღევს რაღაცის ასაღებად საძინებლისკენ გავემართე. ოთახი კაშკაშებდა. ფარდების კარგად ჩამოფარება დავიწყებოდათ და მზეც უხვად იფრქვეოდა

ფანჯრებიდან. ჰაერში მტვრის ნაწილაკები ირეოდა. მუსიკის მოსმენას არ ვაპირებდი, მაგრამ რადგან ოთახში არავინ დამხვდა, კასეტა ინსტინქტურად ამოვიღე ჩემი კოლექციის ყუთიდან და მაგნიტოფონში ჩავდე.

ეტყობა, მაგნიტოფონს ხმა იმან აუწია, ვინც ჩემამდე გამოიყენა. არ ვიცი. მოკლედ, მუსიკა ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა გაისმა და, ალბათ, ამიტომაც გამომეპარა ის, რაც მოგვიანებით დავინახე. იქნებ, მხიარულებამ მომიდუნა ყურადღება? ნელა ვირხეოდი მუსიკასთან ერთად. მკერდზე წარმოსახვითი ბავშვი მყავდა მიკრული. კიდევ უფრო სასირცხვილოს მხდოდა ბალიში, რომელიც ბავშვის როლს ასრულებდა. ნელა ვცეკვავდი და, საყვარელი ფრაზის დრო რომ მოვიდოდა, ნაზად ვმღეროდი: – ჩემო პატარავ, პატარავ, არასოდეს გამიშვა...

სიმღერის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, რომ მივხვდი – მარტო არ ვიყავი. თვალეზი გავახილე და კარის ჩარჩოში მადამი დავინახე.

გავიყინე. მეორე წამში სხვაგვარი შიშიც დამეფულა. თავი უცნაურ გარემოში ვიგრძენი. კარი დაახლოებით ნახევრად იყო ღია. ძილის პერიოდის გარდა, კარის ბოლომდე დახურვის უფლება არ გვქონდა. მადამი ზღურბლს არ მოახლოებია, დერეფანში წყნარად იდგა და თავი ჩემი საქმიანობის სანახავად მოებრუნებინა. უცნაური ის იყო, რომ ტიროდა. შეიძლება, სწორედ მისმა ქვითინმა გამომაფხიზლა მუსიკიდან.

რამე უნდა ეთქვა ან ექნა. მადამი მასწავლებელი არ იყო, მაგრამ იქნებ მაინც გავეთათხე. მეც მივხვდებოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მაგრამ არა: იდგა და ტიროდა. თან ღია კარში ისეთი ჩვეული მზერით იყურებოდა, ჩემი ეშინიაო, გაფიქრებინებდა. თუმცა ამ მზერაში იყო კიდევ რაღაც, რასაც ვერ ჩავწვდომოდი.

რა მეთქვა, რა მექნა, რას დავლოდებოდი – არ ვიცოდი. იქნებ ოთახში შემოსულიყო, ეყვირა და დაერტყა კიდევ ჩემთვის. არ ვიცოდი. მადამი შებრუნდა. წამიც და, მისი ნაბიჯების ხმაღა მესმოდა. კოტეჯს ტოვებდა. შევამჩნიე, რომ კასეტაზე უკვე შემდეგი სიმღერა დაწყებულიყო. გამოვრთე და უახლოეს ლოგინზე ჩამოვჯექი. დავჯექი თუ არა, ფანჯრიდან თვალი მოვკარი, როგორ მიიჩქაროდა მადამი მთავარი შენობისკენ. უკან არ მოუხედავს, მაგრამ ზურგიდანაც შევატყვე, რომ ისევ ტიროდა.

რამდენიმე წუთში მეგობრებთან დავბრუნდი. მომხდარზე არაფერი მითქვამს. ვიღაცამ შემატყო, უცნაურად რომ გამოვიყურებოდი, და რაღაც ჩაილაპარაკა. მე მხოლოდ მხრები ავიჩიჩე და არაფერი მიპასუხია. არც მრცხვენოდა. რაღაცით იმ შეგრძნებას ჰგავდა, მანქანიდან გადმოსული მადამის შეფეთებისას რომ გავვიჩნდა. მერჩივნა, სულ არ მენახა ეს ქალი. ჩავთვალე, რომ ყველასთვის აჯობებდა, საძინებელში მომხდარი ამბავი პირად საიდუმლოდ დამეტოვებინა.

მხოლოდ ტომის მოვუყევი ორი წლის შემდეგ. ტბორთან განდობილ მის ლუსის ამბავს მოვაცოლე. მე თუ მკითხავთ, სწორედ მაშინ დავიწყეთ მე და ტომიმ წაწალი და კითხვების დასმა ჩვენ შესახებ: პროცესი, რომელიც წლების განმავლობაში გაგრძელდა. ჩვენს საძინებელთან მადამის გამოჩენის ამბავი რომ ვუყამებ, ტომიმ მარტივი ახსნა მოუძებნა. ამ დროს უკვე ყველამ ვიცოდით ის, რაც არ ვიცოდით საძინებლის და მადამის ამბის პერიოდში: ვერც ერთი ჩვენგანი შვილს ვერ იყოლიებდა. შესაძლოა, ჩემს ბავშვობაში შვილის არყოლის იდეას სადღაც კიდევაც მოვკარი ყური, თუმცა ხეირიანად ვერ გავაანალიზე. სიმღერა კი ისე გავიგე, როგორც

მინდოდა, რომ გამეგო. მაშინ ნამდვილად არ მეცოდინებოდა რიგიანად, რომ შვილს ვერ გავაჩენდი. როგორც ვთქვი, როდესაც მე და ტომიმ ამაზე ვილაპარაკეთ, უკვე ყველაფერი კარგად ვიცოდით. ეს ამბავი მაინცდამაინც არავის გვადარდებდა. ზოგს უხაროდა კიდევ, რომ თავის აუტკივრად დაკავდებოდნენ სექსით. თუმცა იმ დროს ჩვენს უმეტესობას სექსამდე კიდევ ბევრი უკლდა. ჰოდა, როდესაც საძინებელში მომხდარი ამბავი მოვუყევი, ტომიმ მომიგო: – თავისი უცნაურობის მიუხედავად, მადამი ცუდი ადამიანი არ უნდა იყოს. ბავშვთან ერთად მოცეკვავე რომ დაგინახა, ტრაგიკულმა განცდამ შეიპყრო. შენ ხომ ბავშვი ვერ გეყოლება. ჰოდა, მადამი სწორედ ამან აატირა.

– კი მაგრამ, ტომი, ის საიდანღა ეცოდინებოდა, რომ სიმღერას ბავშვებს ვუკავშირებდი? რა იცოდა, რომ ბალიში ბავშვის როლს ასრულებდა? ეგ ყველაფერი ხომ მხოლოდ მე ვიცოდი.

ტომი დაფიქრდა და ნახევრად ხუმრობით მიპასუხა: – იქნებ, მადამს აზრების კითხვა შეუძლია. უცნაური ქალია. იქნებ, პირდაპირ შეუძლია ადამიანში ჩახედვა. არ გამიკვირდება, ასე რომ აღმოჩნდეს.

ამ სიტყვებმა ორივე ჩაგვაფიქრა. კიდევ ბევრი ვიხიოთხითეთ, მაგრამ ამ თემაზე მეტი აღარაფერი გვითქვამს.

მადამის ამბიდან ორი თვის შემდეგ ჩემი კასეტა გაუჩინარდა. ეს ორი მოვლენა არც მაშინ დამიკავშირებია ერთმანეთთან და არც ახლა ვაკავშირებ. ერთ ღამეს, ძილის წინ, სანამ სხვები აბაზანიდან დაბრუნდებოდნენ, დროის გაყვანის მიზნით ჩემი კოლექციის კომოდში ვიქექებოდი. უცნაურია, მაგრამ კასეტის გაუჩინარება რომ შევნიშნე, პირველი ის ვიფიქრე: ასე საგონებელში ჩავარდნილი არავინ შემამჩნიოს-მეთქი. ისიც კი მახსოვს, როგორ ვლილინებდი გაუაზრებლად, სანამ ძებნას ვაგრძელებდი. ამაზე ბევრი მიფიქრია და მაინც არ ვიცი, როგორ ავხსნა: ოთახში უახლოეს მეგობრებთან ერთად ვცხოვრობდი, მაგრამ მაინც არ მინდოდა, კასეტის გაუჩინარება შეეტყვოთ.

აღბათ, იმიტომ დავმალე, რომ საერთოდ არავინ იცოდა, რა საუნჯე იყო ეს ნივთი ჩემთვის. აღბათ, ჰეილშემში ყველას გვქონდა ასეთი საიდუმლო საკუთარი კუნჭული, სადაც სხვებისგან განვმარტოვდებოდით ხოლმე ჩვენს შიშსა და სურვილებთან პირისპირ. თუმცა იმის გააზრება, რომ ასეთი კუნჭული გვჭირდებოდა, ჩვენს უმეტესობას მაინცდამაინც არ ეამებოდა. ამიტომ არც ვიაზრებდით.

მოკლედ, როცა დავრწმუნდი, რომ კასეტა დაიკარგა, ოთახის ყველა მეგობარს ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე, სადმე ხომ არ წაწყდომიხართ-მეთქი. მთლად შემფოთებულიც არ ვიყავი: შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, რომ კასეტა საბილიარდოში დამრჩა, ან ვიღაცამ წაიღო და დილას აპირებდა დაბრუნებას.

მეორე დღეს კასეტა არ გამოჩენილა და, საერთოდ, სად დაიკარგა, დღემდე არ ვიცი. სიმართლე თუ გაინტერესებთ, ჰეილშემში ბევრად მეტი ქურდობა ხდებოდა, ვიდრე მოსწავლეები ან მასწავლებლები ვადიარებდით. ამ ყველაფერს რუთის და მისი რეაქციისთვის ვყვები. გახსოვდეთ, რომ კასეტის დაკარგვის მომენტში თვეც არ იყო გასული იმ დღიდან, ხელოვნების ოთახში მიჯი რუთს პენალზე რომ შეეკითხა და მე რომ გვერდით დავუდექი. როგორც გითხარით, მას შემდეგ რუთი სულ ცდილობდა

რამით ეამებინა ჩემთვის, კასეტის დაკარგვა კი მისთვის ჩინებული შანსი აღმოჩნდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ კასეტის გაქრობის შემდეგ მოწესრიგდა ჩვენი ურთიერთობა იმ წვიმიანი დილის შემდეგ, რუთს სეილები ქალაქები რომ ვუხსენებ მთავარი შენობის სხვენში.

კასეტის დაკარგვის დამეს ნამდვილად ყველა გამოვკითხე, მათ შორის – რუთიც. ახლა რომ ვიხსენებ, ვხვდები, რომ რუთი სწორედ იქ და მაშინ მიხვდა, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის ამ ამბავს. იმასაც მიხვდა, როგორ ვერიდებოდი ალიაქოთს. ჰოდა, იმ დამეს გულცივი მხრების აჩეჩვით მიპასუხა და თავისი საქმე განაგრძო. მეორე დილას კი, აბაზანიდან რომ ვბრუნდებოდი, გავიგონე, როგორი ჩვეულებრივი ხმით – ვითომც აქ არაფერიაო – ეკითხებოდა ჰანას: დარწმუნებული ხარ, რომ კასეტა არ გინახავსო?

ორიოდე კვირაში კი, კასეტის დაკარგვას უკვე შეგუებული რომ ვიყავი, ლანჩის შესვენებაზე რუთი მომადგა. იმ გაზაფხულის ერთ-ერთი პირველი, ნამდვილად თბილი დღე იდგა. ბალახზე ვიჯექი და ორ უფროს გოგოს ვემასლაათებოდი. როდესაც რუთი მოვიდა და მითხრა, წამო, გავისეირნოთო, ექვციც არ შემპარვია, რომ რაღაც კონკრეტული საქმე ჰქონდა. უფროს გოგონებს მოვმორდი და რუთთან ერთად ჩრდილოეთის მოედნის კიდეს მივაშურე. იქიდან ჩრდილოეთის გორაზეც ავედით და ხის მესერსაც მივადექით. ქვემოთ მოსწავლეების ჯგუფებით დაწინწკლული სიმწვანე ჩანდა. გორის წვერზე ძლიერი ნიავი უბერავდა. ქვემოთ ეს არ მიგრძნია და გამიკვირდა. ერთხანს ვიდექით და ხედს გავყურებდით. შემდეგ რუთმა პატარა ჩანთა გამომიწოდა. გამოვართვი და მივხვდი, რომ შიგ კასეტა იდო. გული ამიფანცქალდა, მაგრამ რუთმა მაშინვე მითხრა: – შენი კასეტა არ არის, ქეთ. მინდოდა, შენ რომ დაკარგე, ის მეპოვა, მაგრამ მართლა გამქრალია.

– ჰო, – მივუგე, – წავიდა ნორფოლკში.

ორივეს გაგვეცინა. კასეტა იმედგაცრუებული სახით ამოვიღე ჩანთიდან. თუმცა, როდესაც ვათვალიერებდი, მგონი, სახეზე იმედგაცრუება აღარ მეწერა.

ხელში მეჭირა კასეტა სახელად „ოცი კლასიკური საცეკვაო მელოდია“. მოგვიანებით მოვუსმინე და საცეკვაო ორკესტრის მუსიკა გამოდგა. რუთი რომ მაძლევდა, არ ვიცოდი, რა მუსიკა იქნებოდა, თუმცა ერთს ნამდვილად მივხვდი: ჯუდი ბრიჯუოტერთან არაფერი ექნებოდა საერთო. ისიც შევამჩნიე, რომ რუთს ამდენი არ ესმოდა. საერთოდ, მუსიკის გაგებაში არ იყო და მისთვის ერთი კასეტა თავისუფლად შეცვლიდა მეორეს. უცებ ვიგრძენი, როგორ მტოვებდა იმედგაცრუება და როგორ მიპყრობდა სიხარული. გულში ჩაკვრა-ჩახუტების მსგავსი შესტები ჰეილშემში მაინცდამაინც არ გვჩვეოდა. მაღლობას რომ ვუხდიდი, რუთის ერთი ხელი ჩემი ორივეთი ჩავბლუჯე.

– ბოლო სეილზე წავაწყდი. ვიფიქრე, მოგეწონებოდა, – მითხრა მან.

დავეთანხმე.

კასეტა დღემდე შემომრჩა. ხშირად არ ვუსმენ, რადგან თვითონ მუსიკა არაფერ შუაშია. ბეჭედივით ან ბროშივით ნივთია. განსაკუთრებით – ახლა, რაც რუთი წავიდა, კასეტა ჩემი ერთ-ერთი უძვირფასესი ქონებაა.

თავი მეშვიდე

მსურს, ჰეილშემში ჩვენი ყოფნის ბოლო წლებზე გადავხტე, ანუ ცამეტიდან თექვსმეტ წლამდე ხანაზე. თექვსმეტისა რომ გავხდით, ჰეილშემი დავტოვეთ. ჩემს ცნობიერებაში იქაური ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: ეს ბოლო პერიოდი და ყველაფერი, რაც მანამდე იყო. პირველი წლები, რომლებზეც აქამდე გიამბობდით, ოქროს ხანასავით ერთ მთელად მეჩვენება. რაიმე ცუდ ამბავსაც რომ ვიხსენებდე იმ წლებიდან, მაინც ერთგვარ სითბოს ვგრძნობ. ბოლო წლები კი სხვანაირად მახსოვს. უსიხარულოს ვერ დავარქმევ, ამ წლებიდან ბევრ მოგონებას განძივით ვინახავ. მაგრამ ეს უფრო სერიოზული დრო იყო და, ზოგ რაღაცაში, უფრო ბნელიც. იქნებ ვაჭარებ კიდევ, მაგრამ თითქოს ისე გადატყდა ერთი პერიოდი მეორეში, როგორც დღე – დამეში.

საუბარი ტომისთან გუბურის პირას მიჯნად მიმაჩნია, მიჯნად ორ ეპოქას შორის. განა მაშინვე რაღაც მოხდა? არა, მაგრამ ის საუბარი ჩემთვის გარდატეხის წერტილს წარმოადგენს. ამის შემდეგ, მართლაცდა, სხვა თვალთ შევხედე ყველაფერს. თუ ადრე თავს ვიკავებდი, ახლა ცნობისმოყვარე გავხდი. უხერხულ საკითხებზე კითხვების დასმა დავიწყე. ხმამაღლა თუ არა, ჩემთვის მაინც.

ტომისთან საუბარმა მის ლუსი ახალ შუქურად წარმომიჩინა. როცა კი შემეძლო, თვალს ვადევნებდი. უბრალო ცნობისწადილი კი არ მამოძრავებდა, ამ ქალს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროდ მივიჩნევდი. ყველა დეტალს ვუსმენდი მის საუბარში, დეტალებს, რომლებიც ჩემს მეგობრებს ეპარებოდათ. ასე ჩაიარა მომდევნო ორმა წელმა.

მაგალითად, ერთხელ, ტბორთან საუბრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, მის ლუსი ინგლისურის გაკვეთილს გვიტარებდა. პოეზიას ვარჩევდით, მაგრამ ლაპარაკ-ლაპარაკში მეორე მსოფლიო ომის სამხედრო ტყვეებს მივადექით. ერთმა ბიჭმა იკითხა, ლობეებში დენი თუ გადიოდაო. მეორემ კი შენიშნა, რაოდენ უცნაური იქნებოდა ცხოვრება ისეთ ადგილას, სადაც ლობის შეხებით ყოველთვის შეგეძლო თავი მოგეკლათ. ამაში შეიძლება მართლაც იდო მნიშვნელოვანი აზრი, მაგრამ ყველას უბრალოდ სასაცილოდ მოგვეჩვენა. სიცილი და ლაზღანდარობა ავტეხეთ. ლორა კი, როგორც სჩვეოდა, სკამზე შედგა და გაითამაშა ეპიზოდი, რომელშიც ლობეში გაძვრომას ცდილობდა და ამ დროს დენმა დაარტყა. ერთ ხანს კლასი გაგიჟდა. ყველა ყვიროდა და დენდარტყმულს ჰზაძავდა.

ამასობაში მის ლუსისთვის თვალი არ მომიშორებია. დავინახე (სულ ერთი წამით), ჩრდილმა რომ გადაურბინა სახეზე კლასის ცქერისას. მე თვალს არ ვაშორებდი. მის ლუსიმ გონება მოიკრიბა, გაიღიმა და თქვა: – ჰეილშემის ლობეებში დენი არ გადის, მაგრამ ხანდახან აქაც ხდება საზარელი ამბები.

საკმაოდ ჩუმად თქვა. ბავშვები ჯერ კიდევ ხმაურობდნენ და მის ლუსის ხმა თითქმის ჩაიკარგა საერთო ხმაურში. მკაფიოდ მომესმა: „ხანდახან აქაც ხდება საზარელი ამბები“. რა ამბები? სად? მასწავლებლის ნათქვამი არავის აუტაცებია და ყველანი ჩვენს ლექსს დავუბრუნდით.

ასეთი პატარა ეპიზოდები კიდევ იყო და, სულ მალე, მის ლუსის სხვებისგან გამორჩეულ მასწავლებლად მივიჩნევდი. შეიძლება უკვე მაშინ ვხვდებოდი მისი ღელვისა და მელანქოლიის მიზეზს. თუმცა, შესაძლოა, ზედმეტი მომდის. მეტად სავარაუდოა, რომ მაშინ ყველაფერს ვამჩნევდი, მაგრამ მნიშვნელობას ვერ ვწვდებოდი. დღეს კარგად მესმის ამ ინციდენტების აზრი, ოღონდ იმიტომ, რომ ახლა ყველაფერს მოგვიანებით მომხდარი ამბების გათვალისწინებით ვუყურებ. კერძოდ, ერთ დღეს პავლიონში მომხდარს ვგულისხმობ, თავსხმა წვიმას რომ ვაფარებდით თავს.

მაშინ თხუთმეტის ვიყავით. ჰეილშემში უკვე ბოლო წელი გვექონდა. პავლიონში რაუნდერების სათამაშოდ ვემზადებოდით. იმხანად ბიჭებს „ძალიან უყვარდათ რაუნდერები“, რადგან თამაშის დროს არშიყის საშუალება ეძლეოდათ. ასე რომ, იმ ნაშუადღევს ოცდაათზე მეტნი ვიყავით. ტანსაცმელს რომ ვიცვლიდით, წვიმამ დაუშვა. ყველანი ვერანდაზე შევეგროვდით, პავლიონის სახურავქვეშ. წვიმის გადაღებას ველოდებოდით. ვერანდა მთლად გაივსო. ყველა მოუსვენრად წრიალებდა. მახსოვს, ლორა ცხვირის მოხოცვის უსაშინლეს გზას მასწავლიდა – ბიჭის თავიდან მოშორების უებარ წამალს.

მასწავლებლებიდან მხოლოდ მის ლუსი გვახლდა. მოაჯირზე დაყრდნობილი წვიმას გაჰყურებდა, თითქოს მოედნის მიღმა ცდილობდა გახედვას. მე თვალს არ ვაცილებდი. მართალია, ამ დროს ლორაზე ვიცინოდი, მზერას მაინც წამდაუწუმ მის ლუსისკენ ვაპარებდი. მისი პოზა მეუცნაურა. თავი ისე ქვემოთ ჩაეხარა, როგორც ნახტომისათვის მომზადებულ ცხოველს, და იმდენად შორს გაეწვდინა, რომ სახურავიდან ჩამოდენილი წყალი სულ რამდენიმე მილიმეტრზე ცდებოდა. თუმცა ეს სულ არ ადარდებდა. მახსოვს, თავს ვირწმუნებდი: ამ სანახაობაში უჩვეული არაფერია, უბრალოდ, მის ლუსის სურს, რომ წვიმამ გადაიღოს-მეთქი. ასე ვფიქრობდი და ლორას ვუბრუნდებოდი. რამდენიმე წუთი გავიდა. რაღაცაზე სიცილით ვიგუდებოდი და მის ლუსი აღარც მახსოვდა. უცებ შევამჩნიე, რომ ყველა გაჩუმებულიყო და მხოლოდ მასწავლებელი ლაპარაკობდა.

ისევ იქ იდგა, სადაც მანამდე, ოღონდ – სახით ჩვენკენ, ზურგით წვიმისა და მოღრუბლული ცისკენ.

– არა, არა, მაპატიეთ, უნდა გაგაწყვეტინოთ, – მიმართავდა მის წინ სკამზე მჯდომ ორ ბიჭს, უცნაური ხმით თუ არა, კარგა ხმამაღლა მაინც, ისე, როგორც რაღაცის გამოცხადებისას. ამიტომაც გავჩუმდით.

– არა, პიტერ, უნდა გაგაჩერო. შენი ჩუმიად მოსმენა აღარ შემძლია.

მერე ყველას შემოგვხედა და ღრმად ჩაისუნთქა: – კეთილი, შეგიძლიათ მომისმინოთ. ეს ყველას გეხებათ. დროა, ვინმემ ხმა ამოიღოს.

სანამ ხმისამოულებლად გვიყურებდა, ვიცდიდით. მოგვიანებით ვიღაცებმა თქვეს, გვეგონა, გვარიანად გამოგვლანძლავდაო. ზოგს უფიქრია, რაუნდერების თამაშის ახალ წესებს შევიტყობთო. მე კი ვიგრძენი, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანთან გვექონდა საქმე.

– ბიჭებო, უნდა მაპატიოთ, რომ გისმენდით. უბრალოდ, ზურგს უკან ისხედით და თქვენ საუბარს ვერ გავუქცევოდი. პიტერ, ხომ არ გინდა, ყველას უთხრა ის, რასაც ახლა გორდონს ეუბნებოდი?

პიტერ ჯეი შეცბა. დავინახე, როგორ მიიღო უდანაშაულო გამომეტყველება. მის ლუსიმ გაუმეორა, ამჯერად – ბევრად უფრო ნაზად: – მიდი, პიტერ. გთხოვ, გაიმეორო, რასაც ამბობდი!

პიტერმა მხრები აიჩეჩა: – მსახიობობაზე ვსაუბრობდით. რა კარგი იქნება-მეთქი. როგორ ვიცხოვრებდით.

– ჰო, – მიუგო მის ლუსიმ, – და გორდონს ეუბნებოდი, ამერიკაში მომიწევს წასვლა, მეტი შანსი რომ მქონდესო.

პიტერ ჯეიმ ისევ მხრები აიჩეჩა და ჩუმად ჩაიბუტბუტა: – დიახ, მის ლუსი.

ამჯერად მასწავლებელი ყველას გვიყურებდა.

– იცით, არ მინდა გული გატკინოთ, მაგრამ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ ამნაირად. სულ ეს მესმის. არც არავინ გიკრძალავთ და ასე აღარ შეიძლება.

მის ლუსის მხრებზე ისევ დაცვივდა სახურავიდან ჩამონადენი წვეთები. არ შეიმჩნია და განაგრძო: – სხვა თუ არავინ დაგელაპარაკებთ, ამას მე ვითავებ. საქმე ისაა, რომ ყველაფერი ნახევრად აგისხნეს. კი აგისხნეს, მაგრამ სათანადოდ არ გესმით. ზოგს, პირიქით, გიხარიათ კიდევ ასე ცხოვრება. მე კი არ მიხარია. წესიერი ცხოვრება თუ გინდათ, მაშინ უნდა იცოდეთ, კარგად იცოდეთ, რომ ვერც ერთი თქვენგანი ვერ წავა ამერიკაში. ვერც კინოვარსკვლავები გახდებით და ვერც სუპერმარკეტში იმუშავებთ. თქვენი ცხოვრება უკვე დაგეგმილია. გაიზრდებით და სანამ დაბერდებით, სანამ საშუალო ასაკს მიაღწევთ, თქვენი ორგანოების გაღებას დაიწყებთ. თითოეული თქვენგანი ამისთვის შექმნეს. თქვენ არ ხართ მსახიობები, ფილმებში რომ უყურებთ. ჩემნაირიც კი არ ხართ. ამქვეყნად ერთი მიზეზით გაგაჩინეს. თქვენი ცხოვრება თავიდანვე განსაზღვრულია. ჰოდა, ნულარ ილაპარაკებთ ეგრე. მალე ჰეილშემს დატოვებთ. მერე დიდი დრო არ გავა, რომ თქვენი პირველი შეწირვისთვის მოემზადებით. გახსოვდეთ ეს. თუ გსურთ, ადამიანურად იცხოვროთ, უნდა იცოდეთ, ვინ ხართ და რა გიწერიათ თითოეულ თქვენგანს.

თქვა და გაჩუმდა. მომეჩვენა, რომ გონებაში ლაპარაკს განაგრძობდა. ისე გვიყურებდა, თითქოს კიდევ ლაპარაკობსო. ისევ მოედნისკენ რომ შებრუნდა, ყველას ცოტათი მოგვეშვა.

– ამინდს არა უშავს, – თქვა მან, წვიმა კი ისევ და ისევ ასხამდა, – გავიდეთ და იქნებ მზეც გამოვიდეს.

მგონი, მეტი აღარაფერი უთქვამს. რამდენიმე წლის შემდეგ დოუერში რუთი მიმტკიცებდა, ბევრად მეტი გველაპარაკაო. ისიც გვითხრა: ჯერ მომვლელებად იმუშავებთ შეწირვების რიგის მიხედვით, მერე სარეაბილიტაციო ცენტრებში, და ასე შემდეგო. მე კი არ მახსოვს, რომ მის ლუსის მსგავსი რამ ეთქვას. არა, იქნებ აპირებდა კიდევ, როცა ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ჩვენი დაბნეული და შეწუხებული სახეების შემხედვარე მიხვდა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა.

ძნელია იმის ზუსტად თქმა, რა ეფექტი ჰქონდა მის ლუსის გამოსვლას პავილიონში. ხმა სწრაფად გავრცელდა, მაგრამ ეს ხმა მის ლუსის უფრო ეხებოდა, ვიდრე მის ნათქვამს. ამ ყველაფერს რომ ამბობდა, მის ლუსი სრულ ჭკუაზე არ იყო, ფიქრობდა

ზოგი. სხვების აზრით, ამით მან მის ემილისა და სხვა მასწავლებლების თხოვნა შეასრულა. ზოგი კი მიიჩნევდა, რომ მის ლუსი, უბრალოდ, გვლანძღავდა ჩვენი ზედმეტი რიარიასთვის. მთავარი სხვაა: საკუთრივ მის ლუსის ნათქვამზე თითქმის არავინ ლაპარაკობდა. და თუ ვინმე მაინც წამოიწყებდა ამ თემას, დანარჩენები უბრუნებდნენ: „მერე რა? ეგ ხო ისედაც ვიცოდით“.

მის ლუსიც ამას ამბობდა: თან ვიცით, თან არაო. რამდენიმე წლის წინ ტომისთან ერთად ამ ყველაფერს რომ ვიხსენებდი და „თან ცოდნის, თან არცოდნის“ ამბავი გავახსენე, ერთი თეორია შემომთავაზა.

მისი აზრით, მასწავლებლებს შესაძლოა მართლაც წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული ყველაფერი, რასაც ჰეილშემში გატარებული წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ, ისე, რომ ბოლოს მაინც ეს ყველაფერი გაუგებარი ყოფილიყო. არა, რაღაც დონეზე კი გვესმოდა, მერე დრო გადიოდა და უკეთაც ვიგებდით, ოღონდ ისე, რომ თვითონაც ვერ ვამჩნევდით.

ჩემთვის ეს შეთქმულებას წააგავს. არა მგონია, მასწავლებლებს ასეთი მასშტაბით ეეშმაკათ, მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი გამოდიოდა. შეწირვის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა თითქოს ყოველთვის მქონდა, ექვსი-შვიდი წლისასაც კი. ცოტა რომ წამოვიზარდეთ და მასწავლებლები საგანგებოდ დაგველაპარაკნენ, დიდად არაფერი გაგვეკვირვებია, თითქოს ეს ყველაფერი მანამდეც გაგვეგონა.

ახლა ვხვდები: სექსთან დაკავშირებულ პირველ სრულფასოვან გაკვეთილებს მასწავლებლები შეწირვის თემას ურევდნენ. მაშინ ცამეტი წლისა ვიყავით. სექსი გვალეღვებდა, გვანტერესებდა, ამიტომაც ყველაფერ დანარჩენს, რასაც გვეუბნებოდნენ, ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნელ-ნელა შემოგვაპარეს ინფორმაცია ჩვენი მომავლის შესახებ.

სამართლიანად თუ განვსჯი, ამ ორი საკითხის ერთად ახსნა ისედაც ლოგიკური გახლდათ. ასე მაგალითად: მაშინ, როცა გვიხსნიდნენ, რა სიფრთხილე უნდა გამოგვეჩინა სექსის დროს დაავადებისგან თავის დასაცავად, იმის ართქმა, ჩვენთვის ამ სიფრთხილეს რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ჰეილშემის გარეთ მობინადრე ადამიანებისგან განსხვავებით, ნამდვილად არ იქნებოდა სამართლიანი. ამ გზით შეწირვის საკითხსაც მალე მივადგებოდით.

ჩვენ რომ ბავშვები არ გვეყოლებოდა, ცალკე საკითხი იყო. თვით მის ემილიც ბევრს გვასწავლიდა სექსზე. ერთხელ, მახსოვს, ბიოლოგიის კლასიდან ნატურალური ზომის ჩონჩხიც კი შემოიტანა, რომ ენახვებინა, როგორ ხორციელდებოდა ეს პროცესი. გაოგნებულნი ვუყურებდით, როგორ აყენებდა ჩონჩხს სხვადასხვა პოზაში და როგორ უსირცხვილოდ ათამაშებდა თავის საჩვენებელ ჯოხს აქა-იქ. ისე დეტალურად გვიხსნიდა, რა, სად და როგორ ხდებოდა, თან – რომელ შემთხვევაში, თითქოს ისევე გეოგრაფიაზე ლაპარაკობსო. უეცრად ჩონჩხი უშვერ პოზაშივე დატოვა სამუშაო მაგიდაზე და ახლა იმაზე ალაპარაკდა, რაოდენ ფრთხილად უნდა შეგვეჩინა პარტნიორი სექსისთვის. არა მარტო დაავადებების გამო, არამედ, როგორც თავად თქვა, „სექსი თქვენს ემოციებზე თქვენთვისვე მოულოდნელ ზეგავლენას იქონიებს“. ჰეილშემის გარეთ, განსაკუთრებით კი – ჩვეულებრივ ადამიანებთან სექსში დიდი სიფრთხილე უნდა გამოგვეჩინა. გარეთ ხომ სექსი ბევრ სხვადასხვა რამეს უკავშირდებოდა. გარეთ ხალხი ჩხუბობდა და კლავდა კიდევ ერთმანეთს ვიღაცის

ვიდაცასთან დაწოლის გამო. ჰოდა, სექსიც სწორედ იმიტომ იყო გარეშე ხალხისთვის ცეკვაზე ან პინგ-პონგზე მეტი (ჩვენგან განსხვავებით), რომ ამ გზით შვილების ყოლა შეეძლოთ. ამიტომაც ადარდებდათ, ვინ ვისთან დაწვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდით – შვილი არც ერთს არ გვეყოლებოდა, გარეთ ჩვენც დანარჩენებით უნდა მოვქცეულიყავით. პატივი უნდა გვეცა წესებისთვის და სექსიც რაღაც მნიშვნელოვნად მიგვეჩნია.

მის ემილის ეს გაკვეთილიც ტიპური მაგალითი გახლდათ იმისა, რაზეც ვლაპარაკობ. ჩვენ მხოლოდ სექსზე ვფიქრობდით, ყველაფერი დანარჩენი კი თვითონ გვეპარებოდა გონებაში. ზუსტად ასე „თან გავიგეთ, თან ვერა“.

საბოლოოდ, გვარიანი ინფორმაცია ავითვისეთ. მახსოვს, როგორი ნახტომისებრი ცვლილება მოხდა შეწირვის თემის მიმართ იმხანად. მანამდე, როგორც უკვე ვთქვი, მუდმივად თავს ვარიდებდით ამ საკითხს. როგორც კი ლაპარაკი აკრძალულ თემას უახლოვდებოდა, გეზს ვუცვლიდით. ნებისმიერი ჭკუათხელისთვის კი, ვთქვათ – მერჯისთვის, რომელიც სიფრთხილეს არ გამოიჩენდა, მკაცრ დამსჯელობით ზომებს ვიღებდით. ცამეტი წლის ასაკიდან, როგორც გითხარით, ყველაფერმა შეცვლა დაიწყო. შეწირვებსა და მის ატრიბუტებზე მაინც არ ვსაუბრობდით, ეს საკითხი ისევ საჩოთიროდ მიგვაჩნდა, აი, სექსს კი ხშირად ვიყენებდით სახუმარო თემად. როგორც მახსენდება, შეწირვებზე ხმამაღლა ლაპარაკის აკრძალვა ისევ ძლიერად იდგა დღის წესრიგში. სამაგიეროდ, ცხვირწინ გამოფენილი ამ თემების დროდადრო სახუმაროდ გამოყენება თითქმის სავალდებულოც კი გახდა.

კარგ მაგალითს მოგიყვანთ. ერთხელ ტომიმ ღრმად გაიჭრა იდაყვი, ტბორთან საუბრამდე ცოტა ხნით ადრე, ანუ იმ დროს, როდესაც ტომი ჯერ კიდევ გამოდიოდა დასაცინ-დასაჩაგრე ტიპის სტატუსიდან.

მაინცდამაინც მძიმე ჭრილობა არც იყო. ყვავისთავასთან გაუშვეს, მაგრამ მალევე დაბრუნდა იდაყვზე მიწებებული ოთხკუთხა ბინტი. თავიდან ყურადღება არავის მიუქცევია. ორ დღეში ტომიმ ბინტი მოიხსნა და ნახევრად შეხორცებული ჭრილობა გამოაჩინა. კანის ზოგიერთი ადგილი ჭრილობის მეორე მხარეს მიხორცებოდა, სხვა ადგილებიდან კი რბილი, წითელი ნაწილაკები მოჩანდა. ამ დროს ლანჩს შევექცეოდით. ყველა შეგროვდა და შესძახა: „ფუჰ!“. შემდეგ ერთი წლით უფროსმა კრისტოფერ ეიჩმა ტომის უემოციო სახით უთხრა: – სამწუხაროა, რომ მაინცდამაინც მაგ ადგილას გაქვს. ნებისმიერ სხვა ადგილას საშიში აღარაფერი იქნებოდა.

ტომი აღელდა და ჰკითხა, რას გულისხმობო. იმხანად ეს ბიჭი მისთვის ავტორიტეტს წარმოადგენდა. კრისტოფერმა ჭამა განაგრძო და უზრუნველად მიუგო: – არ იცი? ეგრე, ზეგ იდაყვზე რომ გაქვს, შეიძლება გაიხსნას. ხელის სწრაფი მოხრაც საკმარისია. მარტო ეგ ადგილი კი არა, მთელი ხელი შეიძლება გადაგეხსნას. აი, ჩანთა რომ ელვა-შესაკრავით იხსნება, ისე. მეგონა, გეცოდინებოდა.

გავიგონე, როგორ აწუწუნდა ტომი, ყვავისთავამ რატომ არ გამაფრთხილაო. კრისტოფერმა მხრები აიჩეჩა: – ეგონა, რომ იცოდი. ეგ ყველამ იცის.

გარშემო რამდენიმე ბავშვი ბუტბუტით დაეთანხმა.

– ბოლომდე გაშლილი უნდა გეჭიროს, – დაამატა ვიდაცამ, – ცოტათი მოხრაც კი საშიშია.

მეორე დღეს დავინახე, როგორ მიაბიჯებდა ადელვებული ტომი გაშეშებული ხელით. ყველა დასცინოდა, რაც მე არ მომეწონა, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვისაც თავშესაქცევი სანახავი იყო. მერე, ნაშუადღევს მიწურულს, ხელოვნების ოთახს რომ ვტოვებდით, დერეფანში მომიახლოვდა და მითხრა: „ორ წუთს მოიცლი, ქეით?“

ეს დაახლოებით ორი კვირის მერე ხდებოდა მას შემდეგ, რაც მოედანზე მივუახლოვდი, პოლოს მაისურზე რომ შემეხსენებინა. ხმებიც გავრცელებულიყო, რომ მე და ტომი ვმეგობრობდით. ჰოდა, ასე მოსვლა და ცალკე ლაპარაკის მოთხოვნა უხერხულად ჩავთვალე და დავიბენი. ალბათ, ამიტომაც არ დავეხმარე ისე, როგორც შემეძლო.

– ძალიან კი არ ვღელავ, – დაიწყო ტომიმ, გვერდზე რომ დამიდგა, – უბრალოდ, სიფრთხილეს ვიჩენ, ესაა და ეს. ჯანმრთელობასთან თამაში არ შეიძლება. ქეით, დახმარება მჭირდება. ძილის მეშინია, ღამით იდაყვს ვერ გავაკონტროლებ. სულ მესიზმრება, რომ ურიცხვ რომაელ ჯარისკაცს ვებრძვი.

ცოტა ჩავეკითხე და მივხვდი, რომ ყველა – თვით ისინიც კი, ვინც იმ ლანჩის დროს იქ არ ყოფილა – მოდიოდა და ტომის კრისტოფერის ნათქვამს უმეორებდა. ზოგს განუვრცია კიდეც კრისტოფერის ხუმრობა: ტომის უამბეს ერთ მოსწავლეზე, რომელსაც მისნაირი ჭრილობით ჩაემინა და ჩონჩხად ამობრუნებული მკლავით გაეღვიძა. კანი კი გვერდზე დატყაპუნებულიყო „ჩემი მშვენიერი ლედის“ გრძელი ხელთათმანივით.

ახლა კი ტომი მთხოვდა, მკლავზე არტახის დამაგრებაში დამეხმარე, ღამით მყარად რომ მქონდესო.

– სხვებს არ ვენდობი, – მითხრა, სქელ სახაზავს რომ მაწვდიდა არტახში დასატანებლად, – შეიძლება საგანგებოდ გამიკეთონ ისე, რომ ღამე გამეხსნას.

უმწეო სახით მიყურებდა. არც კი ვიცოდი, რა მეთქვა. თან ძალიან მინდოდა, დაუფარავად მეთქვა სიმართლე. ნებისმიერი სხვა საქციელი იმ ნდობის ღალატი იქნებოდა, პოლოს მაისურზე შეხსენების შემდეგ რომ ჩამოგვიყალიბდა. მკლავი რომ ამეკრა, ტომის გამასხრების ერთ-ერთ მოთავედ ვიქცეოდი. ახლაც კი მრცხვენია, მაშინვე სიმართლე რომ არ ვუთხარი. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ ჯერ კიდეც პატარა ვიყავი და გადაწყვეტილების მისაღებადაც სულ რამდენიმე წამი მქონდა. თანაც, ვინმე ასე რომ გემუდარება სამსახურის გაწევას, უარის თქმა ძალიან ძნელია.

ალბათ, ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ თვითონ ტომის გაწბილება არ მინდოდა. ვხედავდი, რომ – მკლავზე ნერვიულობის მიღმა – ტომს გულს უჩუყებდა ზრუნვა, რომელიც, ეგონა, მის მიმართ გამოიჩინეს. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან სიმართლეს შეიტყობდა, მაგრამ იმ მომენტში თქმა ვერ გავხედე. ესლა ამოვთქვი: – ყვავისთავამაც გირჩია, ეგრე შეიხვიეო?

– არა, მაგრამ წარმოგიდგენია, როგორ გამიბრაზდება, იდაყვი რომ გამომივარდეს?

დღემდე მიმძიმს იმის გახსენება, რომ ხელის შეხვევას შევპირდი მეთოთხმეტე ოთახში, ძილის ზარამდე ნახევარი საათით ადრე. ტომი მაღლიერი და დაწყნარებული დამშორდა.

თუმცა დანაპირების შესრულება აღარ დამჭირდა. ტომიმ ყველაფერი შეიტყო. სადამოს რვა საათი იქნებოდა, მთავარ კიბეზე რომ ჩამოვდიოდი. პირველი სართულის კიბის უჯრედიდან ხმამაღალი ხარხარი მომესმა. გული შემიღონდა. უმალ მივხვდი, რომ ტომის ამბავი იყო. მეორე სართულზე შევჩერდი და მოაჯირიდან გადავიხედე. ტომიმ გაშმაგებით გამოალაჯა საბილიარდოდან. ყვირილით მაინც არ ყვირის-მეთქი, ვიფიქრე. არც უყვირია, ისე შევიდა გასახედელში, თავისი ნივთები აიღო და მთავარი შენობა დატოვა. მთელი ეს დრო საბილიარდოს ღია კარიდან ხარხარი ისმოდა: „პანიკაში თუ ჩავარდი, მერე უკვე ნამდვილად ამოგიხტება იდაყვი“, ყვიროდნენ ბიჭები.

ჯერ ვიფიქრე, გავყვები და დაველაპარაკები, სანამ საძინებელში შემასწრებს-მეთქი. მერე კი გამახსენდა, რომ ძილისთვის ხელის შეხვევას დავპირდი, და აღარ გავყევი. ვიდექი და ჩემს თავს ვუმეორებდი: „კიდევ კარგი, არ გაგიჟდა. კიდევ კარგი, გონება შეინარჩუნა“.

ცოტა შორს წავედი. ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, რომ ელვასავით გადახსნა – გამოთქმა, რომელიც ტომის იდაყვმა დაბადა – შეწირვასთან დაკავშირებულ საერთო ხუმრობად გვექცა. ანუ, როცა დრო მოვიდოდა, სხეულს „ელვით გადაიხსნიდი“, თირკმელი ან რომელიმე ორგანო გამოხტებოდა და შენც ჩააბარებდი. მაინცდამაინც სასაცილოდ არ მიგვაჩნდა და მხოლოდ იმისთვის ვიყენებდით, რომ მავანისთვის ჭამის მადა დაგვეკარგვინებინა. მაგალითად, ვითომ ელვით გახსნილი სხეულიდან ღვიძლს ვიღებდით და ვინმეს ლანგარზე ვუდებდით, ან რამე ამდაგვარი. მახსოვს, ერთხელ დიდი მადის პატრონი გარი ბი პუდინგის მესამე დამატებით მოდიოდა. თითქმის მთელი მაგიდა იხსნიდა ელვას და ლანგარს თავ-თავისი ორგანოთი უვსებდა. ამასობაში გარი მშვიდად განაგრძობდა ჭამას.

ელვასთან დაკავშირებული ხუმრობები ტომის არასოდეს მოსწონდა. თუმცა იმ დროს ტომის წვალემა უკვე დამთავრებული ამბავი იყო და მას არც ხუმრობას უკავშირებდა ვინმე. ხუმრობდნენ, რომ ეცინათ. ხუმრობდნენ ვინმესთვის მადის გასაფუჭებლად და, ალბათ, გარკვეულწილად, იმასთან შესაგუებლად, რაც გველოდა. ჩემი აზრით, ასე იყო. ამ დროისთვის დონორობის საკითხი ისე აღარ გვაშინებდა, როგორც ერთი ან ორი წლით ადრე. თუმცა არც მაინცდამაინც სერიოზულად ვფიქრობდით ამაზე და არც ვსაუბრობდით. ელვის ამბავი კარგად ასახავს იმას, თუ რა დამოკიდებულება გვქონდა შეწირვასთან ცამეტი წლის ასაკში.

ჰოდა, მე თუ მკითხავთ, მის ლუსიმ საკმაოდ სწორად თქვა: „თან იცით და თან არაო“. გარდა ამისა, დღევანდელი გადასახედიდან, იმ ნაშუადღევს მის ლუსის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ბევრი რამ შეცვალა. იმ დღის შემდეგ ნელ-ნელა იკლო შეწირვასთან დაკავშირებულმა ხუმრობებმა და ჩვენც საგნებზე მართებულად ფიქრი დავიწყეთ. შეწირვა ისევ მოსარიდებელი თემა გახდა, მაგრამ არა ისე, როგორც ბავშვობაში. ამჯერად ის არა უხერხულ, არამედ მძიმე და სერიოზულ თემად მიგვაჩნდა.

– უცნაურია, – მითხრა ტომიმ რამდენიმე წლის წინ, ამბებს რომ ვიხსენებდით, – არავის გვიფიქრია იმაზე, თუ თვითონ მის ლუსი რას გრძნობდა. არავის უფიქრია, რომ იმისთვის, რაც გვითხრა, შეიძლებოდა უსიამოვნებას გადაჰყროდა. იმ დროს ისეთი ეგოისტები ვიყავით.

– ეგ ჩვენი ბრალი არ არის, – მივუგე მე, – ეგრე გაგვზარდეს. ერთმანეთზე უნდა გვეფიქრა და არა – მასწავლებლებზე. არასოდეს გვიფიქრია, რომ მასწავლებლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

– მაგ დროს ისეთი პატარები აღარ ვიყავით, – მიპასუხა ტომიმ, – უნდა მოგვსვლოდა თავში, მაგრამ არ მოგვივიდა. საბრალო მის ლუსისზე სრულებით არ გვიფიქრია. მხოლოდ მას შემდეგ ჩავუფიქრდით, შენ რომ დაინახე.

მაშინვე მივხვდი, რას გულისხმობდა: ჰეილშემში გატარებული ჩვენი ბოლო ზაფხულის დასაწყისს. ერთ დილას მის ლუსის შევეფეთე ოცდამეორე ოთახში. ახლა თუ მკითხავთ, ტომის დავეთანხმები: იმ დღის შემდეგ ჩვენც კი უნდა მივმხვდარიყავით, რა უსიამოვნებები შეიძლებოდა შემთხვევოდა მის ლუსის. თუმცა, როგორც ტომიმ თქვა, თავს მასწავლებლის ადგილზე არასოდეს წარმოვიდგენდით. არც მასწავლებლის გამხნეება ან მხარში ამოდგომა მოგვსვლია აზრად.

თავი მერვე

იმ დროს ბევრი ჩვენგანი უკვე თექვსმეტი წლის გახდა. მზით გაბრწყინებული დილა იდგა. მთავარ შენობაში ჩატარებული გაკვეთილიდან ეზოში ჩავედით. ამ დროს გამახსენდა, რომ კლასში რაღაც დამრჩა. მეოთხე სართულზე ავბრუნდი და... მაშინ იყო, მის ლუსისთან ის ამბავი რომ შემემთხვა.

იმ დროს ერთ საიდუმლო თამაშს ვთამაშობდი ხოლმე. მარტო დარჩენილი გავირინდებოდი და ვიწყებდი ხედის ძებნას, ფანჯრიდან გარეთ ან ღია კარიდან ოთახში. მთავარია, ამ ხედში ადამიანი არ მოხვედრილიყო. ამ გზით, რამდენიმე წამით მაინც წარმოვიდგენდი, რომ ჰეილშემში სულაც არ იყო ბავშვებით გადატენილი. ეს იყო ერთი წყნარი და მშვიდი ადგილი, სადაც ხუთ-ექვს სხვა ადამიანთან ერთად ვცხოვრობდი. ეს რომ გამოგსვლოდა, თავით ოცნებაში უნდა ჩაძირულიყავი და ყველა უადგილო ხმა თუ ხმაური გამოგერთო. ხშირად მოთმინებით ლოდინიც დაგჭირდებოდა. ვთქვით, ფანჯრიდან მოედნის რომელიღაც ნაწილს თუ უყურებდი, კარგა ხანს მოგიჩვენებდა ცდა, სანამ შენი ხედვის ჩარჩოში მოქცეული სივრცე მთლიანად დაიცლებოდა ხალხისგან, თუნდაც ორიოდე წამით. ჰოდა, იმ დღესაც, კლასში დარჩენილი ნივთი ავიღე, მეოთხე სართულის კიბის უჯრედში გამოვედი და ჩემი თამაში დავიწყე.

ჩუმად ავიტუხე ერთ ფანჯარასთან. ეზოს ზუსტად იმ ადგილას გადაჰყურებდა, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ვიდექი. ჩემი მეგობრები წასულიყვნენ. ეზო ნელ-ნელა იცლებოდა და მეც ჩემი თამაშის დაწყებას ველოდებოდი. ამ დროს, უკნიდან, გაზის თუ ორთქლის სწრაფი გამოტყორცნის მსგავსი ხმაური გავიგონე.

სისინი ასე ათიოდე წამს გრძელდებოდა, ჩერდებოდა და ისევ იწყებოდა. შემემინდა, მაგრამ რადგან გარშემო სხვა არავინ იყო, მისვლა და გარკვევა გადავწყვიტე.

კიბის უჯრედი ხმის მიმართულებით გადავკვეთე და დერეფანს გავუყევი. გავცდი ოთახს, რომლიდანაც ახლახან გამოვედი და ბოლოდან მეორე, ანუ N22 ოთახამდე მივედი. ნახევრად ღია კარს მივუახლოვდი და სისინიც განახლდა. არ ვიცოდი, რის

აღმოჩენას ველოდი, კარი ფრთხილად რომ შევალე, მაგრამ მის ლუსის დანახვამ კი ნამდვილად განმაცვიფრა.

ოცდამეორე ოთახს იშვიათად იყენებდნენ გაკვეთილის ჩასატარებლად. ძალიან მოცუცქნული იყო და მთლად გაბღღვრიალებულ დღეებშიც კი შიგ მზის ორიოდ სხივი თუ აღწევდა. მასწავლებლები შედიოდნენ ხოლმე ჩვენი ნაწერების საკითხავად ან შესასწორებლად. იმ დღეს კი ოცდამეორე ოთახი ჩვეულებრივზე ბნელი იყო, რადგან დარაბები თითქმის ბოლომდე ჩამოეწიათ. ჯგუფის შემოსასხდომად ორი მაგიდა ერთმანეთზე მიედგათ, მაგრამ ოთახში მხოლოდ მის ლუსი იმყოფებოდა. მაგიდის უკან იდგა, მის წინ კი, ზედ მაგიდაზე, რამდენიმე მუქად მოელვარე ფურცელი დავინახე მიმოფანტული. თვითონ მაგიდაზე დახრილიყო საქმით გართული. შუბლი ახლოს მიეტანა მაგიდასთან, ხელებიც ზედ ეწყო და კალმით რაღაცას გაშმაგებით ჯღაბნიდა. მძიმე, შავი ხაზების ქვეშ კოხტა, ლურჯი ხელნაწერი დავლანდე. ცქერა განვაგრძე. ისე ხეხავდა კალმის წვერით მის ლუსი ფურცელს, როგორც ჩვენ ვხატავდით ხოლმე ჩრდილს ხატვის გაკვეთილზე. გაბრაზებული ჩანდა. თითქოს არც ფურცლის გახვრეტა ადარდებდა. უეცრად მივხვდი, რომ უცნაურ სისინს სწორედ ეს ჯღაბა იწვევდა, მუქი, მოელვარე ფურცლები კი ცოტა ხნის წინ კოხტა ხელნაწერით სავსე ჩვეულებრივი გვერდები იყო.

მის ლუსი ისე ჩაფლულიყო საქმეში, რომ გვიანდა შემამჩნია. შემკრთალმა ამომხედა და სახეზე სიწითლე შევნიშნე, სიწითლე და არა ცრემლების კვალი. ჯერ მიყურა, მერე კალამი დადო.

– სალამი, ახალგაზრდა ქალბატონო, – მომმართა და ღრმად ჩაისუნთქა, – რით შემიძლია დაგეხმარო?

მგონი, შევბრუნდი, რათა მის ლუსი და მისი ფურცლები აღარ დამენახა. ზუსტად არ მახსოვს, რა ვუთხარი. ვუთხარი თუ არა, როგორ გავიგონე სისინი და როგორ მეგონა, სადღაც გაზი იპარება-მეთქი. ასე იყო თუ ისე, რიგიანად არ გვისაუბრია. არც მას უნდოდა ჩემი იქ ყოფნა და არც მე. მგონი, უბრალოდ მოვუბოდიშე და გარეთ გამოვედი. თან თითქოს კიდევ ველოდი, რომ უკანვე მიმიხმობდა. არ მივუხმევარ. მახსოვს, როგორ ჩავირბინე კიბეზე დარცხვენილმა და აღშფოთებულმა. ოღონდ არ მენახა ის, რაც ვნახე, მეტს არაფერს ვინატრებდი. თუმცა, რომ გეკითხათ, რამ შეგაწუხაო, ვერ გეტყვით. სირცხვილი მაწუხებდა, სირცხვილი და ბრაზი, ოღონდ არა – მის ლუსისადმი. ძალიან დავიბენი და, ალბათ, ამიტომაც არ მითქვამს არაფერი მეგობრებისთვის, სანამ კარგა ხანმა არ განვლო.

იმ დილის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მის ლუსის უკან სულ სხვა, შესაძლოა სრულებით შემზარავი რამეც იმალებოდა და ჩემი გაფაციცებული დაკვირვებაც არ მომიდუნებია. დღეები გადიოდა და ვერაფერს ვიგებდი. არც ის გამიგია, რომ ოცდამეორე ოთახის ამბიდან სულ რამდენიმე დღეში მის ლუსისა და ტომის შორის ნამდვილად მოხდა რაღაც. რაღაც ისეთი, რამაც ტომის გზა-კვალი აუბნია. ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ის დრო, როდესაც მე და ტომი სასწრაფოდ გავუზიარებდით ერთმანეთს მსგავს სიახლეებს. იმ ზაფხულს ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რის გამოც თავისუფლად ვერ ვლაპარაკობდით.

ამიტომაც ამდენ ხანს ვერ შევიტყვე ტომისა და მის ლუსის ამბავი. მერე შეიძლებოდა ჩემივე თავი გამელანძღა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გამოვიცანი, ტომი არ მოვძებნე

და ყველაფერი არ დავაფქვევინე. მაგრამ, როგორც ვთქვი, მაშინ ბევრი რამ ხდებოდა ტომისა და რუთს შორის და კიდევ ბევრი სხვა რამეც. და ყველა ცვლილებას, რასაც ტომის ვამჩნევდი, ამ რაღაცებს ვაბრალებდი.

აღბათ, ზედმეტი იქნება იმის თქმა, რომ იმ ზაფხულს ტომის მთელი გარჯა წყალში იყრებოდა. მაგრამ დროდადრო მართლა მეშინოდა, რომ ისევ ის ძველი, ცვალებადი ტომი არ დაგვბრუნებოდა. მაგალითად, ერთხელ რამდენიმე ბავშვი პავილიონიდან საძინებლისკენ მოვდიოდით და ორ ბიჭთან ერთად მიმავალი ტომის ზურგში აღმოვჩნდით. სულ რამდენიმე ნაბიჯით გვისწრებდნენ წინ. სამივენი კარგ გუნებაზე იყვნენ. იცინოდნენ და ერთმანეთს ეძიძგილავენოდნენ. ჩვენ გვერდით მომავალი ლორა ბიჭების ოხუნჯობას აჰყვა. ტომის რაგბის მაისურზე უკან ტალახი მიჰკვროდა. როგორც ჩანს, მანამდე მიწაზე იჯდა. ვერც თვითონ შეემჩნია და ვერც მასთან მყოფ ბიჭებს. რომ დაენახათ, რამეს იხუმრებდნენ. ჰოდა, თავისი ხასიათის პატრონმა ლორამ რაღაც ამდაგვარი შესძახა: „ტომი! ზურგზე კაკა გაქვს! საიდან მოდიხარ?“

სრულიად მეგობრულად მიაძახა. და თუ სხვებმაც გაიცინეს ან დაამატეს რამე, სიბოროტე აქ არაფერ შუაში იყო. ასე ხომ ყოველთვის ვეხუმრებოდით ერთმანეთს. ტომი კი მაშინვე შედგა, მობრუნდა და ლორას მოქუფრული სახით შეხედა. შოკში ჩავცვივდით და ჩვენც შევჩერდით. ბიჭები ისევ გახალისებული ჩანდნენ. რამდენიმე წამს იმას ვფიქრობდი, ბოლო წლების განმავლობაში ტომი ახლა პირველად აფეთქდება-მეთქი. ის კი უეცრად მოწყდა ადგილიდან და ყველანი გაკვირვებული დაგვტოვა.

ანალოგიური რამ მოხდა, როდესაც ტომის პატრიცია სის კალენდარი ვაჩვენე. პატრიცია ჩვენზე სულ ორი წლით იყო უფროსი, მაგრამ მის მხატვრობას ძვირად აფასებდნენ. სურათების გაცვლის შემდეგ მისი ნამუშევარი ყოველთვის დიდ პოპულარობას იხვეჭდა. ყველაზე მეტად მისი კალენდარი მომწონდა. ბოლო გაცვლებამდე რამდენიმე კვირით ადრე უკვე გავარდა ხმა კალენდრის არსებობის შესახებ. მეც მოვახერხე და ვიშოვე. მის ემილის ინგლისის საგრაფოების სურათებიან კალენდარს არ ჰგავდა. თავის პატარა კალენდარში პატრიციას ჰეილშემში ცხოვრების თითო ეპიზოდი დაეხატა კალმით. ნეტა ახლაც თან მქონდეს, განსაკუთრებით – ზოგი თვის სურათი. მაგალითად, ივნისი და სექტემბერი. სექტემბრის ნახატში ზოგ მოსწავლესა და მასწავლებელსაც იცნობდით. ეს ერთ-ერთი იმ ნივთთაგანია, კოტეჯების დატოვებისას რომ დავკარგე. მაშინ ჩემი გონება სხვაგან ქროდა და კარგად ვერ მოვიფიქრე, რა უნდა წამომელო იქიდან. ამ ამბავს თავის დროზე დავუბრუნდები. ამჯერად კი იმას ვამბობ, რომ პატრიციას კალენდარი ნამდვილი მონაპოვარი იყო და ამიტომაც მიწოდდა ტომისთვის მეჩვენებინა.

ნაშუადღევს ბოლოს, სამხრეთის სათამაშო მოედანთან, დიდ ლედვსულელთან მზეში მდგომი ტომი დავლანდე. კალენდარი ჩანთაში მქონდა, მუსიკის გაკვეთილზე სხვებს ვუჩვენებდი. გადავწყვიტე, ტომისთანაც მივსულიყავი.

ჩართული უყურებდა უმცროსი ბიჭების ფეხბურთს მეზობელ მოედანზე. დაწყნარებული ჩანდა. რომ მივედი, გამიღიმა. ერთხანს გარკვეული თემის გარეშე ვილაპარაკეთ. მერე ვუთხარი: „ნახე, რა ვიშოვე, ტომი“. დიდი გამარჯვებულის ხმით ლაპარაკი არ მიცდია, უბრალოდ, კალენდარი ამოვიღე და გავუწოდე. როცა დახედა,

სახეზე კიდევ ეტყობოდა ღიმილი. თვალიერება რომ დაიწყო, შევამჩნიე, როგორ ჩაეკეტა გულში რაღაც.

– ეგ პატრიცია, – დავიწყე და მივხვდი, რომ უკვე მეც მეცვლებოდა ხმა, – ისეთი ჭკვიანია...

ტომი კალენდარს უკვე მიბრუნებდა. შემდეგ ხმის ამოუღებლად გამცდა და მთავარი შენობისკენ წავიდა.

ამ შემთხვევით უნდა მივმხვდარიყავი რაღაცას. წამითაც რომ დავფიქრებულყავი, მივხვდებოდი, რომ ტომის ეს ბოლო, უცნაური გამოხდომები მის ლუსის და მის შემოქმედებითობას უკავშირდებოდა. თუმცა იმ დროის სხვა გარემოებათა გამო ამ კუთხით საერთოდ არ მიფიქრია. ალბათ მეგონა, ძველი პრობლემები წარსულში დარჩა და ახლა მხოლოდ ახალი, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები თუ ჩააფიქრებს რომელიმე ჩვენგანს-მეთქი.

რა ხდებოდა მაშინ? ერთი ის, რომ რუთს და ტომის დიდი დაკადაკა მოუვიდათ. მანამდე ექვს თვეს ერთად იყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვიცოდით. მკლავგადახვეულები დადიოდნენ და ასე შემდეგ. ტომის და რუთს, როგორც წყვილს, პოზიირობა არ უყვარდათ და ამით სხვების პატივისცემას იმსახურებდნენ. ზოგი კი, მაგალითად, სილვია ბი და როჯერ დი ისე გულისამრევად იქცეოდნენ სხვების თანდასწრებით, რომ სანამ ყველა რწყევის ხმას არ გამოსცემდა, არ ჩერდებოდნენ. რუთი და ტომი კი სხვების დასანახად არასოდეს ღლაბუცობდნენ. და თუ ხანდახან მაინც ჩაეხუტებოდნენ ერთმანეთს, ნათლად ჩანდა, რომ ამას ბუნებრივად, ერთმანეთისთვის აკეთებდნენ და არა სხვების დასანახად.

სექსის თემა მთლად გვაბნევდა. ეს არცაა უცნაური: ჩვენ ხომ სულ თექვსმეტიოდე წლისა ვიყავით. დამატებით კი ის გვაბნევდა, რასაც ახლა უკვე ნათლად ვხედავ: თვითონ მასწავლებლებიც ვერ თანხმდებოდნენ ამ საკითხზე. ერთ მხარეს იდგა მის ემილის გამოსვლები. გვეუბნებოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, არ შეგვრცხვენოდა საკუთარი სხეულების, პატივი გვეცა ჩვენი „ფიზიკური მოთხოვნილებებისთვის“, თუ ორივე მხარეს ნამდვილად სურს, მაშინ „სექსი ადამიანის მშვენიერი ნიჭიაო“. თუმცა პრაქტიკაში მასწავლებლები, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდნენ რამის გაკეთებას წესების დაურღვევლად. ცხრა საათის შემდეგ ჩვენ ბიჭების საძინებელში ვერ შევდიოდით, ბიჭები – ჩვენსაში. საღამოობით საკლასო ოთახები, ფარდულები და პავილიონი ოფიციალურად დაკეტილად ითვლებოდა, მინდორში რამის მოხერხებაზე კი, ჯობდა, არც გეოცნებათ თვით მაშინაც კი, როდესაც საკმაოდ თბილოდა. მერე უცილობლად აღმოაჩენდით, რომ შენობიდან ვიღაც-ვიღაცები რიგრიგობით გითვალთვალებდნენ ბინოკლით. მოკლედ, მთელი იმ თეორიების ფონზე, რომლის მიხედვითაც სექსი მშვენიერი რამ იყო, ყველას ისეთი შეგრძნება გვექონდა, რომ თუ მასწავლებელი წაგვასწრებდა, უსიამოვნება არ აგვცდებოდა.

ასე კი ვამბობ, მაგრამ მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევა ვიცი. ერთხელ ჯენი სის და რობ დის მეთოთხმეტე ოთახში წაასწრეს. ლანჩის მერე ერთ-ერთ მერხზე განმარტობულიყვნენ და ამ დროს მისტერ ჯეკი შევიდა რაღაცის ასაღებად. ჯენის თქმით, მისტერ ჯეკი გაწითლდა და სასწრაფოდ გაბრუნდა გარეთ, წყვილმა კი ველარ განაგრძო, რადგან შეაწყვეტინეს. სანახევროდ ჩაეცვათ, როდესაც მისტერ ჯეკი შემობრუნდა. ვითომ პირველად შემოდისო – განცვიფრდა და შოკში ჩავარდა.

– ზუსტად ვიცი, რასაც შვრებოდით, და მსურს, გითხრათ, რომ ეს სრულებით უადგილოა! – უთხრა წყვილს და ორივე მის ემილისთან გაგზავნა. ამ უკანასკნელმა კი დანახვისთანავე გამოუცხადა, მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს და თქვენთვის არ მცალიაო.

– მაგრამ რის გამოც უნდა მოდიოდეთ, არ უნდა გექნათ. იმედია, აღარ გაიმეორებთ, – უთხრა ბავშვებს, სანამ თავისი საქალაქდებობით გარეთ გავიდოდა.

ჰომოსექსუალობა კიდევ უფრო დამაბნეველი საკითხი გახლდათ. ამას რატომღაც „ქოლგების სექსს“ ვეძახდით. თუ საკუთარი სექსის წარმომადგენელი მოგეწონებოდათ, „ქოლგა“ ხდებოდით. არ ვიცი, თქვენკენ რა ხდებოდა, მაგრამ ჰეილშემში ჰომოსექსუალიზმი ნამდვილად არ იყო პოპულარული. განსაკუთრებით, ბიჭები მწარდებოდნენ ამ საკითხზე. რუთის თქმით, ბავშვობაში საკმაოდ ბევრ ბიჭს ეცუდლულტა რაღაც, სანამ მიხვდებოდა, რას აკეთებდა. ამიტომ, მოგვიანებით, ასეთები უკვე სასაცილოდ დაძაბა ამ საკითხმა. არ ვიცი, მართალი იყო თუ არა რუთი, მაგრამ ვინმეს „ქოლგობაში“ დადანაშაულება ხშირად ჩხუბით მთავრდებოდა.

ამ ყველაფერზე რომ ვსაუბრობდით (ეს კი მაშინ დაუსრულებლად ხდებოდა), ვერ გადაგვეწყვიტა, უნდოდათ თუ არა მასწავლებლებს, რომ ჩვენ სექსი გვექონოდა. ზოგი ფიქრობდა, რომ უნდოდათ, ეგაა, ჩვენ ერთთავად არასწორ დროს ვარჩევდით. ჰანას თეორიის მიხედვით, ჩვენი წაბიძგება სექსისკენ მასწავლებელთა პირდაპირი მოვალეობა იყო, თუ არადა, კარგ დონორებად ვერ ჩამოგვყალიბდებოდით. ჰანას აზრით, რეგულარული სექსის არქონის შემთხვევაში თირკმლების და პანკრეასის ჯირკვლის მსგავსი ორგანოები კარგად ვერ იმუშავებდნენ. ვიღაც სხვამ თქვა: არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ მასწავლებლები „ნორმალურები“ არიანო. ამიტომაც ეუხერხულდებოდათ ეს თემა. მათთვის სექსი ბავშვის გაჩენის საშუალება იყო. კი იცოდნენ, რომ ჩვენ შვილები ვერასოდეს გვეყოლებოდა, მაგრამ მაინც ეძიებოდით ჩვენი სექსი. ალბათ, გულის სიღრმეში მაინც ფიქრობდნენ, რომ, საბოლოოდ, ბავშვის გაჩენით დავამთავრებდით.

ანეტ ბის სხვა თეორია ჰქონდა: მასწავლებლებს იმიტომ არ უნდოდათ სექსი ჩვენ შორის, რომ მერე იმათაც მოუნდებოდათ ჩვენთან დაწოლა. განსაკუთრებით, მისტერ კრისი გვიყურებს ეგრეო. ლორას თქმით კი, პირიქით, სწორედ ანეტს უნდოდა მისტერ კრისთან დაწოლა. ამ ნათქვამმა სიცილით ჩაგვაბჟირა. მასწავლებელთან დაწოლა ხომ სრულ აბსურდადაც ჩანდა და, ამავე დროს, გულისამრევადაც.

სინამდვილესთან ყველაზე ახლოს რუთის თეორია მივიდა.

– სექსს ჰეილშემის დატოვების მომდევნო პერიოდისთვის გვასწავლიან, – გვეუბნებოდა რუთი, – მართლა რომ მოგვეწონება ვინმე, ყველაფერი დაავადების გადადების გარეშე მოვახერხოთ: აი, რა სურთ ჩვენს მასწავლებლებს. ეს ყველაფერი – ჰეილშემის შემდეგ. აქვე რომ დავიწყოთ, არ უნდათ. შეფერხდებიან.

მე კი ვხვდებოდი, რომ არც იმდენი სექსი იყო ჰეილშემში, რამდენსაც ჰყვებოდნენ. უამრავი ხელის ფათური, კოცნა და წყვილები, რომლებიც მიგვანიშნებდნენ, რომ სექსი ჰქონდათ. ახლა ვფიქრობ, სინამდვილეში რამდენი იყო-მეთქი. თუ არავინ იტყუებოდა, მაშ, ჰეილშემში, საითაც უნდა გაგეხედათ, სექსის მეტს ვერაფერს დაინახავდით!

არსებობდა დაუწერელი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთის ნაკვეხნის სიღრმისეული გამოცდა იკრძალებოდა. მაგალითად, რომელიმე გოგოს დახასიათებისას ჰანა თუ თვალებს გადაატრიალებდა და ჩაიბუტბუტებდა: „ქალიშვილი“, ანუ „ჩვენ არ ვართ ქალიშვილები, მაგრამ ეგ არის და, აბა, რას მოსთხოვ?“, – არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეკითხა: „ვისთან ქენი? როდის? სად?“ არა, უბრალოდ, გამგებიანად უნდა დაგეკრა თავი. თითქოს არსებობდა პარალელური სამყარო, სადაც გარდავისახებოდით და სადაც მთელი ჩვენი სექსი ხორციელდებოდა.

ალბათ, მაშინვე ვხვდებოდი, როგორ არავინ აჯამებდა ყველა იმდროინდელ კვეხნას. ჰოდა, ბოლო ზაფხულის მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო თეთრ ყვავად ვგრძნობდი თავს. სექსმა დაიჭირა ადგილი, რომელიც რამდენიმე წლის წინ „შემოქმედებითობას“ ეჭირა. თუ ჯერ არ გამოგეცადა, აწი უნდა დაგეწყო, თანაც დაუყოვნებლივ. მე კი საქმეს ის მირთულეობდა, რომ ჩემს ორ უახლოეს მეგობარ გოგოს უკვე გამოეცადა. ლორას რობ დისტან (თუმცა ჩამოყალიბებული წყვილი არასოდეს ყოფილან), რუთს კი – ტომისთან.

კარგა ხანს ვმედღეხვალაობდი და მის ემილის რჩევას ვიმეორებდი: „თუ ვერ იპოვით ისეთ ვინმეს, რომელთანაც მართლა გენდომებათ ამ გამოცდილების მიღება, სულ ნუ გამოცდით!“ ბოლო გაზაფხულზე კი ნელ-ნელა დავიწყე ფიქრი, რომ ბიჭთან დაწოლაზე უარს არ ვიტყოდი. არა მარტო გამოსაცდელად, არამედ გამოცდილების მისაღებადაც. და სულაც არ იყო აუცილებელი, რომ პარტნიორის მიმართ დიდი გრძნობები მქონოდა. მოგვიანებით კი ვინმე განსაკუთრებულს გადავეყრებოდი და ყველაფრის სწორად გაკეთების მეტი შანსიც გამიჩნდებოდა. თუ მის ემილი არ ცდებოდა და სექსი ნამდვილად ამდენს ნიშნავდა ადამიანებისთვის, მაშინ ჯობდა მზად შეხვედროდი იმ მომენტს, როდესაც მართლა ექნებოდა მნიშვნელობა იმას, თუ როგორ ჩაივლიდა ყველაფერი.

რამდენიმე მიზეზით, თვალი ჰარი სის დავადგი. ერთი ის იყო, რომ ვიცოდი: უკვე ნამდვილად ჰქონდა გამოცდილება შერონ დისტან. მეორეც, რომ ჰარიზე მაინცდამაინც არ ვგიჟდებოდი, თუმცა არც გული მერეოდა. თანაც, წყნარი და შეგნებული ბიჭი იყო და, ჩემი კრახის შემთხვევაში, ხმებს არ დამიყრიდა. გარდა ამისა, რამდენჯერმე თვითონაც მანიშნა, რომ ჩემთან დაწოლა უნდოდა. კი, იქ ბევრი ბიჭი არშიყობდა, მაგრამ იმ დროისთვის უკვე აღარ მიჭირდა ნამდვილი შემოთავაზების გარჩევა უბრალო ბიჭური ოხუნჯობისგან.

ჰოდა, მეც ჰარი ავირჩიე. ბოლო ორ თვეს კი იმიტომ გადავწიე, რომ ჩემს ფიზიკურ მზაობაში დავრწმუნებულიყავი. მის ემილის ეთქვა, საკმარისად თუ არ დასველდით, შეიძლება ძალიან მტკივნეული იყოსო. მეც მალეღვებდა, ქვედა სართული არ დამხეოდა. ამაზე ხშირად ვხუმრობდით კიდეც და ეს საკმაოდ ბევრ გოგოს აღელვებდა გულში. ბევრს ვფიქრობდი: თუ საკმარისად სწრაფად დავსველდები, საშიში აღარაფერი იქნება-მეთქი. და რომ დავრწმუნებულიყავი, თვითონაც ხშირად ვმეცადინეობდი.

მესმის, შეიძლება იფიქროთ, რომ შეპყრობილი ვიყავი, მაგრამ დიდ დროს ვუთმობდი წიგნების იმ მონაკვეთების კითხვას, სადაც სექსი იყო აღწერილი. ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი იმავე სტრიქონებს, იქნებ რამე ინფორმაცია კიდეც გამომეწურა.

პრობლემა ის იყო, რომ ჰეილშემის ბიბლიოთეკა დიდად ვერ მეხმარებოდა. უხვად გვქონდა თომას ჰარდის და მისი მსგავსი მწერლების მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა, რომელიც ვერაფრით მიწვდიდა ხელს. თანამედროვე ავტორების – ედნა ო'ბრაიანის და მარგარეტ დრებლის წიგნებში ცოტაოდენი სექსი კი გვხვდებოდა, მაგრამ ავტორებს ევარაუდათ, რომ მკითხველს ამ საკითხში ისედაც დიდი გამოცდილება ჰქონდა და ამიტომაც დეტალებს აღარ გვიხსნიდნენ. მოკლედ, წიგნების ამბავი, ფაქტობრივად, ჩამეშალა და არც ვიდეომასალამ მომცა ბევრად უკეთესი შედეგი. ორი წლით ადრე საბილიარდოში ვიდეომანტიტოფონი დაგვიდგეს და ბოლო გაზაფხულისთვის კინოფილმების საკმაოდ კარგი კოლექცია დაგვიგროვდა. სექსი ბევრ ფილმში იყო, მაგრამ ძირითადად მხოლოდ აქტის დასაწყისს ან მხოლოდ სახეებს და ზურგებს აჩვენებდნენ. ხოლო თუ სასარგებლო სცენა გამოჩნდებოდა, მხოლოდ გაკვრით ასწრებდი ნახვას, რადგან ოთახში, შენ გარდა, კიდევ ოციოდე მოწაფე იჯდა. ჩამოვწყალიბეთ კონკრეტულ-საყვარელი სცენების რამდენჯერმე ნახვის სისტემა, მაგალითად, იმ ადგილისა ფილმში „დიდი გაქცევა“, სადაც ამერიკელი კაცი მოტოციკლეტით ახტება მავთულხლართებს. ყველა ერთხმად დაიძახებდა: „გადაახვიე! გადაახვიე!“, სანამ ვინმე პულტს აიღებდა და ამ ნაწყვეტს განმეორებით ვნახავდით, ხანდახან – სამ-ოთხჯერაც. თუმცა მარტო მე სექსის სანახავად „გადაახვიე“-ს ყვირილს ვერ დავიწყებდი.

კვირიდან კვირამდე ვდებდი და ვემზადებოდი. ზაფხული მოვიდა და მეც გადავწყვიტე, რომ უკვე ნამდვილად მზად ვიყავი. თავდაჯერებულობა ვიგრძენი და ჰარის გადაკრული ლაპარაკიც დავუწყე. ყველაფერი დალაგებულად, გეგმის მიხედვით მიდიოდა.

რუთის და ტომის დამორება კი მთლად ამირია გზა-კვალი.

თავი მეცხრე

ჰოდა, აი, რა მოხდა: რუთისა და ტომის განხეთქილებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხელოვნების ოთახში ვიჯექი და სხვა გოგონებთან ერთად ნატურმორტზე ვმუშაობდი. დახუთული დღე იდგა. ზურგიდან უშედეგოდ გვიბზუოდა ვენტილატორი. ნახშირით ვხატავდით. ვიღაცას მოლბერტები წაელო, რის გამოც ტილოები მუხლებზე გვეწყო. სინტია ისთან ერთად ვიჯექი. ვლაპარაკობდით და სიცხეს ვაპროტესტებდით. მერე ბიჭების თემასაც მივადექით და სინტიამ თავის აუწევლად თქვა: – და ტომი? ვიცოდი, რომ რუთთან ბოლომდე ვერ დარჩებოდა. ჰოდა, მე მგონი, ახლა შენი ჯერი დადგა.

სარეკლამო განცხადებასავით ისროლა. სინტია დაკვირვებული ადამიანი იყო. თანაც, ჩვენს სამეგობროს არ ეკუთვნოდა, რაც მის ნათქვამს მხოლოდ წონას მატებდა. სინტიას იმ გარეშე ადამიანად მივიჩნევდი, ცივი გონებით რომ აფიქსირებდა ყველაფერს. ჩემი და ტომის მეგობრობა დაწყვილების შემოსვლამდე წლებით ადრე დაიწყო. ჰოდა, შეიძლებოდა ვინმე გარეშე მაყურებელს რუთის შემცვლელადაც მივეჩნიე. ხმა არ ამომიღია. არც სინტიამ დაამატა რამე, არც რამის დამტკიცება უცდია.

ერთი-ორი დღის შემდეგ კი, ჰანასთან ერთად პავილიონიდან რომ გამოვდიოდი, მან ხელი წამკრა და მიმითითა ჩრდილოეთის მოედნისკენ, სადაც ბიჭები თამაშობდნენ.

- შეხედე, - მითხრა ჩუმად, - ტომი მარტო ზის.

მხრები ავიჩეჩე. ვითომ ვეუბნებოდი, მერე რა-მეთქი, და ამით დავამთავრეთ. მოგვიანებით კი მივხვდი, რომ ბევრს ვფიქრობდი ამაზე. შეიძლება ჰანას მხოლოდ იმის ჩვენება უნდოდა, როგორი განმარტოებული იყო ტომი რუთთან დაშორების შემდეგ. მაგრამ არა, სულ ეს არ იყო. ჰანას კარგად ვიცნობდი. ისე მიბიძგა, ისე დაუწია ხმას, რომ ეჭვი არ იყო, ჰანაც იმავე ვარაუდს გამოთქვამდა, რასაც სინტია.

ამან დამაბნია. მანამდე მშვიდად მივყვებოდი ჩემს გეგმას ჰარისთან დაკავშირებით. ახლა დარწმუნებული ვარ, სინტიას სიტყვები რომ არა, აუცილებლად დავწვებოდი ჰარისთან. ყველაფერი დალაგებული მქონდა და ჩემი მზადებაც გეგმას მისდევდა. ახლაც მგონია, რომ ჩემი ცხოვრების იმ ეტაპისთვის ჰარი მართლაც კარგი არჩევანი იყო. ვფიქრობ, ყურადღებით და სინაზით მომეპყრობოდა. მიხვდებოდა, ზუსტად რას ველოდი მისგან.

ჰარისთან მოკლე შეხება ორი წლის წინაც მქონდა უილტშირის რეაბილიტაციის ცენტრში. შეწირვის შემდეგ შემოეყვანათ. მეც ვერ ვიყავი ხასიათზე: წინა ღამეს ჩემი მოსავლელი გარდაიცვალა. არაფერს მატრალეზდნენ - მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ მაინც ვერ ვიყავი ხასიათზე. მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, ყველა საკითხი მოვაგვარე. მთავარ მიმღებში ვიყავი და წასასვლელად ვემზადებოდი, ჰარი რომ შემოიყვანეს. მგორავ სავარძელში იჯდა. მოგვიანებით გავარკვიე, რომ სიარული შეეძლო, უბრალოდ, ძალიან სუსტად ყოფილა. ისიც არ ვიცი, მიცნო თუ არა, როცა მივესალმე. მის მეხსიერებაში საგანგებო ადგილის დაჭერის პრეტენზია არასოდეს მქონია. ერთ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, ახლო ურთიერთობაც არასოდეს გვქონია. მისთვის - თუ საერთოდ ვახსოვდი - წარმოვადგენდი ერთ ჩვეულებრივ გოგოს, რომელიც ერთხელ მიადგა და სექსი შესთავაზა, მერე კი უკან დაიხია. თავისი ასაკისთვის ძალზე დარბაისლურად მოიქცა და არ გამივრცელა ჭორები, რომ ტყუილუბრალოდ ვლაქლაქებ ან რაღაც ამდაგვარი. ჰოდა, რომ დავინახე, როგორ შემოჰყავდათ იმ დღეს, მაღლიერების გრძნობა დამეუფლა და მისი მომვლელია მომიწია. მიმოვიხედე. ჰარის მომვლელი არსად ჩანდა. ცენტრის მუშაკებს ჯარის დაბინავება ეჩქარებოდათ, ამიტომაც დიდხანს ვერ ვესაუბრე. მხოლოდ მივესალმე და მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე. ჰარიმ დაღლილად გამიღიმა. ჰეილშემი რომ ვუხსენე, ცერა თითი ასწია, მაგრამ მივხვდი, რომ ვერ მიცნო. იქნებ მოგვიანებით მაინც გავეხსენებინე, როცა დაისვენებდა და წამლების მოქმედება გაუნელდებოდა.

ჰოდა, ძველ დროზე ვლაპარაკობდი: როგორ ამიბნია გზა-კვალი რუთისა და ტომის დაშორებამ. ახლა ჰარის რომ ვიხსენებ, ცოტათი მეცოდება კიდევ. მთელ კვირას ნიშნებს ვაძლევდი და უეცრად მისი თავიდან მოშორება დავიწყე. ალბათ, ისიც ვიგრძენი, რომ ძალიან ვუნდოდი, მე კი თავი უნდა ამერიდებინა. როცა კი დავინახავდი, პატარა მინიშნებას ჩავაგდებდი და უცბად ვშორდებოდი, ისე, რომ პასუხის გაცემას ვერ ასწრებდა. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა ჩავუფიქრდი, მივხვდი, რომ შესაძლოა სულ არ ფიქრობდა სექსზე. იქნებ ყველაფერი დაევიწყებინა კიდევ. ერთი ის იყო, რომ, როგორც კი თვალს მოვკრავდი დერეფანში ან შენობის გარეთ, მივირბენდი ხოლმე და ჩავჭურჩულელებდი მიზეზს, თუ რატომ არ მინდოდა მასთან სექსი ამჯერად. ალბათ, გიჟი ვეგონე და ასეთი წესიერი ადამიანი რომ არ ყოფილიყო, სულ მალე ყველას დასაცინი ობიექტი შევიქნებოდი. ჰოდა, ჰარის

თავიდან მოშორების პერიოდმა, ასე, ორ კვირას გასტანა. მერე კი რუთმაც მთხოვა თავისი სათხოვარი.

იმ ზაფხულს, სანამ თბილი ამინდები მიიღოდა, მე და რუთი მუსიკის ერთობლივ მოსმენას შევეჩვიეთ მინდორში. უკვე წინა წლის სეილებზე ჰეილშემში უოლკმენები გამოჩნდა. ამ დროისთვის კი ჩვენს ხელში უკვე ექვსი აპარატი ტრიალებდა. ახალი მოდაც გვქონდა: რამდენიმე ადამიანი წრეზე სხდებოდა ბალახში და ერთი უოლკმენით რიგრიგობით უსმენდა მუსიკას. ნამდვილად უტვინო მეთოდია მუსიკის მოსასმენად, მაგრამ გვსიამოვნებდა. ასე, ოც წამს უსმენდი და ყურსაცვამს სხვას აწოდებდი. თუ კასეტას არ გამოცვლიდი, გარკვეული ხნის შემდეგ ისეთი განცდა გეუფლებოდა, თითქოს მუსიკას მთლიანად მოუსმინე. როგორც ვთქვი, იმ ზაფხულს ნამდვილი მოდა შემოვიდა. ლანჩის შესვენებაზე ბალახზე უოლკმენების ირგვლივ შემომსხდარ მოსწავლეებს ნახავდით. მასწავლებლებს ეს დიდად არ მოსწონდათ: ერთმანეთს ყურის ინფექციებს გადასდებთო, მაგრამ დაშლით მაინც არ გვიშლიდნენ. იმ ზაფხულს ვერც კი ვიხსენებ უოლკმენებთან ერთად გატარებული ნაშუადღევების გარეშე. ვინმე მოხეტიალდებოდა და იკითხავდა: „რას უსმენთ?“ პასუხი თუ მოეწონებოდა, ბალახზე ჯდებოდა და თავის ჯერს უცდიდა. ასეთ დროს თითქმის ყოველთვის კარგი ატმოსფერო იდგა. ვერ ვიხსენებ, რომ ვინმესთვის მუსიკის მოსმენინებაზე უარი ეთქვათ.

ჰოდა, სწორედ მუსიკით ვიყავი გართული გოგონებთან ერთად, რუთი რომ მომადგა და ვილაპარაკოთო, მთხოვა. ვიგრძენი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი და ყველანი იქვე დავტოვე. ჩვენს კოტეჯამდე ვიარეთ. ოთახში რომ შევედი, რუთის საწოლზე დავჯექი ფანჯარასთან ახლოს. მზე თბილად ანათებდა. რუთი ჩემს ლოგინზე ჩამოჯდა უკანა კედელთან. ოთახში ნარცეცხლა დაბზუილებდა. ცოტა ხნით ნარცეცხლ-ჩოგბურთი ვითამაშეთ და ვიცინეთ. ხელებს ჰაერში ვიქნევდით, რათა შემფოთებული არსება ერთისგან მეორისკენ გაფრენილიყო. ბოლოს ნარცეცხლამ ფანჯარაში გააღწია და რუთმაც დაიწყო: – ტომისთან შერიგება მინდა. დამეხმარები? – და მოაყოლა – რა მოგივიდა?

– არაფერი. მომხდარის შემდეგ მაგის გაგონება გამიკვირდა. დაგეხმარები, აბა, რა.

– შერიგება რომ მინდა, სხვამ არავინ იცის. ჰანამაც კი. მარტო შენ გენდობი.

– რით დაგეხმარო?

– უბრალოდ დაელაპარაკე. ტომისთან სულ რაღაცნაირად იყავი. მოგისმენს და დაგიჯერებს.

ერთხანს ვისხედით და ფეხებს საწოლის ქვეშ ვათამაშებდით.

– კარგია, მაგას რომ მეუბნები, – დავიწყე ბოლოს, – ჩემზე უკეთესს, ალბათ, ვერავის ნახავდი. ტომისთან სალაპარაკოდ.

– მინდა, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ახლა ანგარიში გასწორებული გვაქვს. ორივემ ბევრი სისულელე ვაკეთეთ ერთმანეთის გასამწარებლად. ახლა კი გვეყო. სამგლე მართა ეიჩი! ალბათ, მართლა ჩემს გასამწარებლად ქნა. ჰოდა, შეგიძლია უთხრა, რომ გამოუვიდა და ანგარიში ისევ გათანაბრდა. უკვე დროა, წინ წავიდეთ და თავიდან დავიწყოთ. ქეით, ვიცი, რომ შეგიძლია დაელაპარაკო. ყველაფერს

საუკეთესოდ მოაგვარებ. თუ მაინც არ მოეგო გონს, მეც მივხვდები, რომ გაგრძელებას აზრი აღარ აქვს.

მხრები ავიჩქე: – როგორც თქვი, მე და ტომის ყოველთვის შეგვეძლო საუბარი.

– ჰო და მართლა პატივს გცემს. ვიცი, ბევრჯერ უთქვამს, როგორი ყოჩაღი ხარ და როგორ ყოველთვის ასრულებ ნათქვამს. ისიც მითხრა, გაჭირვებაში ნებისმიერ ბიჭს მირჩევნია, ქეთი მყავდეს გვერდითო, – რუთმა წამით გაიცინა, – უნდა აღიარო, რომ გვარიანი ქათინაურია. ჰოდა, ამიტომაც შენ უნდა გვიშველო. მე და ტომი ერთმანეთისთვის ვართ შექმნილი. შენ კი მოგისმენს. ხომ დაგვეხმარები?

მაშინვე არ მიპასუხია. მერე ვკითხე: – რუთ, ასე სერიოზულად უყურებ ტომის? ანუ, რომ დაიყოლიო და დაიბრუნო, გულს აღარ ატკენ?

რუთმა მოუთმენლად ამოისუნთქა: – რა თქმა უნდა, სერიოზულად ვუყურებ. უკვე დიდები ვართ. მალე ჰეილშემიდან წავალთ. ეს უკვე თამაში აღარაა.

– კარგი, დაველაპარაკები. როგორც თქვი, აქედან მალე წავალთ. დროის დაკარგვა აღარ შეიძლება.

ამის შემდეგ კიდევ ცოტა ხანს დავრჩით საწოლებზე. ვსაუბრობდით. რუთი ისევ და ისევ იმეორებდა ტომის ამბებს: როგორ სულელობდა, როგორ უხდებოდნენ ერთმანეთს, რა სხვანაირად წავიდოდა ყველაფერი ამის შემდეგ, რა ფრთხილად მოიქცეოდნენ აწი და როგორ ექნებოდათ სექსი უკეთეს ადგილას, უკეთეს დროს. ეს ყველაფერი ერთად განვიხილეთ. რუთი ყველაფერზე ჩემს რჩევას ითხოვდა. რაღაც მომენტში ფანჯრიდან შორეულ მთებს გახვედე. შეცრად ვიგრძენი, როგორ მომიჭირა რუთმა ხელები მხრებზე. შევკრთი.

– ვიცოდი, რომ შემემლო შენი იმედი მქონოდა. მართალია ტომი: გაჭირვებაში სწორედ შენისთანა ადამიანი უნდა გედგას გვერდში.

ხან რამ დამაბრკოლა, ხან რამ და მომდევნო დღეებში ტომისთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე. მერე კი, ერთი ლანჩის დროს, სამხრეთის მოედანთან შევნიშნე. ფეხბურთში ვარჯიშობდა. მანამდე ორ ბიჭთან ერთად პასაობდა, ახლა კი, მარტო დარჩენილი, ბურთს ჰაერში ათამაშებდა. მივაშურე, მის გვერდით ბალახზე დავჯექი და ლობის ბოდს მივეყუდე. პატრიცია სის კალენდარი რომ ვანახვე და გაბრაზდა, იმ დღიდან დიდი ხანი არ უნდა ყოფილიყო გასული. მახსოვს, ურთიერთობა გვეხამუშებოდა. ტომიმ კენწლაობა განაგრძო. რიგრიგობით ურტყამდა: მუხლი, ფეხი, თავი, ფეხი. მე კი ვიჯექი, სამყურებს ვაგროვებდი და იმ შორეულ ტყეს გავყურებდი, უწინ რომ მაშინებდა. ბოლოს სიჩუმის დარღვევა გადავწყვიტე და ვუთხარი: – ვილაპარაკოთ, ტომი. სათქმელი მაქვს რაღაც.

როგორც კი ეს ვუთხარი, ბურთი თავისთვის მიაგორა და ჩემთან ჩამოჯდა. ტიპური ტომი იყო: როგორც კი გაიგო, რომ ლაპარაკი მინდოდა, გაბუტულობა გაქრა. თითქოს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, როგორიც ყველას გვიჩნდებოდა პატარაობაში, როცა მასწავლებელი ჯერ გვეჩხუბებოდა, მერე კი ისევ ჩვეულებრივი ხდებოდა. ცოტას ქოშინობდა. ვიცოდი – ფეხბურთის ბრალი იყო, მაგრამ მაინც ჩემს თავს მივაწერე. მოკლედ, სანამ რამეს ვიტყოდით, უკვე იგრძნო ჩემი თანადგომა. როცა ვუთხარი: „გიცნობ, ტომი. ამ ბოლო დროს მაინცდამაინც კარგად ვერ ხარ“, მიპასუხა: „რას

გულისხმობ? თავს ჩინებულად ვგრძნობ. მართლა“. ეს რომ თქვა, ჯერ გაიბადრა, მერე გულიანად გადაიხარხარა. სწორედ ამან გამაჯავრა. წლების შემდეგ ისევ იმავეს რომ ვხედავდი, უბრალოდ, ვიღიმებოდი. ახლა კი გულზე მხვდებოდა. თუ ტომი იტყოდა: „ძალიან გაბრაზებული ვარ“, საკუთარი სიტყვების ხაზგასასმელად მძიმე, დამწუხრებულ სახეს იღებდა. ირონიით შვრებოდა-მეთქი, არ ვამბობ. ახლა, იმის დასამტკიცებლად, რომ ბედნიერი იყო, გაიბადრა. როგორც ვთქვი, დრო მოვიდოდა და ამას საყვარელ ჩვევად მივიჩნევდი. იმ ზაფხულს კი ამაში მხოლოდ ტომის ბავშვურობას და იმას ვხედავდი, თუ რა ადვილი გასაბრაზებელი იყო. იმ სამყაროზე, რომელიც ჰეილშემის გარეთ გველოდა, ჯერ ბევრი არაფერი ვიცოდი. თუმცა ჭკუის დატანება რომ მოგვიჩვენდა, ამას ვხვდებოდი. და როცა ტომი ასე იქცეოდა, პანიკის მსგავს რაღაცას ვგრძნობდი. იმ დღემდე ხმას არ ვიღებდი. ასახსნელად მეძნელებოდა. ამჯერად კი ავფეთქდი: – ნამდვილი დაუნი ხარ, ეგრე რომ იცინი! თუ გინდა, თავი მოიკატუნო, არ გამოგივა! არ გამოგივა! უნდა გაიზარდო, გესმის? და ფეხზე უნდა დადგე! ამ ბოლო დროს მთლად ხელიდან მიდიხარ. და ორივემ ვიცით, რატომაც.

ტომი დაიბნა. როცა დარწმუნდა, რომ სათქმელს მოვრჩი, დაიწყო: – მართალი ხარ. ხელიდან წავედი. მაგრამ ვერ ვხვდები, რას გულისხმობ. ორივემ რა ვიცით? შენ საიდან უნდა იცოდე? არავისთვის მითქვამს.

– დეტალებში ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ რუთს რომ დაშორდი, ყველამ გავიგეთ.

ტომი ისევ დაიბნა. ბოლოს კი ისევ გაიცინა, ამჯერად ნამდვილად.

– მესმის, რას გულისხმობ, – ჩაიბუტბუტა, რაღაცის მოსაფიქრებლად შეჩერდა და განაგრძო: – მართალი გითხრა, ეგ არ არის ჩემი წუხილის მიზეზი. სულ სხვა რამ ხდება. ერთთავად იმაზე ვფიქრობ, მის ლუსიზე.

ასე შევიტყვე, რა მოხდა ტომის და მის ლუსის შორის იმ ზაფხულის დამდეგს. მოგვიანებით ყველაფერს ჩავუფიქრდი და დავასკვენი: ოცდამეორე ოთახში ფურცლებს რომ ჯღაბნიდა, იქიდან სულ მალე მოხდა ტომის ამბავი-მეთქი. და, როგორც უკვე გითხარით, მაგრად გავბრაზდი საკუთარ თავზე, უფრო ადრე რომ არ შევიტყვე ეს ამბავი ტომისგან.

ნაშუადღევს „მკვდარი საათი“ იდგა. გაკვეთილები უკვე დამთავრებულიყო და ვახშამდე კიდევ რჩებოდა დრო. ტომიმ მთავარი შენობიდან გამოსული მის ლუსი დალანდა. მასწავლებელს ხელები საქალაქელებითა და გასაშლელი დაფებით ჰქონდა სავსე. იმდენი რამე ეჭირა, თითქოს საცაა რაღაც დაუვარდებოდა. ტომიმ დახმარება გადაწყვიტა და მიირბინა.

– ჰოდა, რამდენიმე ნივთი მეც მომცა წასაღებად. ჩემს ოთახში მივდივარო. ორისთვისაც ბევრი ტვირთი იყო და გზაში ერთი-ორი რაღაც დამივარდა. ორანჟერეას რომ ვუახლოვდებოდი, მის ლუსი ისე შეჩერდა, მეგონა, მასაც რაღაც დაუვარდა-მეთქი. მან კი მე შემომხედა, ისე, რაღაცნაირად სერიოზულად. მერე მითხრა, ერთი კარგად უნდა ვილაპარაკოთო. დავთანხმდი. ორანჟერეაში, მის ოთახში შევედით და ტვირთი დავაწყვეთ. დაჯექიო, მითხრა, და ზუსტად იქ აღმოვჩნდი, სადაც მაშინ, ხომ იცი, წლების წინ. მის ლუსიც იმ ძველ შეხვედრაზე ფიქრობდა და ისე ალაპარაკდა, თითქოს წინა დღის ამბავს აგრძელებდა. არაფერი აუხსნია, პირდაპირ ეს მითხრა: – ტომი, რაც გითხარი, შეცდომა იყო და დიდი ხნის წინ უნდა გამომესწორებინა.

მერე მითხრა: ის ყველაფერი უნდა დაივიწყო, არაშემოქმედებითობისკენ წაბიძგებით ძალიან ცუდი სამსახური გაგიწიო. სხვა მასწავლებლები მართალს ამბობდნენ: შენი შემოქმედება რომ ნაგავია, ამას ვერაფერი გაამართლებსო...

– მოიცა, ტომი. მართლა ეგრე გითხრა: ნაგავიაო?

– ნაგავი თუ არა, რაღაც მაგდაგვარი კი თქვა. იაფფასიანი. ჰო, შეიძლება იაფფასიანი თქვა. ან უვიცი. შეიძლება ნაგავიც თქვა. ვნანობ ჩემს ბოლო ნათქვამსო; რომ არ მეთქვა, შეიძლება აქამდე უკვე ყველაფერი გამოგესწორებინაო.

– ამასობაში შენ რას ამბობდი?

– არც ვიცოდი, რა მეთქვა. ბოლოს აქეთ მკითხა: „რას ფიქრობ, ტომი?“ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ არ ილევოთ, უკვე კარგად ვარ-მეთქი. არაო, კარგად არ ხარო. შენი შემოქმედება ნაგავია და ეგ, ნაწილობრივ, ჩემი ბრალია იმის გამო, რაც გითხარიო. მაშინ ვკითხე, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მაგისტრის აღარავინ დამცინის და მეც კარგად ვარ-მეთქი. მის ლუსიმ კი თავის ქნევა განაგრძო: „აქვს მნიშვნელობა. ეგ არ უნდა მეთქვა“. ჰოდა, ამ დროს ვიფიქრე, რომ მომავალზე ლაპარაკობდა, აქედან რომ წავალთ, იმ დროზე, და ვუთხარი: „კი, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება, მის. კარგად ვარ. ვიცი, თავს როგორ მივხედო. შეწირვის დრო რომ მომივა, ყველაფერი კარგად გამომივა“. ეს რომ ვთქვი, ისევ თავის ქნევა დაიწყო. ისე იქნევდა, მეგონა, თავბრუ დაეხვეოდა. მერე მითხრა: „მისმინე, ტომი, შენი შემოქმედება მნიშვნელოვანია. არა მარტო იმის გამო, რომ ეს მტკიცებულებაა. შენთვისაც მნიშვნელოვანია. თვითონ შენ მოგცემს ბევრს“.

– მოიცა, „მტკიცებულებაში“ რა იგულისხმა?

– არ ვიცი. მაგრამ ნამდვილად ეგრე თქვა. შემოქმედება მარტო იმიტომ არ არის მნიშვნელოვანი, რომ „მტკიცებულება“ არისო. ღმერთმა იცის, რას გულისხმობდა. ეს რომ მითხრა, ვკითხე კიდევ: ვერ გავიგე, რა მითხარით, და მადამს და მის გალერეას ხომ არ უკავშირდება-მეთქი. ღრმად ჩაისუნთქა და მითხრა: „ჰო, მადამის გალერეა მნიშვნელოვანია. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უწინ ვფიქრობდი. ახლა კი პირდაპირ ვხედავ ამას. მომისმინე: ძალიან ბევრი რამ არ გესმის, ტომი, და ვერც მე აგიხსნი. რაღაცები – ჰეილშემის, რაღაცებიც – შენი ადგილის შესახებ გარესამყაროში. ბევრი რამ. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება თვითონაც გაიგო. პასუხები ვერაფერს გაგიადვილებს, მაგრამ მართლა თუ მოინდომებ, შეიძლება გაიგო“. ეს რომ თქვა, ისევ თავის ქნევა დაიწყო, ოღონდ სხვანაირად, და განაგრძო: „მაგრამ რატომ უნდა იყო განსხვავებული? აქაური მოსწავლეები ბევრს ვერასოდეს იგებენ. შენ რატომ უნდა გამოირჩე?“ ვერ მივმხვდარიყავი, რაზე ლაპარაკობდა, და კიდევ ვუთხარი: „ყველაფერი კარგად იქნება, მის“. ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ ადგა, ცოტა დაიხარა და ჩამეხუტა. არა ეროტიკულად, უფრო ისე, ბავშვობაში რომ გვეხუტებოდნენ ხოლმე. ვცდილობდი, არ გავნძრეულიყავი. შემდეგ უკან მიდგა და გამიმეორა: ჩემს ნათქვამს ვნანობ, გვიანი ჯერ კიდევ არ არის და ახლავე უნდა დაიწყო დაკარგული დროის ანაზღაურებაო. მეგონი, არაფერი მითქვამს. მის ლუსიმ შემომხედა, მეგონა, ისევ ჩამეხუტებოდა. თუმცა ჩახუტების მაგივრად მითხრა: „ჩემი ხატრით გააკეთე ეს, ტომი“. ვუთხარი, რომ ყველანაირად ვეცდებოდი. იმწუთას მხოლოდ ერთს ვფიქრობდი: ოთახიდან გასვლა მიხლოდა. ჩახუტების და ყველაფრის შემდეგ, ალბათ, წითლად ვღვიოდი. ანუ, ისევ ის დრო ხომ აღარაა? ახლა უკვე დიდები ვართ.

ისე გამიტაცა ტომის ამბავმა, რომ აღარც მახსოვდა, რატომ წამოვიწყე საუბარი. ამ „დიდები ვართ“-მა კი ჩემი პირვანდელი მისია გამახსენა.

– ტომი, მისმინე: მალე ამ თემაზე კიდევ ერთხელ და დაწვრილებით ვილაპარაკებთ. ეგ ყველაფერი ძალიან საინტერესოა და ისიც მესმის, რა დღეში ჩავარდებოდი. თუმცა, ასეა თუ ისე, თავის ხელში აყვანა მოგიწევს. ამ ზაფხულს ჰეილშემს ვტოვებთ. ჰოდა, უნდა დალაგდე და მოწესრიგდე. ერთი რამ ახლავე შეგიძლია გამოასწორო. რუთმა მითხრა: მზად ვარ ყველაფრის დასავიწყებლად და ურთიერთობის თავიდან დასაწყებად. მგონი, შენთვის კარგი შანსია და ხელიდან ნუ გაუშვებ.

რამდენიმე წამს ტომის ხმა არ ამოუღია. მერე თქვა: – არ ვიცი, ქეით, კიდევ იმდენი საფიქრალი მაქვს.

– მისმინე, ტომი: შენ ძალიან გაგიმართლა. აქ ბევრი ვინმეა, მაგრამ შენ რუთს მოსწონხარ. მასთან თუ დარჩები აქედან წასვლის მერეც, დარდი არ მოგეკარება. რუთს ვერავინ შეედრება. სანამ ერთად ხართ, შენს ბედს ძალლი არ დაჰყევს. თავიდან მინდა დაწყებაო, ამბობს. ჰოდა, ყველაფერს წყალში ნუ ჩაყრი.

დავიცადე, მაგრამ ტომიმ არაფერი მიპასუხა. ისევ პანიკის მსგავსმა განცდამ მომიცვა. წინ გადავიხარე და ვუთხარი: – ბევრი შანსი კი არ გექნება, სულელო! ვერ ხვდები, რომ აქ კიდევ დიდხანს აღარ ვიქნებით ასე?

ჩემდა გასაკვირად, ტომიმ ფრიად წყნარად და გააზრებულად მიპასუხა. აქ გამოჩნდა ტომის ის მხარე, რომელიც მომავალში სულ უფრო და უფრო ამოტივტივდებოდა.

– ეგ კი მესმის, ქეით. სწორედ მაგიტომ არ ვჩქარობ რუთთან დაბრუნებას. მომდევნო ნაბიჯი კარგად უნდა გავთვალეთ, – ამოიხვნეშა და პირდაპირ მომაცქერდა, – როგორც შენ ამბობ, მალე აქედან წავალთ. ეს თამაში აღარ არის. კარგად უნდა დავფიქრდეთ.

ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა. ერთხანს ჯდომა და სამყურას კრეფა განვაგრძე. ტომის მზერას ვგრძნობდი, მაგრამ ზემოთ არ ამიხედავს. ხელი რომ არავის შეეშალა, ალბათ, უფრო დიდხანს დავრჩებოდი ასე. ტომი რომ მანამდე ფეხბურთს ეთამაშებოდა, ის ბიჭები თუ უბრალოდ მოხეტიალე მოსწავლეები მოვიდნენ და ჩვენთან ჩამოსხდნენ. ასე იყო თუ ისე, ჩვენი პირადული საუბარი დასრულდა და ისეთი შეგრძნება დამიტოვა, რომ რაღაც ბოლომდე ვერ მივიყვანე და რუთსაც იმედეები გავუცრუე.

ვერასოდეს შევიტყვე, რა ზეგავლენა მოახდინა ჩემმა ლაპარაკმა ტომიზე. იმ საუბრის მომდევნო დღეს ახალი ხმა გავარდა. დილით კულტურის მორიგ გაკვეთილს ვესწრებოდი. ამ გაკვეთილებზე უნდა განგვესახიერებინა სხვადასხვა ადამიანი: კაფეს მიმტანები, პოლიციელები და ა.შ. ეს ყველას ალგვავზნებდა, თან გვალეღვებდა. ასე თუ ისე, ყოველთვის კარგად ვერთობოდი. გაკვეთილის ბოლოს, ყველაფერს რომ ვამთავრებდით, ოთახში შარლოტა ეფი შემოიჭრა და მის ლუსის ჰეილშემიდან წასვლის ამბავი გვაუწყა. მისტერ კრისი, რომელიც გაკვეთილს ატარებდა და რომელსაც ახალი ამბავი ჩვენზე ადრე ეცოდინებოდა, მანამდე გაგვეპარა, სანამ რამეს ვკითხავდით. თავიდან ისიც კი არ ვიცოდით, შარლოტა ჭორს გვეუბნებოდა თუ მართალს. თუმცა, რაც უფრო მეტს გვიყვებოდა, მით მეტად ვრწმუნდებოდი, რომ სიმართლეს ამბობდა. დილას, ცოტათი ადრე, ერთ-ერთი უფროსი კლასი მის ლუსის მოლოდინში მუსიკის შეფასების გაკვეთილზე შევიდა მეთორმეტე ოთახში. იქ

დახვდათ მის ემილი, რომელმაც გამოაცხადა, მის ლუსი მოსვლას ვერ ახერხებს და ამიტომაც გაკვეთილს მე ჩავატარებო. მომდევნო ოცი წუთი ყველაფერი ჩვეულებრივად გაგრძელდა. მერე კი მის ემილიმ ბეთჰოვენზე საუბრისას წინადადება შუაში გაწყვიტა და გამოაცხადა, მის ლუსიმ ჰეილშემი დატოვა და აღარ დაბრუნდებაო. გაკვეთილი რამდენიმე წუთით ადრე დამთავრდა და შეფიქრიანებულ-წარბშეკრული მის ემილიც სწრაფად გავიდა ოთახიდან. მოსწავლეებმაც დატოვეს კლასი და ახალი ამბავი მთელ ჰეილშემს მოელო.

სასწრაფოდ ტომის მოსამებნად წავედი. მთელი არსებით მინდოდა, ახალი ამბავი ჩემგან შეეტყო. ეზოში გასული მივხვდი, რომ დამაგვიანდა. ტომი მოშორებით, ბიჭების შეკრულ წრესთან იდგა და ნათქვამს თავის კანტურით ეთანხმებოდა. ცნობისწადილით ანთებულ ბიჭებს შორის ტომი ჩამქრალი თვალებით იდგა. იმავე საღამოს ტომი და რუთი შერიგდნენ. მახსოვს, რამდენიმე დღის შემდეგ რუთმა მადლობა გადამიხადა „ყველაფრის ასე ჩინებულად მოგვარებისთვის“. დიდი არაფერი მიქნია-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ყური არ მათხოვა. ბოლომდე კმაყოფილი იყო ჩემით. ჰეილშემში გატარებულ ბოლო დღეებში დიდი აღარაფერი შეცვლილა.

ნაწილი მეორე

თავი მეთათე

ხანდახან, მანქანით რომ მივყვები ჭანჭრობზე გამავალ ან ნახნავებიან მინდვრებს ჩაყოლებულ გზას, ზემოდან კი უცვლელი ნაცრისფერი ცა დამყურებს, მახსენდება ესე, რომელიც კოტეჯებში ყოფნისას უნდა დამეწერა. მთელი ბოლო ზაფხულის განმავლობაში მასწავლებლები დროდადრო გველაპარაკებოდნენ ესეებზე. ისეთი თემის შერჩევაში გვეხმარებოდნენ, ორი წლით მაინც რომ დაგვაკავებდა. თუმცა, ალბათ, ვამჩნევდით რაღაც უჩვეულოს მასწავლებლების ქცევაში. ყველა ვხვდებოდით, რომ ესეებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც კი ვლაპარაკობდით ამ თემაზე. მახსოვს, როგორ შევედი მის ემილისთან, რომ ჩემი არჩეული თემა – ვიქტორიანული ნოველები – მებარებინა. არჩევისას ბევრი არ მიფიქრია და შევამჩნიე, რომ ეს მის ემილის არ გამოეპარა. ერთი ღრმად ჩამხედა თვალებში, თქმით არაფერი უთქვამს.

თუმცა კოტეჯებში რომ მივედით, ესეებმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ზოგისთვის – მხოლოდ პირველ დღეებში, ზოგისთვის კი კარგა ხნის განმავლობაში ესე ჰეილშემის ბოლო დავალებად იქცა, დავალებად, რომელსაც ყველა ეკონწიალებოდა, როგორც მასწავლებლებისგან მიღებულ ერთგვარ გამოსამშვიდობებელ საჩუქარს. დროთა განმავლობაში ის ყველას თავიდან გაქრებოდა, მაგრამ ერთხანს გვეხმარებოდა, რომ ახალ გარემოში მყარად დავმდგარიყავით ფეხზე.

ახლა რომ მახსენდება, ჩემს ესეს გარკვეული კუთხით გადავიმეორებ ხოლმე. ხან განსხვავებულ მიდგომაზე ვფიქრობ, რომელიც შეიძლებოდა გამომეყენებინა, ხანაც სხვა წიგნებსა და ავტორებზე, რომელთა ჩართვაც შემემლო. შეიძლება ავტოგასამართ სადგურზე ყავას მივირთმევედე, დიდი ფანჯრიდან ტრასას გავყურებდე და უცებ გონებაში ესე ამომიტივტივდეს. მსიამოვნებს ასე ჯდომა და ყველაფრის ფიქრში გადამეორება. ამ ბოლო დროს იმასაც ვფიქრობ, მომვლელად რომ აღარ ვიმუშავე და

დრო მექნება, ჩემს ესეს დავუბრუნდები-მეთქი. თუმცა ეს ფიქრი, ალბათ, ფიქრადვე დარჩება, დროის გამყვან პატარა ნოსტალგიად და მეტ არაფრად. ესე ისევე მახსენდება, როგორც ჰეილშემში ჩატარებული რაუნდერების მატჩი, რომელშიც განსაკუთრებით კარგად ვითამაშე, ან კიდევ ძველისძველი კამათი, სადაც სათქმელი ჭკვიანური სიტყვები ახლად მომდის თავში. ოცნების მსგავსი რამ გამომდის. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, კოტეჯებში მოხვედრისას ასე არ იყო.

იმ ზაფხულს ჰეილშემიდან წასულებს შორის რვამ კოტეჯებში ამოვყავით თავი. დანარჩენები უელსის მთიანეთში, უაიტ მენშენში ან დორსეტში, პოპლარ ფარმში განაწილდნენ. მაშინ არ ვიცოდით, რომ ამ ადგილებს ჰეილშემთან ბევრი არაფერი აკავშირებდა. კოტეჯებში იმის მოლოდინით მივედი, რომ იქ ჰეილშემის მსგავსი ადგილი და უფროსი მოსწავლეები დაგვხვდებოდნენ და ერთხანს ასეც აღვიქვამდით იქაურობას. იმაზე კი ნამდვილად არ გვიფიქრია, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება კოტეჯების მიღმა, ვინ მართავდა იქაურ ყოფას და როგორ ეწყობოდნენ გარესამყაროს. იმ დროს არც ერთი ჩვენგანი არ აზროვნებდა ასე.

კოტეჯები წლების წინ გაუქმებული ფერმის ნაშთებს წარმოადგენდა. შუაში ძველი ფერმის სახლი იდგა, ირგვლივ – საჯინიბოები, ფარდულები და თავლები. ყველა შენობა ისე გადაეკეთებინათ, რომ შიგ გვეცხოვრა. სხვა შენობებიც იყო, ძირითადად – მოშორებით, მაგრამ უკვე ინგრეოდა და მაინცდამაინც ვერაფერში ვიყენებდით. რაღაც თავისებურად პასუხისმგებლბად ვგრძნობდით თავს ამ შენობებზე, ძირითადად, კეფერსის გამო. კეფერსი – ერთი ჩია, პირქუში მოხუცი – კვირაში ორ-სამჯერ მოდიოდა თავისი ტალახიანი ფურგონით და იქაურობას ათვალიერებდა. ბევრს არასოდეს გველაპარაკებოდა. ყველა კუთხე-კუნჭულს ხვნემა-მანჭვით შემოივლიდა და თითქოს ზიზღით გვანიშნებდა: ფაქტობრივად, კოტეჯებს არ უვლითო. და მაინც, ვერასოდეს გავიგეთ, რის გაკეთებას ითხოვდა ჩვენგან. ახალმისულებს რუტინული სამუშაოების სია დაგვახვედრა. უკვე იქ მყოფ მოსწავლეებს – ჰანამ მათ „ვეტერანები“ შეარქვა – დიდი ხნის შემუშავებული ჰქონდათ სამორიგეო განრიგი, რომელსაც პირნათლად ვიცავდით. ბევრი არაფერი გვქონდა საკეთებელი: ვინიშნავდით, წყლის ღარი რომ გაჟონავდა ან წყალს რომ გადავღვრიდით თავსხმის შემდეგ.

კოტეჯების გულში – ფერმის სახლში – რამდენიმე ბუხარი იყო, სადაც ფარდულებში დაგროვილ შეშას ვწვავდით. თუ არადა, დიდი, ოთხკუთხა გამათბობლებით ვითბობდით თავს. საქმე ის იყო, რომ ეს გამათბობლები გაზის ბალონებზე მუშაობდა და, თუ მართლა ძალიან არ ციოდა, კეფერსი მათ მოტანას საჭიროდ არ მიიჩნევდა. სულ ვთხოვდით, ბალონების მარაგი დაგვიტოვო, მაგრამ კეფერსი თავს ისე გააქნევდა ხოლმე, თითქოს ეგონა, რომ ბალონებს ან უაზროდ დავხარჯავდით, ან საერთოდ ავაფეთქებდით. ასე რომ, ზაფხულს თუ არ ჩავთვლით, ბევრი ცივი დღე მახსოვს. ორი ან სამი ჯემპრი გეცვა, გახვევებულ ჯინსში კი გციოდა. ხანდახან რეზინის ჩექმებს მთელი დღე არ ვიხდიდით. ოთახები ტალახიანი ნაფეხურებით ივსებოდა. ამის შემხედვარე კეფერსი კიდევ ერთხელ გააქნევდა თავს, თუმცა რომ ვკითხავდით, სხვა რა ვქნათო, არაფერს გვაპასუხობდა.

ცოტა მძიმედ აღვიწერეთ სიტუაცია, მაგრამ, საბოლოოდ, არავითარ დისკომფორტს არ განვიცდიდით. ესეც კოტეჯებში ცხოვრების საინტერესო წახნაგი იყო. გულახდილად რომ ვთქვა, თითქმის ყველას გვენატრებოდა მასწავლებლები, განსაკუთრებით –

პირველ პერიოდში. ზოგმა ერთხანს კეფერსშიც კი სცადა მასწავლებლის დანახვა, მაგრამ არ გამოუვიდა. როცა მოდიოდა, ფურგონთან ვხვდებოდით და ვესალმებოდით, ის კი ისე შემოგვხედავდა, როგორც გიჟებს. ერთი რამ მრავალგზის გვსმენოდა: ჰეილშემის შემდეგ მასწავლებლები აღარ გვეყოლებოდა და ჩვენ ერთმანეთისთვის უნდა მიგვეხედა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ კუთხით ჰეილშემმა კარგად შეგვამზადა.

იმათი უმეტესობა, ვისთანაც ჰეილშემში ვმეგობრობდი, კოტეჯებში ჩემთან ერთად აღმოჩნდა. არც სინტია იზე ვიტყვოდი უარს, ხელოვნების კაბინეტში რუთის „ბუნებრივ გამგრძელებლად“ რომ დამასახელა, მაგრამ სხვებთან ერთად დორსეტში მოხვდა. რაც შეეხება ჰარის, ვისთანაც კინალამ დავწეე, უელსში მოხვედრილა. ჩვენი გუნდი კი ერთად დავრჩით. სხვები თუ მოგვენატრებოდა, საკუთარ თავს ვეუბნებოდით: წასვლას და მათ მონახულებას არავინ გვიშლისო. მის ემილისთან რუკით გავლილი უამრავი გაკვეთილის ფონზე, ჯერ რეალური წარმოდგენა არ გვექონდა მანძილებზე და იმაზე, თუ რამდენად რთული ან ადვილი იქნებოდა გარკვეულ ადგილზე მოხვედრა. ვლასპარაკობდით, როგორ გავყვებოდით ვეტერანებს, თავიანთ მოგზაურობაში რომ წავიდოდნენ, და იმაზეც, როგორ ვისწავლიდით ერთ დღეს ჩვენც მანქანის მართვას, როგორ შევძლებდით მონატრებულთა ნახვას, როცა კი გაგვიხარდებოდა.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, პირველ თვეებში კოტეჯების საზღვრებს თითქმის არ გავცდენივართ. ირგვლივ გადაშლილ მინდვრებზე ან ახლომახლო სოფელშიც კი არ გვიხეტიალია. გვეშინოდაო, ვერ ვიტყვი. ვიცოდით, რომ წასვლას არავინ დაგვიშლიდა იმ პირობით, რომ კეფერსის დავთარში აღნიშნულ დაბრუნების დღესა და საათს დავიცავდით. მისვლის ზაფხულიდანვე გამუდმებით ვხედავდით, როგორ ალაგებდნენ ვეტერანები ჩემოდნებს თუ ზურგჩანთებს და როგორ მიდიოდნენ ორისამი დღით. თავიდან საშიშ დაუდევრობად მიგვაჩნდა. განცვიფრებით ვადევნებდით თვალს. ნეტა ჩვენც ასე მოვიქცეოდით მომდევნო ზაფხულს? ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ პირველ დღეებში ეს შეუძლებლად გვეჩვენებოდა. არ დაგავიწყდეთ, რომ მანამდე ჰეილშემიდან არასოდეს გავსულვართ. უბრალოდ, შევცბით. მაშინ რომ გეთქვათ, ერთ წელიწადში მარტოკას ხეტიალი ჩვევად გექნება და უკვე მანქანის ტარების სწავლაც გექნება დაწყებულიო, ცანცარად მიგიჩნევდით.

რუთიც კი შეგვიშინდა იმ დღეს, მიკროავტობუსმა ფერმის სახლთან რომ ჩამოგვსვა, პატარა გუბურას შემოუარა და ბორცვის თხემზე თვალს მიეფარა. მოშორებით მთებს ვხედავდით, ჰეილშემის მთების მსგავსს, თუმცა მეტისმეტად მოღრეცილი გვეჩვენებოდა. აი, მეგობარს რომ დახატავ და თან რომ ჰგავს, თან არა, საბოლოოდ კი, ნახატის ცქერა არ გსიამოვნებს. სამაგიეროდ, ზაფხული იყო. გუბეების გაყინვამდე და მიწის გაქვავებამდე კიდევ რამდენიმე თვე რჩებოდა. გარემო მშვენიერი და მყუდრო ჩანდა. ყველგან გაუკრეჭავი ბალახი ბიბინებდა, რაც ჩვენთვის სიახლე იყო. რვანი ერთად შევქუჩდით და კეფერსის მოსვლას ველოდით. იგი ფერმის სახლში შედი-გამოდიოდა, მაგრამ ჩვენამდე აღარ მოვიდა. მხოლოდ გაბრაზებით ჩაიბუზღუნა რაღაც კოტეჯებში ჩვენამდე მცხოვრებ მოსწავლეებზე. ფურგონისკენ რომ წავიდა რაღაცის გადმოსაღებად, ეჭვის თვალით გამოგვხედა. მერე სახლში შევიდა და კარიც მიიჯახუნა.

სულ მალე ჩვენი ცქერით გამძლარი ვეტერანები გამოვიდნენ და მოგვხედეს. მომდევნო ზაფხულს ჩვენც ასე მოვექცეოდით ახალმოსულებს. სხვათა შორის, ახლა ვხვდები, რა

კარგად იზრუნეს ჩვენზე. ამის მიუხედავად, პირველ კვირებში თავს ძალიან უცხოდ ვგრძნობდით და მხოლოდ ერთმანეთი გვახარებდა. სულ ერთად დავდიოდით. დღის დიდ ნაწილს სახლის წინ დგომაში ვატარებდით. არ ვიცოდით, სხვა რა გვექნა.

საინტერესო გასახსენებელია კოტეჯებში გატარებული საწყისი პერიოდი. სულ არ ჰგავს იმ ორ წელს, რომელიც იქ გავატარეთ. მხოლოდ თავიდან გვეშინოდა და ვღელავდით. კოტეჯებში გატარებული წლები ერთმანეთის ოთახებში გატარებულ უდარდელ ხანად მახსენდება. მოწყენილად გადადიოდა შუადღე საღამოში, საღამო – ღამეში. მახსენდება ჩემი რბილყდიანი წიგნები. ისეთი გახუნებული ფურცლები ჰქონდა, გეგონებოდა, ერთხანს ზღვაში ეყარაო. მახსენდება, როგორ ვკითხულობდი მათ ბალახზე მუცლით გაწოლილი თბილ ნაშუადღევს. თმა, რომელიც მაშინ გრძელი მქონდა, ყოველთვის მაბრკოლებდა კითხვაში. მახსოვს, როგორ მადვიმებდა პოეზიასა თუ ფილოსოფიაზე მოკამათე მოსწავლეთა ხმები, შავი თავლის თავზე, ჩემს ოთახში მძინარეს. მახსენდება გრძელი ზამთრები და საუზმე დაორთქლილ სამზარეულოში. მაგიდის გარშემო კაფკაზე ან პიკასოზე ვაბამდით საუბარს. საუზმეზე ყოველთვის ამგვარ თემებზე ვსაუბრობდით. არასოდეს იმაზე, თუ ვისთან ვიწექით წუხელ ან რატომ გაიბუტნენ ლარი და ჰელენი.

ბოლოს მაინც ვფიქრობ, რომ ის პირველი დღე, ჯგუფად რომ ვიდექით სახლის წინ, არცთუ დიდ კონტრასტს ქმნის მთელ მომდევნო ცხოვრებასთან კოტეჯებში. შეიძლება იმიტომ, რომ არც იმდენად შევჩვევივართ იქაურობას, როგორც გვეგონა; რადგანაც ჩვენი ერთი ნაწილი ისევ ისეთი დარჩა: გარემომცველი სამყაროს მოშიში და, როგორც უნდა გვეცადა ამის უარყოფა, ერთმანეთს ვერ ველეოდით.

ვეტერანებმა ტომისა და რუთის ამბავი არ იცოდნენ და დიდი ხნის წყვილად მიაჩნდათ. ეს რუთს არნახულად სიამოვნებდა. პირველ კვირებში რუთი ერთ ამბავში იყო. ტომისთვის ხელი არ გაუშვია. ხანდახან სხვების თვალწინაც კოცნიდა ოთახის კუთხეში. ამგვარი რამ ჰეილშემში ნორმალურად ჩანდა, მაგრამ კოტეჯებში ცოტას წაუბავშვურებდა. ვეტერანი წყვილები სხვა თვალს არაფერს დაანახებდნენ. ნორმალური ოჯახის დედ-მამასავით იქცეოდნენ.

კოტეჯელ ვეტერან წყვილებს შემთხვევით რაღაც შევატყვე, რაღაც ისეთი, რაც, მთელი მისი დაკვირვებულობის მიუხედავად, რუთს გამოეპარა. უამრავი მანერა ტელევიზორიდან ჰქონდათ გადმოღებული. პირველად მაშინ მივხვდი, სუზის და გრეგის წყვილს რომ ვუყურებდი. კოტეჯებში ყველაზე უფროსები ისინი იყვნენ და თითქოს „განაგებდნენ“ კიდევ იქაურობას. გრეგი პრუსტზე ან ვინმეზე რომ დაიწყებდა სიტყვით გამოსვლას, სუზი ყოველთვის ერთნაირად იქცეოდა: დანარჩენებს ღიმილით გადმოგვხედავდა და ძალიან ჩუმად, მაგრამ გამოკვეთილად იტყოდა: „ღმერთო, შენ გვიშველე!“ ჰეილშემში ტელევიზია საკმაოდ შეზღუდული იყო და არც კოტეჯებში სარგებლობდა პოპულარობით. მთელ დღეს ტელევიზორთან ჯდომას ვერაფერი დაგვიშლიდა, მაგრამ ეს მაინცდამაინც არავის მოსწონდა. ერთი ძველი ტელევიზორი ფერმის სახლში იდგა, მეორე – შავ თავლაში. ჰოდა, მეც ვუყურებდი ხოლმე. ასე გავიგე, რომ ეს „ღმერთო, შენ გვიშველე“ ამერიკული სერიალიდან მოდიოდა, ისეთიდან, ყველაფერზე ხალხის სიცილი რომ ისმის. ერთი პერსონაჟი ზორბა ქალი – მთავარი პერსონაჟების კარის მეზობელი – ზუსტად სუზისნაირად იქცეოდა: როცა მისი ქმარი სიტყვით გამოსვლას იწყებდა, ხალხი ამ ქალის ნასროლ „ღმერთო, შენ გვიშველე“-ს ელოდებოდა. ისიც ამბობდა და – ყველა

სიცილს იწყებდა. ამის შემჩნევის შემდეგ კიდევ უამრავი რამ შევნიშნე, რაც ვეტერანებს ტელევიზორიდან გადმოელოთ: ქესტიკულაცია, დივანზე ჯდომის, კამათისა და თვით ოთახიდან გავარდნის მანერაც კი.

მოკლედ, დიდი დრო არ გასულა იქამდე, როდესაც რუთი მიხვდა, რომ ტომისთან კოტეჯებისთვის შეუფერებლად ღლაბუცობდა და ხალხის თანდასწრებით ქცევის წესების შეცვლას შეუდგა. ეს მანერა ნამდვილად ვეტერანებისგან გადმოილო. ჰეილშემში წყვილის ორწუთიანი განშორებაც დიდი კოცნა-პროშტნის საპატიო მიზეზი ხდებოდა. კოტეჯებში კი, როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, კოცნაზე რომ არაფერი ვთქვა. იდაყვზე ხელს წაჰკრავდნენ, თითქოს იმისთვის, რომ გამოახედონო. ეგ იყო და ეგ. როგორც წესი, გოგო წაჰკრავდა ხოლმე ბიჭს, როცა სხვადასხვა მიმართულებით იყვნენ წასასვლელი. ზამთრისკენ ეს ჩვევა თანდათან მოდიდან გადავიდა, მაგრამ თავიდან პოპულარული იყო. ჰოდა, მალე რუთიც ასე უკეთებდა ტომის. წარმოიდგინეთ, თავიდან ტომი ვერც კი ხვდებოდა, რა ხდებოდა. რუთს მოუბრუნდებოდა და ეკითხებოდა, რა იყო. რუთი გულმოსული შეხედავდა, თითქოს სპექტაკლს თამაშობდნენ და ტომის თავისი ტექსტი დავიწყებოდა. ალბათ, ბოლოს დაელაპარაკა კიდევ, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერს სწორად აკეთებდნენ, თითქმის ზუსტად ვეტერანებივით.

იდაყვზე ხელის წაკვრა ტელევიზორში არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ იქიდან მოდიოდა. ისიც ვიცოდი, რომ რუთმა ეს არ იცოდა. ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბალახზე დენიელ დერონდას ვკითხულობდი და გაღიზიანებული რუთი დავინახე, გადავწყვიტე, ყველაფერი ამეხსნა.

თითქმის შემოდგომა იდგა და სიცივე ნელ-ნელა მატულობდა. ვეტერანები ძირითადად შინ იყვნენ და იმ საქმიანობას უბრუნდებოდნენ, რასაც ზაფხულამდე ეწეოდნენ. ჰეილშემიდან მოსულები კი ისევ გარეთ, გაველურებულ ბალახზე ჯდომას ვაგრძელებდით. ვცდილობდით, ეს ერთადერთი ჩვევა მაინც შეძლებისდაგვარად დიდხანს არ მოგვშლოდა. ჩემ გარდა, იმ დღეს გარეთ სულ სამნი თუ ოთხნი იყვნენ. ჰოდა, რაკი ჩემთვის ცალკე ადგილის მოსაძებნად ვიყავი წასული, ეჭვი არ მეპარება, ჩემი და რუთის საუბარი სხვას არავის გაუგონია.

წყალგაუმტარი ბრეზენტის ძველ ნაჭერზე ვიწექი და, როგორც გითხარით, დენიელ დერონდას ვკითხულობდი, როდესაც რუთი მობოდილა და გვერდით დამიჯდა. წიგნის ყდა დამითვალა და თავი თავისთვის დააკანტურა. როგორც ველოდი, სულ ერთი წუთის შემდეგ დენიელ დერონდას არსის ახსნა დამიწყო. აქამდე ჩინებულ ხასიათზე ვიყავი და რუთის დანახვაც მესიამოვნა, ახლა კი გავღიზიანდი. ასე ჩემთან ადრეც უქნია ერთი-ორჯერ და ისიც მინახავს, სხვებთან როგორ შვრებოდა. ჯერ თავი მაგრად ეჭირა: ვითომ სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ მაინც გულითადად ლაპარაკობდა. გეგონებოდათ, ყველასგან მაღლიერებას ელოდა დახმარებისთვის. მაშინაც კი ვხვდებოდი დაახლოებით, რა იდგა ამის უკან. გადასვლიდან პირველ თვეებში ჩამოგვიყალიბდა კოტეჯებთან შეგუება-ვერშეგუების გაგება. რამდენად ართმევდი თავს აქაურობას? ითვლებოდა, რომ ამ კითხვის პასუხი წაკითხული წიგნების რაოდენობაშიც ჩანდა. უცნაურად კი ჟღერს, მაგრამ ასეა. და ეს გაგება მხოლოდ ჰეილშემიდან ჩამოსულებს შორის ვრცელდებოდა. მთელი საკითხი საგანგებო ბურუსით მოცული რჩებოდა, როგორც სექსის თემა ჰეილშემში. შეგეძლო ხალხისთვის თავი მოგეჩვენებინა, რომ ყველაფერი წაკითხული გქონდა. მაგალითად,

ვინმე „ომს და მშვიდობას“ თუ ახსენებდა, თავი გაგებით უნდა დაგექნია, მორჩა და გათავდა. ისიც გაგების ნაწილი იყო, რომ შენს ტრაბახს მაინცდამაინც არავინ გამოცდიდა. არ დაგავიწყდეთ, რომ კოტეჯებში მოხვედრის შემდეგ სულ ერთად ვიყავით და დანარჩენებისგან შეუმჩნევლად „ომს და მშვიდობას“ ვერავინ წაიკითხავდა. უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ როგორც ჰეილშემში – სექსი, აქაც არსებობდა იდუმალებით მოცული განზომილება, სადაც ყველა ამდენის წაკითხვას მოასწრებდა.

პატარა თამაშით იყო, რომელშიც მეტ-ნაკლებად ყველა ვერთვებოდით. რუთი კი ყველაზე შორს წავიდა. მხოლოდ რუთი იბრალებდა იმ ყველაფრის წაკითხვას, რასაც ვინმე სადმე ხელს მოჰკიდებდა. მხოლოდ რუთი უმხელდა სხვებს იმ წიგნის დასასრულს, რომელსაც კითხულობდნენ თავიანთი უპირატესობის წარმოსაჩენად. ჰოდა, დენიელ დერონდაზე რომ დაიწყო (რომელიც მაინცდამაინც არც მომწონდა), წიგნი დავხურე, წამოვჯექი და მოულოდნელად ვუთხარი: – მინდა გკითხო, რუთ, დამშვიდობებისას ტომის ერთთავად ხელზე რატომ ურტყამ ხოლმე? ხვდები, რაზეც გეუბნები.

რუთმა, რა თქმა უნდა, შეიცხადა. მე მოთმინებით ავუხსენი. მან მხრები აიჩეჩა და მითხრა: – არც კი შემიმჩნევია, რომ ასე ვშვრები. ეტყობა, ჩემდა უნებურად შევეჩვიე.

რამდენიმე თვით ადრე შეიძლებოდა ხელი ჩამექნია და აღარ გამეგრძელებინა. ალბათ, არც კი წამოვიწყებდი ლაპარაკს. იმ დღეს კი ბოლომდე მივაწეი. ავუხსენი რუთს: ეს ჩვევა ტელესერიალიდან გაქვს გადმოღებული-მეთქი.

– არ ღირს მისაბამად, – ვუთხარი, – ჩვეულებრივი ხალხი ეგრე არ იქცევა, თუ ეგ გამომრავებდა.

რუთი გაბრაზდა, მაგრამ არ იცოდა, რა ეპასუხა. განზე გაიხედა და ისევ მხრები აიჩეჩა.

– მერე რა? რა მოხდა? ეგრე ბევრი შვრება.

– გინდოდა, გეთქვა ქრისი და როდნი.

ეს ვთქვი და მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ქრისის და როდნის ხსენებამდე რუთი კუთხეში მყავდა მიმწყვდეული, ახლა კი გამექცა. ეს იმას ჰგავდა, ჭადრაკში სვლას რომ გააკეთებ და, გაუშვებ თუ არა ფიგურას ხელს, ხვდები, რომ შეცდომა დაუშვი. პანიკა გიპყრობს, რადგან ჯერ არ იცი, რამხელა საფრთხეში ჩაიგდე თავი. რუთს თვალები აენტო და ხმა რომ ამოიღო, სულ სხვანაირად განაგრძო: – აი, თურმე რამ გააბრაზა საბრალო ქეთი! რუთი საკმარის ყურადღებას აღარ აქცევს! რუთს ახალი, დიდი მეგობრები ჰყავს და პატარა დაიკოს ისე ხშირად ვეღარ ეთამაშება...

– შეწყვიტე. გეუბნები, ნამდვილ ოჯახებში ეგრე არ იქცევიან. მაგაზე შენ არაფერი იცი.

– ჰო, ნამდვილი ოჯახების დიდი ექსპერტი ქეთი. მაპატიე, მაგრამ გამოვიცანი, რაც ხდება, არა? ისევ ის აზრი გაწუხებს. ჩვენ, ჰეილშემელები, სულ ერთ მუშტად უნდა დავრჩეთ შეკრული და ახალი მეგობრები არ უნდა შევიძინოთ.

– ეგ არასოდეს მითქვამს. ქრისისა და როდნიზე ვამბობ. ყველაფერში მათ ჰბამავ. ცუდი საყურებელია.

– მაგრამ ისე ხომ მართალი ვარ? – განაგრძო რუთმა, – იმან გაგაბრაზა, რომ წინსვლა და ახალი მეგობრების გაჩენა მოვახერხე. ზოგ ვეტერანს შენი სახელიც კი არ ახსოვს და ვერც მოსთხოვ ვერაფერს. ჰეილშემელები გარდა, ხმას არავის სცემ. ყოველთვის მე ხომ არ გედგები გვერდში? თითქმის ორი თვეა, აქ ვართ.

სატყუარას არ წამოვეგე და მივუგე: – მე და ჰეილშემს თავი დაგვანებე. ტომის უხერხულ მდგომარეობაში აგდებ. გიყურებდი, მარტო ამ კვირას რამდენჯერმე წაჰკარი იდაყვზე. ისე ექცევი, როგორც ნივთს. უსამართლობაა. შენ და ტომი წყვილი უნდა იყოთ, ანუ, უნდა მიხედო.

– სხვათა შორის, ქეით, ვართ კიდევ წყვილი. ჰოდა, თუ ძალიან გინდა ცხვირის ჩაყოფა, ამასაც გეტყვი: მაგაზე ტომიმ და მე ვილაპარაკეთ და შევთანხმდით. თუკი დროდადრო არ სურს ქრისისთან და როდნისთან ურთიერთობა, მისი ნებაა. რისთვისაც მზად არ არის, იმის კეთებას არ დავაძალეებ. იმაზეც შევთანხმდით, რომ მე არ შემზღვედავს. ისე, კარგია, რომ ზრუნავ, – თქვა და სხვანაირი ხმით დაამატა: – ისე, რომ დავფიქრდი, დიდადაც არ გაგჭირვებია ზოგ ვეტერანთან დამეგობრება.

დაკვირვებით შემომხედა, მერე კი ისე გაიცინა, თითქოს ამბობდა: „ხომ მაინც მეგობრები ვართ?“ მაგრამ მის ბოლო შენიშვნაში სასაცილო ვერაფერი ვნახე. წიგნი ავიღე და უხმოდ გავეცალე.

თავი მეთერთმეტე

უნდა აგიხსნათ, რატომ გამაბრაზა ასე რუთის ნათქვამმა. კოტეჯებში გატარებული პირველი თვეები ჩემი და რუთის მეგობრობის უცნაურ პერიოდს წარმოადგენდა. ყველაფერზე ვკინკლაობდით. ამის მიუხედავად, აქამდე არნახულად ვენდობოდით ერთმანეთს, განსაკუთრებით – შავი თავლის თავზე, ჩემს ოთახში, ძილისწინა საუბრებში. ჰეილშემის საძინებელში შუქის გამორთვის შემდეგ გამართული საუბრების გადმონაშთს ჰგავდა. ჰოდა, დღისით რაც უნდა მომხდარიყო, ძილის წინ მე და რუთი უსიკვდილოდ გვერდიგვერდ აღმოვჩნდებოდით ხოლმე ჩემს ლეიბზე, ცხელ სასმელს ვწრუპავდით და ჩვენს ახალ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველაზე პირადულ აზრებს ვუზიარებდით ერთმანეთს, თითქოს ცოტა ხნის წინ სრულებით არაფერი მომხდარიყო. ამ ყველაფერს და, საერთოდ, მთელ ჩვენს მეგობრობას შესაძლებელს ხდიდა ცოდნა იმისა, რომ ერთმანეთისთვის გაზიარებულს გაგებითა და სიფრთხილით მოვეკიდებოდით. პატივს ვცემდით ურთიერთნდობას და, როგორც უნდა გვეჩხუბა, საიდუმლო საუბრების თემას არასოდეს ვიყენებდით ერთმანეთის წინააღმდეგ. ამაზე კონკრეტულად არასოდეს გვისაუბრია, მაგრამ თავისთავად ხდებოდა ასე. დენიელ დერონდას ეპიზოდამდე ამ წესის დარღვევა არც ერთს არ გავგივლია თავში. ამიტომაც, როცა რუთმა ვეტერანებთან დამეგობრებაზე მიმანიშნა, უბრალოდ არ გავბრაზებულვარ. ჩემთვის ეს ღალატი იყო. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ვხვდებოდი, რასაც გულისხმობდა: უცილობლად იმას, რაც ერთ ღამეს გავანდე სექსისა და საკუთარი თავის შესახებ.

როგორც უკვე ხვდებით, კოტეჯებში და ჰეილშემში სექსი სხვადასხვა რამ იყო. კოტეჯებში ბევრად უფრო უშუალოდ, უფრო „ზრდასრულად“ გვარდებოდა ყველაფერი. არავინ ყბედობდა და ჭორაობდა იმაზე, ვინ ვისთან იწვა. თუ გაიგებდით,

რომ ორი ადამიანი ერთად დაწვა, მაშინვე იმაზე ფიქრს არ იწყებდით, იქცეოდნენ თუ არა ისინი სრულფასოვან წყვილად. და თუ მართლაც აღმოცენდებოდა ახალი წყვილი, ამაზე დიდის ამბით არავინ ლაპარაკობდა. უბრალოდ, ჩუმად მიიღებდით სიახლეს და ამიერიდან ერთზე საუბრისას მეორესაც ახსენებდით, როგორც „ქრისი და როდნი“ ან „რუთი და ტომი“. ვინმეს თქვენთან დაწოლა თუ მოუნდებოდა, ამასაც პირდაპირ გამოხატავდა. მოვიდოდა ბიჭი და, „მრავალფეროვნების“ სახელით, მის ოთახში ღამის გატარებას შემოგთავაზებდათ. შეიძლება მართლაც იმიტომ, რომ თქვენთან დაწყვილება სურდა, შეიძლება, უბრალოდ, ერთი ღამისთვის.

ერთი სიტყვით, ბევრად უფრო ჩამოყალიბებული გარემო იყო. თუმცა, ახლა რომ ვიხსენებ, სექსს კოტეჯებში, გარკვეულწილად, სხვა – ფუნქციური – დატვირთვაც ჰქონდა. შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ უხერხულობა აღარ ახლდა, შესაძლოა – სიცივის გამოც.

კოტეჯებში სექსს რომ ვიხსენებ, მახსენდება აქტი გაყინულ, ბნელ ოთახში, როგორც წესი – უამრავი საბნეულობის ქვეშ. „საბნეულობა“ კი მხოლოდ საბნებს როდი გულისხმობდა: ძველ ფარდებს, ხანდახან ხალიჩის ნაგლეჯებსაც კი. ხანდახან ისე აცივდებოდა, რომ რასაც მოიხელთებდით, ყველაფერს ზედ დაიყრიდით. და თუ ამ ყველაფრის ქვეშ სექსით დაკავდებოდით, თითქოს ზემოდან ქვეშაგების მთა გბეგავდათ. დროდადრო იმასაც კი ეჭვობდით, ვინ იყო თქვენი პარტნიორი: ბიჭი თუ ყოველივე დანარჩენი.

მოკლედ, საქმე ისაა, რომ კოტეჯებში მოხვედრის შემდეგ მალევე გადამხდა რამდენიმე თითოღამიანი თავგადასავალი. მე ასე არ მქონდა დაგეგმილი. აუჩქარებლად მოქმედება და ბოლოს დაწყვილება მინდოდა ვინმე გულდასმით შერჩეულთან. მანამდე წყვილში არასოდეს ვყოფილვარ და, განსაკუთრებით, რუთის და ტომის შემხედვარეს, მომინდა მეცადა. როგორც გითხარით, ასეთი იყო ჩემი გეგმა და ის თითო-თითო ღამეები რომ დაიწყო, ცოტათი ავფორიაქდი. ამიტომაც გადავწყვიტე, ერთ ღამეს გულის დარდი რუთისთვის გამენდო.

საღამომ ჩვეულებრივად ჩაიარა. ჩვენი ჩაის ჭიქებიანად გვერდიგვერდ ვისხედით ლეიბზე ჩემს ოთახში. კედელი ირიბი იყო და თავები ცოტათი წინ გვქონდა გადმოხრილი. კოტეჯებში მცხოვრები ბიჭები დავახასიათეთ. მე რომელი შემეფერებოდა? რუთი ჩინებულად იქცეოდა: მამხნევებდა, მაცინებდა, ტაქტიანად და ჰკვიანურად ლაპარაკობდა. ამიტომაც გადავწყვიტე, მომეყოლა იმ ღამეების შესახებ. ვუამბე, როგორ მოხდა ყველაფერი ჩემი მხრიდან დიდი მონდომების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები არ გვეყოლებოდა, სექსი მაინც უცნაურად მეთამაშებოდა გრძნობებზე, ზუსტად ისე, როგორც მის ემილიმ გაგვაფრთხილა. მერე კი ვუთხარი: – რუთ, რაღაც მინდოდა მეკითხა. ისეთი მომენტები თუ გაქვს, როცა მოთმენა არ შეგიძლია? თითქმის ყველასთან დასაწოლად მზად რომ ხარ?

რუთმა მხრები აიჩეჩა: – მე ხომ მყავს კაცი. როცა მინდება, ტომისთან ვწვები.

– ჰო... შეიძლება მე ვარ ასეთი. შეიძლება იქ, ქვემოთ მჭირს რაღაც. ხანდახან ძალიან, ძალიან მინდება.

– უცნაურია, ქვით, – შეწუხებული სახით შემომხედა რუთმა და ამით უფრო ამაღელვა.

– ანუ შენ ეგრე არ მოგდის?

რუთმა ისევ აიჩეჩა მხრები: – ისე არა, ყველაზე თანახმა რომ ვიყო. მაგარ უცნაურობას კი მეუბნები. იქნებ დამშვიდდე, დრო რომ გავა.

– ხანდახან დიდი დრო ისე გადის, რომ არ მინდებია. მერე უეცრად მეწყება. პირველადაც ეგრე იყო. კოცნა დამიწყო. მე მოშორება მინდოდა, მერე კი უცხად ავტყდი. უარს ველარ ვიტყვოდი.

რუთმა თავი გააქნია.

– არა, უცნაურია, მაგრამ, ალბათ, გაგივლის. ალბათ, აქაური საჭმლის ბრალია.

დიდი დახმარება ვერ გამიწია, მაგრამ მაინც კეთილად მომექცა და ცოტაოდენი შვევა მაგრძნობინა. ამიტომაც შემძრა ასე რუთმა, იმ დღეს, მინდორში კამათისას, ეს ამბავი რომ გამიხსენა. მერე რა, რომ შორიახლოს გამგონი არავინ ჩანდა, მაინც იყო რაღაც არაჯანსაღი რუთის საქციელში. კოტეჯებში გატარებულ პირველ თვეებში ჩვენს მეგობრობას არაფერი დამუქრებია. ეს იმიტომ, რომ ვიცოდი: ორი რუთი არსებობდა. ერთი რუთი სულ ვეტერანების მიბაძვას ცდილობდა, დაუფიქრებლად დახუჭავდა თვალს ჩემზე, ტომიზე ან ნებისმიერ სხვაზე, თუ ჩათვლიდა, რომ მის სტილს ვაბრკოლებდით. ეს რუთი არ მომწონდა. ყოველდღე ვხედავდი, როგორ იწყებდა თვალთმაქცობას. ეს იდაყვზე ხელის წამკვრელი რუთი გახლდათ. მაგრამ მეორე რუთი, დღის ბოლოს გვერდით რომ მომიჯდებოდა ჩემს პატარა ოთახში სხვენზე, ფეხებს ლეიბის იქით გაჭიმავდა და ორთქლამდინარე ჭიქა ორივე ხელით ეჭირა, სწორედ ის იყო ჰეილშემელი რუთი. დღის განმავლობაში რაც უნდა მომხდარიყო, უმალ იქიდან ვაგრძელებდით საუბარს, სადაც ბოლოს ასე ჩამომსხდარები გავჩერდით. და, მინდვრის ამბამდეც, ეჭვი არ შემპარვია იმაში, რომ ერთხელაც ეს ორი რუთი გაერთიანდებოდა. ვიცოდი, რომ ის, ვისაც ძილის წინ საიდუმლოებს ვუყვებოდი, თხემით ტერფამდე სანდო იყო. ამიტომაც გამაბრაზა მისმა ნათქვამმა: „ზოგ ვეტერანთან არც ისე გიჭირს დაახლოებაო“. ამიტომაც ავიღე ჩემი წიგნი და უსიტყვოდ გავეცალე.

თუმცა, ახლა რომ ვიხსენებ იმ ყველაფერს, რაღაცებს უფრო რუთის პოზიციიდან ვუყურებ. მაგალითად, რატომ შეეძლო ეფიქრა, რომ პირველმა მე დავარღვიე ჩვენი უსიტყვო შეთანხმება და მან მხოლოდ სამაგიერო გადამიხადა. მაშინ ასე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ესეც ერთ-ერთი ვარიანტია მომხდარის ასახსნელად. ბოლოს და ბოლოს, რუთის შენიშვნამდე რამდენიმე წამით ადრე იდაყვზე წაკვრა მე ვუხსენე. ახლა ძნელი ასახსნელია, მაგრამ ჩვენ ორს ერთგვარი გაგებაც კი ჩამოგვიყალიბდა იმისა, თუ როგორ მოიქცეოდა რუთი ვეტერანების წინაშე. კი, ხანდახან რაღაც-რაღაცებს იტყუებოდა და, როგორც ვთქვი, ზოგჯერ ჩვენი წყენინების ხარჯზეც ცდილობდა ვეტერანების მიბაძვას. თუმცა, ვგონებ, რუთი ჩვენი – ჰეილშემელთა – საერთო ინტერესებისთვის იქცეოდა ასე. ჩემი, როგორც საუკეთესო მეგობრის, დანიშნულება მისი უხმო მხარდაჭერა იყო. თითქოს რუთი როლს თამაშობდა ხალხის წინაშე. იბრძოდა, რომ სხვა ადამიანი გამხდარიყო. შეიძლება სხვებზე მეტ ტვირთსაც გრძნობდა, რაკი, როგორც გითხარით, ასე თუ ისე, პასუხისმგებლობა აიღო ჩვენზე. ამ კუთხით, თვით ჩემი შენიშვნაც კი იდაყვზე წაკვრის თაობაზე ღალატად გამოჩნდა. ამიტომაც შეიძლებოდა შურისძიებისას თავი მტყუანად არ ეგრძნო. როგორც გითხარით, ამგვარი ახსნა ამ ბოლო დროს მომავიქრდა. თავიდან ხომ არც საერთო სიტუაციას ვუყურებდი და არც ჩემს როლს ამ სიტუაციაში.

მაშინ რუთს, ალბათ, ერთხელაც არ დაუზოგავს მონდომება, რომელსაც იგი გაზრდასა და ჰეილშემის უკან ჩამოტოვებაში იჩენდა. ამაზე ფიქრმა რუთის ერთი ნათქვამი გამახსენა დოუერის სარეაბილიტაციო ცენტრში. ჩვეულებისამებრ, მის ოთახში ვისხედით და მზის ჩასვლას ვუყურებდით. ჩემს მიტანილ მინერალურ წყალს და ბისკვიტებს მივირთმევდით. ვეუბნებოდი, ჩემი, ჰეილშემის დროინდელი, საკოლექციო ყუთი თითქმის ხელუხლებელი მიდევს კომოდში-მეთქი. მერე – ყოველგვარი განზრახვისა თუ ხაზგასმის გარეშე – შემთხვევით ვუთხარი: – ჰეილშემის მერე კოლექცია აღარ გქონია, არა?

ლოგინში წამომჯდარ რუთს კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მის უკან კაფელის კედელს ჩამავალი მზის სხივები ეცემოდა. ბოლოს თქვა: – გახსოვს, როგორ გვიმეორებდნენ მასწავლებლები, წასვლისას შეგიძლიათ თქვენი კოლექციებიც გაიყოლოთ? საკოლექციო ყუთიდან ყველაფერი ამოვიღე და ჩანთაში ჩავაწყვე. ჩაფიქრებული მქონდა, კოტეჯებში მოხვედრისთანავე ჩემი კოლექციისთვის ერთი კარგი ხის ყუთი მეშოვა. მაგრამ აქ მოსულმა ვნახე, რომ კოლექცია არც ერთ ვეტერანს არ ჰქონდა. ეს უჩვეულოდ მეჩვენა. ალბათ, მარტო მე კი არა, ყველამ შევამჩნიეთ ეს, მაგრამ ბევრი არ გვილაპარაკია. ჰოდა, ახალი ყუთის ძებნა აღარ დავიწყე. ნივთები თვეების განმავლობაში ჩანთაში მეწყო. ბოლოს და ბოლოს, გადავყარე.

– შენი კოლექცია ნაგავს გააყოლე? – მივაშტერდი მე.

რუთმა თავი გააქნია. მომდევნო წუთებში, ალბათ, სათითაოდ იხსენებდა ნივთებს, რომლებიც კოლექციაში ჰქონდა. ბოლოს მითხრა: – ყველაფერი სანაგვე პარკში ჩავაწყვე, მაგრამ ნაგავთან ერთად გარეთ გადგმის გაფიქრებაც კი მზარავდა. ჰოდა, ერთხელაც, კეფერსი რომ მიდიოდა, ვთხოვე, ეს პარკი მაღაზიაში წაიღეთ-მეთქი. მაშინ უკვე მსმენოდა საქველმოქმედო მაღაზიებზე. კეფერსი ერთხანს პარკში იქექებოდა და ვერაფრის დანიშნულებას ვერ მიხვდა. ან საიდან უნდა მიმხვდარიყო? მერე გაეცინა და მითხრა, ამეებს არც ერთ მაღაზიაში არ მიიღებენო. კარგი რაღაცებია, მართლა-მეთქი. მიხვდა, რომ ავლელი და თვითონაც შეიცვალა. რაღაც ამდაგვარი მითხრა: „კეთილი, ქალუნავ, ოქსფამის ხალხს წავუღებ“. მერე ძალიან მოინდომა და დაამატა: „აი, კარგად რომ დავაკვირდი, დაგეთანხმე: მართლაც კარგი რამეებია!“ მაინცდამაინც დამაჯერებლად არ ჟღერდა. ალბათ, წაიღო და რომელიმე ნაგვის ყუთში ჩაუძახა. საკუთარი თვალთ მანც არ დამინახავს.

მერე რუთმა გაიღიმა და დაამატა: – შენ სხვანაირი იყავი. მახსოვს, კოლექციის ქონა არასოდეს გრცხვენოდა და ინახავდი კიდევ. ახლა მეც ვფიქრობ, ნეტავ, შენნაირად მოვქცეულიყავი.

მე იმას ვამბობ, რომ ყველანი ვიბრძოდით და ვცდილობდით, ნაბიჯი აგვეწყო ახალი ცხოვრებისთვის. ალბათ, ზოგი ისეთი რამეც ჩავიდინეთ, რომ მერე ვინანეთ. რუთის ბოლო შენიშვნამ ძალიან შემაწუხა, მაგრამ ახლა კოტეჯების დროინდელ მოქმედებებზე დავა უაზრობაა და მეტი არაფერი.

შემოდგომა ჩამოდგა. ახალ გარემოს გავუშინაურდი და ისეთი რამეების შემჩნევა დავიწყე, რაც მანამდე მხედველობიდან მრჩებოდა. მაგალითად, ალმაცერი დამოკიდებულება ახალწასულ მოსწავლეებთან. ვეტერანებს არასოდეს ერიდებოდათ სასაცილო ამბების მოყოლა უაიტ მენშენში და პოპლარ ფარმში მოგზაურობისას ნანახ

პერსონაჟებზე. იმ მოსწავლეებს კი, რომლებიც ზუსტად ჩვენი მისვლის წინ წავიდნენ და ვეტერანების ახლო მეგობრებიც უნდა ყოფილიყვნენ, არასოდეს ახსენებდნენ.

კიდევ ერთი რამ შევნიშნე: ვეტერანებზე, რომლებიც კურსებზე მიდიოდნენ, ხმას არავინ იღებდა. კურსები კი – ჩვენც ვხვდებოდით – მომვლელიობას უკავშირდებოდა. ოთხი, ხანდახან ხუთი დღითაც მიდიოდნენ, მაგრამ ამ პერიოდში მათ იშვიათად თუ ახსენებდა ვინმე. დაბრუნებულებსაც არავინ არაფერს ეკითხებოდა. ალბათ, მხოლოდ უახლოეს მეგობრებს ესაუბრებოდნენ განცალკევებით. ასე იყო თუ ისე, აშკარად ჩანდა, რომ ამ გამგზავრებების ხსენებას საზოგადოდ ერიდებოდნენ. მახსოვს, ერთ დილას კურსებზე მიმავალ ორ ვეტერანს გავყურებდი სამზარეულოს დაორთქლილი ფანჯრიდან. ვფიქრობდი: ნეტა მომდევნო გაზაფხულს ან ზაფხულს სამუდამოდ თუ წავლენ და ჩვენც იმაზე ვიზრუნებთ, რომ ისინი აღარავინ ახსენოს-მეთქი?

ზედმეტი იქნებოდა იმის თქმა, რომ აქედან წასული სტუდენტების ხსენებას ტაბუ ჰქონდა დადებული. თუ საჭირო ხდებოდა, ახსენებდნენ კიდევ, როგორც წესი, არაპირდაპირ, რაიმე ნივთთან ან რომელიმე საქმიანობასთან დაკავშირებით. ვთქვათ, თუ საკანალიზაციო მილი ფუჭდებოდა, ყველა იმას იხსენებდა, როგორ არემონტებდა ასეთ რამეებს მაიკი. შავი თავლის წინ იდო ერთი ჯირკი, რომელსაც დეივის ჯირკს ეძახდნენ. თურმე მთელი სამი წელი იმ ჯირკზე მჯდარა საწერ-საკითხავად, ხანდახან წვიმაში ან სიცივეშიც კი. ჩვენს მოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე წასულა. ამის შემდეგ ყველაზე დასამახსოვრებელი პიროვნება სტივი გახლდათ. ვერავინ შევიტყვეთ, როგორი ადამიანი იყო სტივი. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ პორნოჟურნალები მოსწონდა.

კოტეჯებში დროდადრო წააწყდებოდით სავარძლის უკან ჩავარდნილ ან ჩვეულებრივ გაზეთებში შერეულ პორნოჟურნალს, ეგრეთ წოდებული, „მსუბუქი“ პორნოს კატეგორიას. მაგრამ იმხანად ამდენს ვერ ვარჩევდით, უწინ მსგავსი არაფერი გვენახა და ახლა არ ვიცოდით, რა გვეფიქრა.

მოკლედ, იმას ვამბობ, რომ პორნოჟურნალის პოვნას ყველა „სტივის კოლექციას“ აბრალებდა. სხვა სიტყვებით, თითოეული პორნოჟურნალისთვის, რაც ოდესმე გამოჩენილა კოტეჯებში, პასუხისმგებელი სტივი გახლდათ. როგორც გითხარით, სტივის შესახებ სხვა არაფერი გაგვირკვევია. თუმცა თავიდანვე ვხედავდით მონეტის მეორე, სასაცილო მხარეს. ვინმე თითოს რომ გაიშვერდა და იტყოდა: „ნახეთ, სტივის ჟურნალი გაიჩითა“, ხმაში ირონიასაც ურევდა.

ეს ჟურნალები, როგორც წესი, კეფერსს აგიჟებდა. დადიოდა ჭორები დაპირისპირებაზე კეფერსის მორწმუნეობასა და მის არა მხოლოდ პორნოს, არამედ ზოგადად სექსს შორის. ხანდახან გადამწყვეტ ზომებსაც იღებდა: ამას ნაცრისფერი ბაკენბარდების მიღმა ბრაზით აფორაჯებულ სახეზეც შეატყობდით. აქეთ-იქით აწყდებოდა და სტივის თითოეული ჟურნალის ამოსაღებად დაუკაკუნებლად შედიოდა მოსწავლეების ოთახებში. ყველანაირად ვცდილობდით, ასეთ დროს კეფერსში რამე სასაცილო გვეპოვა, მაგრამ ესოდენ გაგულისებულში მართლაც იგრძნობოდა რაღაც საშიში. უეცრად ჩვეულ ბუზღუნს წყვეტდა და ჩამოვარდნილი სიჩუმე კიდევ უფრო სახიფათოს ხდიდა მის აურას. მოსროლის წინაც ვინმე ჟურნალს წამიერი ინტერესით რომ ჩახედავდა, ვეტერანები იცინოდნენ და ჩვენც მათ ვბამავდით. რამდენიმე წლის წინ ამ ამბის გახსენებისას რუთმა მითხრა, კოტეჯებში

ათობით ეგეთი ჟურნალი გადადიოდა ხელიდან ხელში. „ვითომ არავის მოსწონდა, მაგრამ ხომ გახსოვს, როგორც იყო: ოთახში ვინმე ჟურნალს თუ წააწყდებოდა, თავს ისე იჭერდა, თითქოს გადაფურცვლა ეზარებო, მაგრამ ნახევარ საათში რომ დაბრუნებულიყავი, ჟურნალს ვეღარ იპოვიდი“.

ერთხელ კეფერსმა სტივის მთელი ექვსი თუ შვიდი ჟურნალი შეაგროვა და თავისი მონაპოვრიანად ფურგონისკენ გავარდა. მე და ლორა ჩემი ოთახიდან ვუყურებდით. ლორას სიტყვებზე ვიცინოდი. კეფერსმა ფურგონის კარი გააღო და ალბათ იმიტომ, რომ მანქანაში რაღაცების გადასაადგილებლად ორი ხელი დასჭირდა, ჟურნალები აგურებზე დააწყო საქვაბესთან. ამ აგურებით რამდენიმე თვის წინ ვეტერანებმა მაყალის აშენება სცადეს. კეფერსი წინ გადაიხარა. მისი თავი და მხრები ფურგონში გაუჩინარდა. კარგა ხანს ფუსფუსებდა შიგნით. გულმა მიგრძნო, რომ წუთის წინ გაშმაგებულ კეფერსს ჟურნალები სულ აღარ ახსოვდა. ჰოდა, რამდენიმე წუთის შემდეგ წელში გასწორდა, საჭესთან შეძვრა, კარი მიიჯახუნა და წავიდა.

ლორას საქვაბესთან დარჩენილ ჟურნალებზე რომ მივანიშნე, მითხრა: – მანდ დიდხანს არ დარჩება. მომდევნო წმენდაზე კეფერსს თავიდან მოუწევს მაგ ჟურნალების ამოღება.

თუმცა ნახევარი საათის შემდეგ საქვაბეს ჩავუარე და ჟურნალები ისევ იქ ეწყო. ჯერ ვიფიქრე, ჩემთან ავიტან-მეთქი, მაგრამ იქ რომ ეპოვათ, ხალხის ყბიდან ვეღარ ამოვიდოდი. იმას კი ვერავინ მიხვდებოდა, მაინც რატომ ავიტანე ჩემთან. ამიტომაც ჟურნალები ავიღე და საქვაბეში შევედი.

საქვაბე ფერმის სახლზე მიშენებული ერთ-ერთი თავლა იყო, მთლად გამოტენილი ცელებით, ფიწლებითა და ისეთი ნივთებით, რომლებსაც, კეფერსის აზრით, ცეცხლი ადვილად არ წაეკიდებოდა, თუკი ერთხელაც საქვაბის აფეთქებას განიზრახავდა. საქვაბეში კეფერსი კიდეც ერთ დაზგას ინახავდა და ჟურნალებიც მასზე დავაწყვე. ძველი ძონძები მივყარ-მოვყარე და მაგიდაზე დასაჯდომად ავიწიე. კარგი სინათლე არ იყო, მაგრამ ჩემ უკან ტალახიანი ფანჯარა მაინც შვრებოდა თავისას. პირველი ჟურნალი გადავშალე და დავრწმუნდი, რომ საკმარისად კარგად ჩანდა.

ბევრი ფეხებგაშლილი ან უკანალგამობზეკილი გოგოს სურათი დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგოსთან დაწოლა არასოდეს მნდომებია, ვაღიარებ, ხანდახან ასეთი სურათების ნახვა აღმაგზნებდა. თუმცა იმ დღეს საქვაბეში აღსაგზნებად არ შევსულვარ. სწრაფად ვფურცლავდი, არ მინდოდა სურათებიდან სექსის აღმური გადმომდებოდა. მიმოკლაკნილ სხეულებს არც ვუყურებდი, სახეებს ვათვალიერებდი. სანამ გვერდს გადავშლიდი, სადმე კუთხეში მიჭუჭყნულ რეკლამაზე გამოსახული თითოეული გოგოს სახეს ვაკვირდებოდი.

უკვე ბოლოში გავდიოდი, როცა დავრწმუნდი, რომ თავლის კართან ვიღაც იდგა. კარი ღია დამეტოვებინა. ისე, სულ ღია იყო. თან სინათლეს მინდოდა. მანამდე უკვე ორჯერ მომესმა რაღაც ჩქამი და კარისკენ გავიხედე, მაგრამ ვერავინ დავინახე და ჩემი საქმე განვაგრძე. ამჯერად ეჭვი აღარ შემპარვია. ჟურნალი დავუშვი და ისე ამოვიხვენე, რომ გარეთ მდგომს ნამდვილად გაეგონა.

ხითხითს ან პორნოჟურნალების დასტიანად ჩემი მოხელთებით გაამაყებული ორი-სამი მოსწავლის შემოვარდნას ველოდი. თუმცა არაფერი მოხდა. ჰოდა, მეც დაღლილი ტონით გავძახე: – გთხოვთ, დამეწვიოთ. რატომ გრცხვენიათ ასე?

ვიღაცამ ჩაიცინა და... ზღურბლზე ტომი გამოჩნდა.

– სალამი, ქეით, – მითხრა მორცხვად.

– შემოდი, ტომი. გაერთე.

ფრთხილად წამოვიდა და რამდენიმე ნაბიჯზე გაჩერდა. მერე ქვაბს გახედა და თქვა: – არ ვიცოდი, ეგეთი რამეები თუ მოგწონდა.

– გოგოებსაც გვაქვს უფლება, არა?

ფურცვლა განვაგრძე. რამდენიმე წამს ტომი ჩუმად იდგა. მერე მითხრა: – განზრახ არ მითვალთვალა. ჩემი ოთახიდან დაგინახე. დავინახე, რომ ჩახვედი და კეფერსის დატოვებული ჟურნალები აიღე.

– როცა მოვრჩები, შეგიძლია შენ ჩაიზარო.

ტომიმ ტლანქად გადაიხარხარა: – სექსია, რა! ალბათ, ყველა ნანახი მაქვს.

კიდევ გაიცინა, მაგრამ როცა გავხედე, სერიოზულად მიყურებდა. მერე მკითხა: – ეძებ რამეს, ქეით?

– რას გულისხმობ? უბრალოდ, ბინძურ ფოტოებს ვუყურებ.

– ისე, გასართობად?

– ჰო, ალბათ, გასართობად, – ერთი ჟურნალი დავდე და მეორე ავიღე.

შემდეგ ტომის ნაბიჯების ხმა გავიგონე. სანამ თავზე არ დამადგა, არ შეჩერდა. როცა ავხედე, ხელებს ჰაერში უცნაურად იქნევდა, თან ჩემს დახმარებას ლამობდა.

– ქეით, ეგრე არ... თუ გასართობად გინდა, ეგრე არ გამოგივა. სურათებს უფრო კარგად უნდა ჩაუკვირდე. ეგრე ჩქარა თუ ფურცლე, არაფერი გამოვა.

– შენ რა იცი, რა მოგვწონს გოგონებს? ან, ეგებ, რუთთან ერთად დაათვალიერე? ბოდიში, დამავიწყდა.

– რას ეძებ, ქეით?

ყურადღება არ მივაქციე. თითქმის უკვე ყველაფერი ვნახე და ბარემ ჩავამთავრებდი. ტომიმ განაგრძო: – ადრეც ვნახე, ეგრე რომ შვრებოდი.

ამჯერად შევწყვიტე და ტომის შევხედე.

– რა ხდება, ტომი? კეფერსმა თავის პორნოპატრულში გადაგიბირა?

– შენი თვალთვალი არ მიცდია, მაგრამ წინა კვირას დაგინახე. ჩარლის ოთახში რომ ვიყავით, იმის მერე. ერთი ამ ჟურნალთაგანი იყო იქ. შენ გეგონა, რომ ყველანი გავედით. მე კი ჯემპრის ასაღებად დავბრუნდი. კლერის ოთახი ისე იყო ღია, რომ

იქიდან პირდაპირ ჩანდა ჩარლის ოთახი. ასე დაგინახე, როგორ ფურცლავდი ჟურნალს.

– და მერე რა? ასე თუ ისე, ყველა ვერთობით.

– გასართობად არ აკეთებდი. მაშინაც ვარჩევდი და ახლაც ვარჩევ. სახეზე გეტყობა, ქეთ. მაშინ, ჩარლის ოთახში, უცნაური სახე გქონდა. მოწყენილს და ცოტათი შემინებულს ჰგავდი.

დაზვიადან წამოვხტი, ჟურნალები ავკრიფე და ტომის ხელებში მივაჩეჩე.

– აჰა, რუთს მიეცი. ნახე, თუ მოეწონება.

გვერდით ჩავუარე და თავლიდან გავედი. ვიცოდი, ეწყინებოდა, რომ არაფერი ვუთხარი, მაგრამ ჯერ რიგიანად არაფერი მომეფიქრებინა და რა მეთქვა? თუმცა საქვაბეში რომ შემომყვა, უკმაყოფილო არ ვიყავი. მესიამოვნა, დაცულადაც კი ვიგრძენი თავი. ბოლოს ვუპასუხე კიდევ დასმულ კითხვაზე, ოღონდ – რამდენიმე თვის შემდეგ, ნორფოლკში მოგზაურობისას.

თავი მეთორმეტე

მინდა, გაამბოთ ნორფოლკში მოგზაურობასა და კიდევ იმ ყველაფერზე, რაც იმ დღეს მოხდა. ჯერ კი ცოტა უკან გადავალ და ნორფოლკში წასვლის მიზეზს გაგაცნობთ.

ჩვენი პირველი ზამთარი მიიწურა და თავს ყველანი უფრო დალაგებულად ვგრძნობდით. კინკლაობების ფონზე, მე და რუთმა შევინარჩუნეთ ტრადიცია: თითოეული დღისთვის პირი, საბოლოოდ, ჩემს ოთახში მოგვეკრა. ჰოდა, ერთხელაც, ჩვენი ცხელი სასმელებიანად რომ ვისხედით და ვოხუნჯობდით, რუთმა უეცრად მითხრა: – ალბათ, გაიგონე, რას ამბობდნენ ქრისი და როდნი.

არა-მეთქი, როცა ვუთხარი, გაიცინა და განაგრძო: – ეტყობა, მე მაცურებენ. იხუმრეს. კარგი, არაფერი.

აშკარად უნდოდა, რომ მეთქმევინებინა. მეც ჩავეკითხე და, ბოლოს, რუთმა ხმადაბლა მითხრა: – გახსოვს, წინა კვირას ქრისი და როდნი წასულები რომ იყვნენ? ქალაქ კრომერში ყოფილან, ნორფოლკის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

– იქ რა უნდოდათ?

– მგონი, მეგობარი ჰყავთ, ვიღაც, ვინც უწინ იქ ცხოვრობდა. ეგ არ არის მთავარი. საქმე ისაა, რომ ამბობენ, ერთი... ადამიანი ვნახეთო. დიდ ოფისში მუშაობსო. ხომ იცი... ჩათვალეს, რომ ეს ადამიანი შესაძლებელია. ჩემი შესაძლებელი.

შესაძლებლის თემას პირველად ჰეილშემში წავაწყდით. ვგრძნობდით, რომ ამაზე არ უნდა გვემსჯელა და არც ვმსჯელობდით, მაგრამ მაინც გვაინტრიგებდა და გვაწუხებდა. ამ საკითხზე, ჩვეულებრივ, ვერც კოტეჯებში ისაუბრებდით. ეს თემა ნამდვილად უფრო უხერხული იყო, ვიდრე თუნდაც სექსის. ამავე დროს, ისიც ჩანდა, რომ ხალხი მოხიბლული, ზოგ შემთხვევაში კი შეპყრობილიც იყო ამ საკითხით. და ეს უკანასკნელიც ისევ და ისევ ამოტივტივდებოდა, როგორც წესი – სერიოზულ

დისკუსიებში. და ეს სამყარო ისევე დაშორებული იყო ჩვენი სამყაროებისგან, როგორც, ვთქვათ, ჯეიმს ჯოისი.

შესაძლებლის თეორიის უკან მდგარი ძირითადი იდეა მარტივი იყო და დიდ კამათს არ იწვევდა. დაახლოებით ასეთი: „რაკი თითოეული ჩვენგანი რაღაც დონემდე ნორმალური ადამიანის ასლს წარმოადგენს, სადღაც გარეთ უნდა არსებობდეს ის ჩვენი ასლი, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანად ცხოვრობს“. ანუ, ამ თეორიის მიხედვით, პოვნა ადამიანისა, რომლის მიხედვითაც შენ შეგქმნეს, შესაძლებელი იყო. ამიტომაც, როდესაც გარეთ გადიოდი, ქალაქებში, სავაჭრო ცენტრებში, ტრანსპორტში თუ კაფეში ცალი თვალთ ეძებდი შენს შესაძლებლებს – ადამიანებს, რომლებიც შეიძლებოდა შენი ან შენი მეგობრების მოდელები ყოფილიყვნენ.

ამ ძირითადი აზრის მიღმა კი ერთმანეთს ბევრში ვერაფერში ეთანხმებოდნენ. მაგალითად, ვერავინ თანხმდებოდა იმაზე, მაინც ვინ უნდა გვეძებნა შესაძლებლების ძებნისას. ზოგი მიიჩნევდა, რომ უნდა გვეძებნა შენზე ოცი-ოცდაათი წლით უფროსი, ანუ მშობლის ასაკის ადამიანი. სხვები ამ თეორიას ცარიელ სენტიმენტალობად მიიჩნევდნენ. რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენსა და ჩვენს მოდელებს შორის ბუნებრივი ასაკობრივი სხვაობა? იქნებ მოდელად ბავშვი ან მოხუცი გამოიყენეს: რა მნიშვნელობა აქვს? ზოგის აზრით, მოდელად ჯანმრთელობის გაფურჩქნის ხანაში მყოფ ადამიანებს გამოიყენებდნენ. ამიტომაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი „ნორმალური მშობლების“ ასაკის. აქ კი ყველა ვგრძნობდით იმ ადგილთან მიახლოებას, სადაც შესვლა არ გვსურდა, და არგუმენტებიც ქრებოდა.

მერე ჩნდებოდა კითხვა: საერთოდ, რაში გვჭირდება ჩვენი მოდელების პოვნა? ერთადერთი აზრი ის იყო, რომ მოდელთან ერთად საკუთარ მომავალსაც მოვკრავდით თვალს. არა მგონია, ვინმეს ეფიქრა, რომ თუ მისი მოდელი, ვთქვათ, რკინიგზის სადგურის მუშა აღმოჩნდებოდა, ბოლოს თვითონაც იქ ამოყოფდა თავს. ყველა ვხვდებოდით, რომ საქმე ასე მარტივად არ იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ-ჩვენი ვარიაციით ყველას გვჯეროდა: როცა ნახავდი ადამიანს, რომლის ასლადაც გადაგიღეს, იმაზეც შეიქმნიდი გარკვეულ სიღრმისეულ წარმოდგენას, ვინ იყავი, და შესაძლოა, ნაწილობრივ, ისიც გაგეგო, რას გიმზადებდა ცხოვრება.

ზოგი კი შესაძლებლებით თავის შეწუხებას, საერთოდ, სისულელედ თვლიდა. ჩვენი მოდელები შეუსაბამოა იყო, ჩვენი არსებობის ტექნიკური საჭიროება და სხვა არაფერი. ცხოვრებისგან რამის გამოყვანა თითოეულ ჩვენგანზე იყო დამოკიდებული. რუთი ყოველთვის ამ მოსაზრების ბანაკში ყოფნას იჩემებდა. ალბათ – მეც. თუმცა, როგორც კი ყურს მოვკრავდით, ვიღაცამ შესაძლებელი ნახაო, ყველას ინტერესი გვიღვივდებოდა.

როგორც მახსოვს, შესაძლებლის დანახვის შემთხვევები ერთად, ერთიმეორის მიყოლებით ხდებოდა. კვირები ისე გავიღოდა, რომ არავინ არაფერს ახსენებდა. მერე კი ერთ შემთხვევას სხვა ეპიზოდების მთელი კრიალოსანი მოჰყვებოდა. ძირითადად, ისინი ადევნებას არ იმსახურებდნენ: გამვლელ მანქანაში დანახული მავანი ან რამე ამდაგვარი. მაგრამ დროდადრო აზრიანი შემთხვევაც გამოერეოდა – როგორც ის, რუთმა რომ მიაშო იმ ღამეს.

როგორც რუთმა მითხრა, ქრისი და როდნი ქალაქის დასათვალიერებლად წასულიყვნენ და რაღაც მომენტში ცალ-ცალკე გასეირნება გადაწყვიტეს. ისევ რომ

შეხვედნენ, ანთებული როდნი ქრისის მოუყვა, როგორ სეირნობდა მთავარი ქუჩის მიმდებარე პატარა ქუჩებში და როგორ ჩაუარა შუშისვიტრინიან დიდ ოფისს. შიგ ბევრი ხალხი ირეოდა. ზოგი მაგიდასთან იჯდა, ზოგი დადიოდა და ლაპარაკობდა. ჰოდა, იქ რუთის შესაძლებელი დაინახა.

– როგორც კი დაბრუნდნენ, ქრისი მაშინვე მომიყვა. როდნისაც ყველაფერი მოაყოლინა და აღაწერინა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ახლა იმაზე ლაპარაკობენ, რომ მე უნდა წამიყვანონ იმ ადგილას. არ ვიცი, უნდა მივაქციო ყურადღება თუ არა ამ ამბავს.

ზუსტად არც მახსოვს, რა ვუპასუხე, მაგრამ თავიდან მეც საკმაოდ დავინტრიგდი. თუმცა, რომ არ მოგატყუოთ, ვხვდებოდი, რომ ქრისიმ და როდნიმ ყველაფერი თვითონვე შეთხზეს. არა, ამ წყვილს ცუდ ადამიანობას ვერ დავწამებ, ეს უსამართლობა იქნება. ბევრ რამეში მომწონდნენ კიდევ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ახალმოსულებს და, განსაკუთრებით, რუთს არცთუ მაინცდამაინც უშუალოდ ექცეოდნენ.

ქრისი საკმაოდ ლამაზი გოგონა იყო, მაღალიც, თუ წელში გაიმართებოდა, მაგრამ ამდენს ვერ ხვდებოდა და, მაღალი რომ არ გამოჩენილიყო, სულ მოკუზული დადიოდა. ამიტომაც, ხშირად, კუდიანს უფრო ჰგავდა, ვიდრე კინოვარსკვლავს. კუდიანობის შთაბეჭდილებას ეს ჩვევაც უძლიერებდა: სანამ რამეს გეტყოდა, თითოთ გეხებოდა. ჯინსის მაგივრად ყოველთვის გრძელი კაბა ეცვა და ღრმად ჩამჯდარი, პატარა სათვალე ეკეთა. იმ ვეტერანთაგანი იყო, გულითადად რომ მიგვიღეს ახალმოსულები. თავიდან ძალიანაც მომწონდა და ერთთავად მის მეგზურობას ველოდი. მაგრამ კვირა კვირას მიჰყვა და მეც ეჭვები გამიჩნდა. რაღაც უცნაურად ახსენებდა ყველა წვრილმანზე, თქვენ ჰეილშემელები ხართო, თითქოსდა სწორედ ჰეილშემელობით შეიძლებოდა ჩვენი ყველა ნაბიჯის ახსნა. სულ გვეკითხებოდა რაღაცებს ჰეილშემეზე, უმნიშვნელო დეტალებს, დაახლოებით ისე, როგორც ამჟამად ჩემი დონორები მეკითხებიან ხოლმე. მართალია, ცდილობდა, ეს ყველაფერი ვითომც სასხვათაშორისოდ ექნა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ მისი სიტყვების უკან სხვა რამ იმალებოდა. კიდევ ერთი რამ შევამჩნიე: თითქოს სულ ცდილობდა, რომ ერთმანეთს დავეშორებინეთ. რამდენიმეს ერთად რომ გვხედავდა, ერთი სადღაც გაჰყავდა ან ორს რაღაცაზე გვეპატიჟებოდა და ამით დანარჩენ ორს ცალკე ტოვებდა. აი, ასეთი რაღაცები.

ქრისის იშვიათად ნახავდით მისი მეგობარი ბიჭის, როდნის გარეშე. როდნი – სამოცდაათიანების როკმუსიკოსივით – ჰონის კუდად შეკრული თმით დადიოდა და ხშირად ლაპარაკობდა რეინკარნაციის მსგავს რამეებზე. საკმაოდ მომწონდა, მაგრამ ქრისის გავლენის ქვეშ იყო. საუბრისას ყოველთვის მის მხარეს იჭერდა და თუ ის რამე ოდნავ სასაცილოს იტყოდა, როდნი გულისწასვლამდე ბჟირდებოდა.

კეთილი, შეიძლება ზედმეტიც მომდის ამ ორზე. ახლახან მათ ვიხსენებდით და აღმოჩნდა, რომ ტომის ძალიან კარგ ადამიანებად ახსოვს. ეს ყველაფერი კი იმის ასახსნელად მოგიყვებით, თუ რატომ მოვიხსენიე ასე სკეპტიკურად მათ მიერ რუთის შესაძლებლის ნახვა. თავიდანვე არ დავიჯერე და ვიფიქრე, ქრისი რაღაცას ჩხიბავს-მეთქი.

მეორე, რის გამოც ეჭვი შემეპარა, ქრისის და როდნის მიერ გადმოცემული სიტუაცია იყო: დიდვიტრინიან ოფისში მომუშავე ქალის სახე. ამ სახეს საეჭვოდ ვამსგავსებდი რუთის იმდროინდელ „ოცნების მომავალს“.

მგონი, იმ ზამთარს ძირითადად ახალმოსულები ვლავარაკობდით ჩვენი ოცნების მომავალზე, თუმცა შიგადაშიგ ვეტერანიც ჩაგვერთებოდა ხოლმე. ზოგი უფროსი, განსაკუთრებით – ის, ვისაც უკვე ტრენინგები დაეწყო, ასეთი საუბრის დაწყებისას ჩუმად ამოიოხრებდა და ოთახს ტოვებდა. თუმცა ამას კარგა ხანს ვერ ვამჩნევდით. არც კი ვიცო, რა ხდებოდა ჩვენს გონებაში ასეთი საუბრის დროს. ალბათ, ვხვდებოდით, რომ რეალობისგან შორს ვიყავით, მაგრამ არც მთლად ფანტაზიის ნაყოფად მივიჩნევდით. ალბათ, ჰეილშემის დატოვებიდან ასე ნახევარი წლის განმავლობაში, სანამ მომვლელიობაზე ლავარაკს, მანქანის მართვის სწავლას და კიდევ ბევრ რამეს დავიწყებდით, შესაძლებელი გახდა ჩვენი ნამდვილი ვინაობის დავიწყება. შესაძლებელი გახდა მასწავლებლების სიტყვების დავიწყება. შესაძლებელი გახდა იმ წვიმიან დღეს მის ლუსის აფეთქებისა და წლების განმავლობაში შექმნილი ჩვენი თეორიების დავიწყება. ასე, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მაგრამ რამდენიმე თვით კი მოვახერხეთ ცხოვრება მყუდრო ძილ-ღვიძილში, სადაც თავისუფლად შეგვეძლო ჩვენს ცხოვრებაზე ფიქრი. ახლა ისე მახსენდება, თითქოს მთელი საუკუნეები გაგვეტარებინოს ჩვენი სამომავლო გეგმების განხილვაში იმ დაორთქლილ სამზარეულოში საუზმის შემდეგ ან მინავლულ ცეცხლთან შუადამესა და რიჟრაჟს შორის.

წარმოიდგინეთ, ზედმეტს არავინ ითხოვდა. არ მახსოვს, ვინმეს კინოვარსკვლავობა ან რამე მსგავსი მოენდომებინოს. ფოსტალიონობა ან ფერმაში მუშაობა – ასეთი იყო სურვილები. არაერთს სურდა, ამა თუ იმ კატეგორიის მძლავრი ყოფილიყო და საუბარი აქეთკენ რომ წავიდოდა, ვეტერანები მანქანით გასავლელი წარმოსახვითი გზების, რჩეული გზისპირა კაფეების, რთული შემოვლითი მარშრუტების და კიდევ რაღაცების აღწერას იწყებდნენ. დღეს არ გამიჭირდებოდა მრავალ მათგანთან ამ თემაზე ლავარაკი. მაშინ კი ვუსმენდი, ხმას არ ვიღებდი და რამეს ვწრუპავდი. ხანდახან, თუ გვიანი იყო, თვალებს ვხუჭავდი და სავარძლის სახელურზე ან – იმ ხანმოკლე პერიოდებში, როცა „ვილაცასთან“ ვიყავი – ბიჭის მკლავზე მყუდროდ მოვიკალათებდი და ძილ-ღვიძილში იმ გზების კადრებიც დამეყვებოდა.

მოკლედ, ჩემს სათქმელს დავუბრუნდეთ. როდესაც ასეთი საუბარი იწყებოდა, ყველაზე შორს რუთი მიდიოდა. განსაკუთრებით, თუ იქვე ვეტერანებიც იყვნენ. ზამთრის დაწყებიდან რუთი ოფისებზე ლავარაკობდა. ერთ დილას კი, როდესაც მე და რუთმა სოფელში გავისეირნეთ, ოფისი მისი „ოცნების მომავალი“ გახდა.

სუსხიანი სეზონი იდგა, ჩვენი მართკუთხა გამათბობლები კი გვტანჯავდნენ. მათ ანთებაზე საათობით ვწვალობდით უშედეგოდ. სულ უფრო მეტი მოწყობილობა ფუჭდებოდა და, მათთან ერთად, ოთახებიც გვაკლდებოდა. კეფერსი შეკეთებაზე უარს ამბობდა: მაგაზე პასუხს თქვენ აგებთო. ბოლოს, ძალიან რომ აცივდა, ერთი კონვერტი მოგვცა, რომელშიც ფული იდო და რომელიღაც აალებადი ნივთიერების სახელწოდება ეწერა. მე და რუთი მყიდველ-მოხალისეებად წავედით სოფელში.

აი, რატომ დავუყევით ორღობეს იმ სუსხიან დილას. ღობე ორივე მხარეს საკმაოდ მაღალი იყო, მიწა გაყინულ ფუნას დაეფარა. ამ დროს რუთი შეჩერდა – რამდენიმე ნაბიჯზე ჩემ უკან.

როდესაც მივხვდი და მივიხედე, რუთი თითებს იორთქლავდა და ფეხებთან რაღაცას დაჰყურებდა. თავიდან ვიფიქრე, სიცივით მკვდარი რომელიმე არსება იქნება-მეთქი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, ფერადი ჟურნალი აღმოჩნდა. სტივის ჟურნალი კი არა, ჭრელი, მხიარული ჟურნალი, გაზეთებს უფასოდ რომ მოჰყვება ხოლმე. ორგვერდიან პრიალა რეკლამაზე გადაშლილი ეგდო. დასველებულიყო და ერთ კუთხეში ტალახიც ეცხო. მაგრამ მაინც კარგად მოჩანდა მშვენიერი, თანამედროვე, ღიაფასადიანი ოფისი, სადაც სამი-ოთხი მუშაკი ერთმანეთში მხიარულად საუბრობდა. გარემოც და ადამიანებიც თითქოს ანათებდნენ. რუთი სურათს უყურებდა. გვერდით რომ შემნიშნა, მითხრა: „აი, აქ კი იმუშავებდა კაცი“.

მერე დაიმორცხვა, შეიძლება გაბრაზდა კიდევ, ამ მდგომარეობაში რომ წავასწარი, და გზა ბევრად უფრო სწრაფად განაგრძო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, ფერმის სახლში ცეცხლს რომ ვუსხედით, რუთმა აღწერა თავისი ოცნების ოფისი, რომელიც მაშინვე ვიცანი. თითოეული დეტალი დაასურათხატა: მცენარეები, მოელვარე აპარატურა, მოტრიალე, გორგოლაჭიანი სკამები. ისე ცოცხლად აღწერდა, რომ არავინ შეაწყვეტინა, ბოლომდე ალაპარაკეს. გაფაციცებით ვაკვირდებოდი, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ შემეძლო მისი მონოლოგი იმ ჟურნალთან დამეკავშირებინა. შეიძლება აღარც ახსოვდა, საიდან ჰქონდა ეს სურათი თავში. თავისი ოფისის თანამშრომლების დინამიკური, დაულალავი ხასიათებიც კი აღწერა. მაშინვე გამახსენდა რეკლამის თავზე დიდი ასოებით ნაწერი „ხართ დინამიკური, დაულალავი ადამიანი?“ თუ რაღაც ამდაგვარი. რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს. რუთს რომ ვუსმენდი, ისიც კი გავიფიქრე, იქნებ ეს ყველაფერი მართლა შესაძლებელია-მეთქი, ანუ ის, რომ ერთ დღესაც ყველანი რუთის აღწერილის მსგავს ადგილას მოვხვედრილიყავით და ასე გაგვეგრძელებინა ცხოვრება.

ქრისი და როდნიც იქ იყვნენ და, რა თქმა უნდა, თითოეულ სიტყვას ეჭიდებოდნენ. მომდევნო დღეებშიც ცდილობდა ქრისი, კიდევ ელაპარაკებინა რუთი ოფისის შესახებ. ოთახის კუთხეში მჯდომებს რომ ჩავუვლიდი, ქრისი რუთს ჰკითხავდა: „და სულ ერთად რომ იმუშავებთ, კიდევ დაგრჩებათ დრო ერთმანეთისთვის?“ და ლაპარაკში ითრევდა.

რაც შეეხება ქრისის (და ბევრ სხვა ვეტერანს), ახალმისულებს ცოტა უფროსივით კი გვეპყრობოდა, მაგრამ რაღაც რიდიც ჰქონდა ჩვენი ჰეილშემელობის გამო. ამის გასაგებად დიდი დრო დამჭირდა. მაგალითისთვის რუთის ოფისის ამბავი ავიღოთ. ქრისი არასოდეს დაიწყებდა ლაპარაკს რომელიმე ოფისში მუშაობაზე, ასეთ განსაკუთრებულს რომ თავი დავანებოთ. რუთი კი ჰეილშემელი იყო და მისთვის ყველაფერი მაინც შესაძლებლად ჩანდა. ასე ფიქრობდა ქრისი. რუთიც დროდადრო ისეთ რამეს იტყოდა ხოლმე, რაც, ყოვლად გაუგებარი მიზეზით, ჰეილშემელების განსხვავებულობას ადასტურებდა. არასოდეს მინახავს, რუთს ვეტერანები მოეტყუებინოს. უფრო დასაშვები იყო, რაღაც ისეთი ეთქვა, რომ ამით სხვებისთვის ნიშანი მიეცა. იყო მომენტები, როცა შემეძლო რუთისთვის ყველაფერი თავზე დამემხო. ის კი თან წუხდებოდა, როცა ამა თუ იმ ამბის მოყოლისას ჩემს მზერას

დაინახავდა, თან მშვიდად იყო, რადგან იცოდა – არ გავცემდი. და, რასაკვირველია, ასეც ხდებოდა.

აი, რა დაედო საფუძვლად იმას, რომ ქრისიმ და როდნიმ დაიჩემეს, რუთის შესაძლებელი ვნახეთო. ალბათ, უკვე ხვდებით, რატომაც ვფრთხილობდი ამ ამბავზე. არ მინდოდა, რუთი მათ ნორფოლკში გაჰყოლოდა, თუმცა არ ვიცოდი, რატომ. როცა გაირკვა, რომ რუთს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი წასვლა, ვუთხარი, მეც გამოგყვები-მეთქი. თავიდან მაინცდამაინც არ გაუხარდა და ისიც ჩამირტყა, ტომიც კი არ მიმყავსო. ბოლოს კი ყველა წავედით, ხუთივე: ქრისი, როდნი, რუთი, ტომი და მე.

თავი მეცამეტე

როდნი, რომელსაც მართვის მოწმობა ჰქონდა, ორიოდე მილში მდებარე სოფლის, მეტჩელის, ფერმერებს ერთი დღით მანქანის გამორთმევაზე შეუთანხმდა. მანქანა უწინაც ბევრჯერ უთხოვია, მაგრამ ამჯერად წასვლის წინა დღეს გეგმა ჩაგვეშალა. თუმცა ყველაფერი ადვილად მოგვარდა. როდნი ისევ წავიდა ფერმაში და ახალი მანქანა შეიპირა. საგულისხმო იყო რუთის რეაქცია იმ საათებში, როცა გვეგონა, რომ მოგზაურობა გადაიდო.

მანამდე თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფერი მხოლოდ ხუმრობაა და, თუ რამეს ვითომ იჯერებს, ამასაც ქრისის საამებლად აკეთებსო. ამბობდა: რაც ჰეილშემი დავტოვეთ, ჩვენი თავისუფლების ნახევარსაც არ ვიყენებთო, და რომ მუდამ უნდოდა ნორფოლკში მოხვედრა, თუნდაც ჩვენი დაკარგული ნივთების მოსაძებნად. მოკლედ, ყველაფერს შვრებოდა იმის გამოსახატავად, რომ თავისი შესაძლებლის პოვნა მხოლოდ ხუმრობად მიაჩნდა.

იმ დღეს, წასვლის წინ, მე და რუთმა გავისეირნეთ. სამზარეულოშიც შევბოდივალდით, სადაც ფიონა და კიდევ რამდენიმე ვეტერანი ხორცის ვეებერთელა ნაჭერს წვავდნენ. ფიონას ჩვენკენ არც გამოუხედავს, ისე გვითხრა: ფერმიდან ბიჭი მოვიდა და ამბავი მოიტანაო. რუთი ჩემ წინ იდგა, მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მთელი სხეული გაეყინა. მერე უსიტყვოდ მობრუნდა, გამცდა და შენობიდან გავიდა. ამ დროს სახეზე შევაავლე თვალი და მივხვდი, როგორ განრისხდა. ფიონამ რაღაც ამდაგვარი დაამატა: „უი, არ ვიცოდი...“. მე სწრაფად გავაწყვეტინე: „რუთი მაგაზე არ გაბრაზებულა. სხვა რაღაცაა, მანამდე მოხდა“. დიდი არაფერი მითქვამს, მაგრამ იმწამს უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

როგორც გითხარით, მანქანის პრობლემა მოგვარდა და მეორე დღით, უთენია, ხუთივენი გვერდშეჭეჭყილ, მაგრამ ჩვენს შესაფერის „როვერში“ ჩავსხედით. წინ, როდნის გვერდით, ქრისი იჯდა, უკან – ჩვენ, სამნი. თავისთავად გამოვიდა ასე. დაუფიქრებლად ჩავსხედით. რამდენიმე წუთში კი, როდნიმ სოფლის ოღროჩლოდნან ტრასაზე რომ გაგვიყვანა, შუაში მჯდომი რუთი წინ გადაიწია, ხელები წინა სავარძლებზე დააწყო და ვეტერანებს ლაპარაკი გაუბა. ეს ისე ქნა, რომ მის აქეთ-იქით მსხდომ ტომის და მე არც მათი საუბარი გვესმოდა და, რუთის წყალობით, ვერც ერთმანეთს ვხედავდით და ველაპარაკებოდით. დროდადრო უკან გადმოიწყო და ხოლმე და მეც მასთან საუბრის წამოწყებას ვცდილობდი. მაგრამ რუთი არ მომყვებოდა და მეორე წუთს თავი ისევ წინა სავარძლებს შორის ჰქონდა გაჩრილი.

ასე, ერთ საათში დღემ გაღვიძება დაიწყო და ჩვენც მუხლის გასაშლელად შევჩერდით, როდნი კი მოსასაქმებლად გავუშვით. დიდ მინდორთან ვიდექით. თხრილს გადავახტით და რამდენიმე წუთი ხელების ხახუნსა და საკუთარ სუნთქვაზე დაკვირვებაში გავატარეთ. ერთ მომენტში შევნიშნე, რომ რუთი ყველას მოგვმორებოდა და მინდვრის გადაღმა მზის ამოსვლას უყურებდა. მივედი და ვუთხარი, თუ მარტო ვეტერანებთან გინდა ლაპარაკი, სხვაგან დაჯექი-მეთქი. ასე რუთი მაინც შეძლებდა ქრისისთან საუბარს, მე და ტომი კი ერთმანეთს დაველაპარაკებოდით. დამთავრება ძლივს მოვასწარი, რომ რუთმა მითხრა: – რატომ ართულებ? რაღა მაინცდამაინც ახლა?! არ მესმის, პრობლემებს რატომ ქმნი?

მერე სწრაფად მომქაჩა და ისე შემაბრუნა, რომ სხვების მიმართ ორივენი ზურგით ვმდგარიყავით. თუ ვიჩხუბებდით, ვერ დაინახავდნენ. აი, ასე ქნა სიტყვების სანაცვლოდ. უეცრად ყველაფერი თავისი კუთხით დამანახვა. მივხვდი, რომ რუთი ძალ-ღონეს არ იშურებდა არა მარტო თავისი, არამედ ყველა ჩვენგანის კარგად წარმოსაჩენად ქრისისა და როდნის თვალში. მე კი მისთვის ძირის გამოთხრას ვლამობდი და შემაწუხებელ სცენებს ვუწყობდი. ეს რომ დავინახე, რუთს მხარზე შევეხე და დანარჩენებს შევუერთდი. მანქანაში შებრუნებულმა კი ვიზრუნე, რომ ისე ვმსხდარიყავით, როგორც თავიდან. თუმცა, გზა რომ განვაგრძეთ, რუთი ასე თუ ისე გაჩუმდა. საზურგეს მიყრდნობილი იჯდა და მაშინაც კი, როცა წინიდან ქრისი ან როდნი გამოგვძახებდნენ, რუთი მხოლოდ ცალყბად, ერთი სიტყვით თუ უპასუხებდა.

ჩვენს ზღვისპირა ქალაქს რომ მივაღწიეთ, ყველა გამხიარულდა. დაახლოებით ლანჩის დროისთვის ჩავედით და „როვერი“ მოფრიალე დროშებით სავსე გოლფის მინი-მოედნის ახლოს გავაჩერეთ. მოწმენდილი, მზიანი დღე იდგა. როგორც მახსოვს, თავიდან ისე გავმხიარულდით, რომ სულ დაგვავიწყდა, რისთვის ჩამოვედით. როდნი ხელების ქნევით მიგვიძღვებოდა ჩამწკრივებულ სახლებსა და ჩვეულებრივ მაღაზიას შორის გამავალ გზაზე. რამდენჯერმე შესძახა კიდეც. ფართოდ გაშლილი ცაც მიგვახვედრებდა, რომ ზღვას ვუახლოვდებოდით.

ბოლოს ზღვას მივაღწიეთ და აღმოვაჩინეთ, რომ კლდეზე გაყვანილ გზაზე ვიდექით. ჯერ გვეგონა, რომ წყლამდე ფრიალო კლდე ჩადიოდა, მაგრამ მოაჯირზე გადავიხედეთ და ნაპირისკენ ზიგზაგურად ჩამავალი ბილიკები დავლანდეთ.

უკვე გვარიანად მოგვშიებოდა. კლდის თავზე ფრინველივით შემომძვდარ პატარა კაფეში შევედით. მის გვერდით ნაპირზე ჩამავალი ერთ-ერთი ბილიკი იწყებოდა. კაფეში ორი თანამშრომელი ჩასუქებული, წინსაფრიანი ქალის გარდა არავინ იყო. მაგიდასთან ისხდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. ჩვენს დანახვაზე სწრაფად წამოდგნენ და სამზარეულოში გაუჩინარდნენ. მთელი საღონი ჩვენ დავგვრჩა.

უკანა მაგიდა ავირჩიეთ, ანუ კლდესთან ყველაზე ახლოს მდგარი. თითქოს ჰაერში გადავეკიდეთ ზღვის თავზე. მაშინ შესადარებლად ვერაფერი გავიხსენე. ახლა კი ვხედავ, რა მოცუტქნული კაფე იყო: სულ სამი თუ ოთხი მაგიდა იდგა. ფანჯარა ღია დაეტოვებინათ. ალბათ, შემწვრის სუნი რომ გასულიყო, იმისთვის. დროდადრო შენობაში ნიავი ჩაიქროლებდა და კაფეს კეთილი შემოთავაზებების რეკლამებს აფრიალებდა. სალაროს თავზეც ეკიდა ფლომასტერებით გაფერადებული ერთი რეკლამა, რომელიც იწყებოდა სიტყვით „მოდ“ და ასო ო-ს თითოეულ თაღში თითო თვალი იყო ჩახატული. ასეთ რამეს ახლა იმდენად ხშირად ვხედავ, რომ ყურადღებას

არ ვაქცევ, მაგრამ მაშინ პირველად ვნახე და აღტაცებით ვუყურებდი. მერე შევამჩნიე, რომ რუთიც ჩემს დღეში იყო, და ორივეს ხარხარი აგვიტყდა. მყუდროების განცდა დამეუფლა. თითქოს მანქანაში შექმნილი უსიამოვნო ატმოსფერო გაქარწყლდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს სულ ერთი წამის ამბავი იყო და სხვა არაფერი, როგორც ჩემი და რუთის სიცილი.

ქალაქში ჩასვლის შემდეგ შესაძლებელი ერთხელაც არ გვიხსენებია. ვფიქრობდი: ბოლოს დავსხდებით და ამ საკითხს გვარიანად განვიხილავთ-მეთქი. თუმცა ჩვენს სანდვიჩებს რომ შევექცეოდით, როდნიმ ერთ ძველ მეგობარზე, მარტინზე, დაიწყო ლაპარაკი. მარტინს კოტეჯები ერთი წლის წინ დაეტოვებინა და ახლა სადღაც ამ ქალაქში ცხოვრობდა. ქრისიმ ეს თემა აიტაცა და სულ მალე ორივე ვეტერანი მარტინის კურონოზებს ჰყვებოდა. ჩვენ დიდი ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ ქრისი და როდნი კი ნამდვილად ხალისობდნენ. ერთმანეთს გადახედავდნენ და იცინოდნენ, – ვითომ ჩვენთვის, მაგრამ ნათელი იყო, რომ სინამდვილეში ყველაფერს ერთმანეთისთვის იხსენებდნენ. ახლავ ვამჩნევ, რომ წასულ ადამიანებთან დაკავშირებული ტაბუ, რომელიც კოტეჯებში მოქმედებდა და რომელზეც ერთმანეთთანაც კი ვერ ლაპარაკობდნენ, შორ მანძილზე იხსნებოდა.

ვეტერანები რომ იცინოდნენ, მეც ვყვებოდი. ისე, ზრდილობისთვის. ტომის ყველაფერი ჩემზე ნაკლებად ესმოდა და, დროდადრო, ცალკეად იღიმებოდა. რუთი კი იცინოდა და იცინოდა. მარტინზე ნათქვამ თითოეულ სიტყვას ისე უქნევდა თავს, თითქოს პირადად ახსოვდა. მერე ქრისიმ ერთი მთლად გაუგებარი რამ თქვა: „ჰო, ჰო, ჯინსები რომ გამოკიდა!“ რუთმა გემრიელად გადაიკისკისა და ისე მიანიშნა ჩვენზე, თითქოს ქრისის ეუბნებოდა: ამათაც აუხსენი, რომ გაიგონო. მე ხმას არ ვიღებდი. ბოლოს, როდესაც ქრისიმ და როდნიმ მარტინთან სტუმრობის აწონ-დაწონა დაიწყეს, მეც ჩავერთე, შეიძლება – ცოტა ცივადაც: – რას აკეთებს აქ? ბინა რად უნდა?

სიჩუმე ჩამოვარდა. რუთმა ბრაზიანად ამოიხვნეშა. ქრისი მაგიდაზე ჩემკენ გადმოიხარა და ისე ჩუმად მითხრა, თითქოს ბავშვს განუმარტავსო: – მომვლელად მუშაობს. აბა, რა გეგონა? უკვე ნამდვილი მომვლელია.

ცოტა ხანს ვიყოყმანე და ვთქვი: – მეც მაგას ვამბობ. ასე ხომ ვერ დავადგებით თავზე? ქრისიმ ამოიხვნეშა.

– კეთილი. მომვლელებს, წესით და რიგით, არ უნდა ვნახულობდეთ. სერიოზულად თუ ვიტყვით, ნამდვილად არ ღირს.

როდნიმ ჩაიხითხითა და დაამატა: – ნამდვილად არ ღირს. მარტინის მონახულება აშკარა უხამსობაა.

– ნამდვილი უხამსობა, – დაამატა ქრისიმ და ამოიხარა.

მერე რუთიც ჩაერთო: – ქეთი უხამსობას ვერ იტანს. ასე რომ, ჯობს, მარტინთან არ წავიდეთ.

ტომი რუთს დაბნეული უყურებდა. ჩემი არ იყოს, ვერ გაეგო, ვისი მხარე დაიჭირა რუთმა. ჩემი აზრით, არ სურდა, ექსპედიცია სხვა გზას დასდგომოდა და ამიტომაც

უხალისოდ დაიჭირა ჩემი მხარე. გავუღიმიე, მაგრამ მზერა ამარიდა. ამ დროს ტომიმ მოულოდნელად იკითხა: – როდნი, მაინც სად ნახე რუთის შესაძლებელი?

– ჰო... – თითქოს ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ როდნის ამ საკითხის მიმართ ინტერესი დაჰკარგვოდა. რუთს კი სახეზე აგზნება შევატყვე. ბოლოს როდნიმ თქვა: – ჰაი სტრიტის გადასახვევში, სადღაც მეორე ბოლოსკენ. დღეს შეიძლება ისვენებდეს კიდევ, – მერე, რაკი ხმა არავინ ამოიღო, დაამატა: – ისვენებენ ხოლმე, ხომ იცი? სულ სამსახურში კი არ არიან.

ამის გაგონებაზე წამით იმის შიშმა გამიბრინა, რომ რაღაცები არასწორად განვსაჯეთ. როგორც ვიცოდით, ვეტერანები შესაძლებლობებზე ლაპარაკს მხოლოდ სამოგზაუროდ წასვლის საბაზად იყენებდნენ და ამ თემის უფრო შორს წაწევას აღარ ელოდნენ. შესაძლოა, რუთიც ამასვე ფიქრობდა. ვატყობდი – ღელავდა. ბოლოს ისე ჩაიცინა, თითქოსდა როდნიმ, უბრალოდ, იხუმრა.

ქრისიმ შემართებით დაიწყო: – იცი, რუთ, შეიძლება რამდენიმე წელიწადში აქ შენ სანახავად წამოვიდეთ. შენ კი ოფისში იმუშავებ. არ მესმის, რატომ უნდა დაგვიშალოს ვინმემ შენი ნახვა.

– მართალია, – სწრაფად მიუგო რუთმა, – არც არავინ დაგიშლით. შეგიძლიათ, ყველანი მესტუმროთ. ყველანი, ტომის გარდა.

– მე რატომ არა? – აღშფოთდა ტომი.

– იმიტომ, რომ შენ ისედაც ჩემთან იქნები, სულელო, – მიუგო რუთმა, – შენ ჩემთვის გინახავ.

ყველამ გავიცინეთ. ტომი ისევ ცოტათი ჩამოგვრჩა დანარჩენებს.

– ერთ გოგოზე გავიგე, უელსშია, – დაიწყო ქრისიმ, – ჰეილშემელი იყო თქვენზე რამდენიმე წლით ადრე. ახლა კი ამ ტანსაცმლის მაღაზიაში მუშაობს. ძალიან ყოჩაღია.

რაღაც გამამართლებელი ჩაბუტბუტება გაისმა. ყველანი ოცნებით ვიყავით ატანილი და ღრუბლებს ვუყურებდით.

– ეგ არის თქვენთვის ჰეილშემი, – თქვა ბოლოს როდნიმ. თითქოს გაოცებით გააქნია თავი.

– ჰო, იყო კიდევ ერთი, – ქრისი რუთს მიუბრუნდა, – ბიჭი, იმ დღეს რომ გვიყვებოდით, თქვენზე რამდენიმე წლით უფროსი, ახლა პარკში რომ მუშაობს.

რუთი ჩაფიქრებული უქნევდა თავს. ვიფიქრე, ტომის მივუბრუნდები და მზერით გავაფრთხილებ-მეთქი, მაგრამ დამასწრო.

– რომელი ბიჭი? – იკითხა ანთებულმა.

– იცი, ვინც არის, ტომი, – ვუპასუხე სწრაფად. მუჯლუგუნის მირტყმა ან თვალის ჩაკვრა სარისკო იყო, ქრისი იმწამსვე შემამჩნევდა. ამიტომაც პირდაპირ ვუთხარი, ვითომ ყველას მობეზრებული გვქონდა ტომის ასეთი გულმავიწყობა. ტომი მაინც ვერ მიხვდა.

- ვიცნობთ?

- ახლა თავიდან ნუ მოგვაყოლებ, ტომი, - მივუგე მე, - ტვინის ექიმს უნდა გაესინჯო.

რალაც მაინც გამოვიდა და ტომი გაჩუმდა.

- ვიცი, როგორ გამიმართლა, კოტეჯებში რომ მოვხვდი, - დაიწყო ქრისიმ, - თქვენ, ჰეილშემელები კი ყველაზე იღბლიანები ხართ. ხომ იცით... - ხმას დაუწია და ისევ წინ გადმოიხარა, - რალაცაზე მინდა გელაპარაკოთ. კარგა ხანია ვიცდი. უბრალოდ, კოტეჯებში ამაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ყველა ყოველთვის გისმენს.

მიმოიხედა და მზერა რუთზე შეაჩერა. როდნი უცბად დაიძაბა და ქრისივით წინ გადმოიხარა. ვიგრძენი, რომ ამ ექსპედიციაში ქრისის და როდნის მთავარ მიზანს ვუახლოვდებოდით.

- უელსში ყოფნისას, - დაიწყო ქრისიმ, - ტანსაცმლის მაღაზიაში მომუშავე გოგოზე რომ შევიტყვეთ, მე და როდნიმ კიდევ მოვკარით ყური რალაცას ჰეილშემელებთან დაკავშირებით. გვითხრეს, რომ წარსულში, გამონაკლისის სახით, ზოგ ჰეილშემელს გადავადება მოუხერხებია; რომ, თუ ჰეილშემელი იყავი, შეგეძლო ამის გაკეთება; შეგეძლო შენი შეწირვების გადადება სამი-ოთხი წლითაც. ადვილი არ არის, მაგრამ ხანდახან მაინც შეიძლება მოხერხდესო. მთავარია, დაარწმუნო. დაარწმუნო, რომ შესაფერისი ხარო.

ქრისი შეჩერდა და სათითაოდ შემოგვხედა. იქნებ მეტი დრამატულობისთვის, იქნებ ჩვენი დასტურის სანახავად. მე და ტომი, ალბათ, დაბნეულად გამოვიყურებოდით, რუთს კი ისეთი სახე მიეღო, ვერ გაიგებდით, რას ფიქრობდა.

- კიდევ იმას ამბობენ, - განაგრძო ქრისიმ, - რომ თუ გოგო და ბიჭი ხართ და ერთმანეთი გიყვართ, მართლა გიყვართ და ჰეილშემის უფროსებისთვის ამ სიყვარულის ჩვენება შეგიძლიათ, ისინი საქმეს ჩაგიწყობენ. ისე იზამენ, რომ შეწირვების დაწყებამდე რამდენიმე წლის ერთად გატარებას შეძლებთ.

სუფრაზე უცნაური ატმოსფერო ჩამოდგა, თითქოს ყურებში რალაც გვიწოდა.

- უელსში რომ ვიყავით, - განაგრძო ქრისიმ, - უაიტ მენშენის მოსწავლეებმა ერთ ჰეილშემელ წყვილზე გვიამბეს. მომვლელიობამდე ბიჭს რამდენიმე კვირაღა დარჩენოდა. ვილაცის სანახავად წასულან და ყველაფერი სამი წლით გადაუვადებიათ. კიდევ სამ წელიწადს უაიტ მენშენში ცხოვრების უფლება მისცეს ტრენინგებისა და ყველაფრის გარეშე. სამი წელი ერთმანეთისთვის, მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი ნამდვილი სიყვარული დაამტკიცეს.

აქ შევნიშნე, რა ავტორიტეტულად დააქნია თავი რუთმა. ეს ქრისიმ და როდნიმაც შეამჩნიეს და მომდევნო წამები მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ. უცბად დამიდგა თვალწინ, როგორ ამზადებდნენ და თათბირობდნენ ამ საკითხზე ქრისი და როდნი ბოლო თვეებში; როგორ იწყებდნენ ამ თემაზე ლაპარაკს, ჯერ ფრთხილად, მერე თავს ანებებდნენ, ისევ იწყებდნენ და ვეღარ ეშვებოდნენ; როგორ ათამაშებდნენ ჩვენთან ამ ამბავს; როგორ ხვეწდნენ თავიანთ გეგმას და ზუსტ სათქმელს. კიდევ ერთხელ შევხედე რუთზე მიშტერებულ ქრისის და როდნის და მათი გამომეტყველების ამოკითხვა ვცადე. ქრისი თან დამფრთხალი ჩანდა, თან იმედით

აღსავსე. როდნის დამაბული იერი ჰქონდა, თითქოს საკუთარ თავს არ ენდობოდა: ვაითუ ენას კბილი ვერ დავაჭირო და რამე წამოვაყრანტალოო.

გადავადების ჭორი აქამდეც მსმენია. ბოლო კვირებში სულ უფრო და უფრო ხშირად გაიღვებდა ხოლმე ეს თემა. მასზე მხოლოდ ვეტერანები ლაპარაკობდნენ, რომელიმე ჩვენგანის გამოჩენისთანავე კი იბნეოდნენ და ჩუმდებოდნენ. ამის მიუხედავად, აზრს მაინც ჩავწვდი. იმასაც ვხვდებოდი, რომ საქმე კონკრეტულად ჩვენ, ჰეილშემელებს, გვეხებოდა. და თუ რამხელა მნიშვნელობა ჰქონია ამ საკითხს ზოგი ვეტერანისთვის, მხოლოდ იმ დღეს გავიაზრე ზღვისპირა კაფეში.

– ალბათ, თქვენ ყველაფერი იცით, – განაგრძო ქრისიმ ოდნავ ათრთოლებული ხმით, – წესები და ყველაფერი.

ქრისიმ და როდნიმ მზერა ჩვენგან ჯერ ერთმანეთზე გადაიტანეს, მერე კი რუთს შეხედეს.

რუთმა ამოიოხრა და თქვა: – ჰო, რაღაცები მართლაც გვითხრეს, – მხრები აიჩეჩა, – მაგრამ ბევრი მაინც არ ვიცით. მაგაზე მაინცდამაინც არ გვისაუბრია. ახლა კი უნდა წავიდეთ.

– ვისთან უნდა მიხვიდე? – ჰკითხა უეცრად როდნიმ, – ვისთან უნდა მიხვიდე, ვთქვათ, განაცხადის შეტანა თუ გინდა?

რუთმა ისევ შეიცხადა.

– ხომ გითხარი? მაგაზე ბევრს არ ვლაპარაკობდით-მეთქი, – და ინსტინქტურად მე და ტომის გადმოგვხედა მხარდაჭერისთვის.

ეს შეცდომა იყო. ტომიმ დაიწყო: – გამოგიტყდებით, რომ ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობთ. რა წესები?

რუთმა დაჟინებით შეხედა და სწრაფად უთხრა: – იცი, რა, ჰეილშემში რომ ხმები დადიოდა.

ტომიმ თავი გააქნია.

– არ მახსოვს, – თქვა ცივად. ამჯერად მეც და რუთმაც შევამჩნიეთ, რომ ტომის არაფერი გამოჰპარვია, – ჰეილშემში მსგავსი არაფერი მახსოვს.

რუთი ტომს მოეშვა და ქრისის მიმართა: – საქმე ისაა, რომ, ჰეილშემში ყოფნის მიუხედავად, ტომი მაინც არ არის ნამდვილი ჰეილშემელი. ყოველთვის ყველაფრის მიღმა რჩებოდა და ყველა დასცინოდა. ასე რომ, მისთვის მსგავსი კითხვის დასმას აზრი არა აქვს. ახლა კი იმის პოვნა მინდა, რაც როდნიმ ნახა.

ტომის თვალელებში ისეთი მზერა დავინახე, რომ სუნთქვა შემეკრა. ეს მზერა დიდი ხანია აღარ მენახა. იმ ტომის ეკუთვნოდა, კლასში რომ უნდა ჩაგეკეტათ, როცა მერხებს ჰაერში ატრიალებდა. მზერა ნელ-ნელა ჩაქრა. ტომიმ ფანჯრიდან ცას გახედა და მძიმედ ამოისუნთქა.

ვეტერანებმა ვერაფერი შენიშნეს, რადგან ამასობაში რუთი უკვე ფეხზე იდგა და თავის ქურთუკს აწვალებდა. ცოტათი დაბნეულებმა, ყველამ ერთდროულად გავწიეთ ჩვენ-

ჩვენი სკამი პატარა მაგიდისგან. რადგან ფული მე მეზარა, ანგარიშის გასასწორებლად წავედი. დანარჩენები გარეთ გავიდნენ. ხურდის მოლოდინში, ერთ-ერთი დაორთქლილი ფანჯრიდან ვუყურებდი – მზეში დადიოდნენ, არ ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ზღვას დასცქეროდნენ.

თავი მეთოთხმეტე

კაფედან გამოსულემა აშკარად ვიგრძენით, რომ თავდაპირველი სიხარული, აქ ჩამოსვლისას რომ განვიცადეთ, უკვალოდ გამქრალიყო. როდნის მეგზურობით უხმოდ დავდიოდით პატარ-პატარა ქუჩებში, რომლებშიც მზე ძლივს აღწევდა. ზოგან ტროტუარი ისეთი ვიწრო იყო, რომ ერთ რიგად გვიწევდა სიარული. ჰაი სტრიტზე გასვლამ შვება მოგვგვარა. ხმაურმა თითქოს გადაფარა ჩვენი წამხდარი განწყობა. ქუჩის უფრო მზიან მხარეს რომ გადავედით, დავინახე, როგორ თათბირობდნენ რაღაცას როდნი და ქრისი. ვფიქრობდი, რამხელა წილი ედო ამ დამძიმებულ ატმოსფეროში ჯერ ქრისის და როდნის აზრს, რომ ჩვენ რაღაც ჰეილშემურ საიდუმლოს ვმაღავდით, მერე კი რუთის გალაშქრებას ტომიზე.

ჰაი სტრიტი რომ გადავკვეთეთ, ქრისიმ განაცხადა, მე და როდნის დაბადების დღის მისალოცი ღია ბარათების საყიდლად გვინდა წასვლაო. რუთი შემფოთდა, მაგრამ ქრისიმ განაგრძო: – ბევრს ერთად ვყიდულობთ ხოლმე. ასე უფრო იაფია. თან, ვინმეს დაბადების დღე რომ მოდის, უკვე მზად ხვდები, – ვულვორთის მაღაზიის კარზე მიგვითითა: – მანდ კარგი ბარათები აქვთ და იაფიც ღირს.

როდნი თავის ქნევით ეთანხმებოდა. მის ღიმილში რაღაც დამცინავი დავლანდე.

– რა თქმა უნდა, – თქვა მან, – ბევრი ბარათი გრჩება. თან შეგიძლია საკუთარი ილუსტრაციაც დაურთო. გააშენებურო.

ორივე ვეტერანი შუა ტროტუარზე იდგა, ბავშვის ეტლიან ხალხს გზას უთმობდა და ჩვენს გამოწვევას ელოდა. ვამჩნევდი, რუთი მძვინვარებდა, მაგრამ როდნის გარეშე არაფერი გამოვიდოდა.

ჰოდა, ვულვორთშიც შევედით. მყისვე გავმხიარულდი. მსგავსი ადგილები ახლაც კი მომწონს. მრავალფრთიანი, დიდი მაღაზიები ჭყეტელა პლასტმასის სათამაშოებით, მისალოცი ბარათებით, უამრავი კოსმეტიკით და, ზოგჯერ, სურათის გადასაღები კაბინითაც კი. დღეს, ქალაქში გასაყვანი დრო რომ მიჩნდება, ასეთ ადგილას მივდივარ. შევხეტიალდები, ვსეირნობ და მსიამოვნებს. არაფერს ვყიდულობ და ამით თანამშრომლებს არ ვაწუხებ.

მოკლედ, შიგნით შევედით და სულ ცოტა ხანში დავიშალეთ კიდეც მაღაზიის სხვადასხვა ნაწილის დასათვალიერებლად. როდნი შესასვლელთან ახლოს, ბანქოს დიდ თაროსთან დარჩა. მოშორებით პოპ-ჯგუფის დიდ პოსტერთან გაჩერებული ტომი დავინახე, კასეტებში იქექებოდა. ათიოდე წუთში მაღაზიის უკანა ნაწილში ამოვყავი თავი. იქ თითქოს რუთის ხმა მომესმა და იქითკენ წავედი.

ბუნჩულაცხოველებიან და დიდპაზლებიან ფრთაში შევუხვით და ერთად გაჩერებული რუთი და ქრისი დავინახე. ერთი-ერთზე საუბრობდნენ. ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა: ხელის შეშლა არ მინდოდა, მაგრამ არც მობრუნება და

წამოსვლა მეჭაშნიკა. ჰოდა, იმ ადგილას ვითომ პაწია ხერხს ვათვალიერებდი. ველოდი, თვითონ როდის შემამჩნევდნენ.

მაშინლა მივხვდი, რომ ისევ იმ ჭორის განხილვას განაგრძობდნენ. ქრისი ხმადაბლა ამბობდა რაღაც ამდაგვარს: – კი მაგრამ, იმდენი ხანი გაატარე იქ და როგორ არ იფიქრე მაგ ამბის მოგვარებაზე? მაკვირვებ პირდაპირ. ვის უნდა მიმართო საერთოდ?

– არ გესმის, – ეუბნებოდა რუთი, – ჰეილშემელი რომ იყო, მიხვდებოდი. მაგას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია. თუ ოდესმე მაგ საკითხთან მიზრუნებას დავაპირებთ, ისევ ჰეილშემს უნდა დავუკავშირდეთ...

რუთმა დამინახა და გაჩუმდა. ხერხი რომ დავუშვი და მივუბრუნდი, ორივე ბრაზიანად მიყურებდა. ამავე დროს, თითქოს რამე აკრძალულის კეთებაზე წამესწროს, ისე მორცხვად გაშორდნენ ერთმანეთს.

– წასვლის დროა, – ისე ვთქვი, ვითომ არაფერი გამიგონია.

რუთი არ მოტყუვდა. გვერდით რომ ჩამიარეს, მართლა ბოროტი მზერა მესროლა.

ჰოდა, გზა რომ განვაგრძეთ როდნის ხელმძღვანელობით წინა თვეს ნანახი რუთის შესაძლებლის მოსაძებნად, ატმოსფერი არნახულად დამძიმდა. ხოლო როდნი რომ ქუჩებში შეცდომით გვატარებდა, ეს კიდევ უფრო ამძიმებდა ყველაფერს. ოთხჯერ მაინც თავდაჯერებულად შეგვიძღვა ჰაი სტრიტის გადასახვევში. თითოეულ ქუჩაზე მალაზიებს და ოფისებს მოვილევდით და უკან ვბრუნდებოდით. სულ მალე როდნი დაიბნა. ცოტაც და, ფარ-ხმალს დაყრიდა, რომ უცებ ის ადგილი ვიპოვეთ.

კიდევ ერთხელ რომ მოვბრუნდით და ჰაი სტრიტისკენ წავედით, როდნი უეცრად შეჩერდა და ქუჩის მეორე მხარეს, ოფისზე მიგვანიშნა.

ნამდვილად ის იყო. ზუსტად ისეთი არა, იმ დღეს მიწაზე დაგდებულ ჟურნალში რომ ეხატა, მაგრამ არც ძალიან განსხვავებული. პირველივე სართულზე უშველებელი ვიტრინა ჰქონდა. ყველა გამვლელს შეეძლო შიგნით შეხედვა. დიდი, გაშლილი დარბაზი თორმეტამდე მაგიდით, რომლებიც ჭადრაკის მხედრის სვლის ფორმით დაეწყოთ. ჩანდა ქოთნიანი ნათურები, მოელვარე აპარატურა და მაგიდის ლამპები. ხალხი მაგიდებს შორის დადიოდა, ტიხარზე იხრებოდა, საუბრობდა და ხუმრობდა. სხვებს მგორავი სკამები ერთმანეთთან მიედგათ, ყავას და სანდვიჩს შეექცეოდნენ.

– შეხედეთ, – თქვა ტომიმ, – ლანჩის შესვენება აქვთ, მაგრამ გარეთ არ გადიან. არც მიკვირს.

ცქერა განვაგრძეთ. თვალწინ გვედგა კოხტა, მყუდრო, განცალკევებული სამყარო. რუთს გავხედე: მისი მზერა ვიტრინის მიღმა ამოძრავებული ადამიანების სახეებზე დახტოდა.

– აბა, როდ, – დაიწყო ქრისიმ, – შესაძლებელი რომელია?

თითქმის სარკაზმით ჰკითხა, თითქოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამ კუთხით ყველაფერი შეცდომა აღმოჩნდებოდა. როდნიმ კი ჩუმად, აგზნებული ჟრჟოლით უპასუხა: – აი, იქით, კუთხეში, ლურჯ ტანსაცმელში, დიდ, წითელკაბიან ქალს რომ ელაპარაკება.

დარწმუნებული არ ვიყავით, მაგრამ რაც მეტს ვუყურებდით, მით უფრო ვიჯერებდით როდნის სიმართლეს. ქალი, ასე, ორმოცდაათი წლის იქნებოდა. ფიგურა საკმაოდ კარგად შენახვოდა. თმა რუთისაზე უფრო მუქი შეფერილობისა ჰქონდა, მაგრამ შეიძლება შეღებილიც ყოფილიყო. და, როგორც რუთს უყვარდა, ერთად კონად აეკრიფა კეფაზე. თავისი წითელსამოსიანი მეგობრის ნათქვამზე იცინოდა. სახით კი რუთს უბრალოზე მეტად ჰგავდა.

ყველანი ვუყურებდით და ხმას არ ვიღებდით. მერე შევამჩნიეთ, რომ ოფისის სხვა ნაწილიდან ორმა ქალმა შეგვნიშნა. ერთ-ერთმა ხელი ასწია და რაღაც გაურკვეველი ჟესტი გააკეთა ჩვენი მისამართით. ამან თითქოს ნავსი გატეხა და ჩვენც ისტერიული ხითხითით გამოვიქცეთ.

ქუჩის ჩაყოლებაზე ისევ შევჩერდით. ალტყინებულები, ყველა ერთად ვლაპარაკობდით, ყველა, რუთის გარდა, რომელიც ჩუმად იდგა შუაში. იმწამს მისი გამომეტყველების წაკითხვა გამიჭირდა: იმედგაცრუებული ნამდვილად არ იყო, მაგრამ ვერც ხალისიანს დაარქმევდი. თავშეკავებულად იღიმებოდა, ჩვეულებრივი ოჯახის დედასავით, თავისთვის რომ საქმიანობს და ამასობაში ირგვლივ ბავშვები დახტაინ და ყვირიან დედისგან რაღაცის უფლების მისაღებად. ყველა ჩვენ-ჩვენი შთაბეჭდილებით მოვდიოდით. მიხაროდა: ყველასთან ერთად შემემძლო მეთქვა, ქალზე, რომელიც ვნახეთ, ორი აზრი არ არსებობს-მეთქი. ყველანი შვებას განვიცდიდით, აქამდე კი, გაუცნობიერებლად, იმედგაცრუებას ვეგუებოდით. ახლა შეგვეძლო კოტეჯებში დავბრუნებულიყავით. რუთი ნანახით თავს გაიმხნეებდა და ამაში ჩვენც დავებმარებოდით. ოფისის ცხოვრება, რომელსაც თურმე ის ქალი ეწეოდა, ფაქტობრივად, ერთი-ერთზე ემთხვეოდა რუთის მიერ თავის მომავლად აღწერილ ცხოვრებას. იმის მიუხედავად, რაც იმ დღეს ჩვენ შორის ხდებოდა, არავის გვინდოდა, რუთი შინ იმედგაცრუებული მისულიყო. ჰოდა, თავი მშვიდად ვიგრძენით და, დარწმუნებული ვარ, ასეც დავრჩებოდით, ამ საკითხისთვის მაშინვე რომ დაგვესვა წერტილი.

მაგრამ რუთმა თქვა: – მოდით, იქ, იმ კედელზე ჩამოვსხდეთ. რამდენიმე წუთით. როცა დავავიწყდებით, შეგვიძლია დავბრუნდეთ და კიდევ შევაავლოთ თვალი.

ამაზეც შევთანხმდით. როცა დაბალი კედლისკენ წავედით, მანქანის გასაჩერებელ პატარა მოედანს რომ შემორტყმოდა, ქრისიმ თქვა (იქნებ ზედმეტად მონდომებულადაც): – და მეორედ რომც ვეღარ ვნახოთ, უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაძლებელია. და რომ საყვარელი ოფისია. მართლა.

– რამდენიმე წუთს მოვიცადოთ, – მიუგო რუთმა, – მერე დავბრუნდეთ.

მე კედელზე არ ჩამოვჯექი. ნესტიანი იყო, იფშვებოდა. თან ვფიქრობდი, რომ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა ვიღაც გამომხტარიყო და ყვირილით გავეყარეთ აქედან. რუთი დაჯდა და ფეხები კედლის აქეთ-იქით ჩაკიდა, როგორც ცხენზე. დღეს ცხადად მახსენდება ის ათი-თხუთმეტი წუთი, იქ რომ ვიცდიდით. მოვლენების შესაძლო განვითარებაზე არავინ ლაპარაკობდა. ვითომ უბრალოდ დრო გაგვყავდა. უდარდელი, ერთდღიანი მოგზაურობის სცენური მომენტი გახლდათ. როდნი წაიცეკვებს, ოინბაზობს, კედელზე ადის, წონასწორობას იკავებს და მერე განზრახ ვარდება. ტომი გამვლელეებზე ხუმრობს. არც ისე კარგად, მაგრამ ყველა ვიცინით. მხოლოდ კედელზე ამხედრებული რუთია ჩუმად. ღიმილი ისევ სახეზე აქვს, მაგრამ თითქმის არ ინძრევა.

ნიაგი თმას უთამაშებს, ზამთრის კაშკაშა მზე კი თვალებს აჭუტვინებს, ისე, რომ ვერ მიხვდები, შენს ლაზღანდარობაზე იცინის თუ, უბრალოდ, სინათლისგან იცავს თავს. ეს კადრები მახსოვს იმ ლოდინიდან. ალბათ, ყველანი რუთს ველოდებოდით, როდის გადაწყვეტდა, რომ დაბრუნების და მეორედ შეხედვის დრო იყო. მაგრამ ამის შემდეგ მოხდა რაღაც, რის გამოც მან ამ გადაწყვეტილების მიღება ვეღარ მოახერხა.

ტომი, რომელიც როდნისთან ერთად კედელზე დამკრებოდა, უეცრად ჩამოხტა და გაშეშდა. მერე თქვა: – ისაა. იგივე.

ყველა მოვეშვით ჩვენ-ჩვენს საქმიანობას და ოფისის მხრიდან მომავალ ფიგურას გავხედეთ. ახლა კრემისფერი პალტო ეცვა. მოდიოდა და თან ჩემოდნის შეკვრას ცდილობდა. ბალთა არ ემორჩილებოდა. ქალი ხან უნელებდა ნაბიჯს, ხან უჩქარებდა. ტრანსში ჩავარდნილები ვუყურებდით, ავტოსადგომის მეორე მხარეს რომ ჩავგვიარა. მერე, ჰაი სტრიტისკენ რომ უხვევდა, რუთი წამოხტა და თქვა: „ვნახოთ, სად წავა“.

ტრანსიდან გამოვედით და ქალს ავედევნეთ. ქრისიმ ნაბიჯი შეგვანელებინა: ვინმეს ქალს აკიდებული ბანდა არ ვეგონოთო. ჰაი სტრიტზე შორიახლოს მივეყვებოდით. ვხითხითებდით, ხალხში ვძვრებოდით, ვიშლებოდით და ისევ ვერთიანდებოდით. ორი საათი იქნებოდა და ტროტუარი მყიდველებით იყო სავსე. დროდადრო ქალი მხერიდან გვეკარგებოდა, მერე ისევ ვეწეოდით. მაღაზიაში თუ შედიოდა, ჩვენ ვიტრინასთან დავყიალებდით. ისევ რომ გამოვიდოდა, ჩვენც ხალხსა და ეტლებს შორის ძრომიალს ვიწყებდით.

შემდეგ ქალმა ჰაი სტრიტიდან ზღვის ნაპირის მახლობლად, პატარა გზაზე შეუხვია. ქრისი აღელდა: ხალხს რომ გამოვცდით, შეგვამჩნევსო, მაგრამ რუთმა გზა განაგრძო. ჩვენც მივეყვით.

ბოლოს ერთ ვიწრო ქუჩაზე მოვხვდით. ძირითადად, ჩვეულებრივი სახლები იყო, მაგრამ ერთი არაფრით გამორჩეული მაღაზიაც ერია. ისევ ერთ მწკრივად მოგვიხდა სიარული. ხოლო როცა მეორე მხრიდან ფურგონი წამოვიდა, შენობებს ავეკარით, რომ გაგვეტარებინა. ცოტაც და, ქუჩაზე მარტო ჩვენ და ქალი დავრჩით. რომ მოეხედა, აუცილებლად შეგვამჩნევდა. არ მოუხედავს, სიარული განაგრძო. თორმეტიოდე ნაბიჯით გვისწრებდა. შევიდა კარში წარწერით „სტუდია პორტვეი“.

მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოვედი ამ სტუდიაში. რამდენიმე წლის წინ მფლობელები შეეცვალა და ახლა ყველა სახის საქონელს ყიდის, რასაც მხატვრულობაზე რაიმე პრეტენზია აქვს: ქოთნებს, ლანგრებს, თიხის ცხოველებს. ადრე მხოლოდ ნახატებით მორთული ორი დიდი, თეთრი ოთახი იყო: მშვენიერი ექსპოზიცია, შორიშორს დაკიდებული ნახატებით. კარის თავზე დაკიდებული ხის ნიშანი კი დღემდე იგივეა. ჰოდა, მას შემდეგ, რაც როდნიმ აღწერა, რაოდენ საეჭვოდ გამოვიყურებოდით ამ ჩუმ ქუჩაზე, შესვლა გადავწყვეტეთ – მაღაზიაში ნახატების დამთვალიერებლებად მაინც გავასაღებდით თავს.

როცა შევედით, ჩვენი ქალი მეორე, ბევრად მასზე ხანდაზმულ ჭაღარა ქალს ესაუბრებოდა. ეს უკანასკნელი იქაურობის უფროსს ჰგავდა. კართან ახლოს მდგარ პატარა მაგიდას უსხდნენ აქეთ-იქიდან. გალერეაში სხვა არავინ იყო. ქალებს გავცდით, დავიშალეთ და ვცადეთ, ნახატების დათვალიერებით გართულებს დავმსგავსებოდით, თუმცა ყურადღება არც ერთს არ მოუქცევია.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარ საზრუნავად რუთის შესაძლებელი მიმაჩნდა, მართლაც შემომეპარა ნახატების ხიბლი და გარემოს სრული სიმშვიდე. თითქოს ჰაი სტრიტს ასობით მილით დავშორებოდით. კედლები და ჭერი პიტნისფერი იყო. ალაგ-ალაგ ხედავდი კარნიზთან მიმაგრებულ სათევზაო ბადის ან ნავის ფუტურო ნაშთს. ძირითადად, ზეთის საღებავით ლურჯსა და მწვანეში შესრულებული ნახატებიც ზღვის თემას ეხებოდა. შეიძლება, დაღლილობის ბრალიც იყო, – ბოლოს და ბოლოს, რიჟრაჟიდან გზაში ვიყავით, – მაგრამ ყველანი ოცნებებში დავინთქეთ. ნახატებს ერთიმეორის მიყოლებით ვათვალიერებდით. კანტიკუნტად თუ აღმოგვხდებოდა ხმადაბლა: „მოდით, ამას შეხედეთ!“ მთელი ეს ხანი რუთის შესაძლებელი და ჭადარაქალი საუბარს განაგრძობდნენ. ხმამალა არ ლაპარაკობდნენ, მაგრამ იმ ოთახში მათი ხმა თითქოს მთელ სივრცეს ავსებდა. საერთო ნაცნობ კაცზე საუბრობდნენ. იმას არჩევდნენ, როგორ ვერ აგვარებდა ეს კაცი ურთიერთობას თავის შვილებთან. ვუსმენდით. დროდადრო წამიერად გავხედავდით კიდეც. ნელ-ნელა ყველაფერი შეიცვალა. ჩემთვის ასე იყო და სხვებსაც იგივე შევნიშნე. ვიტრინის მიღმა ნახვის შემდეგ ქალისთვის თავი რომ დაგვენებებინა, ქალაქშიც გვედევნა, მაგრამ დაგვკარგვოდა და ასე დავბრუნებულიყავით კოტეჯებში, აღტაცებული და გამარჯვებული დავრჩებოდით. აქ კი, მაღაზიაში, ქალი ძალიან ახლოს იყო, ბევრად უფრო ახლოს, ვიდრე ჩვენ ვისურვებდით. რაც უფრო მეტს ვუსმენდით და ვუყურებდით, მით ნაკლებად ჰგავდა რუთს. ეს შეგრძნება ყველას გვეუფლებოდა, ოთახის მეორე მხარს, ერთ-ერთ ნახატში ჩაკარგულ რუთს კი – სხვებზე მეტად. ალბათ, ამიტომაც ვტრიალებდით გალერეაში ამდენ ხანს: შეძლებისდაგვარად შორს ვწევდით ფარ-ხმლის დაყრის წამს.

სულ მალე ქალი წავიდა, ჩვენ ჩვენს ადგილებზე დავრჩით. ერთმანეთის მზერას ვემალეოდით. ქალის ადევნება აღარც ერთს არ გვიფიქრია. წამები მიდიოდა, ჩვენ კი თითქოს უსიტყვოდ ვთანხმდებოდით იმაზე, როგორ შევხედავდით საკითხს ამიერიდან.

ბოლოს ჭადარაქალი თავის მაგიდას მოშორდა და ყველაზე ახლოს მდგარ ტომის უთხრა: – გამორჩეულად მშვენიერი ნამუშევარია. ჩემი რჩეული.

ტომი მიუბრუნდა და გაიცინა. უკვე მის დასახმარებლად მივისწრაფოდი, როდესაც ქალმა ჰკითხა: – ხელოვნებას სწავლობთ?

– არ ვსწავლობთ, – დავასწარი ტომის, – უბრალოდ, მოგვწონს.

ჭადარაქალი თავი დაგვიკრა და იმის გაზიარება დაგვიწყო, რაოდენ ახლობელი იყო მისთვის ამ ნახატის ავტორი და როგორი კარიერა ჰქონდა. ამან მაინც დაამსხვრია ჩვენი ტრანსისმაგვარი მდგომარეობა. ისე შემოვხეხვეით მოსასმენად, როგორც ჰეილშემში შემოვხეხვეოდით ხოლმე მასწავლებელს. ამან ქალი გაამხნევა. თავს ვუქნევდით და შორისდებულებს ვისროდით, ქალი კი გვიყვებოდა ნახატების შექმნის ადგილებზე, დღის იმ მონაკვეთებზე, როცა მხატვრებს მუშაობა უყვარდათ, იმაზე, რომ ზოგი სურათი წინასწარი მონახაზების გარეშე იყო შექმნილი. ბოლოს ლექცია ბუნებრივად დამთავრდა. ყველამ ამოვისუნთქეთ, ქალს მაღლობა გადავუხადეთ და გარეთ გამოვედით.

ქუჩა ისეთი ვიწრო იყო, რომ კიდეც ცოტა ხანს ვერ დავილაპარაკეთ რიგიანად. და ეს კიდეც გავგვიხარდა. ერთ რიგად რომ ვშორდებოდით გალერეას, დავინახე, რა

დრამატულად ჭიმავდა მკლავებს წინ მიმავალი როდნი. თითქოს მხიარულობდა, როგორც ქალაქში ჩამოსვლისას, თუმცა – არცთუ დამაჯერებლად. ჰოდა, უფრო ფართო ქუჩაზე რომ გავედით, ერთად შევექუჩდით.

ისევ კლდის პირას აღმოვჩნდით. ახლაც, მოაჯირიდან თუ გადაიხედავდი, დაკლაკნილ ბილიკებს დაინახავდი. ოღონდ ამჯერად ქვემოთ, წყლისპირას, სასეირნო ადგილი და ზედ ჩამწკრივებული ხის ფარდულები მოჩანდა.

ერთხანს უბრალოდ ვიყურებოდით. ქარი გვეხეთქებოდა. როდნი ისევ ცდილობდა, ემხიარულა. არ უნდოდა, კარგი დასასრული გაეფუჭებინა. ქრისის რაღაცას უჩვენებდა ზღვაში, შორს, ჰორიზონტზე, იმან კი ზურგი აქცია და თქვა: – მგონი, შევთანხმდით, ჰო? ის ქალი რუთი არ იყო, – ჩაიცინა და რუთს მხარზე ხელი დაადო, – ვნანობ. ყველანი ვნანობთ. მაგრამ როდნის რა ბრალია? ძალიანაც არ შემეცდარა. უნდა აღიარო: როცა ვიტრინის მიღმა დავინახეთ, ჩვენც ვიფიქრეთ, რომ... – ქრისიმ სიტყვა გაწყვიტა და რუთს ისევ დაადო ხელი მხარზე.

რუთს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ოდნავ აიჩეჩა მხრები, თითქოს ქრისის ხელს იშორებდა. მზერა შორს მიემართა, უფრო ცისკენ, ვიდრე წყლისკენ. ვხედავდი, რომ ბრაზობდა. ვინმეს კი, ვინც რუთს კარგად არ იცნობდა, შეიძლება, უბრალოდ, ჩაფიქრებული ჰგონებოდა.

– მაპატიე, რუთ, – უთხრა როდნიმ და ხელი მხარზე მოუთათუნა. სახეზე ისეთი ღიმილი ჰქონდა, ეტყობოდა, წამითაც არ დაუშვია, რომ რამეში დაადანაშაულებდნენ. დახმარებას რომ ცდილობენ და არ გამოსდით, ისე მოიხადა ბოდიში.

მახსოვს, იმწამს ქრისის და როდნის ვუყურებდი და ვფიქრობდი, მაინც არა უშავთ-მეთქი. თავისებურად კეთილები იყვნენ და რუთის გართობას ცდილობდნენ. ამავე დროს, რაღაც აღშფოთებაც ვიგრძენი მათ მიმართ, როგორც რუთის მეგობარმა, იმის მიუხედავად, რომ ისინი აწყნარებდნენ, მე და ტომი კი ვდუმდით. რა კეთილადაც უნდა დაეჭირათ თავი, ვხედავდი, გულის სიღრმეში შვებას გრძნობდნენ. სიამოვნებათ რუთის შესაძლებლის ამბის ასეთი დასასრული. ამგვარად, რუთის მანუგეშებლების პოზიციაში აღმოჩნდნენ. სხვა შემთხვევაში კი რუთის ოცნებების თავბრუდამხვევი ზრდის უკან მოუწევდათ ჩანჩალი. სიამოვნებათ, რომ არ მოუხდათ არნახული სიცხადით შესჯახებოდნენ იმას, რაც მათ აჯადოებდათ, აფიქრებდათ და აშინებდათ: ფაქტს, რომ ჩვენთვის, ჰეილშემელებისთვის, არსებობდა მთელი რიგი შესაძლებლობები, რაზეც ისინი ვერც იოცნებებდნენ. მახსოვს, მაშინ ვიფიქრე, მართლაც რა სხვანაირები არიან-მეთქი ქრისი და როდნი, როგორ განსხვავდებიან ჩვენ სამისგან.

შემდეგ ტომიმ თქვა: – არ მესმის, რა მოხდა. უბრალოდ, ცოტა გავერთეთ.

– შეიძლება, შენ გაერთე, ტომი, – ცივად მიუგო რუთმა, რომელიც ჯერ კიდევ პირდაპირ იყურებოდა, – შენს შესაძლებელს რომ ვეძებდეთ, ეგრე არ იფიქრებდი.

– ალბათ, ვიფიქრებდი, – განაგრძო ტომიმ, – არ მესმის, რა აზრი აქვს. მართლაც რომ იპოვო შენი შესაძლებელი, ანუ ის, ვისი მოდელითაც შენ არსებობ, მაინც ვერ მივხვდები, რა შეიცვლება ამით.

– გმადლობ დიდი დახმარებისთვის, ტომი, – თქვა რუთმა.

– მე მგონი, ტომი მართალია, – ჩავერთე მე, – სულელურია იმის ფიქრი, რომ შენ და შენს შესაძლებელს ერთნაირი ცხოვრება გექნებათ. ტომის ვეთანხმები. ეს ხომ უბრალო გართობაა. ასე სერიოზულად არ უნდა ვეკიდებოდეთ.

მეც ავდექი და რუთს მხარზე შევეხე. მინდოდა, ჩემი შეხება ქრისის და როდნისაგან გაერჩია. ამიტომაც შევეხე ზუსტად იმავე ადგილას. რამე პასუხს, სიგნალს ველოდი, რომლითაც რუთი ჩემი და ტომის აზრს დაეთანხმებოდა, სიგნალს, რომელიც ვეტერანებისთვის არ მიუცია. არაფერი ქნა. მხრებიც კი არ აიჩეჩა, როგორც ქრისისთან.

სადღაც, ჩემ უკან, როდნის ნაბიჯების ხმა მესმოდა. ისეთ ხმებს უშვებდა, თითქოს მალე იტყოდა, ქარმა შემაცივაო.

– ახლა რაღას იტყვით მარტინთან სტუმრობაზე? – თქვა მან, – აქვე ცხოვრობს, იმ სახლების უკან.

რუთმა უეცრად ამოიხვნეშა და მოგვიბრუნდა: – სიმართლე გითხრათ, ყოველთვის ვხვდებოდი, რომ სისულელეს ვიყავით აყოლილი.

– ჰო, – ამაყად მიუგო ტომიმ, – პატარა გართობა.

რუთმა წყენით შეხედა: – ტომი, გთხოვ, მოეშვი მაგ „პატარა გართობას“, არავინ გისმენს, – მერე ქრისის და როდნის მიუბრუნდა და განაგრძო: – პირველად რომ მითხარით ამ შესაძლებლის შესახებ, არ მინდოდა ეს მეთქვა, მაგრამ სინამდვილეში არასოდეს დამიჯერებია. არასოდეს, არასოდეს იყენებენ ამ ქალისნაირ ხალხს. დაფიქრდით, თვითონ ქალი რატომ მოინდომებდა? ეს ყველამ ვიცით და რატომ ვხუჭავთ თვალს? ჩვენ მაგ ხალხიდან არ ვართ გადმოღებულნი...

– რუთ! – მკაცრად შევექერი სიტყვაში, – რუთ, არ გინდა!

მაინც განაგრძო: – ყველამ ვიცით. ჩვენი მოდელი ნაგავია – ნარკომანები, მეძავეები, ლოთები, მაწანწალები. შეიძლება, პატიმრებიც, ოღონდ გიჟები თუ არ არიან. აი, საიდან მოვდივართ. კარგი, რა. ჰო, ეგაა, ტომი. პატარა გართობა. აბა, კიდევ მოვიწყობ პატარა, წარმოსახვითი გართობა: ის მეორე ქალი, ამის მოხუცი მეგობარი გალერეაში, ხელოვნების სტუდენტები რომ ვეგონეთ, გგონიათ, მაინც ასე მოგვეპყრობოდა, რომ სცოდნოდა, სინამდვილეში ვინ ვართ? „უკაცრავად და, თქვენი მეგობარი ოდესმე კლონის მოდელი ხომ არ ყოფილა?“ გარეთ გამოგვყრიდა ყველას. ვიცით, რომ ასე იქნებოდა და უნდა ვაღიაროთ. თუ შესაძლებლების ძებნა გსურთ, თუ მართლა გინდათ იპოვოთ, მაშინ ბინძურ ქუჩებში ეძებეთ. ნაგვის ყუთებში ჩაიხედეთ. უნიტაზებშიც ნახეთ. ყველანი იქიდან მოვდივართ.

– რუთ, – როდნის მტკიცე ხმაში გაფრთხილება გაისმა, – დავივიწყებთ ეს ამბავი და მარტინი მოვინახულოთ. შინ იქნება. მოგეწონება. ყველას აცინებს.

ქრისიმ რუთს ხელი მოხვია: – წამო, რუთ. როდნის დავუჯეროთ.

რუთი ადგა და როდნიც დაიძრა.

– კარგი, წადით, თუ გინდათ, – ვთქვი ჩუმად, – მე არ მოვდივარ.

რუთი მობრუნდა და ფრთხილად შემომხედა: – ერთი უყურე! ახლა ვინაა ნაწყენი?

- ნაწყენი არ ვარ, მაგრამ ხანდახან ისეთს წამოროშავ ხოლმე...
- უი, უი, გაგვიწყრა! საბრალო ქეითი! პირდაპირ ლაპარაკს ვერ იტანს.
- ეგ არაფერ შუაშია. მომვლელის ნახვა არ მინდა. არც უნდა ვნახულობდეთ. თან სულ არ ვიცნობ.

რუთმა მხრები აიჩეჩა და ქრისისკენ მზერა გააპარა.

- ყოველთვის ერთად სიარული არც არის აუცილებელი, - თქვა შემდეგ, - თუ არ უნდა პატარა ქალბატონს ჩვენთან წამოსვლა, ვალდებული არც არის. თავის თავს მიხედოს, - შემდეგ ქრისისკენ გადაიხარა და უცნაურად ჩასჩურჩულა: - ქეითი რომ ბრაზობს, ყოველთვის ასე ჯობია მოქცევა. მარტო დატოვებ და თვითონ მოგადგება.

- ოთხ საათზე მანქანასთან იყავი, - მითხრა როდნიმ, - თუ არადა, ავტოსტოპით მოგიწევს დაბრუნება, - თქვა და გაიციინა: - კარგი რა, ქეით, ნუ გვებუტები. წამოდი ჩვენთან.

- არა. წადით. მე არ მინდა.

როდნიმ მხრები აიჩეჩა და ისევ დაიდრა. რუთი და ქრისი მიჰყვნენ, ტომი არ განძრეულა. მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, რუთი რომ მიაჩერდა: - ქეითისთან დავრჩები. თუ ვიყოფით, მე ქეითისთან ვრჩები.

რუთმა მძვინვარე მზერა ესროლა, მერე შებრუნდა და ნაბიჯს აუჩქარა. ქრისიმ და როდნიმაც უკმაყოფილოდ შეხედეს ტომის და გზას გაუყვნენ.

თავი მეთხუთმეტე

მე და ტომი მოაჯირზე გადავიხარეთ და, სანამ სხვები თვალს მიეფარებოდნენ, ხედს გავყურებდით.

- ცარიელი სიტყვებია, - თქვა ტომიმ ბოლოს, მერე შეეყოვნა და გააგრძელა: - ასე მაშინ ლაპარაკობენ, როცა საკუთარი თავი ეცოდებათ. ცარიელი სიტყვები. მასწავლებლებს მსგავსი არაფერი უთქვამთ.

დანარჩენების საწინააღმდეგო მიმართულებით გავემართე. ტომიმ ნაბიჯი ამიწყო.

- გაბრაზებად არ ღირს, - განაგრძო ტომიმ, - რუთი ახლა სულ ასე იქცევა. ასე იმშვიდებს ნერვებს. ჰოდა, რაც ვუთხარით, მართალიც რომ იყოს, ცოტათი მართალიც რომ იყოს, მერედა რა? როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი მოდელები, ამას ჩვენთან არაფერი ესაქმება, ქეით. არ ღირს გაბრაზებად.

- ჰმ... - მივუგე და მხრით განზრახ მივეჯახე მხარზე, - ჰო, ჰო.

თითქოს ქალაქის ცენტრისკენ მივდიოდით, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი. თემის შეცვლაზე ვფიქრობდი და უცებ ტომიმ დაიწყო: - იცი, წელან, ვულვორთში, შენ სიღრმეში რომ შეხვედი სხვებთან ერთად, რაღაცას ვეძებდი შენთვის.

– საჩუქარს? – შევხედე გაკვირვებულმა, – არა მგონია, რუთს მოსწონებოდა ეგ, თუ მას უფრო დიდ რამეს არ აჩუქებდი.

– ჰო, რაღაც საჩუქრის მსგავსს. მაგრამ ვერ ვიპოვე. თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ ახლა, ახლა პოვნის კიდევ ერთი შანსი მეძლევა. ოღონდ შეიძლება შენი დახმარებაც დამჭირდეს. მაღაზიებში არც ისე კარგად ვერკვევი.

– რაზე ლაპარაკობ, ტომი? გინდა, საჩუქარი მიყიდო, არჩევაში კი მე უნდა დამიხმარო?

– არა. ვიცი, რა მინდა, უბრალოდ... – გაიცინა და მხრები აიჩეხა, – ოო, ჯობია გითხრა. იმ მაღაზიაში, სადაც ვიყავით, ჩანაწერებითა და კასეტებით სავსე დახლი ედგათ. ჰოდა, იმას ვეძებდი, მაშინ რომ დაკარგე. გახსოვს? ერთი ეგაა, აღარ მახსოვს, რა იყო.

– ჩემი კასეტა? არც კი მეგონა, საერთოდ თუ იცოდი მისი არსებობა.

– როგორ არა. რუთი ხალხს აგროვებდა მაგის მოსაძებნად. ამბობდა, ქეითი ძალიან განიცდისო. ჰოდა, პოვნა ვცადე. შენთვის არ მითქვამს, მაგრამ მართლა მოვინდომე. ვფიქრობდი, ისეთ წერტილებში მოვახერხებდი ძებნას, სადაც შენ ვერ მოხვდებოდი. ბიჭების საძინებლებში და ეგეთ ადგილებში. კარგა ხანს ვეძებე და ვერ ვიპოვე.

ტომის შევხედე და ვიგრძენი, როგორ მიქარწყლდებოდა უგუნებობა.

– ასეთ ტომის ჯერ არ ვიცნობდი. რა კეთილი ხარ!

– და მაინც ბევრს ვერაფერს გავხდი. ძალიან კი მინდოდა მეპოვა. ბოლოს, რომ აღარ და აღარ გამოჩნდა, ჩემთვის ვთქვი, დრო მოვა, ნორფოლკში წავალ და იქ ვიპოვი-მეთქი.

– ინგლისის დაკარგული კუთხე, – მივუგე და მივიხედ-მოვიხედე, – აი, ახლა აქ ვართ!

ტომიმაც მიმოიხედა და ჩვენ შევჩერდით. ისევ ერთ-ერთ პატარა ქუჩაზე ვიდექით, ოღონდ ისეთ ვიწროზე არა, გალერეასთან რომ იყო. ერთხანს აქეთ-იქით ვიყურებოდით და ვხითხითებდით.

– ანუ, არც ისე ცუდი იდეა ყოფილა, – თქვა ტომიმ, – ვულვორთში იმდენი კასეტა ჰქონდათ, მეგონა, შენიც აუცილებლად იქნებოდა. მაგრამ, მგონი, არ აღმოაჩნდათ.

– ასე გგონია? ეჰ, ტომი, ესე იგი, წესიერად არც გიმეზნია!

– ვეძებე, ქეით! სასაცილოა, მაგრამ არ მახსოვს, რა ერქვა. ჰეილშემში იმდენ ხანს ვეძებე ბიჭების კომოდები, ახლა კი სახელიც აღარ მახსოვს. ჯული ბრიჯისი თუ რაღაც ამდაგვარი...

– ჯული ბრიჯუოტერი. Songs After Dark.

ტომიმ თავი საზეიმოდ გააქნია.

– ეგ ნაღდად არ ჰქონდათ.

გამეცინა და ხელზე მივარტყი. დაიბნა და ვუთხარი: – ვულვორთში ეგეთი რამ არ იქნებოდათ. მანდ უახლესი ჰიტები აქვთ. ჯული ბრიჯუოტერი კი ძველისძველი ვინმეა. ერთ-ერთ სეილზე შემთხვევით აღმოჩნდა. ახლა ვულვორთში ნამდვილად არ იქნება, სულელო!

– ჰო, როგორც გითხარი, ეგეთ რაღაცეებში ვერ ვერკვევი. მაგრამ იმდენი კასეტა ჰქონდათ...

– სხვა კასეტები, ტომი. კარგი, დაივიწყე. საყვარელი იდეა მოგსვლია. გულზე მომხვდა. მშვენიერი იდეა. ნორფოლკში ვართ, ბოლოს და ბოლოს.

სიარული განვაგრძეთ და ტომიმ ყოყმანით თქვა: – ჰოდა, ამიტომაც მომიწია შენთვის გამხელამ. სიურპრიზის გაკეთება მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდოდა. რომც მცოდნოდა ჩანაწერის სახელი, ვერ მივხვდებოდი, სად მეძებნა. ახლა კი გითხარი და შეგიძლია დამეხმარო. ერთად მოვძებნოთ.

– რას ამბობ, ტომი? – მინდოდა მესაყვედურა, მაგრამ ვერ მოვითმინე და გამეცინა.

– საათზე მეტი დრო გვაქვს. კარგი შანსია.

– ტომი, სულელო, ნუთუ მართლა გჯერა დაკარგული კუთხის ამბავი?

– მაინცდამაინც არ მჯერა, მაგრამ რაკი აქ ვართ, შეგვიძლია მაინც მოვძებნოთ. პოვნა ხომ გესიამოვნება? რას ვკარგავთ?

– კეთილი. სრული იდიოტი ხარ, მაგრამ თანახმა ვარ.

ხელები უმწეოდ გაშალა.

– საით წავიდეთ, ქვით? როგორც გითხარი, მაღაზიების დიდი არაფერი მესმის.

– ძველმანების მაღაზიებში უნდა მოვძებნოთ, – მივუგე წამიერი ფიქრის შემდეგ, – ძველი ტანსაცმლითა და წიგნებით სავსე ადგილებზე. ხანდახან ფირფიტებით და კასეტებით სავსე ყუთები აქვთ.

– კარგი. და სად არის ეგ მაღაზიები?

ახლა ვიხსენებ მომენტს, ტომისთან ერთად პატარა ქუჩაზე რომ ვიდექი და ძებნას ვიწყებდით, და სითბო მავსებს. უცბად ყველაფერი იდეალურად მიჩვენა: წინ მთელი საათი გვქონდა, რომლის გაყვანის საუკეთესო გზაც უკვე გვეპოვა. თავი ძლივს შევიკავე, უაზრო სიცილი ან ტროტუარზე პატარა ბავშვივით ხტუნვა რომ არ დამეწყო. ამას წინათ, ტომის რომ ვუვლიდი და ნორფოლკის ამბავი გავახსენე, აღმოჩნდა, რომ თვითონაც იგივე ეგრძნო. იმ წამს, როდესაც ჩემი დაკარგული კასეტის საპოვნელად გადავწყვიტეთ წასვლა, თითქოს მთელი მწუხარება აორთქლდა და წინ ბედნიერების მეტი აღარაფერი გველოდა.

თავიდან არასწორი ადგილებით დავიწყეთ: შევდიოდით მეორადი წიგნების ან მტვერსასრუტების მაღაზიებში, სადაც მუსიკის ნატამალიც არ იყო. ცოტა ხანში ტომიმ დაასკვნა, შენ ჩემზე უკეთესი მცოდნე არ ხარო, და შტურმანობა ითავა. იღბალზე, მალე აღმოვაჩინეთ ქუჩა მიყოლებით ჩამწკრივებული ოთხი ზუსტად ისეთი მაღაზიით, როგორსაც ვეძებდით. ვიტრინებში ტანსაცმელი, ჩანთები, საბავშვო წიგნები მოჩანდა. შიგნით სიძველეების ტკბილი სურნელი ტრიალებდა. გახუნებული ქალაქის ჩანთების, სავიზიტო ბარათებითა და სამშვენისებით სავსე მტვრიანი ყუთების ზვინები იდგა. ერთი მაღაზია ჰიპების განხრით იყო, მეორეში სამხედრო მედლები და უდაბნოში გადაღებული ჯარისკაცების სურათები ჭარბობდა. თუმცა

ყველაში იყო ფირფიტებითა და კასეტებით სავსე ერთი-ორი მუყაოს ყუთი. გულმოდგინედ დავეძებდი. რომ არ მოგატყუოთ, რამდენიმე წუთში ჯუდი ბრიჯუოტერი ცოტათი გაგვისხლტა გონებიდან. უბრალოდ, უამრავი ნივთის თვალიერებით ვტკბებოდით. ერთმანეთს გაუაზრებლად ვცილდებოდით და უეცრად ისევ გვერდიგვერდ ამოვყოფდით თავს მზის ვიწრო სვეტით განათებულ კუთხეში, მტვრიანი ყუთის ჩხრეკით გართულები.

ბოლოს კი, რა თქმა უნდა, მე ვიპოვე. კასეტების მწკრივს სწრაფად მივუყვებოდი, სხვა რამეებზე ვფიქრობდი და – უეცრად წავაწყდი. ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც წლების წინ: ჯუდი, სიგარეტი, ბარმენზე მიპყრობილი კეკლუცი მზერა, ბუნდოვანი პალმები უკანა პლანზე.

ისეთი არაფერი წამომიძახია, რასაც სხვა, ჩემთვის რამდენადმე საინტერესო ნივთების პოვნისას შევძახებდი. ჩუმად ვიდექი და პლასტმასის კოლოფს დავყურებდი. ვერ გამეგო, მიხაროდა თუ არა. წამით იმედიც კი გამიცრუვდა – კასეტა ხომ მთელი ჩვენი მხიარულების მიზეზი იყო, ახლა კი ვიპოვეთ და მხიარულებაც მთავრდებოდა. ალბათ, ამიტომაც არ ამოვიღე ხმა თავიდან. ჩემდა გასაკვირად, ისიც კი ვიფიქრე, თითქოს არ მიპოვია-მეთქი. ახლა კი თვალწინ მედო და რაღაცით ოდნავ მაწუხებდა კიდეც: თითქოს ეს კასეტა ბავშვობისთვის უნდა დამეტოვებინა. ხელიც კი მივარტყი ნაპოვნს ისე, რომ მეზობელი კასეტა ზედ დაეცა. მაინც ვერ მოვითმინე და ტომის დავუძახე.

Q LAMINATE

– ეგაა? – დაეჭვდა ტომი. ალბათ, იმიტომ, რომ უფრო აღტაცებული არ ვიყავი. კასეტა ავიღე და ორი ხელით დავიჭირე. მოულოდნელად დიდი სიხარული და კიდეც რაღაც ვიგრძენი, რაღაც გაუგებარი, რამაც კინაღამ ამატირა. ემოციები შევიკავე, მხოლოდ ტომის მოვქაჩე მკლავზე.

– ჰო, ესაა, – მივუგე და პირველად გავიღიმე აღტაცებით, – წარმოგიდგენია? მართლა ვიპოვეთ!

– როგორ ფიქრობ, იგივეა? ანუ, ზუსტად ის, შენ რომ დაკარგე?

ხელში დავატრიალე და აღმოვაჩინე, რომ ყველაფერი მახსოვდა: უკანა მხარის დიზაინის დეტალები, სიმღერების სათაურები... – ყველაფერი.

– შეიძლება, – მივუგე, – თუმცა ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ასეთები ათასობით იქნება.

შემდეგ შევამჩნიე, რომ არც ტომი გადარეულა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო.

– მაინცდამაინც გახარებული არ ჩანხარ, ტომი, – ვუთხარი შენიღბული ხუმრობით.

– მიხარია, ქეით, უბრალოდ, მინდოდა მე მეპოვა, – ჩაიცინა და განაგრძო: – იმ პერიოდში, როცა კასეტა დაკარგე, ვფიქრობდი ხოლმე: ნეტა რა მოხდება, რომ ვიპოვო და მივუტანო, რას იტყვის, რა გამოეხატება სახეზე-მეთქი.

ხმა ჩვეულებრივზე რბილი ჰქონდა. ჩემს ხელებში მოქცეულ პლასტმასის ყუთს უყურებდა. უეცრად შევამჩნიე, რომ მთელ მაღაზიაში – შემოსასვლელთან, სალაროს უკან, ბუღალტრულ სამუშაოში ჩაფლული ბერიკაცის გარდა – მხოლოდ ჩვენ ვიყავით. პლატფორმაზე ვიდექით მაღაზიის უკანა ნაწილში, სადაც უფრო ბნელოდა. თითქოს მოხუც კაცს პლატფორმაზე დაწყობილი ნივთები არ აინტერესებდა და აქ, უკან მიეჩქმალა. რამდენიმე წამს ტომი გაირინდა. მგონი, კიდევ ერთხელ წარმოიდგინა, როგორ მიბრუნებდა დაკარგულ კასეტას. მერე, მოულოდნელად ხელიდან გამომტაცა.

– გიყიდი მაინც! – გაიკრიჭა. სანამ შეჩერებას მოვასწრებდი, მაღაზიის წინა ნაწილს მიაშურა.

სანამ მოხუცი კასეტის შესაფერის კოლოფს ეძებდა, მე მაღაზიის უკანა ნაწილის თვალიერება განვაგრძე. ჯერ კიდევ გულდაწყვეტილი ვიყავი, ასე მალე რომ ვიპოვეთ. მხოლოდ მოგვიანებით, კოტეჯებში, ჩემს ოთახში რომ განვმარტოვდი, ნამდვილად დავაფასე კასეტის და იმ სიმღერის დაბრუნება. მაშინაც კი ნოსტალგიას მიღვიძებდა. დღესაც, თუ რაღაც მომენტში ვასწრებ და კასეტას გამოვიღებ ხოლმე, მაშინვე ნორფოლკის ნაშუადღევი მახსენდება, ისევე, როგორც ჰეილშემი.

როგორც კი მაღაზიიდან გამოვედით, უწინდებურად უდარდელი, თითქმის სულელური განწყობის დაბრუნება მომინდა. ერთი-ორჯერ ვიხუმრე. ტომი ფიქრებში იყო გართული და არ მიპასუხა.

ციცაბო ბილიკს შევუდექით. ასიოდე იარდით მაღლა, ზედ კლდის პირას, ზღვის გადამყურე ტერასისებურ, სავარძლებით გაწყობილ ადგილს ვხედავდით. ზაფხულში, ჩვეულებრივი ოჯახისთვის, მოსაკალათებლად და საპიკნიკოდ ჩინებული ადგილი იქნებოდა. ახლაც კი, ამ ცივ ქარში, ტერასისაკენ ავდიოდით. ჯერ კიდევ დავგრჩენოდა გარკვეული გზა, როდესაც ტომიმ ნაბიჯი შეანელა და მითხრა: – ქრისი და როდნი მართლა შეპყრობილები არიან იმ იდეით: შეწირვის გადადებით სიყვარულის სახელით. დარწმუნებულები არიან, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცი ამ საკითხზე. არადა, ჰეილშემში მსგავსი არავის არაფერი უთქვამს. მე ნამდვილად არაფერი გამიგონია. შენ, ქეით? ეს ამ ბოლო დროს ვეტერანების მიერ აგორებული ამბავია, რუთი კი ცეცხლზე ნავთს უსხამს.

ტომის ყურადღებით დავაკვირდი. ვერ გამერჩია, სიანცე ალაპარაკებდა თუ ერთგვარი ზიზღი. თან ვხედავდი, რომ რაღაც სხვასაც ფიქრობდა, რაც არანაირად არ უკავშირდებოდა რუთს, და გავჩუმდი. ველოდებოდი. ბოლოს გაჩერდა და მიწაზე დასრესილ ქალაღდის ჭიქას ფეხით თამაში დაუწყო.

– ისე, ქეით, ერთი ხანია ამაზე ვფიქრობ. ნამდვილად მართალი ვარ: ჰეილშემში მსგავსზე არაფერზე ულაპარაკიათ. მაგრამ მაშინ ბევრი რამ არ გვესმოდა. ვფიქრობდი, ეს სიმართლეა თუ ჭორი-მეთქი. თუ სიმართლეა, ბევრ ისეთ რამეს ახსნიდა, რის გაგებასაც ვცდილობდით.

– რას გულისხმობ? მაინც რას?

– მაგალითად, გალერეას, – ტომიმ ხმას დაუწია და მეც მივუახლოვდი, ვითომ ისევ ჰეილშემში ვიყავით და სადილის რიგში ან ტბორის ნაპირზე ვსაუბრობდით, – ბოლომდე მაინც ვერ გავიგეთ, რა დანიშნულება ჰქონდა გალერეას, რატომ მიჰქონდა მადამს ჩვენი საუკეთესო ნამუშევრები. მაგრამ ახლა, მე მგონი, ვიცი. ის თუ გახსოვს, ერთხელ ყველა მოსწავლე ქულებზე რომ კამათობდა: უნდა მიგველო თუ არა ქულები მადამის წაღებული ნივთების სანაცვლოდ? მაშინ მის ემილიმ რაღაც თქვა. მხოლოდ მიგვანიშნა. ეს მე საგონებელში მაგდებდა.

ორი ქალი ღვედებით დაჭერილი ძაღლებით მოაბიჯებდა. სულელურად ჟღერს, მაგრამ სანამ აღმართზე ავიდნენ და ჩვენი ხმის გავრცელების არეალს გასცდნენ, ორივე გავჩუმდით. მერე ვთქვი: – რა თქვა, ტომი? რა მიგანიშნა მის ემილიმ?

– როი ჯეიმ რომ ჰკითხა, რატომ მიაქვს მადამს ჩვენი ნივთებიო, გახსოვს, რა უპასუხა მის ემილიმ?

– მახსოვს, ასე თქვა: ეს პრივილეგიაა და უნდა გეამაყებოდეთო....

– არა მხოლოდ ეგ, – ტომის ჩურჩულზე გადავიდა, – კიდევ რა უთხრა როის, რა წამოსცდა ისეთი, რისი წამოცდენაც, ალბათ, არ სურდა, გახსოვს, ქვით? უთხრა: ნახატები, პოეზია და მსგავსი რაღაცები იმას აჩვენებს, როგორები იყავით შიგნიდან. თქვენს სულს აჩვენებსო.

ეს რომ თქვა, გამახსენდა, როგორ დახატა ერთხელ ლორამ თავისი შიგნეულობა, და გამეცინა.

– ჰო, – მივუგე, – მახსოვს. მერე, საით მიდიხარ?

– საით და, – ნელა წარმოთქვა ტომიმ, – ვთქვით, ვეტერანები მართალს ამბობენ. ვთქვით, ჰეილშემელებისთვის საგანგებო პირობები არსებობს. ვთქვით, ორი ადამიანი ამბობს, რომ მართლა უყვართ ერთმანეთი და ერთმანეთისთვის მეტი დრო უნდათ. მაშინ უნდა არსებობდეს მათი ნათქვამის ჭეშმარიტების გარკვევის გზა – მხოლოდ შეწირვების გადასავადებლად ხომ არ ამბობენ, შეყვარებულები ვართო. წარმოგიდგენია, რა ძნელი გადასაწყვეტი იქნება? წყვილს შეიძლება მართლა ეგონოს, რომ შეყვარებულები არიან, სინამდვილეში კი მხოლოდ სექსის ამბავი იყოს ან უბრალო გატაცება. გესმის ჩემი, ქვით? გარჩევა მართლა ძნელი იქნება და ყოველთვის სწორად ვერ გადაწყვეტენ. საქმე ისაა, რომ ვინც გადაწყვეტილებას იღებს, მადამი იქნება თუ ვინმე სხვა, მათ რაღაც სჭირდებათ, რათა გააგრძელონ.

თავი ნელა დავუქნიე: – ანუ მაგ მიზეზით მიჰქონდათ ჩვენი ნამუშევრები...

– შეიძლება. მადამს სადღეისოდ მოსწავლეთა ბავშვობის დროინდელი ნამუშევრებით გატენილი გალერეა აქვს. ვთქვით, ორნი მოდიან და ამბობენ, ერთმანეთი გვიყვარსო. მადამს კი მათი ძველისძველი ნამუშევრების ნახვა შეუძლია. არ დაგავიწყდეს, ქვით: რაც მას აქვს, ჩვენს სულს წარმოაჩენს. ჰოდა, თვითონვე შეძლებს ნამდვილი წყვილის გარჩევას უაზრო გატაცებისგან.

ისევ ნელა დავიძარი. წინ თითქმის არ ვიყურებოდი. პასუხის მოლოდინში ტომიმ ნაბიჯი ამიწყო.

- არ ვიცი, - ვუთხარი ბოლოს, - ისე, ეგ იმას კი ნამდვილად ხსნის, რაც მის ემილიმ როის უთხრა, და იმასაც ჰყენს შუქს, განუწყვეტლივ რატომ ითხოვდნენ მასწავლებლები ჩვენგან შემოქმედებითობას.

- ზუსტად. ამიტომაც... - ტომიმ მძიმედ ამოიხვნეშა და განაგრძო, - ამიტომაც მოუხდა მის ლუსის იმის აღიარება, რომ თავდაპირველად მცდარი რჩევა მომცა, როდესაც მითხრა, შენი შემოქმედება უმნიშვნელოაო. თავიდან ასე იმიტომ მითხრა, რომ ვეცოდებოდი. გულში კი იცოდა, რომ ასე არ იყო. ჰეილშემელობის კოზირი სწორედ ეს შანსია. მადამის გალერეაში არაფრის გაგზავნით ამ შანსს ხელიდან უშვებდი.

ეს რომ მითხრა, მაშინდა დავინახე, საით მიდიოდა. შემაცივა. გავჩერდი და მივუბრუნდი, მაგრამ სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, ტომიმ გადაიხარხარა.

- თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ ჩემი შანსი გამიშვია და ეგაა.

- ტომი, საერთოდ რამე თუ გაგიგზავნია გალერეაში? თუნდაც უფრო პატარაობაში?

ტომი უკვე თავს აქნევდა: - ხომ გახსოვს, რა უვარგისიც ვიყავი. მის ლუსის ამბავიც მაშინ მოხდა. ვიცი, ჩემთვის კარგი უნდოდა. ვეცოდებოდი და დახმარება სურდა. ვიცი, ეგრეა. მაგრამ თუ ჩემი თეორია მართალია, მაშინ...

- ეს მხოლოდ თეორიაა, ტომი, - ვუთხარი, - ხომ იცი შენი თეორიების ამბავი.

მინდოდა, ყველაფერი შემემსუბუქებინა, მაგრამ სწორი ტონი ვერ მოვძებნე. მეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ტომის ნათქვამზე ვფიქრობდი.

- იქნებ განსჯის სხვადასხვა გზა აქვთ, - ვუთხარი ცოტა ხნის შემდეგ, - იქნებ ხელოვნება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია.

ტომიმ ისევ გააქნია თავი.

- მაინც? მადამი ხომ არც გვიცნობს. პირადად ვერ გაგვიხსენებს. თან, როგორც ჩანს, მხოლოდ მადამი არ წყვეტს. სავარაუდოდ, მასზე გავლენიანი ადამიანებიც არიან, ადამიანები, რომლებსაც ჰეილშემში ფეხიც არ შეუდგამთ. ამაზე ბევრი ვიფიქრე, ქეით. ყველაფერი ლოგიკური ჩანს. ამიტომაც იყო გალერეა ასეთი მნიშვნელოვანი. ამიტომაც აქეზებდნენ მასწავლებლები წამდაუწუმ ჩვენს მუშაობას მხატვრობასა და პოეზიაში. რაზე ფიქრობ, ქეით?

მართლაც, ცოტა სხვაგან ვიყავი. იმ დღეზე ვფიქრობდი, საძინებელში მარტო რომ ვუსმენდი კასეტას. როგორ ვირხეოდი, როგორ ვიკრავდი ბალიშს გულში და როგორ მიყურებდა თვალცრემლიანი მადამი დერეფნიდან. ეს ეპიზოდები (რომლისთვისაც შესაბამისი ახსნა ჯერ ვერ მომეძებნა) კარგად ჯდება ტომის თეორიაში. ვითომ ბავშვი მეჭირა, მაგრამ მადამს ეს არ ეცოდინებოდა. იფიქრებდა, საყვარელ კაცს წარმოიდგენსო. თუ ტომის თეორია სწორი იყო, თუ მადამს ჩვენთან მხოლოდ ერთი საკითხი აკავშირებდა, ანუ შეწირვების გადადება, მოგვიანებით, როდესაც ვინმე შეგვიყვარდებოდა, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდებოდა. ჩვეული სიცივის ფონზე, რომელსაც ჩვენ მიმართ ავლენდა, ასეთი სანახაობა შეძრავდა. გონებაში ყველაფერი გამინათდა და კინაღამ ტომისთანაც წამოვაცრანტალე. თავი შევიკავე, რადგან ტომის თეორიის შესუსტება უნდა მეცადა.

- მხოლოდ შენს ნათქვამს ვხარშავდი, - ვუთხარი, - ახლა კი, ნელ-ნელა დაგვბრუნდეთ. მანქანის მოსაძებნად შეიძლება დრო დაგვჭირდეს.

უკან ჩავუყევით ამოვლილ გზას. ვიცოდით, რომ დრო გვქონდა და არ ვჭქარობდით.

- ტომი, - ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ, - რუთსაც თუ უთხარი ეგ ყველაფერი?

თავი გააქნია და გზა განაგრძო. ბოლოს თქვა: - საქმე ისაა, რომ რასაც ვეტერანები ამბობენ, რუთს ყველაფრის სჯერა. კარგი, უყვარს თავის გამოჩენა ბევრად მეტის მცოდნედ, ვიდრე სინამდვილეშია. მაგრამ ადრე თუ გვიან ნაბიჯების გადადგმაც მოუწდება.

- ანუ, შენი აზრით, მოინდომებს...

- ჰო. განცხადების შეტანას მოინდომებს. ოღონდ მაგდენი ჯერ არ უფიქრია. არა ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ ახლა.

- შენი თეორია გალერეის შესახებ თუ გითქვამს ოდესმე?

ტომიმ ისევ თავი გააქნია. უსიტყვოდ.

- თუ მოუყვები და იმანაც დაიჯერა, გადაირევა, - ვთქვი ისევ მე.

ტომი ჩაფიქრებული ჩანდა, თუმცა მაინც არაფერი უთქვამს. მაშინდა ალაპარაკდა, როცა ისევ ვიწრო ქუჩებში აღმოვჩნდით. ამჯერად ხმაში სიმორცხვე შეეპარა.

- ისე, ქეით, რომ იცოდე, რაღაცებს ვაკეთებ ხოლმე. ისე, მაინც. არავისთვის მითქვამს. რუთისთვისაც კი. ეს მხოლოდ დასაწყისია.

მაშინ გავიგე პირველად ტომის წარმოსახვითი ცხოველების შესახებ. იმის ახსნა რომ დაიწყო, რას აკეთებდა, ენთუზიაზმის გამოჩენა გამიჭირდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში არაფერი მინახავს. უნდა ვაღიარო: ბალახში მდგომი სპილოც გამახსენდა, რომელმაც ჰეილშემში ტომის უსიამოვნებებს დაუდო სათავე. როგორც ამიხსნა, შთაგონება მიიღო ერთი ძველი, ყდამოხეული საბავშვო წიგნიდან, რომელიც კოტეჯებში ერთ-ერთი სავარძლის უკან იპოვა. შემდეგ ტომიმ კეფერსს ერთი პატარა, შავი სამუშაო ბლოკნოტი გამოსტყუა და ამ მომენტისთვის უკვე თორმეტამდე ზღაპრული არსება ჩაეხატა შიგნით.

- სულ პატარებს ვხატავ, ციცქნებს. ჰეილშემში ამაზე არ მიფიქრია და, ალბათ, შევცდი. თუ პატარას დახატავ (და მოგიწევს კიდევ, რადგან ფურცლებიც პატარაა), ყველაფერი იცვლება. თითქოს თვითონ ცოცხლდებიანო. მერე მრავალი პაწია დეტალიც უნდა ჩაუხატო. უნდა იფიქრო იმაზე, როგორ დაიცავენ თავს, როგორ გადაადგილდებიან. ჰეილშემში მსგავსი არაფერი გამიკეთებია, ქეით, მართლა.

თავისი საყვარელი ნახატების აღწერა დაიწყო, მაგრამ კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი. რაც უფრო მგზნებარედ მიყვებოდა თავის ცხოველებზე, მით უფრო მიჭირდა. „ტომი, - მინდოდა მეთქვა, - შენს თავს ისევ საყოველთაო დაცინვის საგნად აქცევ. წარმოსახვითი ცხოველები? რა გჭირს?“ მაგრამ არ მითქვამს. მხოლოდ ყურადღებით ვუყურებდი და ვიმეორებდი: „მაგარია, ტომი“.

რალაც მომენტში მითხრა: – როგორც გითხარი, ქეით, რუთმა არაფერი იცის ჩემი ცხოველების შესახებ.

ეს რომ თქვა, ყველაფერი გაახსენდა. გაახსენდა, საერთოდ რატომ დავიწყეთ ამ ცხოველებზე ფიქრი და ყველაფერი. სახეც გამოეფიტა. უხმოდ განვაგრძეთ გზა. ასე გავედით ჰაი სტრიტზე.

– შენი თეორია ნაწილობრივ მართალიც რომ იყოს, კიდევ ბევრი რამ გვექნება გასარკვევი, – ვუთხარი მე, – ჯერ ერთი, როგორ უნდა შეიტანოს წყვილმა განაცხადი, რა უნდა ქნან? შესავსები ფორმები, მგონი, არ გვაქვს.

– მაგაზეც ვიფიქრე, – ხმა ისევ ჩუმი და საზეიმო ჰქონდა, – მხოლოდ ერთ მართებულ გზას ვხედავ: მადამის პოვნას.

დავფიქრდი და ვუთხარი: – ეგ შეიძლება არც ისე ადვილი აღმოჩნდეს. მადამისა ხომ არაფერი ვიცით, სახელიც კი. გახსოვს, როგორი იყო? ჩვენი მიახლოებაც კი არ უყვარდა. რომც ვიპოვოთ როგორმე, არა მგონია, დაგვეხმაროს.

ტომიმ ამოიხვნეშა.

– ვიცი. მგონი, დრო გვაქვს. არც ერთს არ გვეჩქარება.

მანქანამდე რომ მივედით, უკვე მოღრუბლულიყო და ტემპერატურაც ეცემოდა. დანარჩენები ჯერ არ ჩანდნენ. ჩვენს მანქანას მივეყრდენით და მინი-გოლფის მოედანს გავხედეთ. არავინ თამაშობდა. დროშები ქარში ფრიალებდა. მადამზე, გალერეაზე და, საერთოდ, ამ თემაზე ლაპარაკი აღარ მინდოდა. ამიტომაც ჯუდი ბრიჯუოტერის კასეტა თავისივე პატარა პარკიდან ამოვიღე და კარგად დავათვალიერე.

– ამისთვის მადლობა, – ვუთხარი ტომის.

გამიღიმა.

– კასეტების ყუთი მე რომ მენახა, შენ კი ფირფიტებთან ყოფილიყავი, მე ვიპოვიდი. არ გაუმართლა ჩვენს ტომის.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს? შენ რომ არ გეთქვა, საერთოდ არ მოვძებნიდით. სულ აღარ მახსოვდა დაკარგული კუთხის ამბავი. რუთის ქცევის მერე ისეთ ხასიათზე ვიყავი... ჯუდი ბრიჯუოტერ. ჩემი ძველი მეგობარი. თითქოს არც მივუტოვებია. ნეტა ვინ მომპარა მაშინ?

ცოტა ხნით ქუჩისკენ მივბრუნდით, სხვებს ველოდით.

– იცი, – დაიწყო ტომიმ, – რუთმა რომ ის თქვა, რაც თქვა, და დავინახე, როგორ გეწყინა...

– არ გინდა, ტომი. უკვე მშვიდად ვარ. რომ დაბრუნდება, აღარ გავახსენებ.

– არა, მაგას არც ვამბობდი, – მანქანიდან ადგა, შემობრუნდა და წინა საბურავს ფეხი მიაჭირა, თითქოს ამოწმებსო, – იმას ვამბობდი, რომ მაშინ, როცა რუთმა ყველაფერი ამოთქვა, მივხვდი, რატომაც ათვალიერებ პორნოგრაფიულ ჟურნალებს. კარგი, არ მივმხვდარვარ, მხოლოდ ვივარაუდე. ჩემი მორიგი თეორიაა. უბრალოდ, რუთის ნათქვამის მერე თითქოს გონება გამინათდა.

ვიცი, მიცქერდა, მაგრამ ისევ წინ ვიყურებოდი, არ მიპასუხია.

– მაგრამ ბოლომდე მაინც არ მესმის, ქეთ, – თქვა ბოლოს, – რუთის ნათქვამი მართალიც რომ იყოს, რაც არა მგონია. რატომ ათვალე რეზ ძველ პორნოს შენი შესაძლებლობის საპოვნელად? რატომ იქნებოდა შენი მოდელი ერთ-ერთი იმ გოგოთაგანი?

არც ახლა შევხედე, მხოლოდ მხრები ავიჩიქე.

– არ ვამტკიცებ, რომ აზრი აქვს. უბრალოდ, ეგრე ვშვრები.

თვალეზ უკვე ცრემლები მივსებდა და ვცადე, ტომისგან დამემალა, მაგრამ უკვე ხმა მითრთოდა, როცა ვუთხარი: – თუ ძალიან გაწუხებს, მეტს აღარ ვიზამ.

არ ვიცი, შეამჩნია თუ არა ტომიმ ჩემი ცრემლები. ყოველ შემთხვევაში, როცა მომიახლოვდა და მხრებზე ხელი მომხვია, უკვე მშვიდად ვიყავი. ამას აღრეც შვრებოდა ხოლმე, არაფერი უქნია ახალი და განსაკუთრებული. თავი მაინც უკეთ ვიგრძენი და გავიცინე. ხელი გამიშვა, მაგრამ თითქოს მაინც ვეხებოდით ერთმანეთს, მანქანაზე ზურგებით მიყრდნობილები.

– კარგი, აზრი არა აქვს, – ვუთხარი, – მაგრამ ყველას გვჭირდება, არა? ყველა დავებებთ ჩვენს მოდელს. სხვა თუ არაფერი, დღეს აქ ამ მიზნით მოვედით. ყველა დავებებთ.

– ხომ იცი, ქეთ, რომ არავისთვის მითქვამს. მაშინ, საქვებში რომ ვიყავით. არც რუთისთვის, არავისთვის. მაგრამ, უბრალოდ, არ მესმის. არ მესმის, რატომ.

– კარგი, ტომი. გეტყვი. შეიძლება მოისმინო და ახალი ვერაფერი შეიტყო, მაგრამ მაინც გეტყვი. საქმე ისაა, რომ, დროდადრო, სექსი რომ მინდება, ძალიან ძლიერი გრძნობები მაწვება. ხანდახან უცბად შემიპყრობს და მერე ერთ-ორ საათს მეშინია. ისეთ დღეში ვვარდები, რომ შეიძლება მოხუც კეფერსთანაც კი დავწვე. ამიტომაც... მხოლოდ ამიტომ დავწექი ჰიუსთან. და ოლივიესთანაც. გულში არაფერს ვგრძნობდი. გამორჩეულად არც კი მომწონს რომელიმე. არ ვიცი, რა ხდება. მერე კი, როცა გამივლის, შიში მეუფლება. ამიტომაც დავიწყე ფიქრი. საიდანლაც ხომ უნდა მოდიოდეს ეს? ალბათ, ასეთი ვარ და იმიტომ, – გავჩუმდი, მაგრამ ტომიმ არაფერი თქვა და მეც განვაგრძე: – ჰოდა, ვიფიქრე, რომელიმე ჟურნალში მის სურათს თუ ვიპოვი, ყველაფერი აიხსნება-მეთქი. მოძებნა არ მომინდებოდა. უბრალოდ, ხომ გესმის, ახსნიდა, რატომ ვარ ისეთი, როგორც ვარ.

– ხანდახან მეც მემართება ეგრე, ძალიან რომ მინდება, – თქვა ტომიმ, – ალბათ, ყველას ემართება, გულახდილად თუ იტყვიან. არა მგონია, რამით გამოირჩეოდე, ქეთ. სხვათა შორის, საკმაოდ ხშირად ვარ ეგრე...

ტომიმ სიტყვა გაწყვიტა და გადაიხარხარა. მე კი არ გამცინებია.

– მე სხვა რამეზე ვლაპარაკობ. სხვები მინახავს, სექსის განწყობაზე მოდიან, მაგრამ გონებას არ კარგავენ. ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, რაც მე მიქნია. ჰიუსთან არ დაწოლილან...

შეიძლება ისევ ავტირებულიყავი, მაგრამ, ტომის მკლავი ჩემს მხრებზე ვიგრძენი. გულმოსულს, არ დამვიწყებია, სად ვიყავით. ვირწმუნე: იმწამს რუთი და დანარჩენები

რომ გამოჩენილიყვნენ ქუჩაში და ასე დავენახეთ, ცუდს არაფერს იფიქრებდნენ. ისევ გვერდიგვერდ ვიდექით მანქანაზე მიყრდნობილები. ისინი დაინახავდნენ, რომ აღელვებული ვარ და ტომი მამშვიდებს.

– ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ცუდად იქცევი, – მითხრა მან, – ვინმეს თუ იპოვი ისეთს, ვისთანაც მართლა გენდომება ყოფნა, ყველაფერი კარგად აეწყო. გახსოვს, რას გვეუბნებოდნენ მასწავლებლები? თუ სწორად შერჩეულ პარტნიორთან დაწვებით, ნამდვილად გესიამოვნებათო.

მხრის მოძრაობით ტომის ხელი მხრიდან მოვიშორე და ღრმად ჩავისუნთქე.

– დავივიწყოთ ეს. თან, მაგნიირი დამორჩილებაც უკვე უკეთესად გამომდის. ასე რომ, უბრალოდ დავივიწყოთ.

– მაინც, ქვით, ჟურნალებში ძებნა უაზრობაა.

– კარგი, უაზრობაა. მოვეშვათ ამას, ტომი. უკვე კარგად ვარ.

არ მახსოვს, კიდევ რაზე ვილაპარაკეთ იმათ მოსვლამდე. სერიოზული საკითხები აღარ განგვიხილავს. დანარჩენებმა შეიძლება შენიშნეს კიდევ რაღაც დამაბულობა, მაგრამ არაფერი უკითხავთ. ჩინებულ ხასიათზე დაბრუნდნენ. განსაკუთრებით – რუთი, რომელიც ცდილობდა, მანამდე დადგმული ცუდი სცენა გამოესწორებინა. მოდიოდა, ლოყაზე მეხებოდა, ხუმრობდა. მანქანაშიც რომ ჩავსხედით, გამუდმებით ზრუნავდა მხიარული ატმოსფეროს შესანარჩუნებლად. რუთს და ქრისის მარტინი ძალიან სასაცილოდ ეჩვენათ. ახლა კი, როდესაც მისი ბინა დატოვეს, გულიანად სიცილის შანსს ბოლომდე იყენებდნენ. როდნი უკმაყოფილო ჩანდა. მივხვდი: ქრისი და რუთი, უპირველეს ყოვლისა, როდნის გასაბრაზებლად ყბედობდნენ. ეს ყველაფერი მაინც საკმაოდ კეთილგანწყობილად ხდებოდა. ერთი რამ შევნიშნე: მთელი მგზავრობის განმავლობაში, სანამ რუთი ჩემთვის და ტომისთვის გაუგებარი ხუმრობებითა და ქარაგმებით თავს შეიქცევდა, ჩემკენ ტრიალდებოდა და ყველაფერს მიხსნიდა. ცოტა ხანში დავიღალე კიდევ, რადგან ყველაფერი, რაც მანქანაში ითქმებოდა, საგანგებოდ ჩვენზე ან მხოლოდ ჩემზე იყო გათვლილი. რუთის ასეთი მონდომება მაინც მესიამოვნა. მეც გავიგე და ტომიმაც, რომ რუთი თავის ცუდ საქციელს მიხვდა და ამას ამნაირად აღიარებდა. ახლაც რუთი შუაში გვეჯდა უკანა სავარძელზე. თუმცა, ამჯერად, მთელი გზა მე მელაპარაკებოდა. დროდადრო, მცირედი მოფერებისთვის ან საკოცნელად, ტომის მიუბრუნდებოდა. მანქანაში კარგი ატმოსფერო სუფევდა. რუთის შესაძლებელი ან რაიმე მსგავსი არავის უხსენებია. არც ტომის მიერ ნაყიდ ჯუდი ბრიჯუოტერის კასეტაზე დამიდრავს კრინტი. ვიცოდი: ადრე თუ გვიან რუთი მაინც შეიტყობდა, მაგრამ არ მინდოდა ახლავე გაეგო. შინისკენ მივქროდით, გრძელ და უკაცრიელ გზებს სიბნელე ეფინებოდა და სამივენი თითქოს ისევ ერთად ვიყავით. არ მინდოდა, ეს განწყობა რამეს გაეფუჭებინა.

თავი მეთექვსმეტე

ჩვენს ნორფოლკულ მოგზაურობაში უცნაური ის იყო, რომ დაბრუნების შემდეგ თითქმის აღარ გვიხსენებია. ისეთი დუმილით ვუვლიდით გვერდს, ერთხანს ჭორების

გავრცელებაც კი დაიწყო იმაზე, თუ რას ვშვრებოდით ნორფოლკში. არც მაშინ ამოვიღეთ ხმა. ბოლოს ხალხმა ინტერესი დაკარგა.

ახლაც არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. შეიძლება, ეს რუთის მოვალეობად მიგვაჩნდა. მის მონათხრობს ველოდებოდით, სანამ ჩვენსას მოვყვებოდით. რუთი კი საერთოდ არ იღებდა ხმას, შესაძლოა, მისი შესაძლებლის ამბის მოულოდნელი განვითარების გამო, შესაძლოა იმიტომ, რომ საიდუმლოს ეფექტი მოსწონდა. ერთმანეთსაც კი არ ვუხსენებდით ნორფოლკს.

ეს ტენდენცია იდუმალებისკენ მიადვილებდა, რომ რუთისთვის დაკარგული კასეტის შეძენის ფაქტი დამემალა. თვითონ კასეტის მალვა არ დამიწყია, სულ ჩემს ნივთებთან ერთად მედო პლინტუსთან დაზვინულ ერთ-ერთ პატარა გროვაში. თუმცა იმაზეც ვზრუნავდი, რომ განცალკევებით ან გროვის თავზე არ დამრჩენოდა. ხანდახან ძალიან მინდებოდა რუთისთვის მოყოლა, რათა მერე ამ მუსიკის ფონზე გაგვეხსენებინა ჰეილშემის ამბები. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა ნორფოლკში მგზავრობიდან, მით უფრო დამნაშავედ ვგრძნობდი თავს ამ საიდუმლოს გამო. ბოლოს და ბოლოს, კარგა ხნის შემდეგ და, როგორც ჩანს, მისთვის გაცილებით უარეს პერიოდში, მან შეამჩნია კასეტა. მაგრამ ხანდახან სწორედ ასეთი გზით მიჰყავხარ ილბალს.

გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, მოსამზადებლად მიმავალი ვეტერანების რიცხვმაც უფრო და უფრო იმატა. დიდი გნიასის გარეშე მიდიოდნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო, ამდენი ადამიანის წასვლა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ზუსტად არ მახსოვს, რას ვგრძნობდით მათი წასვლის შემხედვარე. ალბათ, გარკვეულწილად, გვშურდა კიდეც. გვეჩვენებოდა, რომ უფრო დიდი, საინტერესო სამყაროსკენ მიდიოდნენ. და, რაღა თქმა უნდა, მათი წასვლა უფრო და უფრო გვიმძიმდა.

შემდეგ – მგონი, აპრილი იქნებოდა – ჩვენი ჰეილშემური ჯგუფიდან ელის ეფი აღმოჩნდა პირველი, რომელიც წავიდა. გორდონ სიც მალე მიჰყვა. მომზადების დაწყება ორივეს უნდოდა და ბედნიერები წავიდნენ. თუმცა ამის შემდეგ კოტეჯების ატმოსფერო სამუდამოდ შეიცვალა. სხვებისთვის თუ არა, ჰეილშემელებისთვის მაინც.

მომრავლებული წასვლა ვეტერანებსაც დაეტყოთ. როგორც ჩანს, ამის პირდაპირი შედეგი იყო ქრისის და როდნის მიერ ნორფოლკში ნათქვამის მსგავსი ჭორების მოულოდნელი მომრავლება. ლაპარაკობდნენ ქვეყნის სხვა ნაწილში მცხოვრებ მოსწავლეებზე, რომლებსაც სიყვარულის გამო ოპერაციები გადაუვადეს. ხანდახან – მხოლოდ ხანდახან – ჭორი არაჰეილშემელსაც ეხებოდა. ნორფოლკში ნამყოფი ხუთეული აქაც ვერიდებოდით მსგავს თემებს: თვით ქრისი და როდნიც, ერთ დროს ასეთი საუბრების ცენტრს რომ წარმოადგენდნენ, ამჯერად ჭორის გამოჩენისთანავე ქრებოდნენ.

„ნორფოლკის ეფექტი“ მე და ტომისაც გადაგვედო. ვვარაუდობდი, რომ კოტეჯებში დაბრუნების შემდეგ, როცა მარტო აღმოვჩნდებოდით, კიდეც გავცვლიდით აზრებს ტომის გალერეის თეორიაზე. მაგრამ რაღაც მიზეზით, რომელსაც ჩემზე მეტად ტომის ვერ დავაბრალებ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. გამონაკლისი იყო ერთი დილა, როდესაც საბატეში ტომიმ თავისი წარმოსახვითი ცხოველები მაჩვენა.

ფარდული, რომელსაც საბატეს ვეძახდით, კოტეჯების გარე ნაწილში იდგა. სახურავი წყალს ატარებდა, კარი კი წამდაუწუმ ძვრებოდა ანჯამებიდან. ასე რომ, შენობა მხოლოდ თბილ თვეებში წყვილების განსამარტოებელ ადგილად თუ გამოდგებოდა. მე კი იმხანად მარტოკას შორს გასეირნება მიყვარდა. ჰოდა, მგონი, ერთ-ერთ ასეთ სეირნობას ვიწყებდი, საბატეს რომ გავცდი და ტომიმ დამიძახა. ფეხშიშველი ტომი უშველებელი ტლაპოთი გარშემორტყმულ მიწის მშრალ ნაგლეჯზე დასკუპებულიყო და, წონასწორობის შესანარჩუნებლად, ცალი ხელით ფარდულის კიდეც ჩასჭიდებოდა.

– ბოტები რა უყავი, ტომი? – ვკითხე. შიშველ ფეხებს თუ არ ჩავთვლიდით, ჩვეულებისამებრ, სქელი ჯემპრი და ჯინსი ეცვა.

– ვხატავდი... – გაიცინა და პატარა, შავი ბლოკნოტი დამანახვა, იმის მსგავსი, კეფერსი რომ დაატარებდა თან. ნორფოლკში მოგზაურობიდან უკვე ორი თვე იქნებოდა გასული, მაგრამ ბლოკნოტის დანახვისთანავე მივხვდი, რასთანაც მქონდა საქმე. თუმცა დაველოდე, რომ ეთქვა: – თუ გინდა, გაჩვენებ, ქეით.

ტლაპოს გადაახტა და და საბატეში შემიძღვა. მეგონა, შიგნით სიბნელე იქნებოდა, მაგრამ სარკმლებიდან შემომავალი სხივები ანათებდა იქაურობას. ერთ მხარეს, კედელთან, წინა წლებში გაფუჭებული ავეჯის ნაწილები მიეწყობო: დამტვრეული მაგიდები, ძველი მაცივრები და ა.შ. ოთახის შუაგულში ტომის ორადგილიანი, შიგნულგამობდღვნილი დივანი მიეჩოჩებინა. როცა ჩავუარე, მივხვდი: სწორედ აქ იჯდა და ხატავდა ხოლმე. იქვე ახლოს მისი ბოტები ეყარა. ბოტების ყელიდან წინდები იჭყიტებოდა.

ტომი დივანზე ახტა და ფეხის ცერის მოვლას შეუდგა.

– ბოდიში, ფეხი გამიტალახიანდა. ისე გავიძრე ყველაფერი, რომ ვერც გავაცნობიერე. ახლა კი, მგონი, გავიჭერი. გინდა, ნახო, ქეით? გასულ კვირას რუთს ვაჩვენე. მერე შენთვისაც მომიჩინა ჩვენება. რუთის გარდა არავის უნახავს. შეხედე, ქეით.

მაშინ ვნახე მისი ცხოველები პირველად. ნორფოლკში რომ მომიყვა, ჩვენი ბავშვობის დროინდელი ნახატების დაპატარავებული ვერსიები წარმოვიდგინე. ჰოდა, ახლა გამაკვირვა თითოეული ცხოველის დეტალურობამ. ის კი არა, მათში ცხოველების დანახვას ცალკე დრო სჭირდებოდა. პირველი შთაბეჭდილება იყო რადიოს უკანა, დამცავპანელმოხსნილი მხარე: პაწია სადენები, დაწული მავთულები, მინიატიურული ქანჭიკები და ბორბლები. ეს ყველაფერი გიჟური სიზუსტით იყო დახატული. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფურცელს შორს დაიჭერდი, მოახერხებდი რაღაც ჯავშნოსნის ან ფრინველის მსგავსის დანახვას.

– ჩემი მეორე წიგნია, – თქვა ტომიმ, – პირველს ვერავინ ნახავს! სწავლაში დრო დამჭირდა.

დივანზე გადაწოლილი, ფეხზე წინდას იცვამდა. ცდილობდა, ჩვეულებრივად მოქცეულიყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემს ნათქვამს შფოთვით ელოდა. მაინც არ შევასხი გულითადი ხოტბა გარკვეულ ხანს. შეიძლება, ნაწილობრივ ჩემი სადარდებელიც იყო, რომ ხელოვნების ყველა ნამუშევარი ისევ და ისევ პრობლემებს უქმნიდა ტომის. თუმცა მისი ნამუშევარი იმდენად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მასწავლებლები გვასწავლიდნენ, რომ არც კი ვიცოდი, როგორ შემეფასებინა. რაღაც ამდაგვარი ვუთხარი: – ღმერთო ჩემო, ტომი, ამის გაკეთებას, ალბათ, იმხელა კონცენტრაცია

სჭირდება! მიკვირს, როგორ ხედავ ასე კარგად, როგორ აკეთებ ამ დეტალებს, – მერე ისევ გადავფურცლე, ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ რამე საქებარ სიტყვას ვეძებდი, და განვაგრძე: – ნეტავ მადამი რას იტყოდა, ეს რომ ენახა?

თითქოს ხუმრობით ვუთხარი. ტომიმ ჩაიხიბოდა. მერე კი თითქოს ჰაერში დაეკიდა რაღაც ისეთი, რაც აქამდე არ ყოფილა. ბლოკნოტის ფურცვლა განვაგრძე. ერთი მეოთხედი სავსე იქნებოდა ნახატებით. ტომის არ ვუყურებდი. ვფიქრობდი, ნეტავ მადამი არც მეხსენებინა-მეთქი.

– ალბათ, ბევრად უკეთ უნდა ვხატო, სანამ მას ვაჩვენებ რამეს, – მითხრა ბოლოს.

ვერ მივხვდი: ეს იმის ნიშანი ხომ არ იყო, რომ ტომის ქება უნდა დამეწყო. მაგრამ უკვე ნამდვილად დამაზნის ჩემ თვალწინ მყოფმა ფანტასტიკურმა არსებებმა.

გადატვირთული, მეტალისებური ნაკვთების ფონზე თითოეულ მათგანში რაღაც მტკივნეული ჩანდა. გამახსენდა, როგორ მითხრა ტომიმ ნორფოლკში, მათზე და მათ ემშაკობაზე ვლელავო. ახლა რომ ვუყურებდი, მეც იმავეს ვგრძნობდი. და მაინც, ტომის შექებისგან რაღაც გაურკვეველი მაკავებდა.

– მარტო მაგ მიზეზით არ ვხატავ ცხოველებს, – მითხრა შემდეგ, – უბრალოდ მომწონს მათი ხატვა. მაინტერესებდა, საიდუმლოდ თუ შევინახავდი. ვიფიქრე, იქნებ არა უშავს, ხალხმაც რომ გაიგოს-მეთქი. ჰანა ისევ აკვარელით ხატავს, ბევრი ვეტერანიც აკეთებს რაღაცას. იმას არ ვამბობ, რომ ავდგები და ყველას ვაჩვენებ. მაგრამ ვიფიქრე, რომ საიდუმლოდ შენახვის მიზეზიც აღარ მაქვს.

როგორც იქნა, ავხედე და განაჩენივით ვუთხარი: – აღარ გაქვს, ნამდვილად აღარ გაქვს. კარგია, ძალიან, ძალიან კარგი. ყოველ შემთხვევაში, მალვის გამო აქ ჯდომა ნამდვილი სიგიჟეა.

არაფერი უთქვამს, მხოლოდ რაღაც თავმომწონე ღიმილი დაეფინა სახეზე, თითქოს საკუთარ ხუმრობაზე იცინისო. ვიცოდი, როგორ გავახარე. მგონი, ბევრი აღარაფერი გვილაპარაკია. მალევე ამოიცივა ბოტები და ჩვენ საბატე დავტოვეთ. როგორც ვთქვი, ეს იმ გაზაფხულის ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე და ტომი ამ თეორიას უშუალოდ შევეხეთ.

მერე მოვიდა ზაფხული და, მასთან ერთად, ჩვენი ჩამოსვლის წლისთავიც. მიკროავტობუსით ჩვენსაირების ჯგუფიც გამოჩნდა, მაგრამ ჰეილშემიდან არავინ იყო. ამან, ერთი მხრივ, შვება მოგვგვარა: ალბათ ყველა ვლელავდით ახალი ჰეილშემელების გამოჩენაზე და მათთან დაკავშირებულ გარკვეულ გართულებებზე. მე კი ჰეილშემელთა არგამოჩენამ ის განცდა გამიღვივა, რომ ჰეილშემი შორს დარჩა, წარსულში, და რომ ჩვენი სამეგობროს შემკავშირებელი ძაფები თანდათან დუნდებოდა. მარტო ჰანასაირების ბრალი არ იყო, სულ ელისის გზით წასვლასა და მომზადების დაწყებაზე რომ ლაპარაკობდნენ. სხვები – მაგალითად, ლორა – არაჰეილშემელ ბიჭთან დაწყვილდა და თითქმის დაგვაფიქსა, რა ახლოს ვიყავით ოდესღაც ერთმანეთთან.

ყველაფერთან ერთად, რუთი ისე გვაჩვენებდა თავს, თითქოს ჰეილშემი საერთოდ აღარ ახსოვდა. ეს თითქოსდა უმნიშვნელო, ყოველდღიური ამბავი მე უფრო და უფრო მადიზიანებდა. ერთხელ რუთი, მე და რამდენიმე ვეტერანი საუზმის შემდეგ სამზარეულოში ვისხედით. ერთ-ერთი ვეტერანი ამბობდა, როგორ აფრთხობდა ძილს

გვიან ღამით ყველის ჭამა. რუთს მივუბრუნდი და რაღაც ამდაგვარი ვუთხარი: „გახსოვს, მის ჯერალდინი სულ ამას რომ გვეუბნებოდა?“ ისე, უბრალოდ ვუთხარი და რუთისგან მხოლოდ გაღიმებას ან კვერის დაკვრას ველოდი. მაგრამ ისეთი ცარიელი სახით მომაჩერდა, თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რაზე ველაპარაკებოდი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვეტერანებს ავუხსენი, მის ჯერალდინი ჩვენი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო-მეთქი, რუთმა შექმუხვნილი წარბებით დამიკრა თავი, ვითომ იმწამსლა გაახსენდა.

მაშინ არაფერი მითქვამს. აი, ერთხელ კი არ შევარჩინე. საღამო იყო და ავტობუსის დანგრეულ გაჩერებაზე ვისხედით. გავბრაზდი, რადგან ვეტერანების წინ თვალთმაქცობა ერთი იყო, ჩვენ ორს შორის სერიოზული საუბრისას კი – სულ სხვა. ისე, ლაპარაკისას გავიხსენე: ჰეილშემში, ტბორთან ჩასასვლელი მოკლე გზა, რევანდის ნარგავებზე რომ გადიოდა, აკრძალული იყო-მეთქი. და რაკი რუთმა ისევ დაბნეული სახე მიიღო, ჩემი საუბრის თემას თავი ვანებე და ვუთხარი: „ეს შენ არ დაგვიწყებია, რუთ. ჰოდა, არ გინდა ახლა!“

შეიძლებოდა ასე მკაცრად არ მეთქვა, უბრალოდ მეხუმრა და გამეგრძელებინა. იქნებ თვითონვე დაენახა რუთს, თავს როგორ ისულელებდა. მაგრამ მაინც ვუკბინე. მან კი შემომხედა და მითხრა: – რა მნიშვნელობა აქვს? რა შუაშია ახლა რევანდის ნარგავები? გააგრძელე, რასაც ამბობდი.

ღამდებოდა. ზაფხულის საღამო უფრო და უფრო მძიმდებოდა. მანამდე ჩამომსკდარი დელგმის შემდეგ ავტობუსის გაჩერება ობიანი და ნესტიანი ჩანდა. ამიტომაც აღარ გადავყევი იმის ახსნას, რატომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი რევანდის ნარგავები. ამას თავი ვანებე და ძველი საუბარი განვაგრძეთ, მაგრამ ატმოსფერო მაინც გაცივდა და საუბარიც შეფერხდა.

და რომ ავიხსნათ, რაზე ვლაპარაკობდით იმ საღამოს, ცოტა უკან უნდა დავბრუნდე, უფრო ზუსტად – რამდენიმე კვირით უკან.

იმხანად ურთიერთობა მქონდა ერთ ვეტერან ბიჭთან, სახელად ლენისთან. სიმართლე გითხრათ, ძირითადად სექსის ამბავი იყო. მერე კი, უცერად, წასვლა და მომვლელად მომზადება გადაწყვიტა. ამან, ცოტა არ იყოს, გონება ამირია. რუთი კი ჩინებულად იქცეოდა. სულ თვალი ეჭირა ჩემზე, სხვებთან ბევრს არ ლაპარაკობდა და, როგორც კი მოვიღუშებოდი, ჩემს გართობას ცდილობდა. მეხმარებოდა კიდეც. ხან სანდვიჩს მიკეთებდა, ხან – როცა ჩემი ჯერი იყო – დალაგებაში მშველოდა.

ლენის წასვლიდან ორიოდე კვირის შემდეგ, შუალამეს გადაცდენილზე, მე და რუთი ჩაის ჭიქებით ჩემს მანსარდაში ვისხედით და ვსაუბრობდით. მან რაღაც მითხრა ლენიზე და ჩამაბჟირა. ცუდი ბიჭი არ იყო, მაგრამ რუთს ინტიმური რაღაცების მოყოლას რომ ვუწყებდი, მეჩვენებოდა, რომ ლენის ყველაფერი სასაცილო ჰქონდა. ვიცინოდით და ვიცინოდით. რაღაც მომენტში, რუთი კასეტების გროვებში ხელებს აფათურებდა ჩემს პლინტუსთან. ისე, დაუფიქრებლად ფათურობდა და თან იცინოდა. მერე კარგა ხანს ვფიქრობდი, იქნებ სულაც არ ფათურობდა დაუფიქრებლად-მეთქი. იქნებ რამდენიმე დღის წინ იპოვა, შეისწავლა, დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა, და ოფიციალური „პოვნისთვის“ შესაფერის დროს დაელოდა. წლების შემდეგ რუთს ამ საკითხზე მსუბუქად მივანიშნე და თითქოს ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი. ასე რომ, შეიძლება მცდარი ეჭვებიც მქონოდა. ჰოდა, ვიყავით და ვიცინოდით. საბრალო

ლენიზე ნათქვამ ყოველ ახალ დეტალს ახალი ხარხარი მოჰყვებოდა. მერე კი თითქოს რაღაცამ გაიბაგუნა. ჩემ გვერდით, ხალიჩაზე წამოწოლილი რუთი სუსტ სინათლეში ჩემი კასეტების გროვებს უყურებდა. უეცრად ხელში ჯუდი ბრიჯუოტერის კასეტა მოჰყვა. გარკვეული დროის შემდეგ, რაც მე უსასრულობად მეჩვენა, მითხრა: – ჰოდა, რამდენი ხანია ეს ისევ გაქვს?

შემლებისდაგვარად ბუნებრივად ვუამბე, როგორ ვიპოვეთ მე და ტომიმ იმ დღეს, როცა რუთი დანარჩენებს გაჰყვა. მან კასეტის თვალიერება განაგრძო და მითხრა: – ანუ ტომიმ გიპოვა.

– არა, მე ვიპოვე. პირველმა მე დავინახე.

– არც ერთმა არ მითხარით, – მხრები აიჩეჩა, – და თუ მითხარით, ვერ გავიგე.

– ნორფოლკის ამბავი სიმართლე ყოფილა, – ვუთხარი, – ანუ ის, ინგლისის დაკარგული კუთხე როა.

კი გავიფიქრე, რუთი თავს მოიკატუნებს, თითქოს ეს ამბავი სულ არ ახსოვს-მეთქი. მაგრამ მან თავი ფიქრიანად დამიკრა და თქვა: – მაშინვე უნდა გამხსენებოდა, იქნებ ჩემი წითელი კაშნეც მეპოვა.

ორივეს გაგვეცინა და უხერხულობაც თითქოს გაქრა. მაგრამ კასეტა ისე დადო და აღარც უხსენებია, ჯერ არ დამთავრებულა-მეთქი, ვიფიქრე.

არ ვიცი, რუთმა კასეტის აღმოჩენის გამო წაიყვანა ჩვენი საუბარი იქითკენ, საითაც წავიდა, თუ ისედაც იქით მიდიოდა. ლენიზე ლაპარაკს დავუბრუნდით. ძირითადად ისევ იმაზე, როგორ იქცეოდა სექსში. ისევ ვიცინოდით. იმ წამს მომეშვა კიდეც, რუთმა კასეტა რომ იპოვა და ერთი ამბავი არ ატეხა. ჰოდა, შეიძლება ამიტომაც არ გამოვიჩინე სიფრთხილე. სულ ცოტა ხანში ლენიდან ტომიზე გადავედით. თავიდან ყველაფერი ჯანსაღი ჩანდა. ორივე კეთილი გულით ვლაპარაკობდით. მერე კი ტომის ცხოველებზე ავფხუკუნდით.

როგორც გითხარით, ვერასოდეს გავიგე, განზრახ მიიყვანა თუ არა რუთმა საქმე აქამდე. გულახდილად თუ ვიტყვი, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ცხოველები პირველმა მან ახსენა. როცა დავიწყეთ, მეც იმდენს ვიცინოდი, რამდენსაც რუთი. მაგალითად, იმაზე, რომ ერთ ცხოველს თითქოს საცვალი ეცვა, მეორე კი გასრესილ ზღარბს ჰგავდა. მგონი, ისიც მმართებდა მეთქვა: ტომის ხატვა კარგად გამოსდის და მართლა მოუნდომებია, ასე რომ დახელოვნდა-მეთქი. მაგრამ არ ვთქვი. ნაწილობრივ, კასეტის გამო. და კიდეც, გულახდილი თუ ვიტყვი, მესიამოვნა იმის გაგება, რომ რუთი დახატულ ცხოველებს და ყოველივე ამასთან დაკავშირებულს სერიოზული თვალთ არ უყურებდა. მე მგონი, ღამით, ერთმანეთს რომ დავშორდით, ისე მეგობრულად ვგრძნობდით თავს, როგორც არასდროს. როცა გადიოდა, რუთი ლოყაზე შემეხო და მითხრა: – კარგია, სულ ასე კარგად რომ გიჭირავს თავი, ქეით.

ჰოდა, საერთოდ არ ველოდი იმას, რაც რამდენიმე დღის შემდეგ ეკლესიის ეზოში მოხდა. იმ ზაფხულს რუთმა კოტეჯებიდან ნახევარი მილის მანძილზე ძველი, მყუდრო ეკლესია აღმოაჩინა. ეკლესიის უკან ბალახში ჩამალული ძველისძველი საფლავისქვებიანი სახეტილო ადგილი იყო. ყველაფერი – მოუვლელი და მიტოვებული, მაგრამ მეტისმეტად მყუდრო. რუთი ხშირად დადიოდა იქ საკითხავად.

უკანა გალავანთან, ტირიფის ქვეშ სკამზე ჯდებოდა. თავიდან ეს ამბავი მაინცდამაინც არ მომწონდა, რადგან მახსენდებოდა წინა ზაფხული, ყველა ერთად რომ ვისხედით ბალახზე სახლის წინ. და მაინც, სადმე ახლოს თუ მოვხვდებოდით და ვიცოდი, რომ რუთიც იქ იყო, ხის დაბალ კარიბჭეში გავძვრებოდი და საფლავის ქვეშ შორის ბალახში ჩამალულ ბილიკს დავადგებოდი. იმ ნაშუადღევს წყნარი, თბილი ამინდი იდგა. ბილიკი მეოცნებე განწყობით ჩავიარე. თან ქვებზე გარდაცვლილთა სახელებს ვკითხულობდი. ტირიფის ქვეშ კი, სკამზე, რუთის გარდა ტომიც დავინახე.

ლაპარაკობდნენ. რუთი სკამზე ჩვეულებრივად იჯდა, ტომის კი ცალი ფეხი ჟანგიანი სახელურისთვის მიეხრია და თითქოს მოთელვას აკეთებდა. ვერ იტყოდი, რამე მნიშვნელოვანზე საუბრობენო. მეც არ მომერიდა და მივაშურე. იქნებ მათი მოსალმების მანერით უნდა მივმხვდარიყავი რაღაცას, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია. ერთ-ერთ ახალმოსულზე რაღაც ჭორი ვიცოდი და ერთი სული მქონდა, როდის ვუამბობდი რუთს და ტომის. ჰოდა, ერთხანს მარტო მე ვლაცობდი. ისინი კი მისმენდნენ და რაღაც უმნიშვნელოებს მეკითხებოდნენ. ცოტა ხანში ვიფიქრე, რაღაც ისე ვერ არის-მეთქი, და ხუმრობით ვკითხე: – რამე ხომ არ გაგაწყვეტინეთ?

– ტომი თავის თეორიას მომიყვა, – მითხრა რუთმა, – ქეითის უკვე კარგა ხნის წინ ვუთხარიო. ახლა კი პატივი დამდო და მეც გამაცნო.

ტომიმ ამოიხვნეშა და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ რუთმა დამცინავი ჩურჩულით დაასწრო: – ტომის სახელგანთქმული თეორია გალერეის შესახებ!

შემდეგ ორივემ შემომხედა. ვითომ ახლა მე უნდა გადამეწყვიტა, რა მოხდებოდა.

– ცუდი თეორია არ არის, – ვუთხარი, – არ ვიცი, შეიძლება სიმართლესაც შეეფერებოდეს. შენ რას ფიქრობ, რუთ?

– ძლივს ამოვალერდინე ჩვენს ბიჭუნას. დიდი სურვილი არ გქონდათ ჩემთვის მოგეყოლათ, არა, გვრიტებო? კარგა ხანია ვთხოვ ამიხსნას, რა დგას მისი შემოქმედების უკან.

– მარტო მაგიტომ არ ვხატავ, – უგუნებოდ თქვა ტომიმ, რომელსაც ცალი ფეხი ისევ სკამის სახელურზე ედო, – მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ თუ გალერეის თეორია სიმართლეს შეიცავს, მაშინ ჩემი ცხოველების გამოყენებას შევძლებ...

– ძვირფასო ტომი, ჩვენი მეგობრის წინაშე თავი უტვინოდ ნუ გამოგყავს. ჩემთან შეიძლება, მაგრამ ჩვენს ძვირფას ქეითისთან – არა.

– არ მესმის, ასე რატომ ამასხრებ, – განაგრძო ტომიმ, – ისეთივე თეორიაა, როგორც ნებისმიერი სხვა.

– ხალხს თეორია არ ეჩვენება სასაცილოდ, საყვარელო, თეორია შეიძლება დაიჯერონ კიდევ. აი, შენი ცხოველებით მადამის შებმას რომ აპირებ... – რუთმა გაიღიმა და თავი გააქნია.

ტომის ხმა არ ამოუღია. ფეხის გაჭიმვა განაგრძო. მისი დაცვა მომინდა. რაღაც ისეთის მოფიქრებას ვცდილობდი, რაც ტომის ანუგეშებდა, რუთს კი უფრო მეტად არ გააბრაზებდა. აი, მაშინ თქვა რუთმა ის, რაც მე გულზე მომხვდა. თუმცა იმხანად ვერც წარმოვიდგენდი, რამხელა გამოძახილს გამოიწვევდა.

– მარტო მე არ ვარ, საყვარელო. ჩვენს ქეითის შენი ცხოველები სრულ გაუგებრობად მიაჩნია.

ინსტინქტმა მიკარნახა, უკუმეგდო რუთის სიტყვები და, უბრალოდ, გამეცინა. მაგრამ რუთის ტონში დიდი ავტორიტეტი იგრძნობოდა. სამივე საკმაოდ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს და ვგრძნობდით, რომ რუთის სიტყვების უკან სიმართლე იდგა. ბოლოს არაფერი ვთქვი. ჩუმად ვიდექი და გამწარებული ვცდილობდი იმ ღამის აღდგენას წამოსახვაში, მე და რუთი ჩემთან ჩაის ჭიქებით რომ ვისხედით. ტანში სიცივე მივლიდა. რუთმა განაგრძო: – სანამ ხალხს ჰგონია, რომ მაგ არსებებს ისე, სახუმაროდ ხატავ, ყველაფერი კარგადაა. ოღონდ არ გაამჟღავნო, რომ სერიოზული თვალით უყურებ. გთხოვ.

ტომის ფეხის ჭიმვა შეეწყვიტა და ახლა კითხვისნიშნისანი სახით მომჩერებოდა. უცბად, ისევ ბავშვური გამხდარიყო, ყოველგვარი ვაჟკაცობის გარეშე, მისი თვალების მიღმა კი რაღაც ბნელი და საშიში იკრებდა ძალას.

– მისმინე, ტომი, უნდა გაიგო, – განაგრძო რუთმა, – მე და ქეითიმ რომ დაგცინოთ, არა უშავს. ჩვენ ჩვენ ვართ და იმიტომ. მაგრამ გთხოვ, სხვებს ნუ ჩარევ.

ამ მომენტებზე ბევრჯერ მიფიქრია. უნდა მეთქვა რამე. თუნდაც, უბრალოდ, უკუმეგდო, მიუხედავად იმისა, რომ ტომი, სავარაუდოდ, არ დამიჯერებდა, ყველაფრის თანმიმდევრულად ახსნა კი ძალიან გამიჭირდებოდა. მაგრამ რაღაც მაინც შეიძლებოდა მექნა. რუთი უნდა გამომეწვია, უნდა მეთქვა, რომ აზვიადებდა; რომ, თუ ვიცინე კიდევ, არა ისე, როგორც რუთი წარმოაჩენდა. თუნდაც, მის თვალწინ, ტომისთან მივსულიყავი და გულში ჩამეკრა. ეს ვარიანტი წლების შემდეგ მომაფიქრდა. ალბათ თავის დროზე ასე ვერ მოვიქცეოდი ჩემი ხასიათის და ჩვენ სამის ურთიერთობის გამო. თუმცა შეიძლება ეს სჯობდა კიდევ რამის თქმას.

არც ვთქვი რამე და არც გავაკეთე. გარკვეულწილად, ალბათ, იმის შემეშინდა, რასაც მერე რუთი მოიმოქმედებდა. მახსოვს, ძალა გამომეცალა. ბანგმორეულივით ვიდექი. თითქოს მათემატიკური ამოცანა მოგცეს, მაგრამ გადაღლილი ხარ და ამოხსნის თავი არ გაქვს. იცი, რომ არსებობს კარგი ამოხსნა, მაგრამ დაღლილობისგან ვერ აზროვნებ. და ძალაუნებურად თითქოს დავნებდი. რაღაც ხმამ მითხრა: „კარგი, ყველაზე ცუდი ვარიანტი წარმოიდგინოს. აცალე, აცალე“. მგონი, მორჩილად შევხედე, რომელზეც მეწერა: „ჰო, ეგრეა, აბა, რა გეგონა?“. ახლაც ცოცხლად მახსოვს ტომის სახე: ბრაზმა მეყსეულად გადაუარა და განცვიფრებით შეეცვალა, თითქოს ღობისთავზე იშვიათ პეპელას წააწყდაო.

განა იმიტომ, რომ ავტირდებოდი ან წყობიდან გამოვიდოდი, – არა! გადავწყვიტე, უბრალოდ მოვბრუნებულიყავი და ჩემს გზას დავდგომოდი. იმ დღესვე მივხვდი, რომ ამით დიდი შეცდომა დავუშვი. მხოლოდ ეს მახსოვს: ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ რომელიმე ჩემზე ადრე წავიდოდა, მე კი მეორესთან პირისპირ დავრჩებოდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთზე მეტის წამოსვლა სწორ ვარიანტად არ მიმაჩნდა და ის ერთი კი, მინდოდა, მე თვითონ ვყოფილიყავი. ჰოდა, რა გზითაც მოვედი, იმითვე წავედი. გავცდი საფლავის ქვებს, გავძვერი ხის დაბალ ჭიშკარში და, სულ რამდენიმე წუთით, გამარჯვებულადაც კი მივიჩნიე თავი. ვფიქრობდი: ამათი დარჩენა ერთმანეთის პირისპირ სავსებით შესაფერისი სასჯელია-მეთქი ორივესთვის.

თავი მეჩვიდმეტე

როგორც გითხარით, კიდევ კარგა ხანს, კოტეჯებიდან წასვლის შემდეგაც კი, ვერ მივხვდი, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი პატარა შეხვედრა ეკლესიის ეზოში. ჰო, მაშინ გულმოსული ვიყავი, მაგრამ ვერ ვიჯერებდი, რომ ჩვენი სხვა უთანხმოებებისგან ეს შემთხვევა ამდენად განსხვავდებოდა. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ერთმანეთში ასე ჩაქსოვილი ჩვენი ცხოვრება ასე მარტივად გაიხსნებოდა და მოშორდებოდა ერთმანეთს.

მაგრამ საქმე, ალბათ, ის იყო, რომ იმ დროს ჩვენს დაშლა-დაშორებაზე ბევრი რამ მუშაობდა. ეკლესიის ეზოში მომხდარი კი ის იყო, რამაც საქმე დაავიწყებინა. ამას მაშინვე რომ მივმხვდარიყავით, ვინ იცის, შეიძლება უფრო მტკიცედაც ჩავჭიდებოდით ერთმანეთს.

მეტი და მეტი სტუდენტი მიდიოდა იმისთვის, რომ მომვლელად მომზადება დაეწყო. ჰეილშემელები კი ამ ყველაფერს უფრო და უფრო სამაგალითოდ მივიჩნევდით. ჩვენი ესეები ისევ დასამთავრებელი გვექონდა, მაგრამ ვიცოდით: თუ მომვლელად მომზადებას შევუდგებოდით, ესეების დასრულება აუცილებელი აღარ იქნებოდა. კოტეჯებში გატარებულ პირველ ხანებში ესე არდამთავრება წარმოუდგენელი რამ იყო. თუმცა, რაც უფრო გვშორდებოდა ჰეილშემე, მით ნაკლებად მნიშვნელოვანი ჩანდა ესეები, როგორც ასეთი. იმ დროს ერთი იდეა მაწუხებდა და, ალბათ, მართალიც ვიყავი: თუ დავუშვებდით, რომ ესე მნიშვნელოვანი არ იყო, ყველა იმ ფაქტორის მნიშვნელობაშიც შევძლებდით ეჭვის შეტანას, რაც ჩვენ, ჰეილშემელებს, ერთმანეთთან გვაკავშირებდა. ამიტომაც ვცდილობდით ჩვენში კითხვისა და ჩანაწერების გაკეთების ჩვევის შენარჩუნებას. მაგრამ რადგანაც არ ველოდებოდით ჩვენი მასწავლებლების კიდევ ნახვას და, თანაც, ამდენი მოსწავლე ტოვებდა კოტეჯს, ამ აზრმაც ნელ-ნელა იწყო გაფანტვა.

ეკლესიის ეზოს ეპიზოდის მომდევნო დღეებში ყველა ღონეს ვხმარობდი, რომ მომხდარი დამევიწყებინა. ტომისთან და რუთთან ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თვითონაც ასე მპასუხობდნენ, თუმცა რაღაც ყოველთვის იგრძნობოდა. და არა მხოლოდ მე და მათ შორის. ისინი ჯერ კიდევ თამაშობდნენ შეყვარებულობანას. ახლაც წაჰკრავდა ხოლმე რუთი ტომის იდაყვზე. მე კი მათ კარგად ვიცნობდი და ვხედავდი, როგორ დაშორდნენ ერთმანეთს.

თავს, რაღა თქმა უნდა, ცუდად ვგრძნობდი, განსაკუთრებით – ტომის ცხოველების გამო. ოღონდ ეს ის შემთხვევა აღარ იყო, სადაც უბრალოდ მივიდოდი, მოვუბოდიშებდი და ყველაფერს ავუხსნიდი. რამდენიმე წლით, ექვსი თვით ადრეც კი შეიძლებოდა ყველაფერი ასე მარტივად მოგვარებულიყო. მე და ტომი დავილაპარაკებდით და ყველაფერს მოვაწესრიგებდით. მაგრამ ამ მეორე ზაფხულს უკვე სხვა ატმოსფერო იდგა. შესაძლოა, ეს იმ ლენისთან ურთიერთობის ბრალიც იყო. არ ვიცი. მოკლედ, ტომისთან ლაპარაკი ისე აღარ მიადვილდებოდა. გარეგნულად ყველაფერი ისევ ძველებურად ჩანდა. ცხოველებს და ეკლესიის ეზოში მომხდარს დუმილით ვუვლიდით გვერდს.

აი, ეს მოხდა იმ საუბრამდე, რუთთან რომ მქონდა ავტობუსის ძველ გაჩერებაზე. სწორედ მაშინ გავბრაზდი, თავს რომ იკატუნებდა, ვითომც სულ აღარ ახსოვდა ჰეილშემის რევანდის ნარგავები. როგორც გითხარით, ალბათ, ასე არც გავბრაზდებოდი, თუ არა ესოდენ სერიოზული საუბარი. ჰო, ძალიან ბევრ რამეს შევეხეთ მაშინ, მაგრამ უბრალოდაც რომ ვმსხდარიყავით და ამ თემაზე გველაპარაკა, მაინც ერთმანეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობა იქნებოდა და თავის მოკატუნების დრო აღარ იყო.

აი, როგორ წავიდა საქმე. ჩემსა და ტომის შორისაც ხომ მოხდა რაღაც, მაგრამ ისეთი არაფერი, რაც ჩემსა და რუთს შორის. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვფიქრობდი. გადავწყვიტე, რომ რუთთან ეკლესიის ეზოში მომხდარზე დალაპარაკების დრო იყო. დღის განმავლობაში ზაფხულის მორიგი ჭექა-ქუხილისა და წვიმის გამო შინ ყოფნა მოგვიხდა. საღამოს კი, ცა რომ მოიწმინდა და მზემ საამურად, ვარდისფრად დაიწყო ჩასვლა, რუთს სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა შევთავაზე. ერთი ციცაბო ბილიკი მქონდა აღმოჩენილი, ფერდობის კიდეს მიუყვებოდა და გზაზე ზუსტად ავტობუსის ძველ გაჩერებასთან გადიოდა. ავტობუსების მოძრაობა აქ წლების წინ შეწყდა. გაჩერების ნიშანი წაეღო, შიდა კედელზე კი ცარიელი ჩარჩო ეკიდა, რომელშიც უწინ მინა და ავტობუსის განრიგი იქნებოდა ჩასმული. თვითონ – სიყვარულით აშენებული, ველების მომზირალი უკედლო ხის ფაცხის მსგავსი თავშესაფარი – ისევ იდგა და მოსაცდელი სკამიც დაუზიანებლად შერჩენოდა. აი, აქ ვისხედით მე და რუთი სულის მოსათქმელად. ჭერში გაბმულ აბლაბუდებს და ზაფხულის საღამოს ვუყურებდით. შემდეგ რაღაც ამდაგვარი ვუთხარი: – იცი, რუთ, იმ დღეს მომხდარი უნდა გამოვასწოროთ.

შემრიგებლური ხმა მქონდა. რუთმაც მიპასუხა. მითხრა, რა სისულელედ მიაჩნდა ჩვენი, სამის, ძიძგილაობა რაღაც უაზრობებზე. სხვა შემთხვევებიც გაიხსენა, როცა ვიჩხუბეთ. ცოტა ვიცინეთ კიდევ. თუმცა არ მინდოდა, რუთს ყველაფერი ასე დაეტოვებინა და ისევ ვუთხარი (რაც შეიძლება ნაკლებად გამომწვევად): – იცი, რუთ, ზოგჯერ, როდესაც წყვილის ნაწილს წარმოადგენ, ყველაფერს ისე ნათლად ვერ ხედავ, როგორც გარეშე პირი დაინახავს. ზოგჯერ.

– ჰო, ალბათ, ეგრეა, – თავი დამიქნია რუთმა.

– არ მინდა, ხელი შეგიშალოთ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მეჩვენება, რომ ტომი ბრაზობს შენს ნათქვამ ან გაკეთებულ რაღაცებზე.

ვღელავდი, არ გაბრაზებულიყო, მაგრამ მან თავი ისევ დამიქნია და ჩაიჩურჩულა: – ალბათ, მართალი ხარ. მაგაზე მეც ბევრი ვიფიქრე, – დაამატა ბოლოს.

– მაშინ, ალბათ, არც უნდა დამეწყო ლაპარაკი. უნდა მივმხვდარიყავი, რომ ხედავდი, რა ხდებოდა. არცაა ჩემი საქმე.

– არის, ქვით. შენ მართლა ერთ-ერთი ჩვენგანი ხარ. ასე რომ, ეს შენი საქმეცაა ყოველთვის. მართალი ხარ, სწორი არ იყო. ვიცი, რასაც გულისხმობ – ცხოველებზე რომ ვთქვი იმ დღეს. არ იყო კარგი. მოვუბოდიშე კიდევ.

– მიხარია, რომ მოაგვარე. არ ვიცოდი.

რუთი სკამზე დაპრესილ ხის ნაფლეთებს აგროვებდა. ერთ წამს მთლიანად შთანთქმულიც ჩანდა ამ საქმიანობით. მერე თქვა: – მისმინე, ქეით. კარგია, ახლა ტომიზე რომ ვლაპარაკობთ. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა, როდის და როგორ მეთქვა. ქეით, შემპირდი, რომ ძალიან არ გაბრაზდები.

შევხედე და ვკითხე: – თუ ისევ მაისურებს არ ეხება, გპირდები.

– არა, სერიოზულად. შემპირდი, რომ ძალიან არ გამიბრაზდები. იმიტომ, რომ უნდა გითხრა. კიდევ რომ მოვითმინო, ჩემს თავს ვერ ვაპატიებ.

– კარგი. რა არის?

– კარგა ხანია, ამას ვფიქრობ, ქეით. სულელი არ ხარ და ხედავ, რომ მე და ტომი შეიძლება ყოველთვის ერთად არ ვიყოთ. არა უშავს. ერთ დროს ერთმანეთს კარგად ვეწყობოდით. მაგრამ არავინ იცის, ყოველთვის ერთად ვიქნებით თუ არა. ახლა ყველა იმაზე ლაპარაკობს, წყვილებს გადავადება შეუძლიათ, თუ დაამტკიცებენ, რომ ნამდვილად უყვართ ერთმანეთით. კეთილი, ქეით, ამის თქმა მინდოდა. სავსებით ნორმალურია, თუკი გიფიქრია, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მე და ტომი ერთად აღარ ვიქნებით. მცდარად არ გამიგო: განა უკვე ვშორდებით. მაგრამ, მე მგონი, ნორმალურია, რომ ამაზე გეფიქრა. მოკლედ, უნდა გააცნობიერო, რომ ტომი შენ ეგრე არ გიყურებს. ძალიან, ძალიან მოსწონხარ. მშვენიერ ადამიანად მიგიჩნევს. მაგრამ ვიცი, რომ ისე არ გიყურებს, აი, როგორც შესაფერის შეყვარებულს. და კიდევ... – რუთი შეყოვნდა და განაგრძო: – და კიდევ, ხომ იცი, რა ტიპია. მოუსვენრობს ხოლმე.

– რას გულისხმობ? – მივაჩერდი რუთს.

– უნდა იცოდე, რას. ტომის არ მოსწონს გოგონები, რომლებიც... რომლებიც ბევრთან ყოფილან. ეგეთი ხასიათი აქვს. მაპატიე, ქეით, მაგრამ რომ არ მეთქვა, მართალი არ ვიქნებოდი.

ნათქვამს და ვუფიქრდი და მივუგე: – ეგეთი რაღაცების ცოდნა ყოველთვის სასარგებლოა.

ვიგრძენი, როგორ შემეხო რუთი მკლავზე.

– ვიცოდი, რომ სწორად გამიგებდი. ისე, შენც იცოდე, რომ უსაზღვროდ გაფასებს. მართლა.

თემის შეცვლა მინდოდა, მაგრამ იმ წამებში ვერაფერი მოვიფიქრე. მგონი, ეს რუთმაც შემატყო, რადგან ხელები გაჭიმა და მთქნარებით მითხრა: – ოდესმე მანქანის ტარებას თუ ვისწავლი, სამივენი სადმე ველურ ადგილას წავიდეთ სამოგზაუროდ. მაგალითად, დარტმურში. ჩვენ, სამნი, და შეიძლება ლორა და ჰანაც. ჭაობების ნახვა მინდა.

მომდევნო რამდენიმე წუთს მოგზაურობაზე ვისაუბრეთ. რას გავაკეთებდით, თუ წავიდოდით. სად დავიძინებთ-მეთქი, ვკითხე. შეგვიძლია დიდი კარავი ვითხოვოთ, მითხრა. ხაზი გავუსვი, რომ დარტმურისნაირ ადგილას ძალიან ძლიერი ქარი იცის და ღამით კარავი ადვილად შეიძლება მოგვტაცოს. ისე, უაზროდ ვლაპარაკობდით. აქ გამახსენდა ჰეილშემის პირველი კლასების პერიოდი და პიკნიკი ტბორზე მის ჯერალდინთან ერთად. ჯემს ბის მთავარი შენობიდან ის ნამცხვარი უნდა მოეტანა, ყველამ ერთად რომ გამოვაცხვეთ მანამდე. უკანა გზაზე კი ქარმა ისე დაუბერა, რომ

ნამცხვარს ბისკვიტის ზედა ფენა მოაძრო და რევანდის ფოთლებში ჩააგდო. რუთმა თქვა, ეგ ინციდენტი ძალიან ბუნდოვნად მახსოვსო. შესახსენებლად ვუთხარი: – საქმე ისაა, რომ ამით ჯეიმსმა უსიამოვნება დაიტეხა თავს, რადგან ასე დაუმტკიცდა, რომ რევანდის ნარგავებით მოდიოდა.

მაშინ შემომხედა რუთმა და მითხრა: – მერე? რა უჭირდა მაგას?

ეს ისე უაზროდ თქვა, რომ, ვინმე უცხოც რომ დაგვსწრებოდა, ისიც კი დაინახავდა მის სიტყვებში სიცრუეს. იმედგაცრუებით ამოვიოხრე: – რუთ, არ გინდა ახლა. არ დაგავიწყდებოდა, გამორიცხულია. ნამდვილად იცი, რომ რევანდების გზა აკრძალული გვქონდა.

შეიძლება ზედმეტად უხეშად ვუთხარი. მოკლედ, რუთი არ დამნებდა. იმის მტკიცებას განაგრძოდა, რომ არ ახსოვდა. მე კი უფრო და უფრო ვიბოლმებოდი. ჰოდა, მაშინ მითხრა: – საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს მაგას? რა შუაშია რევანდის ნარგავები? განაგრძე, რასაც ამბობდი.

ამის შემდეგ, მგონი, მეტ-ნაკლებად მეგობრულ ლაპარაკს დავუბრუნდით. სულ მალე კი ბინდბუნდში მივყვებოდით ბილიკს კოტეჯებისკენ. ატმოსფერო ბოლომდე არ გამოსწორდა. შავ თავლასთან დამშვიდობებისას ერთმანეთს ჩვეულებისამებრ მხრებსა და მკლავებზე არ შევხებივართ.

დიდი ხანი არ გასულა, რომ გადაწყვეტილება მივიღე. მივიღე და აღარც გადამითქვამს. ერთ დილას ავდექი და კეფერს ვუთხარი, მომვლელად მინდა მოვემზადო-მეთქი. არც მეგონა, ისე გამიადვილდა. კეფერსი ტალახიანი ბოტებით მიალაჯებდა ეზოში, ხელში მილი ეჭირა და რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის. მივედი, ვუთხარი, მან კი ისე შემომხედა, თითქოს ისევ შემაზე შემეწუხებინოს. მერე ჩაიბურტყუნა: ნაშუადღევს მნახე და ფორმები შევაკვლიო.

აი, ასეთი მარტივი აღმოჩნდა.

რა თქმა უნდა, ერთხანს კიდევ დავრჩი, მაგრამ უკვე ყველაფერს სახე შესცვლოდა. წამიც და, ყველაფერს – კოტეჯებს და ყველას, ვინც იქ იყო – სულ სხვა კუთხით ვუყურებდი. ახლა უკვე ერთ-ერთი წამსვლელი ვიყავი. მალე ეს ყველამ შეიტყო. რუთს შეიძლება ეგონა, რომ საათებს გავატარებდით ერთად ჯდომასა და ჩემს მომავალზე საუბარში. იქნებ ფიქრობდა, რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა. მაგრამ მასთან გარკვეული დისტანცია მეჭირა, ისევე, როგორც ტომისთან. კოტეჯებში ყოფნისას რიგიანად აღარც გვისაუბრია. ცოტაც და, უკვე ყველას დავემშვიდობებოდი.

ნაწილი მესამე

თავი მეთვრამეტე

არსებითად, მომვლელობაზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი. შეიძლება ითქვას, ამ საქმემ ჩემი საუკეთესო თვისებები გამოავლინა. ზოგისთვის ეს, უბრალოდ, შეუფერებელი

სამუშაოა და ტანჯვად ექცევა ხოლმე. შეიძლება კარგად დაიწყოს, მაგრამ შემდეგ მოდის ღელვასა და ტკივილთან სიახლოვის მთელი ეპოქა. ადრე თუ გვიან კი გამოჩნდება დონორი, რომელიც ოპერაციას ვერ გადაიტანს. შეიძლება სულ რაღაც მეორე შეწირვა იყოს და გართულება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდეს. როცა დონორი ასე მოულოდნელად გეცლება ხელიდან, სულ აღარაფერს ნიშნავს, რომ შემდეგ ექთნები გაწყნარებენ, არც წერილი, რომელშიც გეუბნებიან, ეჭვიც არ გვეპარება, თქვენ ყველაფერი სწორად და მონდომებით გააკეთეთო. გარკვეული ხნით მაინც დემორალიზდები. ზოგი ჩვენგანი საკმაოდ სწრაფად სწავლობს მსგავს შემთხვევებთან გამკლავებას. ზოგი კი – მაგალითად, ლორა – ვერასოდეს.

კიდევ ერთი საკითხია სიმარტოვე. ხალხმრავლობაში გაიზარდე, სულ ხალხს ხედავდი და უცებ მომვლელი ხარ. საათებს ატარებ საჭესთან. ცენტრიდან ცენტრში დადიხარ, საავადმყოფოდან საავადმყოფოში, ღამეც იქვე იძინებ. გულისნადების გამზიარებლად ან თუნდაც ერთად გულიანად სახარხაროდ არავინ გყავს. მხოლოდ ხანდახან გადაეყრები ნაცნობ მოსწავლეს, – მომვლელს ან დონორს, – რომელსაც წარსულიდან იცნობ. მაშინაც კი დიდი დრო არასოდეს გაქვს: ან გეჩქარება, ან ისეთი დაქანცული ხარ, რომ გულითადად საუბრის თავი აღარ გაქვს. გაწელილი საათები, მოგზაურობა და გატეხილი ძილი საკმაოდ სწრაფად მკვიდრდება შენს დღის წესრიგში და შენი ნაწილი ხდება, ისე, რომ ამას ყველა გატყობს მიმოხვრაზე, გამოხედვასა თუ ლაპარაკზე.

ვერ ვიტყვი ამ ყველაფრისთვის შეუვალი ვიყავი-მეთქი, მაგრამ, პარალელურად, ცხოვრებაც ვისწავლე. ზოგ მომვლელს ნერვები ვერ უძლებს. ბევრს შეატყობთ, რომ ყველაფერს ფაცხაფუცხით აკეთებენ და იმ დღეს ელიან, როცა გამოუცხადებენ: შეწყვიტეთ ეგ საქმე, ახლა უკვე შეგიძლიათ დონორებად იმუშაოთო. მეც კი შეძრული ვარ ხოლმე, როდესაც ვხედავ, როგორ „პატარავდება“ ზოგი მათგანი საავადმყოფოში ფეხის შედგმისთანავე. არ იციან, რა უთხრან თეთრხალათიანებს. არ ძალუძთ, ილაპარაკონ საკუთარი პაციენტების სახელით. არც არის გასაკვირი, იმედგაცრუებულები რომ არიან, და ცუდად თუ წავიდა საქმე, თავს იდანაშაულებენ. არ მინდა ვინმე გავანაწყენო, მაგრამ ისიც ვისწავლე, როგორ მივაწვდინო ხალხს ხმა, როცა ეს საჭიროა. როცა უსიამოვნება ხდება, რა თქმა უნდა, მწყინს, მაგრამ იმის განცდა მაინც მაქვს, რომ რაც შემემლო გავაკეთე, და თვალთახედვა არ მებინდება.

სიმარტოვესაც კი კარგად შევეგუე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარს ვიტყვი ცოტაოდენ ურთიერთობაზე წლის ბოლოს, როცა ამ ყველაფერს მოვრჩები. მაგრამ ის კი მომწონს, ჩემს პატარა მანქანაში რომ ვჯდები და ვიცი: მომდევნო საათებში თანამგზავრად მხოლოდ გზები, დიდი ნაცრისფერი ცა და ჩემივე ოცნებები მეყოლება. და თუ რამდენიმე საათი ქალაქში უნდა გავიყვანო, სეირნობით და მაღაზიის ვიტრინებში ცქერით ვერთობი. აქ, ჩემს ოთახში, ოთხი მაგიდის ლამპა მაქვს, სხვადასხვა ფერის, მაგრამ ერთი დიზაინის. ყველას გოფრირებული ყელი აქვს და იქით გადავხრი, საითაც გამიხარდება. ჰოდა, შეიძლება ასეთივე ლამპის საძებნელად ვიარო და ვიტრინებში ვიცქირო. არა საყიდლად, არამედ იმისთვის, რომ ჩემებს შევადარო, შინ რომ მაქვს.

ხანდახან ისე ვიძირები საკუთარ თავთან ურთიერთობაში, რომ ნაცნობი თუ შემხვდა, ერთხანს გონების დამაბზა მიხდება. იმ ქარიან დილასაც ასე ვიყავი, ავტოსადგომზე რომ გადავდიოდი და ლორა დავლანდე. ერთ-ერთი გაჩერებული მანქანის საჭესთან

იჯდა და ცარიელი მზერით ტრასას გაჰყურებდა. კიდევ საკმაოდ შორს ვიყავი და ერთი წამით – იმის მიუხედავად, რომ კოტეჯებიდან მოყოლებული, ანუ უკვე შვიდი წელი იყო, ერთმანეთი არ გვენახა – თვალის არიდება და უხმოდ ჩავლაც კი ვიფიქრე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლორა ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იყო, ამკარად ცუდი რეაქცია მქონდა. როგორც ვთქვი, ნაწილობრივ, ალბათ, იმიტომ, რომ არ მიყვარს, უცხად რომ მაფხიზლებენ ოცნებებიდან. გარდა ამისა, მანქანაში ასეთი თვალგაშტერებული რომ დავინახე, ლორაში ერთ-ერთი ისეთი მომვლელი ვიცანი, როგორც ეს-ესაა ალგიწერდით, და ჩემს ერთ ნაწილს, უბრალოდ, არ სურდა მეტის გაგება ამ საკითხზე.

თუმცა მერე, რა თქმა უნდა, მივაშურე. დანარჩენი მანქანებისგან მოშორებით მდგარი ლორას ჰეჩბექისკენ რომ მივდიოდი, სუსხიანი ქარი მიბერავდა. ლორას უფორმო, ლურჯი სპორტული ქურთუკი ეცვა, თმა კი – უწინდელზე ბევრად უფრო მოკლე – შუბლზე მიკვროდა. ფანჯარაზე რომ მივუკაკუნე, არ შემკრთალა, არც კი გაჰკვირვებია ჩემი დანახვა ამდენი ხნის შემდეგ. გეგონებოდათ, იჯდა და მე თუ არა, ვინმე ჩემნაირს მაინც ელოდებოდა წარსულიდან. ახლა კი, როცა გამოვჩნდი, თითქოს მისი პირველი იმპულსი იყო „როგორც იქნა!“. მხრები ისე შეარხია, თითქოს ამოისუნთქაო. შემდეგ, ზედმეტი ხმაურის გარეშე, გადმოიხარა და კარი გამიღო.

დაახლოებით ოც წუთს ვილაპარაკეთ. შეძლებისდაგვარად, გავწელე დამშვიდობება. ძირითადად, თვით მასზე ვსაუბრობდით, მის გადაღლილობაზე, იმაზე, თუ რა მძიმე ხასიათის იყო მისი ერთ-ერთი დონორი, როგორ სმაგდა რომელიღაც ექთანი თუ ექიმი. ძველი ლორას გამონათებას ველოდი, ანც გამოხედვას და ჩვეულ ენაწყლიანობას, მაგრამ არა, ახლა უწინდელზე უფრო სწრაფად ლაპარაკობდა. თითქოს ესიამოვნა ჩემი ნახვა, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ მისთვის სულ ერთი იყო, ვის ნახავდა, ოღონდაც ელაპარაკა.

შეიძლება ორივე ვგრძნობდით, რომ ძველი დროის გახსენებაში იყო რაღაც საშიშიც, რადგან უკვე წლების განმავლობაში ვარიდებდით თავს იმ დროის ხსენებას. ბოლოს კი მაინც რუთზე დავიწყეთ საუბარი. ლორა ერთ-ერთ კლინიკაში გადაჰყვრია რამდენიმე წლის წინ. მაშინ რუთი ჯერ კიდევ მომვლელი იყო. ვცდილობდი, ყველაფერი მომეყოლინებინა მის შესახებ, მაგრამ ლორა მაინცდამაინც თავს არ იდებდა. ბოლოს ვუთხარი: – მისმინე, რამეზე ხომ უნდა გელაპარაკათ.

ლორამ ღრმად ამოისუნთქა.

– ხომ იცი, როგორც ხდება. ორივეს გვეჩქარებოდა... თანაც, კოტეჯებში უკვე ისე აღარ ვმეგობრობდით. იქნებ ძალიან არც კი გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა.

– არ ვიცოდი, შენც თუ დაშორდი რუთს.

მხრები აიჩჩა.

– დიდი კი არაფერი მომხდარა... ხომ გახსოვს, როგორიც იყო იმ დროს. რომ იცოდე, შენი წასვლის შემდეგ კიდევ გაუარესდა. ხომ იცი, ყოველთვის ყველას ჰკუჟას ასწავლიდა, მე კი ვცდილობდი, თავი ამერიდებინა. ეგ იყო და ეგ. დიდი ჩხუბი ან რამე არ მოგვსვლია. იმის მერე აღარ გინახავს?

– არა. უცნაურია, მაგრამ თვალის არსად მომიკრავს.

– ჰო, უცნაურია. თითქოს ერთმანეთს ბევრად უფრო ხშირად უნდა გადავცროდით. ჰანა ვნახე რამდენჯერმე, მაიკლ ეიჩიც, – თქვა და განაგრძო: – ხმა მომივიდა, რუთის პირველმა შეწირვამ ძალიან მძიმედ ჩაიარაო. უბრალოდ, ხმა მომწვდა, მაგრამ არაერთგზის.

– მეც.

– საბრალო რუთი!

ერთხანს ჩუმად ვისხედით. შემდეგ ლორამ მკითხა: – მართალია, ქეით? მართალია, რომ დონორებს შენ თვითონვე გარჩევინებენ?

ისე ბრალმდებლურად არ უკითხავს, ზოგმა რომ იცის ხოლმე ხანდახან. მეც ვუპასუხე: – ყოველთვის არა. რამდენჯერმე ამარჩევინეს. ასე რომ, ჰო, დროდადრო მარჩევინებენ.

– არჩევა თუ შეგიძლია, რუთის მომვლელი რატომ არ ხდები?

მხრები ავიჩეჩე.

– კი ვიფიქრე, მაგრამ, მე მგონი, არ ღირს.

ლორა დაიბნა.

– კი მაგრამ, შენ და რუთი ხომ ძალიან ახლოს იყავით.

– ჰო, მაგრამ ბოლოს, შენი არ იყოს, ისე აღარ ვმეგობრობდით.

– მერედა რა, ეგ მაშინ იყო. რუთმა მძიმე პერიოდი გამოიარა. ისიც გავიგე, თავის მომვლელეებთანაც ჰქონდა უსიამოვნებაო. ბევრჯერ მოუხდათ გამოცვლა.

– ნაღდად არ მიკვირს, – მივუგე, – წარმოგიდგენია რუთის მომვლელიობა?

ლორამ გადაიხარხარა და ამ დროს თვალებში რაღაც გაუკრთა. ვიფიქრე, ახლა კი, ბოლოს და ბოლოს, გამოიღვიძებს-მეთქი. მაგრამ წამიერად გაციალებული სინათლე ჩაკვდა. ლორა, უბრალოდ, კვლავ იჯდა. ისევ დაღლილი ჩანდა.

კიდევ ცოტა ვისაუბრეთ მის პრობლემებზე, უპირატესად – მის მიმართ ცუდად განწყობილ ზოგიერთ ექთანზე. ჩემი წასვლის დროც მოვიდა. კარისკენ გავიწიე და ვუთხარი, შემდეგ შეხვედრაზე მეტი ვისაუბროთ-მეთქი. თუმცა ამ დროს უკვე ორივემ ძალიან კარგად ვიცოდით რაღაც, რაც ჯერ არ გვეხსენებინა. მგონი, ორივემ ვიგრძენით, რომ ასე უბრალოდ დაშორება მართებული არ იქნებოდა. ის კი არა, ახლა დარწმუნებულად ვარ, რომ იმ მომენტში ორივე ზუსტად ერთნაირად ვფიქრობდით.

– უცნაურია. უცნაურია იმის ფიქრი, რომ ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა, – მითხრა მან.

ისევ ლორასკენ მივბრუნდი.

– ჰო, ნამდვილად უცნაურია. ვერც ვიჯერებ.

– ისეთი უცნაურია, ალბათ, უკვე აღარც უნდა მადარდებდეს, – განაგრძო ლორამ, – ხანდახან კი მაინც მადარდებს.

– მესმის შენი.

და, აი, მაშინ, როგორც იქნა, ჰეილშემის დახურვის ამბავი ვახსენეთ. უეცრად ისევ მივუახლოვდით ერთმანეთს. საკმაოდ სპონტანურად ჩავეხუტეთ კიდეც. არა იმდენად სანუგეშოდ, რამდენადაც იმის დასამტკიცებლად, რომ ჰეილშემი ჩვენში კიდეც არსებობდა. მერე კი მე ჩემი მანქანისკენ გავიქეცი.

თავდაპირველად, ჭორები ჰეილშემის დახურვის შესახებ ამ შეხვედრამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე შევიტყვე. დონორს და მედდას ველაპარაკებოდი და ისე, გაკვრით ახსენეს, თითქოს ელოდნენ, რომ ისედაც ყველაფერი ვიცოდი. „შენ ხომ ჰეილშემში იყავი? მერე, მართალია?“ რაღაც ასეთი. ერთ დღესაც საფოლკში კლინიკიდან გამოვდიოდი და როჯერ სის გადავყვარე. როჯერი ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო. მან დარწმუნებით მითხრა, ჰეილშემი დღე-დღეზე უნდა დაიხუროს, შენობას და ტერიტორიას კი სასტუმროების ქსელს გადასცემნო. მახსოვს ჩემი პასუხი: „კი მაგრამ, მოსწავლეებს რას უზამენ?“ როჯერს ეგონა, ჰეილშემელ პატარებს ვგულისხმობდი, იმათ, რომლებიც ჯერ კიდეც მასწავლებლებზე იყვნენ დამოკიდებული. შეწუხებული სახე მიიღო და იმის ახსნა დაიწყო, როგორ მოუწევდათ მოსწავლეების გადაყვანა ქვეყნის სხვა დაწესებულებებში, რომელთაგან ზოგს ჰეილშემთან საერთო არაფერი ექნებოდა. მე კი ეს სულაც არ მიგულისხმია. ვიგულისხმე ჩემი თავი და ისინი, ვინც ჩემთან ერთად გაიზარდა, ახლა კი ქვეყანაში მიმოფანტულიყვნენ მომვლელებად და დონორებად, ერთმანეთს მოწყვეტილნი, მაგრამ წარმომავლობით მაინც ერთმანეთზე გადაბმულნი.

იმავე ღამეს, ღამის გასათევში დამინებას რომ ვცდილობდი, რამდენიმე დღით ადრე მომხდარ ამბავზე ვფიქრობდი: ჩრდილოეთ უელსის ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში ვიყავი. მთელი დილა კოკისპირულად წვიმდა. ლანჩის შემდეგ კი გადაიღო და სუსტი მზეც გამოვიდა. ზღვისპირას გაჭიმულ სწორ გზას მივყევი იმ ადგილამდე, სადაც მანქანა დავტოვე. თითქმის არავინ ჩანდა. ჩემ წინ სველი ქვაფენილის უწყვეტი ზოლი გაწოლილიყო. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემგან დაახლოებით ოცდაათ იარდში, ფურგონი გაჩერდა და შიგნიდან კლოუნით ჩაცმული კაცი გადმოვიდა, ფურგონის უკანა კარი გააღო და ჰელიუმით გაბერილი ბუშტები გამოიღო, თორმეტამდე ბუშტი. ერთხანს ყველა ცალი ხელით ეჭირა და, წაკუზული, მეორე ხელით მანქანაში იქექებოდა. მივუახლოვდი. ბუშტებს გაშლილყურებიანი სახეები ეხატა. ეს სახეები რომელიღაც პატარა ტომისას ჰგავდა, რომლის წევრებიც თავიანთ პატრონს თავზე დაჰფარფატებდნენ და ელოდნენ.

შემდეგ კლოუნი გასწორდა, ფურგონი დაკეტა და იმავე მიმართულებით გაემართა, საითაც მე მივდიოდი, რამდენიმე ნაბიჯით მისწრებდა. ცალ ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა, მეორეში – ბუშტები. სანაპირო მოუხვევლად გრძელდებოდა პირდაპირ. კლოუნის ფეხდაფეხ სიარულში გატარებული წუთები წლებად მეჩვენებოდა. შიგადაშიგ მეუხერხულებოდა კიდეც: ახლა შეიძლება მობრუნდეს და რამე მითხრას-მეთქი. არადა, მეც ამ გზაზე მქონდა საქმე და სხვა რა მექნა? ჰოდა, ასე მივაბიჯებით მე და კლოუნი დილის წვიმისგან ჯერ კიდეც სველ, უკაცრიელ გზაზე. ბუშტები კი სულ ჰაერში ხტოდნენ და ღიმილით დამცქეროდნენ. წამდაუწუმ თვალში მეჩხირებოდა

კაცის შეკრული მუშტი, რომელშიც ბუმტების ძაფები იყრიდა თავს. იმასაც ვხედავდი, რა კარგად ჩაეხვია ეს ძაფები ერთმანეთში და რა მყარად ეჭირა. მაინც სულ მეშინოდა, რომელიმე ძაფი არ გაიხსნას და ერთი ბუმტი ეულად არ აცურდეს ღრუბლიან ცაში-მეთქი.

იმ დამეს, როჯერის ნათქვამის შემდეგ, ფხიზლად ვიწექი და ისევ ბუმტები მელანდებოდა. ჰეილშემის დახურვაზე ვფიქრობდი და ამ ამბავს ვინმეს მიერ მაკრატლით ბუმტების ძაფების გადაჭრას ვადარებდი. ამის შემდეგ ხომ ბუმტებს აღარაფერი დარჩებოდათ საერთო. ჰეილშემის სიახლეებს რომ მიაბობოდა, როჯერმა შენიშნა, ჩემი აზრით, ჩვენნაირებისთვის ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ აქვსო. თავისებურად, იქნებ მართალიც იყო. მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ ჰეილშემში ყველაფერი ძველებურად აღარ მიდიოდა, მაინც სულიერ მხნეობას მიკარგავდა. თუნდაც ის, რომ მის ჯერალდინის მსგავსი ვილაცები დაწყებით კლასებს ჩრდილოეთის სათამაშო მოედნისკენ აღარ მიუძღვებოდნენ.

როჯერის ნახვის მომდევნო თვეებში ბევრს ვფიქრობდი. ვფიქრობდი ჰეილშემის დახურვაზე და ყველა მინიშნებაზე. ნელ-ნელა მივხვდი, რომ ბევრი რამ, რაში გასარკვევადაც ყოველთვის მეგონა, რომ დრო თავზესაყრელად მქონდა, სასწრაფოდ უნდა მომეგვარებინა ან სამუდამოდ გამეშვა ხელიდან. პანიკაში ჩავვარდი-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ჰეილშემის დახურვა ყველაფერს ცვლიდა ჩვენ გარშემო. ამიტომაც გულზე მომხვდა ლორას ნათქვამი რუთის მოვლასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ თავი შეუვალად დავიჭირე. ჩემს ერთ ნაწილს თითქმის უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. ლორას ნათქვამმა კი, უბრალოდ, ფარდა ახადა.

რუთის რეაბილიტაციის ცენტრში – თანამედროვე, თეთრკაფელიან დოჟერში – პირველად ლორასთან საუბრიდან რამდენიმე კვირის თავზე მივედი. რუთის პირველი შეწირვიდან ორიოდ თვე გასულიყო, ოპერაციას კი, როგორც ლორამ მითხრა, მძიმედ ჩაევლო. მის ოთახში რომ შევედი, საწოლის კიდეზე ჩამომჯდარი დამხვდა ღამის სამოსში. თბილად გამიღიმა და ჩასახუტებლად წამოდგა, მაგრამ თითქმის მაშინვე დაჯდა. მითხრა, საუკეთესოდ გამოიყურები და თმა ძალიან კარგად გაქვსო. მეც ქათინაურებით ვუპასუხე და მომდევნო ნახევარ საათს, ვფიქრობ, ორივეს ბუნებრივად გვსიამოვნებდა ერთად ყოფნა. რაზე აღარ ვილაპარაკეთ: ჰეილშემზე, კოტეჯებზე, ჩვენს შემდგომ საქმიანობაზე. თითქოს უსასრულოდ შეგვეძლო ლაპარაკი. ერთი სიტყვით, ნამდვილად იმედის მომცემი დასაწყისი იყო, – უფრო კარგი, ვიდრე გავბედე წარმომედგინა.

და მაინც, ამ პირველ ჯერზე ჩვენი დაშორების შესახებ არაფერი გვითქვამს. იქნებ თავიდანვე რომ შევხებოდით ამ საკითხს, საქმე სხვანაირად წასულიყო. ვინ იცის? ჰოდა, ამ საკითხს უბრალოდ გვერდი ავუარეთ. ცოტა ლაპარაკის შემდეგ კი თითქოს უკვე შეთანხმებული ვიყავით, რომ თავს ისე დავიჭერდით, თითქოს არასოდეს დავშორებივართ ერთმანეთს.

პირველ შეხვედრას რაც შეეხება, შესაძლოა ამ მომენტს არც არაფერი უშავდა. მაგრამ რუთის ოფიციალური მომვლელი რომ გავხვდი და რეგულარულად დავიწყე მისი მონახულება, ნელ-ნელა გამიღვივდა შეგრძნება, რომ რაღაც არასწორად მიდიოდა. კვირაში სამჯერ ან ოთხჯერ მინერალური წყლით და მისი საყვარელი ბისკვიტით

რუთთან სადამოშობით ასვლა დავაწესე. ყველაფერი ჩინებულად უნდა წასულიყო, მაგრამ თავიდან, ჩინებულის გარდა, ყველაფერი გამოდიოდა. რამეზე ლაპარაკს ვიწყებდით, რამე უწყინარზე, მერე კი უმიზეზოდ ვჩუმდებოდით. თუ მაინც ვაგრძელებდით საუბარს, მაშინ რაც უფრო მეტს ვლაპარაკობდით, მით უფრო ხელოვნური და ჩაკეტილი გამოგვდიოდა.

ერთ ნაშუადღევს რუთის სანახავად მივდიოდი და დერეფანში ვიღაცის ხმა გავიგონე. ეს ხმა რუთის მოპირდაპირე კარიდან, ანუ საშხაპიდან, გამოდიოდა. მივხვდი, რუთი იქ იყო და თავს მის ოთახში შესვლის უფლება მივეცი. ვიდექი, ფანჯრიდან სახურავების თავზე გადაშლილ ხედს გავყურებდი და ველოდებოდი. ხუთიოდე წუთი გავიდა და პირსახოცში გახვეული რუთიც ოთახში შემოვიდა. სიმართლე გითხრათ, კიდევ ერთ საათს არ მელოდა. თითოეული ჩვენგანი ხომ თავს რამდენადმე უფრო დაუცველად გრძნობს შხაპის შემდეგ, პირსახოცის ამარა მყოფი. და მაინც, რუთის სახეზე ასახულმა განგაშმა უკან დამახევინა. ეს უკეთ უნდა ავხსნა. მის მცირედ გაკვირვებას კი ველოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც დამინახა და დარწმუნდა, რომ მე ვიყავი, ერთ წამს მაინც მიცქერდა შიშით თუ არა, მღელვარებით მაინც. თითქოს გამუდმებით ელოდა რამის დაშავებას ჩემი მხრიდან, ახლა კი ამის დროც მოსულიყო.

წამიც და, ეს გამოხედვა გაუქრა. ისე განვაგრძეთ, როგორც ყოველთვის, მაგრამ მომხდარმა ორივე შეგვძრა. აღმოვაჩინე, რომ რუთი არ მენდობოდა. რამდენადაც ვიცი, ეს ფაქტი თვითონაც იმ მომენტში გააცნობიერა. მოკლედ, ამ დღის შემდეგ ატმოსფერო კიდევ უფრო დაიძაბა. თითქოს რაღაც გამოვუშვით გარეთ, რაღაც არცთუ კარგი. როგორც არასდროს, ისე დავინახეთ ყველაფერი, რაც ჩვენ შორის ჩამდგარიყო. იქამდე მივედი, რომ სანამ რუთის სანახავად შევიდოდი, რამდენიმე წუთს მანქანაში ვრჩებოდი და განსაცდელისთვის ვემზადებოდი. ერთი სესიის შემდეგ, რომელზეც რუთი სამარისებურ სიჩუმეში გავსინჯე და მერეც სიჩუმეში ვისხედით, კინაღამ განვაცხადე, არაფერი გამოვიდა და შენი მომვლელი ვეღარ ვიქნები-მეთქი. მერე კი ისევ ყველაფერი შეიცვალა. ეს ნავმა განაპირობა.

ღმერთმა იცის, როგორ ხდება ეს ყველაფერი. ხანდახან ერთი ხუმრობა ან ჭორი, რომელიც ცენტრიდან ცენტრში გადადის, რამდენიმე დღეში ედება მთელ ქვეყანას და სულ მალე ყველა დონორი ამაზე ლაპარაკობს. ამჯერად ერთ ნავზე ჰყვებოდნენ. პირველად ეს ამბავი ჩრდილოეთ უელსში შევიტყვე ჩემი ორი დონორისგან. რამდენიმე დღის შემდეგ რუთმაც გამიბა საუბარი იმავე თემაზე. სალაპარაკო თემის მონახვამ შვება მომგვარა. რუთიც გამხნედა.

– ზედა სართულზე ერთი ბიჭია, – დაიწყო რუთმა, – მისმა მომვლელმა საკუთარი თვალით ნახა. ამბობს, გზიდან არც ისე შორსაა და ყველას შეუძლია იქ მისვლა დიდი სირთულეების გარეშე. ნავი ისევ იქ არის, ჭანჭრობზე შემჯდარი.

– იქ საიდან გაჩნდა?

– აბა, რა ვიცი? შეიძლება პატრონს გადაგდება უნდოდა ან ადიდებულმა წყალმა მოაცურა და გარიყა. ვინ იცის. ძველი სათევზაო ნავი უნდა იყოს. ორი მეთევზის შესაყუჩი კაბინაც აქვს წვიმიანი ამინდისთვის.

რამდენიმე მომდევნო შეხვედრაზე რუთი მუდმივად ახერხებდა ნავის თემაზე ალაპარაკებას. ერთ ნაშუადღევს კი, როცა მომიყვა, როგორ წაიყვანა ცენტრიდან ერთ-

ერთი დონორი თავისმა მომვლელმა ნავის სანახავად, ვუთხარი: – მისმინე, ეგ ადგილი არც ისე ახლოსაა, ხომ იცი. მანქანით საათი ან საათ-ნახევარი დასჭირდება.

– მე არაფერი შემომითავაზებია. ვიცი, სხვა დონორებზეც გიხდება ზრუნვა.

– არადა, ნახვა გინდა. ხომ გინდა ნავის ნახვა, რუთ?

– ჰო, ალბათ, მინდა. შენც მთელ დღეებს აქ ატარებ. ჰო, რამე მაგდაგვარის ნახვა ურიგო არ იქნებოდა.

– და, შენი აზრით, ამ გზის გავლას თუ გადავწყვეტთ, ტომისაც უნდა შევატყობინოთ? – ეს ნაზად, ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ვუთხარი. – მისი ცენტრი ხომ ნავის სავარაუდო ადგილთან სულ ახლოსაა.

თავიდან რუთის სახეს არაფერი დასტყობია.

– მგონი, მაგაზე ფიქრიც შეიძლება, – მითხრა, მერე გაიცინა და დაამატა: – მართლა, ქვით, მარტო მაგიტომ არ გელაპარაკებოდი ნავზე. მართლა ნავის სანახავადაც მინდა წასვლა. იმდენი ხანი გავატარე საავადმყოფოში. ახლა კი აქ დამამწყვდიეს. ასეთი გასვლები ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უწინ. ჰო, კარგი, კარგი, ვიცოდი. ვიცოდი, რომ ტომი კინგსფილდის ცენტრში იყო.

– დარწმუნებული ხარ, რომ გასურს ტომის ნახვა?

– კი, – მითხრა უყოყმანოდ და თვალმოუცილებლად, – კი, მინდა, – მერე კი ჩუმად მოაყოლა: – დიდი ხანია ეგ ბიჭი აღარ მინახავს. კოტეჯებიდან მოყოლებული.

როგორც იქნა, ტომიზე ავლაპარაკდით. არც ისე ღრმად შეგვიტოპავს და ახალიც არაფერი შემიტყვია. ვგონებ, ორივეს გვეამა, ბოლოს და ბოლოს, ტომი რომ ვახსენეთ. მომიყვა, თითქმის როგორ დაშორდნენ ერთმანეთს ჩემი წამოსვლის მომდევნო შემოდგომაზე, როდესაც რუთი კოტეჯებიდან მოდიოდა.

– რაკი მოსამზადებლად სხვადასხვა ადგილზე მივდიოდით, „ოფიციალური“ დაშორება არც ღირდა, – მითხრა რუთმა, – ჩემ წამოსვლამდე ერთად დავრჩით.

იმჯერად მეტი აღარაფერი გვითქვამს.

ნავის სანახავად წასვლას რაც შეეხება, პირველი საუბრისას არც დავთანხმდი და არც ვიუარე. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში რუთი ერთთავად ამას მახსენებდა. საკითხს უფრო სერიოზულად შევხედეთ და, ბოლოს, ტომის მომვლელს გავუგზავნეთ წერილი, რომლის მიხედვითაც, თუკი ტომისგან უარს არ მივიღებდით, მომდევნო კვირის ერთ კონკრეტულ დღეს კინგსფილდში შევხვდებოდით.

თავი მეცხრამეტე

იმხანად კინგსფილდს თითქმის არ ვიცნობდი. გზად მე და რუთმა რამდენჯერმე ჩავხედეთ რუკას. მაინც დაგვაგვიანდა რამდენიმე წუთით. სარეაბილიტაციო ცენტრის პირობაზე, დიდი არაფერი დაგვხვდა. და რომ არა ის ასოციაციები, ახლა რომ

მაკავშირებს კინგსფილდთან, დიდად არ მივესალმებოდი ამ ადგილზე მოხვედრას. გზიდან შორს დგას და საპოვნელად რთულია. როცა მიაღწევ, არც მერე გეუფლება სიმშვიდისა და სიმყუდროვის განცდა. კედლების მიღმა ტრასიდან მუდმივად მანქანების ხმა ისმის. ისეთი შეგრძნება გიჩნდება, თითქოს აქაურობა ბოლომდე არ აუშენებიათ. დონორების არაერთ ოთახს ეტლით ვერ მიუდგები. ზოგი ოთახი ძალიან დახუთებულია, ზოგშიც სულ ორპირი ქარი უბერავს. სააბაზანოები, რომლებიც ძალიან ცოტაა, ძნელად სუფთავდება, ზამთარში იყინება და დონორების ოთახებიდან ძალიან შორსაა. მოკლედ, დოჟერის ცენტრთან შედარებით, სადაც კაფელი ელვარებს და ორმაგმინიანი ფანჯრები სახელურის ერთი მოტრიალებით იკეტება, კინგსფილდი არაფრად ვარგა.

მოგვიანებით, როცა კინგსფილდი ჩემთვის ნაცნობი და ძვირფასი ადგილი გახდა, ერთ-ერთ ადმინისტრაციულ შენობაში ერთ ჩარჩოიან, შავ-თეთრ ფოტოს წავაწყდი, შენობების გადაკეთებამდე გადაღებულს. იმ დროიდან მოდიოდა, როცა ამავე ადგილას ჩვეულებრივი ოჯახების საარდადეგებო კემპინგი იდგა. ფოტოსურათი 50-იანი წლების მიწურულს ან 60-იანების დასაწყისში გადაეღო. მასზე მოჩანს დიდი, მართკუთხა აუზი, რომელშიც ადამიანები – ბავშვები და მათი მშობლები – ჭყუმპალაობენ და კარგად ერთობიან. აუზის ირგვლივ ბეტონი ასხია, მაგრამ ხალხს წამოსაწოლად შეზღონგები გაუშლია, საჩრდილობლად – დიდი ქოლგები. როცა პირველად ვნახე ეს სურათი, დრო დამჭირდა, სანამ მივხვდებოდი, რომ იმას ვუყურებდი, რასაც ამჟამად დონორები „კვადრატს“ უწოდებენ. მანქანით შემოსვლისას პირველად სწორედ ამ ადგილას ხვდები. აუზი, რა თქმა უნდა, ამოვსებულია, მაგრამ მისი ფორმა ისევ ჩანს და ერთ ბოლოშიც ისევ დგას აქაურობის დაუსრულებლობის სიმბოლო: წყალში სახტომი კომპის რკინის კარკასი. მაშინღა მივხვდი ამ კარკასის დანიშნულებას, როცა ეს ფოტო ვნახე. დღეს კი, რამდენჯერაც ვხედავ, იმდენჯერ თვალწინ მიდგას მოცურავე, რომელიც კომპის უმაღლესი წერტილიდან ხტება და შიშველ ბეტონს ასკდება.

აუზის სამივე მხარეს განლაგებული ორსართულიანი და ბუნკერისმაგვარი თეთრი შენობები რომ არა, შეიძლება ვერც კი ამომეცნო ფოტოსურათზე „კვადრატი“. ალბათ, ამ შენობებში ცხოვრობდნენ არდადეგებზე ჩამოსული ოჯახები. შიგნიდან შენობები, როგორც ჩანს, ძლიერ შეიცვალა, მაგრამ გარედან, ფაქტობრივად, იგივეა. გარკვეული აზრით, დღევანდელი „კვადრატი“ იმდროინდელი აუზის როლს ასრულებს. სწორედ ისაა დაწესებულების სოციალური ცენტრი, სადაც დონორები ჰაერის ჩასაყლაპად და სალაპარაკოდ გამოდიან. „კვადრატის“ გარშემო რამდენიმე საპიკნიკე ხის სკამი დგას. მაგრამ, როგორც წესი (განსაკუთრებით – სიცხის ან წვიმის დროს), დონორებს სახტომი კომპის კარკასის უკან, დასასვენებელი დარბაზის ბრტყელი, წინ გამოწეული სახურავის ქვეშ ურჩევნიათ შეკრება.

იმ დღეს, როდესაც მე და რუთი კინგსფილდში წავედით, ცა ღრუბლებს დაეფარა და ოდნავ ციოდა. მანქანა „კვადრატზე“ შევყენეთ. ზემოთ ნახსენები სახურავის ქვეშ სულ ექვსი თუ შვიდი სილუეტი ჩანდა. როცა მანქანა ძველ აუზზე გავაჩერე (მის აუზობაზე მაშინ არაფერი ვიცოდი), ერთი სილუეტი დანარჩენებს გამოეყო და ჩვენკენ დაიძრა. ტომი იყო. გახუნებული, მწვანე სპორტული ქურთუკი ეცვა და, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ ექვსიოდე კილო მაინც მოემატებინა წონაში.

ჩემსავით, პირველ წამს რუთიც პანიკამ მოიცვა.

– რა ვქნათ? გადავიდეთ? არა, არ გადავიდეთ. არ გაინძრე. არ გაინძრე!

არ ვიცი, მანამდე რას ვაპირებდი, მაგრამ, როგორც კი რუთმა ეს თქვა, რატომღაც დაუფიქრებლად გადავედი მანქანიდან. რუთი არ განძრეულა. შესაბამისად, ახლოს მოსული ტომი ჯერ მე მომაჩერდა და პირველსაც მე ჩამეხუტა. მისგან რომელიღაც წამლის სუსტი სუნი მეცა. შემდეგ – მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ერთმანეთისთვის არაფერი გვეთქვა – მანქანიდან რუთის მზერა ვიგრძენით და ერთმანეთს მოვცილდით.

საქარე მინაში მკაფიოდ არეკლილმა ცამ რუთის კარგად დანახვა არ დამანება. თუმცა, თითქოსდა, მის სახეზე სერიოზული, თითქმის გაყინული მზერა დავლანდე, თითქოს მე და ტომი ვთამაშობდით სპექტაკლში, რომელსაც იგი უყურებდა. მის მზერაში რაღაც არ მომეწონა და მეუხერხულა. ტომი გამცდა და მანქანას მიაშურა. უკანა კარი გამოაღო, შიგ ჩაჯდა და ახლა მე დამიდგა მათი შეხვედრისა და ლოყებზე პატარა კოცნების თვალთვალის ჯერი.

„კვადრატის“ მეორე მხრიდან სახურავის ქვეშ მყოფი დონორებიც გვიმზერდნენ. მათგან მტრული არაფერი მიგრძნია, მაგრამ უცერად იქაურობის დატოვება მომინდა. თავს მაინც ძალა დავატანე და აუჩქარებლად დავბრუნდი მანქანაში, რათა ტომის და რუთს ცოტა მეტი დრო ჰქონოდათ ერთმანეთისთვის.

ვიწრო, დაკლავნილ სოფლის გზას შევუყევით, გაშლილ, უფორმო სოფელში შევედით და თითქმის ცარიელ გზაზე განვაგრძეთ სვლა. მგზავრობის ამ მონაკვეთიდან ის მახსოვს, რომ დიდი ხნის ღრუბლიანობის შემდეგ ნაცრისფერ ცაზე მზემ გამოანათა. რამდენჯერაც რუთს გავხედავდი, იმდენჯერ ღიმილი ჰქონდა სახეზე. საუბარს რაც შეეხება, ისე ვიქცეოდით, თითქოს ერთმანეთს მუდმივად ვხედავდით და დღის გეგმის გარდა სალაპარაკო არაფერი გვქონდა. ტომის ვკითხე, უკვე ენახა თუ არა ნავი. არა, მაგრამ ჩემი ცენტრიდან ბევრმა ნახაო, მითხრა. რამდენჯერმე ჰქონია ნახვის შანსი, მაგრამ არ გამოუყენებია.

– განა ნახვა არ მინდოდა, – ამ სიტყვებზე უკანა სავარძლიდან წინ გადმოიწია, – მაინცდამაინც არ მაინტერესებდა. ერთხელ გადავწყვიტე კიდევ წასვლა ორ დონორსა და მათ მომვლელებთან ერთად, მაგრამ პატარა სისხლდენა დამეწყო და ვეღარ წავედი. ესეც კარგა ხნის წინ იყო. ახლა ასეთი სისხლდენები აღარ მაწუხებს.

ცოტა ხანში, ცარიელ სოფელს რომ გავდიოდით, რუთი ისე მოტრიალდა სავარძელში, რომ პირდაპირ ტომისთვის ექცირა. იჯდა და უყურებდა. სახეზე ისევე ის ღიმილი ეფინა. ჩემს სარკეში დავინახე: ტომი აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს. განზე იყურებოდა, მერე რუთს გამოხედავდა, მერე ისევ ფანჯრისკენ აბრუნებდა თავს. ცოტა ხანში, ტომისგან მზერის მოუშორებლად, რუთმა მოარული ანეკდოტის მოყოლა დაიწყო მისი ცენტრის რომელიღაც დონორზე, რომელზეც არაფერი გვსმენოდა. ყვებოდა და ტომის უყურებდა. ნაზი ღიმილი სახიდან არ შორდებოდა. მისმა ანეკდოტმა შემაწყინა თავი თუ ტომის გამომძვრენა მინდოდა უხერხულობიდან, რუთს მალე შევაწყვეტინე: – ჰო, კარგი, აუცილებელი არ არის ყველა დეტალის მოყოლა.

ეს ყოველგვარი ბოროტი ქვეაზრის გარეშე ვთქვი. მაგრამ სანამ რუთი გაჩუმდებოდა და მეც ძლივს მქონდა სიტყვა დამთავრებული, ტომიმ ისე გადაიხარხარა, თითქოს აფეთქდაო. ასეთი რეაქცია მისგან არასოდეს მენახა.

– ზუსტად ეგ უნდა მეთქვა. რაღაც მომენტში ამბის ასავალ-დასავალი ამებნა.

გზას ვუყურებდი და ვერ მივხვდი, ამას ტომი მე მეუბნებოდა თუ რუთს. ასე იყო თუ ისე, რუთი გაჩუმდა და ნელა შემობრუნდა. მაინცდამაინც გაბრაზებული არ ჩანდა, მაგრამ აღარ ილიმებოდა. მისი მზერა კი შორს, სადღაც ცაში დაეკიდა ჩვენ პირდაპირ. გულახდილად უნდა ვთქვა: იმწამს რუთზე არც ვფიქრობდი. გული ამიჩქარდა, რადგან ტომის თანხმობის გამომხატველმა ამ პატარა სიცილმა თითქოს მე და ის ისევ დაგვაახლოვა ამდენი წლის შემდეგ.

კინგსფილდის დატოვებიდან ოციოდე წუთში გადასახვევიც ვიპოვე. მესრებით შემოჯარულ, დაკლაკნილ გზას ჩავუყევით. მანქანა ტევრთან გავაჩერეთ და გადმოვედით. მე დანარჩენ ორს ტყისპირისკენ გავუძეხი. იქ, ხეებს შორის, მკაფიოდ დამჩნეულ სამ ბილიკს მივადექით. გაჩერება და წამოღებული რუკის გაშლა მომიხდა. სანამ ვიდექი და ხელით ნახატი რუკის გარჩევას ვცდილობდი, უცებ შევნიშნე, რომ რუთი და ტომი უხმოდ მედგნენ ზურგს უკან და თითქმის ბავშვებივით ელოდნენ ჩემგან გზის მითითებას.

ტყეში შევედით. იოლი სასიარულო იყო, მაგრამ შევამჩნიე, როგორ უჭირდა რუთს სუნთქვა. ტომის არაფერი გასჭირვებია, მიუხედავად იმისა, რომ ცოტას კოჭლობდა. მავთულხლართიან, გადახრილ და დაჟანგულ ღობეს მივადექით. მავთული მთლად აბურღულიყო. რუთმა რომ დაინახა, მოწყვეტით შეჩერდა.

– არა, – თქვა შეშინებულმა და მომიბრუნდა, – ამაზე არაფერი გითქვამს. არ გითქვამს, მავთულხლართში გაძვრომა რომ მოგვიწევდა!

– სულ არ არის ძნელი, – მივუგე, – შეგვიძლია ქვეშ გავძვრეთ. უბრალოდ, ერთმანეთს უნდა ავუწიოთ მავთული.

რუთი მაინც ძალიან გულმოსული ჩანდა და არ ინძრეოდა. ჰოდა, როდესაც რუთი ასე იდგა და გახშირებული სუნთქვის გამო მხრები ზემოთ-ქვემოთ აუღ-ჩაუდიოდა, მაშინ მიხვდა ტომი პირველად, რა ფაქიზი იყო ეს ქალი. შეიძლება მანამდეც შენიშნული ჰქონდა, მაგრამ გააზრება არ სურდა. ახლა კი რამდენიმე გრძელი წამით რუთს მიაჩერდა. ამის შემდეგ, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, ვგონებ, მეც და ტომისაც გაგვახსენდა, რა მოხდა მანქანაში, როცა, ასე თუ ისე, რუთს ვეუხებეთ. თითქმის ინსტინქტურად ორივემ მას მივაშურეთ. აქეთ-იქიდან ჩავკიდეთ ხელი და, ორივემ ერთად, ნელა წავიყვანეთ მესრისკენ.

რუთს მხოლოდ იმიტომ გავუშვი ხელი, რომ მავთულხლართში თვითონ გავმძვრალიყავი. შემდეგ მავთული შეძლებისდაგვარად მალლა ავწიე და ორივენი რუთს დავეხმარეთ. საბოლოოდ, არც ისე გაუჭირდა, რადგან ეს, უწინარესად, თავდაჯერებულობის ამბავი იყო. რაკი დავეხმარეთ, მავთულხლართების შიშაც გაუქრა. პირიქით, თვითონაც დამეხმარა მავთულის აწევაში, ტომი რომ გამომძვრალიყო, რაც ამ უკანასკნელმა დაუბრკოლებლად გააკეთა.

– ერთი ეგეთი დახრა უნდა და მორჩა, – უთხრა რუთმა, – ხანდახან ასეთ რამეებში ჭკუა არ მყოფნის ხოლმე.

ტომიმ დაიმორცხვა. არ ვიცოდი, ბოლოს მომხდარმა შეაწუხა თუ ისევ იმაზე ფიქრობდა, რუთი რომ დავჩაგრეთ მანქანაში. თავით ხეებზე მიგვანიშნა და თქვა: – მგონი, იქითაა, არა, ქვით?

ჩემს ფურცელს დავხედე და ისევ წინ გავუძეხი. ღრმად, ხეებს შორის, უფრო ბნელოდა და მიწაც უფრო და უფრო ჭაობიანი ხდებოდა.

– იმედია, არ დავიკარგებით, – გავიგონე, როგორ უთხრა რუთმა ტომის სიცილით. წინ მდებოდა დავინახე. ახლა, როცა ფიქრის დრო მომეცა, მივხვდი, რა მოხდა მანქანაში. მარტო რუთისადმი უხეშობა არ იყო. თვითონ რუთმა მიიღო სხვანაირად. ძველ დროში ხომ წარმოუდგენელი იყო, რომ მას რაიმე მსგავსი მოესმენა და კონტრიერიზზე არ გადმოსულიყო. ფიქრი რომ მიმენავლა, ბილიკზე გავჩერდი, რათა ისინი დამწეოდნენ. მოახლოებულ რუთს მხრებზე ხელი მოვხვდით.

სენტიმენტალური ჟესტი არ იყო. უფრო მომვლელის საქციელს ჰგავდა, რადგან რუთი უკვე ნამდვილად უცნაურად დადიოდა. ზედმეტად ხომ არ უგულვებელვყავი მისი სისუსტე-მეტეი, ვფიქრობდი. სუნთქვა უკვე გვარიანად დამძიმებოდა და სიარულისას ზოგჯერ ნაბიჯიც ერეოდა. ამ დროს ტყიდან მდებოდა გავედით და ნავიც დავინახეთ.

ისე, მაინცდამაინც მდებოდა ვერ დაერქმეოდა იმ ადგილს, სადაც აღმოვჩნდით: უბრალოდ, მეჩხერი ტყე გავიარეთ და წინ ჭაობიანი ლანდშაფტი გადაგვეშალა. ფერმკრთალი და უკიდევანო ცის ნაგლეჯებს ალაგ-ალაგ მიწაში ჩამდგარი გუბეები ირეკლავდა. როგორც ჩანს, არცთუ დიდი ხნის წინ ტყე უფრო შორსაც მიდიოდა. ამაზე ზოგ ადგილას მიწიდან ამოჩრდილი ჯირკვები მეტყველებდა, ძირითადად – სულ რამდენიმე ფუტის სიმაღლის. ხმელი ჯირკვებიდან სამოციოდე იარღში კი, სუსტი მზის ქვეშ, ჭაობში გამორიყული ნავი იდგა.

– ზუსტად ისეთია, როგორც მეგობარმა ამიწერა, – თქვა რუთმა, – მართლა ლამაზია.

სიჩუმე შემოგვხვეოდა. ნავისკენ რომ წავედით, ფეხქვეშ ჭყაპუნის გავიგონეთ. ცოტაც და, ჩემმა ტერფებმა ბალახში ჩაფლობა დაიწყო.

– კარგი, აქ გავჩერდეთ, – გამოვაცხადე.

ჩემ უკან მომავალ წყვილს არ გაუპროტესტებია. მივიხედე და დავინახე, რომ ტომის ისევ ეჭირა რუთის მკლავი, თუმცა – ამკარად ჩანდა – მხოლოდ და მხოლოდ მისახმარებლად. გრძელი ნაბიჯებით უახლოეს ჯირკთან მივედი, სადაც მიწა უფრო მყარი იყო, და დავეყრდენი. ჩემს მაგალითზე, რუთი და ტომი სხვა, უფრო გამოხრულ ჯირკთან მივიდნენ, ჩემგან მარცხნივ და ცოტა უკან გაჩერდნენ, ჯირკს აქეთ-იქიდან შეასკუპდნენ და ზედ მოიკალათეს. ყველამ გარიყულ ნავს გავხედეთ. საღებავი დასკდომოდა და ხის კაბინის ჩარჩოები ეფშვნებოდა. ცისფრად იყო შეღებილი, მაგრამ ახლა ცის ფონზე თითქმის თეთრი ჩანდა.

– ნეტავ აქ საიდან გაჩნდა? – ვთქვი ხმამაღლა, იმთავით რომ გაეგოთ. ექოს ველოდი, მაგრამ ჩემი ხმა უცნაურად ჩაიხშო, თითქოს ფარდაგებიან ოთახში მეტქვას.

უკნიდან ტომის ხმა მომესმა: – შეიძლება ამჟამად ჰეილშემიც ასე გამოიყურება. რას ფიქრობთ?

– ასეთი რატომ იქნება? – რუთის ხმაში დაბნევა იგრძნობოდა, – მარტო იმიტომ, რომ დაიხურა, ჭანჭრობად არ გადაიქცეოდა.

- ალბათ, ეგრეა. არ დავფიქრებულვარ. უბრალოდ, ერთთავად გავერანებული ჰეილშემი მეღანდება. სხვათა შორის, აქაურობა საკმაოდ ახლოსაა იმასთან, რასაც წარმოვიდგენ ხოლმე. ნავის გამოკლებით, რა თქმა უნდა. არც ისე ცუდია, თუ ჰეილშემი ახლა ასეთია.

- უცნაურია, - თქვა რუთმა, - იმ დღეს სიზმარი ვნახე. ვითომ მეთოთხმეტე ოთახში ვიყავი. ვიცოდი, რომ ჰეილშემი დაიკეტა, მაგრამ იქ ვიყავი, მეთოთხმეტეში, და ფანჯრიდან ვიყურებოდი. ყველაფერი წყლით დაფარულიყო, უზარმაზარ ტბას ჰგავდა. ჩემი ფანჯრის ქვეშ მოტივტივე ნაგავს ვხედავდი. ცარიელ ყუთებს და რაღაცებს, მაგრამ პანიკის მსგავსი არაფერი მიგრძნია. სასიამოვნო, მშვიდი გარემო იყო, როგორც აქ. ვიცოდი, ცუდი არაფერი მემუქრებოდა. ჰეილშემი ასეთი მხოლოდ იმიტომ იყო, რომ დაიხურა.

- იცით, - დაიწყო ტომიმ, - მეგ ბი იყო ჩვენს ცენტრში ცოტა ხნით. ახლახან წავიდა. სადღაც ჩრდილოეთში მესამე ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. არ ვიცი, როგორ ჩაიარა. თქვენ ხომ არ მოგიკრავთ ყური?

თავი გავაქნიე. რუთის ხმა რომ ვერ გავიგონე, მივბრუნდი. თავიდან მეგონა, ისევ ნავს უყურებს-მეთქი. მერე კი დავინახე: თვალი შორს, ცაში ნელა მიმავალი თვითმფრინავის მიერ დატოვებულ კვალზე ეჭირა. მერე თქვა: - მე გეტყვით, რაც გავიგე. ქრისის ამბავი მომივიდა. მეორე ოპერაციას გადაჰყოლია.

- მეც გავიგე, - მიუგო ტომიმ, - ალბათ, სიმართლეა. ზუსტად ეგრე გავიგე. დასანანია. მხოლოდ მეორეს. კიდევ კარგი, მეც იგივე არ შემემთხვა.

- მგონი, ეგ ბევრად უფრო ხშირად ხდება, ვიდრე გვეუბნებიან, - თქვა რუთმა, - აი, ჩემმა მომვლელმა, იქ რომ ზის, ალბათ, იცის, რომ ეგრეა, მაგრამ არ გვეუბნება.

- დიდ შეთქმულებას ნუ ეძებთ, - ვუთხარი მე, - ხანდახან ხდება და ეგ არის. ქრისიზე მეც გული დამწყდა. მაგრამ ეს არ არის ხშირი შემთხვევა. დღესდღეობით ძალიან ფრთხილობენ.

- დარწმუნებული ვარ, უფრო ხშირად ხდება, ვიდრე გვეუბნებიან, - გაიმეორა რუთმა, - მაგიტომაც გადავყავართ სხვაგან ოპერაციიდან ოპერაციამდე.

- ერთხელ როდნის გადავეყარე, - ვთქვი მე, - ქრისის სიკვდილიდან საკმაოდ მალე. თავის კლინიკაში ვნახე, ჩრდილოეთ უელსში. კარგად იყო.

- ალბათ, ქრისის ამბავს განიცდის, - თქვა რუთმა და ტომის მიუბრუნდა, - ნახევარსაც არ გვეუბნებიან.

- სხვათა შორის, არც ისე ცუდად იყო, - ვუთხარი მე, - კი, დამწუხრებული იყო, მაგრამ მაინც არა უშავდა. ერთმანეთი ისედაც წლების განმავლობაში არ ენახათ. მგონი, ქრისი არც იქნებოდა წინააღმდეგო, მითხრა. ალბათ, იცის, რას ამბობს.

- საიდან იცის? - აინთო რუთი, - საიდან უნდა იცოდეს, რას გრძნობდა ქრისი? რა ენდომებოდა? თვითონ ხომ არ იწვა და ებლაუჭებოდა სიცოცხლეს იმ მაგიდაზე? საიდან იცის?

ბრაზის ეს ამოხეთქვა ძველ რუთს ჰგავდა. ისევ მივბრუნდი. შეიძლება თვალში არეკლილი სინათლის ბრალი იყო, მაგრამ თითქოს ხისტად და მკაცრად მიყურებდა.

- ვერ არის კარგი საქმე მეორე ოპერაციაზე სიკვდილი, - თქვა ტომიმ, - ვერ არის კარგი.

- ვერ დამიჯერებია, რომ როდნი ასე მშვიდად იყო, - თქვა რუთმა, - შენ სულ რამდენიმე წუთით ელაპარაკე და, აბა, რა უნდა გაგეგო?

- ჰო, - თქვა ტომიმ, - მაგრამ თუ უკვე დაშორებულები იყვნენ, როგორც ქეთი ამბობს...

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს, - გააწყვეტინა რუთმა, - რაღაც აზრით, ასე უფრო მძიმე გადასატანიც შეიძლება იყოს.

- როდნის დღეში ბევრი მინახავს, - ვთქვი მე, - ეგუებიან ხოლმე.

- შენ რა იცი? - თქვა რუთმა, - როგორ შეიძლება იცოდეს? შენ ხომ ჯერ მომვლელი ხარ.

- ჰოდა, მომვლელი რომ ვარ, ბევრს ვხედავ, ძალიან ბევრს.

- თქვი, ტომი: ხომ არ შეიძლება იცოდეს, რა ხდება სინამდვილეში?

ერთ წამს ორივე ტომის ვუყურებდით. ის ჩუმად გაჰყურებდა ნავს. მერე თქვა: - ჩემს ცენტრში ერთი ბიჭი იყო. სულ ეშინოდა, რომ მეორე ოპერაციას ვერ გადაიტანდა. გული მიგრძნობსო, ამბობდა, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა უკვე მესამეც გამოიარა და თავს ჩინებულად გრძნობს, - ტომიმ ხელი ასწია თვალების მოსაჩრდილად, - მე კარგი მომვლელი არ ვიყავი. მანქანის მართვაც კი ვერ ვისწავლე. ალბათ, ამიტომაც გამომიძახეს პირველ ოპერაციაზე ასე მალე. ვიცი, არ უნდა ხდებოდეს ასე, მაგრამ, მე მგონი, ზუსტად ეგრე იყო. გული არც დამწყვეტია. კარგი დონორი ვარ და ცუდი მომვლელი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს რუთმა დამშვიდებული ხმით წარმოთქვა: - მგონი, ნორმალური მომვლელი ვიყავი, მაგრამ ხუთი წელი მეყო. შენი არ იყოს, ტომი, მეც საკმაოდ მზად აღმოვჩნდი დონორობისთვის, როცა დრო დადგა. სწორად და მართებულად მიმაჩნდა. ბოლოს და ბოლოს, ესაა ჩვენი საქმე, ჰო?

არ ვიცი, პასუხს თუ ელოდა ჩემგან. მაინცდამაინც ნიშნის მოგებით არ უთქვამს. შეიძლება უბრალოდ, ჩვევით ნათქვამი განცხადებაც იყო, მუდამ რომ ეუბნებიან დონორები ერთმანეთს. ტომის რომ მივბრუნდი, ხელი ისევ შუბლზე ედო.

- დასანანია, უფრო რომ ვერ ვუახლოვდებით ნავს, - თქვა მან, - იქნებ უფრო მშრალ დღეს დავბრუნდეთ.

- მიხარია, რომ ვნახე, - ნაზად თქვა რუთმა, - ძალიან მომეწონა. ახლა კი, მგონი, წასვლა მინდა. ცივი ქარია.

- ვნახეთ მაინც, - თქვა ტომიმ.

მანქანასთან დაბრუნებისას ბევრად უფრო თავისუფლად ვსაუბრობდით, ვიდრე მანქანიდან წასვლისას. რუთი და ტომი თავიანთი ცენტრების მონაცემებს ადარებდნენ: საჭმელს, პირსახოცებს და ასეთ რამეებს. მეც საუბრის ნაწილი ვიყავი, რადგან სულ მეკითხებოდნენ სხვა ცენტრებზე და იმაზე, თუ რამდენად ნორმალური

იყო ესა თუ ის მომენტი. რუთიც უფრო მტკიცედ მიაბიჯებდა. მესერს რომ მივადექით და მავთული ავუწიე, არ შეყოყმანებულა.

მანქანაში იმავე განლაგებით ჩავსხედით. ერთხანს ჩვენ შორის იდეალური სიმშვიდე სუფევდა. ახლა რომ ვიხსენებ, ვფიქრობ: იქნებ იგრძნობოდა კიდევ, რომ რაღაცას ვაკავებდით და არ ვამბობდით-მეთქი. თუმცა ასე შეიძლება იმიტომ ვფიქრობ, რომ ვიცი, მერე რა მოხდა.

თითქოს წინა საათების გამეორება დაიწყო. უკან მოვუყვებოდით გრძელ, თითქმის ცარიელ გზას, როდესაც რუთმა რაღაც შენიშვნა გამოთქვა რომელიღაც პოსტერთან დაკავშირებით. არ მახსოვს, ზუსტად როგორი იყო გზისპირას გაკრული მორიგი უშველებელი რეკლამა. რუთმა შენიშვნა თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა. დიდ მნიშვნელობას ნამდვილად არ ანიჭებდა. რაღაც ამდაგვარი თქვა: „ღმერთო ჩემო, ამას შეხედეთ! თითქოს რაღაც ახლის გამოგონება სცადეს“.

– სხვათა შორის, მომწონს ეგ რეკლამა, – მიუგო ტომიმ უკნიდან, – გაზეთებშიც იყო. აქვს რაღაც ხიბლი.

აღბათ, ისევ მინდოდა, განმეცადა ჩემი და ტომის სიახლოვის შეგრძნება. ნავთან გასეირნება კარგი იყო, მაგრამ მანამდე, მანქანაში, ჩვენი აზრების ერთობა თითქოს დაიკარგა და მე და ტომის საერთო დიდი აღარაფერი დაგვრჩა.

მოკლედ, რაღაც ამდაგვარი ვთქვი: – მეც მომწონს. ასეთი პოსტერის მოფიქრებას ბევრად უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე შენ გგონია.

– ჰო, – დასძინა ტომიმ, – ვიღაცამ მითხრა, ეგეთის შექმნას კვირების მუშაობა სჭირდებაო. თვეებისაც კი. ხანდახან ღამეებს ათენებენ, სანამ რიგიანი რამ გამოუვათ.

– მანქანით ჩავლისას გაკრიტიკება ძალიან ადვილია, – დავამატე ჩემი მხრივ.

– მაგაზე იოლი არაფერია, – თქვა ტომიმ.

რუთს ხმა არ ამოუღია. ცარიელ გზას უყურებდა. შემდეგ ვთქვი: – რაკი პოსტერების თემას შევხებით, აქეთობაზეც შევნიშნე ერთი. მალე ისევ ჩავუვლით. ახლა ჩვენს მხარეს იქნება. წუთი წუთზე გამოჩნდება.

– რისია? – ჰკითხა ტომიმ.

– ნახავ. მალე ჩავუვლით.

რუთს გავხედე. თვალებში გულისწყრომა არ ეტყობოდა, მხოლოდ მცირეოდენი სიფრთხილე. თითქოს რაღაც იმედიც ჰქონდა, რომ პოსტერი უწყინარი გამოდგებოდა, – რამე ისეთი, რაც ჰეილშემს მოგვაგონებდა ან რაღაც ამდაგვარი. ამ ყველაფერს რუთის სახეზე ვხედავდი. გამომეტყველება ხშირად ეცვლებოდა. ამასობაში მზერა წინ ჰქონდა მიმართული.

სვლა შევანელე და მანქანა მკვეთრად შევაგდე ხემემ ბალახზე.

– რატომ ჩერდები, ქეით? – მკითხა ტომიმ.

- იმიტომ, რომ აქედან უკეთ ჩანს. უფრო ახლოს რომ მივიდეთ, ზედმეტად ზემოთ ახედვა მოგვიწევს.

ზურგს უკან გავიგონე, როგორ იცვლიდა ტომი ადგილს უკეთესი ხედის მოსახელთებლად. რუთი არ განძრეულა. იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ პოსტერს უყურებდა.

- კარგი, მთლად იგივე არ არის, - ვთქვი ცოტა ხანში, - მაგრამ მაინც მომაგონა ღიაფასადიანი ოფისი ჭკვიანი, მოლიმარი ადამიანებით.

რუთს არც ახლა ამოუღია ხმა. ტომიმ უკნიდან მომმართა: - მივხვდი. იმ ადგილს ჰგავს, მაშინ რომ ვიყავით.

- არა მხოლოდ. იმ რეკლამას უფრო ჰგავს, მიწაზე რომ ვიპოვეთ. გახსოვს, რუთ?

- რაღაც არ მახსენდება, - მომიგო ჩუმიად.

- კარგი, რა. გახსოვს. სოფლის გზაზე დაგდებულ ჟურნალში რო წავაწყდით. ტლაპოსთან. შენ ძალიან მოგეწონა. ნუ იცრუებ. უნდა გახსოვდეს.

- მგონი, მახსოვს, - თითქმის დაიჩურჩულა რუთმა.

სატვირთო მანქანამ ჩაგვიარა, ჩვენი მანქანა შეაზანზარა და წამით სარეკლამო დაფას ჩამოეფარა. რუთმა თავი დახარა. თითქოს იმედოვნებდა, რომ მანქანა პოსტერს სამუდამოდ მოაძრობდა. ხელი ისევ რომ გათავისუფლდა, ზემოთ აღარ აუხედავს.

- უცნაურია, რომ ვიხსენებ, - ვთქვი მე, - გახსოვს, როგორ ლაპარაკობდი მაგაზე? ერთ მშვენიერ დღეს ეგეთ ოფისში ვიმუშავებდიო.

- უი, ჰო, მაგიტომ არ წავედით იმ დღეს ნორფოლკში? - თქვა ტომიმ, თითქოს ახლადა გაახსენდაო, - იმ შესაძლებლის მოსაძებნად, ოფისში რომ მუშაობდა?

- ხანდახან არ გგონია, რომ ცოტა მეტი უნდა გეფიქრა ამაზე? - ვუთხარი რუთს, - პირველი იქნებოდი. პირველი ჩვენგანი, ვინც ასეთი რამის განხორციელებას შეეცდებოდა. იქნებ გამოგსვლოდა. ნუთუ არ ფიქრობ ხოლმე, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ შეეცდებოდი?

- როგორ უნდა მეცადა? - თითქმის არ ისმოდა რუთის ხმა. - უბრალოდ, ერთ დროს ვოცნებობდი. ეგ არის და ეგ.

- რომ გაგერკვია მაინც. რა იცი? იქნებ მოეცათ საშუალება.

- ჰო, რუთ, - თქვა ტომიმ, - უნდა გეცადა მაინც, იმდენი ლაპარაკის შემდეგ. მე მგონი, ქეთი მართალია.

- ბევრს არ ვლაპარაკობდი, ტომი. ყოველ შემთხვევაში, ეგრე არ მახსოვს.

- მაგრამ ტომი მართალია. უნდა გეცადა მაინც. მერე ასეთ პოსტერს ნახავდი და გაგახსენდებოდა, რომ ერთ დროს ეგეთი სამსახური გინდოდა და სცადე კიდევ მოძებნა...

– როგორ უნდა გამერკვია? – პირველად აუწია რუთმა ხმას. თუმცა მერე ამოიხვნეშა და ისევ ძირს დაიხედა.

– ისე ლაპარაკობდი, თითქოს გამორჩეული პირობების მიღწევა შეგეძლო, – თქვა ტომიმ, – შენი აზრით, ნამდვილად შეგეძლო. უნდა გეკითხა მაინც.

– კეთილი, – თქვა რუთმა, – მეუბნებით, რომ უნდა გამერკვია. როგორ? სად წავსულიყავი? გარკვევის საშუალება არ არსებობდა.

– ტომი მაინც მართალია, – ვუთხარი მე, – თუ გჯეროდა, რომ გამორჩეული იყავი, უნდა გეცადა მაინც. მადამთან უნდა მისულიყავი და გეკითხა.

როგორც კი ეს ვთქვი, ანუ მადამი ვახსენე, მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. რუთმა გამარჯვებულის იერით შემომხედა. ზოგჯერ კინოში ნახავთ მსგავს რამეს: ერთი მეორეს იარაღს უმიზნებს და, რაც მოუნდება, იმას აკეთებინებს. მერე უეცრად შეცდომას უშვებს, ჩხუბობენ და იარაღი მეორე ადამიანის ხელში გადადის. ჰოდა, ეს მეორე ადამიანი პირველს მისივე წარმატებით აღტყინებული თვალებით შეჰყურებს და შურისძიებით ემუქრება. აი, ასე შემომხედა უეცრად რუთმა. გადავადებაზე არაფერი მითქვამს, მაგრამ მადამი ვახსენე და ჩვენც სრულებით ახალ ტერიტორიაზე აღმოვჩნდით.

რუთმა პანიკა შემნიშნა და ჩემკენ შემობრუნდა. მისგან მოსალოდნელი თავდასხმისთვის ვემზადებოდი. თავს ვუმტკიცებდი: რაც უნდა თქვას, ყველაფერი ძველებურად არ დამთავრდება, ახლა უკვე სხვა დროა-მეთქი. აი, რას ვეუბნებოდი ჩემს თავს და ამიტომაც არ აღმოვჩნდი მზად იმისთვის, რაც მითხრა: – ქეთ, – დაიწყო რუთმა, – შენგან პატიებას არც ველოდები. ისიც კი არ ვიცი, რატომ უნდა მაპატიო. მაგრამ მაინც გთხოვ.

მისმა სიტყვებმა ისე დამაზნია, რომ, ძალაგამოცლილმა, ამის მეტი ვერაფერი ვუთხარი: – რა გაპატიო?

– რა მაპატიო? უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ხომ ყოველთვის გატყუებდი შენს იმპულსებთან დაკავშირებით, როცა მეუბნებოდი: ხანდახან ისე მინდება, პოტენციურად ნებისმიერთან შემიძლია დავწვეო.

ტომიმ უკანა სავარძელზე კიდევ ერთხელ შეიცვალა ადგილი. წინ გადაწეული რუთი პირდაპირ თვალებში მიყურებდა, თითქოს ტომი არც კი იყო ჩვენ გვერდით.

– ვიცოდი, როგორ გადარდებდა, – განაგრძო რუთმა, – უნდა მეთქვა. უნდა მეთქვა, რომ მეც იგივე მჭირს, ზუსტად ის, რასაც შენ აღმიწერდი. ახლა უკვე გესმის ყველაფერი. მაშინ კი არ გესმოდა და მე უნდა მეთქვა. უნდა მეთქვა, რომ, ტომისთან ყოფნის მიუხედავად, ხანდახან თავს ვერ ვიკავებდი სხვებთან დაწოლისგან. სამ სხვასთან მაინც, კოტეჯებში ყოფნისას.

ეს რომ თქვა, არც მაშინ გაუხედავს ტომისკენ, თუმცა ვერ იტყოდით, არ იმჩნევსო. უფრო იმას ცდილობდა ასე თავგამოდებით, რომ კარგად გამეაზრებინა ყოველივე წაშლილ-დავიწყებული.

– რამდენჯერმე კინალამ გითხარი კიდევ, – განაგრძო რუთმა, – მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე. მაშინაც კი მესმოდა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერს მიხვდებოდი და

დამადანაშაულებდი, მაგრამ მაინც არაფერი გითხარი. ამის პატიების მიზეზი არ არსებობს, მაგრამ მაინც გთხოვ, იმიტომ, რომ... – რუთმა სიტყვა გაწყვიტა.

– რატომ?

გაიცინა და თქვა: – იმიტომ, რომ არაფერი. მსურს, მაპატიო, მაგრამ პატიებას არ ველოდები. მოკლედ, ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ერთი ბეწო მნიშვნელობაც კი არა აქვს. მთავარი ისაა, რომ მე თქვენ – შენ და ტომის – გედექით შუაში, – რუთის ხმა თითქმის ისევ ჩურჩულზე დავიდა, – აი, ეს იყო ჩემი ყველაზე საზარელი საქციელი.

ოდნავ მიბრუნდა. ტომი პირველად მოახვედრა თვალთახედვის არეში. წამიც და, ისევ მხოლოდ მე მიყურებდა. თუმცა ახლა თითქოს ორივეს მოგვმართავდა.

– აი, ეს იყო ჩემი ყველაზე საზარელი საქციელი, – გაიმეორა რუთმა, – მაგის პატიებას არც კი გთხოვ. ღმერთო, ეს ყველაფერი გონებაში იმდენჯერ მითქვამს, რომ არც კი მჯერა, მართლა თუ ვამბობ ახლა. თქვენ ერთად უნდა ყოფილიყავით. არ ვამბობ, რომ ამას ყოველთვის ვერ ვხედავდი. რაც თავი მახსოვს, ვხედავდი, რა თქმა უნდა, მაგრამ შუაში გედექით. მაგის პატიებას არ გთხოვ. მაგიტომ არ ვლაპარაკობ. იმის თქმა მინდა, რომ უნდა გამოასწოროთ ის, რაც მე აგირიეთ.

– მაინც როგორ, რუთ? როგორ გამოვასწოროთ? – ნაზი, ბავშვური ხმით ჰკითხა ტომიმ. მგონი, სწორედ ამ ხმამ ამატირა.

– მისმინე, ქეით, – თქვა რუთმა, – შენ და ტომიმ უნდა სცადოთ და გადავადება მოახერხოთ. თქვენ ორს აუცილებლად უნდა გქონდეთ შანსი. ნამდვილი შანსი.

ხელი გამოიშვირა და მხარზე დამადლო. მე უხეშად მოვიცილე და ცრემლიანი თვალებით გავხედე.

– უკვე დაგვიანებულია. ძალიან დაგვიანებული.

– არ არის დაგვიანებული. ქეით, მომისმინე, დაგვიანებული არ არის. კარგი, ტომის უკვე ორი ოპერაცია ჩაუტარდა. ვინ ხედავს ამაში რამე სხვაობას?

– ეგ ყველაფერი დაგვიანებულია, – ისევ ავტირდი მე, – მაგის გაფიქრებაც კი სისულელეა, ისევ იმ ოფისში მუშაობის სურვილივით სისულელე. ეგ ყველაფერი უკვე გამოვიარეთ.

რუთი თავს აქნევდა.

– გვიანი არ არის. უთხარი, ტომი.

საჭისკენ ვიყავი დახრილი და ტომის საერთოდ ვერ ვხედავდი. იმან დაბნეული, ცხვირისმიერი ბგერა გამოუშვა, თქმით არაფერი უთქვამს.

– მომისმინეთ, – თქვა რუთმა, – ორივემ მომისმინეთ. დღევანდელი გასეირნება იმიტომ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი მეთქვა. და კიდევ იმიტომ, რომ რაღაც მომეცა.

სპორტული ქურთუკის ჯიბეები მოიქექა და დაჭმუჭნილი ქალაღი ამოიღო.

- ტომი, ჯობია ეს შენ გამომართვა. გაუფრთხილდი. მერე გამოგადგებათ, ქეითი აზრს რომ შეიცვლის.

ტომი სავარძლებს შორის წამოიწია და ქაღალდი აიღო.

- მადლობა, რუთ, - ისე უთხრა, თითქოს შოკოლადი გამოართვაო, რამდენიმე წამში კი დაამატა: - რა არის ეს? არ მესმის.

- მადამის მისამართია. როგორც სულ ახლახან თქვით, უნდა სცადოთ მაინც.

- სად იშოვე? - ჰკითხა ტომიმ.

- ადვილი არ იყო. გვარიანი დრო დასჭირდა და რამდენჯერმე რისკზეც წავედი. ბოლოს ვიშოვე. თქვენთვის ვიშოვე. ახლა კი მადამი უნდა მოძებნოთ და სცადოთ.

ამასობაში ტირილი უკვე შევწყვიტე და მანქანაც დავქოქე.

- კარგი, გვეყოფა, - ვთქვი მე, - ტომი უნდა მივიყვანოთ და ჩვენც დავბრუნდეთ.

- მაგრამ ხომ ორივე იფიქრებთ ამაზე? - თქვა რუთმა.

- ახლა მხოლოდ დაბრუნება მინდა.

- ტომი, ხომ კარგად შეინახავ მაგ მისამართს? იმ შემთხვევისთვის, თუ ქეითი გამოგვივლის.

- შევინახავ, - მიუგო ტომიმ და ბევრად უფრო საზეიმო ტონით დაამატა: - გმადლობ, რუთ.

- ნავი ვნახეთ, - ვთქვი ისევ მე, - ახლა კი უნდა დავბრუნდეთ. დოუერამდე შეიძლება ორ საათზე მეტი დაგვჭირდეს.

მანქანა ისევ გზაზე გავიყვანე და, როგორც მახსოვს, კინგსფილდში დაბრუნებამდე ბევრი აღარაფერი გვითქვამს. „კვადრატში“ რომ შევედით, სახურავის ქვეშ ჯერ კიდევ მოჩანდა დონორების პატარა ჯგუფი. სანამ ტომი გადავიდოდა, მანქანა შემოვბრუნე. არც ერთს არ გვიკოცნია და გადავხვევივართ. თუმცა დონორებისკენ წასული ტომი მობრუნდა, ხელი დაგვიქნია და ფართო ღიმილით გაიღიმა.

შეიძლება გეუცნაუროთ, მაგრამ რუთის ცენტრისკენ მგზავრობისას მომხდარზე არაფერი გვითქვამს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ რუთი დაღლილი იყო. ბოლო საუბარს საბოლოოდ გადაექანცა. თან, მგონი, ორივე მივიჩნევდით, რომ სერიოზული საუბრის დღიური დოზა უკვე მიღებული გვქონდა და გაგრძელების შემთხვევაში შეიძლებოდა ცუდადაც დაგვემთავრებინა. არ ვიცი, რას გრძნობდა რუთი იმ დროს, მე კი ძლიერი ემოციების დალაგების, ღამის მოახლოებისა და ნათურების ანთების შემდეგ თავს კარგად ვგრძნობდი. თითქოს გაქრა რაღაც, რაც დიდხანს მამძიმებდა. და მიუხედავად იმისა, რომ ყველაფრის მოწესრიგება ჯერ კიდევ შორს იყო, გამოჩნდა კარი. კარი რაღაც უკეთესისკენ. არ ვამბობ, მხიარულ განწყობაზე ვიყავი-მეთქი. ჩვენ სამს შორის ყველაფერი სათუთი და დამაბული ჩანდა, თუმცა ეს მთლად ცუდი დამაბულობაც არ იყო.

ტომიზეც კი არ გვისაუბრია. მხოლოდ ის ვთქვით, რომ კარგად გამოიყურებოდა, და მომატებული კილოგრამების რაოდენობაც ვივარაუდეთ. გრძლად გაჭიმული გზის დარჩენილი მონაკვეთი სიჩუმესა და ტრასის ცქერაში გავატარეთ.

მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა იმ გასეირნების შედეგები. მე და რუთს შორის მთელი დისტანცია და ეჭვები გაქრა. თითქმის გაგვახსენდა, რას წარმოვადგენდით უწინ ერთმანეთისთვის. ასე, ზაფხულის მოახლოებისას და რუთის ჯანმრთელობის სტაბილურობის პერიოდში, დაიწყო რუთთან ბისკვიტებითა და მინერალური წყლით ასვლების, მის ფანჯარასთან წყვილად ჯდომის, სახურავების თავზე ჩამავალი მზის თვალთვალის, ჰეილშემზე, კოტეჯებსა და ნებისმიერ სასურველ თემაზე საუბრების ეპოქა. ახლა რომ ვიხსენებ, მიმიძიმა რუთის წასვლა, თუმცა მადლიერიც ვარ იმისათვის, რომ ეს ბოლო პერიოდი არსებობდა.

მაინც იყო ერთი თემა, რომელზეც სიღრმისეულად არ ვმსჯელობდით, თემა, რომელზეც რუთი იმ დღეს გზისპირას გველაპარაკა. დროდადრო თუ გადამიკრავდა ხოლმე სიტყვას და რაღაც ამდაგვარს მეტყვოდა: – ტომის მომვლელიობაზე თუ გიფიქრია? ხომ იცი, თუ მოინდომებ – შეძლებ.

მალე სხვა ყველაფერზე წინ ტომის მომვლელიობის იდეა დადგა. ვეტყვოდი ხოლმე რუთს: ვფიქრობ ამაზე და თვით ჩემთვისაც კი ამის მოგვარება არც ისე იოლი საქმეა-მეთქი. შემდეგ სხვა თემაზე გადავდიოდით, მაგრამ ვხედავდი, რომ რუთს ეს თავიდან არ შორდებოდა. უკანასკნელად რომ ვნახე, ველარ ლაპარაკობდა, მაგრამ ვიცოდი, სწორედ ამის თქმა უნდოდა.

ეს მისი მეორე ოპერაციიდან სამ დღეში მოხდა. როგორც იქნა, დილაუთენია სანახავად შემიშვეს. ოთახში მარტო იყო. ჩანდა, რომ მისთვის ყველაფერი ელონათ. ექიმების, კოორდინატორებისა და ექთნების ქცევიდან უკვე ვიცოდი, რომ რუთის გადარჩენას აღარ ელოდნენ. როგორც კი თვალი მოვკარი მკრთალად განათებულ საავადმყოფოს საწოლზე, ვიცანი გამოხედვა, რომელიც უკვე ბევრჯერ მენახა დონორების მზერაში. თითქოს უნდოდა საკუთარ თავში ჩაეხედა, სხეულში შესაძლებელი ტკივილის ყველა წყარო მოევლო და მოეწესრიგებინა, როგორც აგზნებული მომვლელი ირბენდა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში გაფანტულ სამ-ოთხ ავადმყოფ დონორს შორის. შეიძლება ითქვას, რუთი ჯერ კიდევ გონზე იყო, მე კი მის რკინის საწოლთან ვიდექი და ვერ ვეკონტაქტებოდი. მაინც სკამი მივაჩოჩე, დავჯექი და მისი ხელი ჩემი ხელებით ჩავბლუჯე. ტკივილის მორიგი ტალღა რომ წამოუვლიდა, ხელზე ვუჭერდი.

სანამ უფლება მომცეს, მის გვერდით დავრჩი, – მთელ სამ საათს. შეიძლება მეტსაც. როგორც გითხარით, მთელი ეს დრო ღრმად იყო თავის თავში ჩაფლული. მხოლოდ ერთხელ, საშიშად არაბუნებრივად რომ იკლაკნებოდა და გამაყუჩებლების დასამატებლად უკვე ექთნის გამოძახებას ვაპირებდი, სულ ერთადერთი წამით პირდაპირ შემომხედა. იმ წამს იცოდა, ვინ ვიყავი: სიცხადის ერთ-ერთი კუნძული, დონორებს რომ ევლინება ხოლმე მათი საზარელი ბრძოლების დროს. სულ ერთი წამით შემომხედა. ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ მივხვდი, რას გულისხმობდა, და ვუთხარი: „კარგი, ეგრე ვიზამ, რუთ. რაც შეიძლება მალე გავხდები ტომის მომვლელი“. ეს ჩურჩულით ვთქვი, რადგან მეგონა, ჩემს სიტყვებს ყვირილითაც ვერ გაიგონებდა. თუმცა ვიმედოვნებდი, რომ ამ წამებში, როდესაც ჩვენი მზერა ერთმანეთს მიეჯაჭვა, ისე წაიკითხავდა ჩემს აზრებს, როგორც მე წავიკითხე მისი. წამის შემდეგ რუთი ისევ

მომცილდა. რა თქმა უნდა, ზუსტად ვერასოდეს გავიგებ, მაგრამ, მე მგონი, მიმიხვდა. და რომც ვერ მიმიხვდარიყო, მგონია, რუთმა ჩემზე ადრე იცოდა, რომ ტომის მომვლელი გავხდებოდი და, როგორც თვითონვე გვითხრა მანქანაში, „შევეცდებოდი“.

თავი მეოცე

ნავთან გასეირნების დღიდან თითქმის ერთ წელიწადში გავხდი ტომის მომვლელი. მესამე ოპერაცია ახალი გადატანილი ჰქონდა. უკვე მომჯობინებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დასვენება სჭირდებოდა. აღმოჩნდა, რომ სულაც არ იყო ცუდი დრო ურთიერთობის ახალი ფაზის დასაწყებად. კინგსფილდს მალე მივეჩვიე. ცოტ-ცოტა უკვე მომწონდა კიდევ.

კინგსფილდის დონორების უმრავლესობა საკუთარ ოთახს მესამე ოპერაციის შემდეგ იღებს. ჰოდა, ტომისაც მისცეს ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ერთსაწოლიანი ოთახი. მოგვიანებით, ზოგ-ზოგებს ეგონათ, რომ ეს ოთახი მე გავუჩალიჩე. მაგრამ ასე არ იყო. უბრალოდ, ტომის გაუმართლა. სხვათა შორის, არც ისეთი გადასარევი ოთახი გახლდათ. საარდადეგებო კომპლექსის პერიოდში ეს ოთახი სააბაზანო უნდა ყოფილიყო. ერთადერთი დახორკლილმინიანი ფანჯარა ძალიან მაღლა, ზედ ჭერთან გამოეჭრათ. გარეთ გახედვა მხოლოდ სკამზე დამდგარს და გაღებულ ფანჯარაში შეგეძლოთ და მაშინაც არაფერი ჩანდა, ხშირი ბუჩქნარის გარდა. ჭადრაკის ცხენის სვლის მოყვანილობის ოთახში სტანდარტული საწოლის, სკამისა და გარდერობის გვერდით, ასაწევთავიანი პატარა სასკოლო მერხიც ეტეოდა, – ნივთი, რომელიც გამოსადეგი აღმოჩნდა. ამას მოგვიანებით ავიხსენით.

არ მინდა, კინგსფილდში გატარებულ პერიოდზე მცდარი შეხედულება შეგიქმნათ. ძირითადად, ყველაფერი წყნარად იყო, თითქმის იდეალურადაც. ჩვეულებრივ, ლანჩის შემდეგ ვაკითხავდი და ტომიც თავის ვიწრო საწოლზე მიწოლილი მხვდებოდა. ყოველთვის სრულყოფილად ეცვა, არ უნდოდა „პაციენტის ვით“ ყოფილიყო. მე სკამზე ვჯდებოდი და სხვადასხვა წიგნს ვუკითხავდი. „ოდისეას“ ან „ათას ერთ ღამეს“. თუ არადა, უბრალოდ ვსაუბრობდით ძველ დროზე ან სხვა რამეზე. საღამოს დადგომისას ხშირად წაუძინებდა ხოლმე. ამასობაში, მის პატარა მერხს მივუჯდებოდი და ჩემს ანგარიშებს ვავსებდი. მართლაც გასაოცარია: როგორ ჩაეჭროლათ წლებს, ჩვენი კი რა კარგად ვიყავით ერთმანეთთან.

რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ძველებურად არ იყო. იმით დავიწყეთ, რომ მე და ტომიმ, როგორც იქნა, სექსი დავამკვიდრეთ. არ ვიცი, დაწყებამდე რამდენი იფიქრა ამაზე. ბოლოს და ბოლოს, ჯერ კიდევ ძალებს იკრებდა და, ალბათ, სხვაც ბევრი ჰქონდა საფიქრალი. დამალეა არ მინდოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვფიქრობდი, რომ ჩვენი ურთიერთობის განახლებიდან რაც უფრო შორს გადავდებდით, მით უფრო გამძნელდებოდა სექსის გადაქცევა ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად. გარდა ამისა, იმასაც ვფიქრობდი, რომ თუ რუთის გეგმას მივყვებოდი და შეწირვის გადავადებას შევეცდებოდი, ამისთვის სექსის უქონლობას სერიოზულ ნაკლად ჩავგითვლიდნენ. იმას კი არ ვფიქრობდი, ამას აუცილებლად გვკითხავენ-მეთქი, არამედ ვლელავდი – ინტიმურობის ნაკლებობა არ დაგვტყობოდა.

გადავწყვიტე, ერთ საღამოსაც, მის ოთახში, ტომი არჩევანის წინაშე დამეყენებინა. ჩვეულებისამებრ, საწოლზე იწვა და ჭერს მიშტერებოდა, მე კი წიგნს ვუკითხავდი. კითხვას რომ მოვრჩი, მივედი, საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი და მაისურის ქვეშ ხელი შევუცურე. მალე ქვედა სართულზეც ჩავედი. აღსაგზნებად დრო დასჭირდა, მაგრამ თავიდანვე შევატყვე, რომ მოსწონდა. იმ პერიოდში ჯერ კიდევ ნაკერებზეც უნდა გვეფიქრა. გარდა ამისა, ამდენწლიანი უსექსო ურთიერთცნობის შემდეგ თითქოს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი გვჭირდებოდა, სანამ მთლიანად გადავეშვებოდით ამ სიახლეში. ცოტა ხანში ყველაფერი ხელებით გავუკეთე. ტომის საპასუხოდ არაფერი უქნია, არც რამე ბგერა გამოუცია, უბრალოდ იწვა და მშვიდობიანად გამოიყურებოდა.

მაშინაც კი, ამ პირველ ჯერზე, უკვე რაღაც იყო, რაღაც შეგრძნება ჩვენი მოქმედების პარალელურად, რომელიც გვეუბნებოდა, რომ ეს დასაწყისია, რაღაცისკენ გამავალი კარიბჭე. დიდხანს არ მინდოდა აღიარება და, როცა ვაღიარე, მაინც ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ საქმე ისეთ რამესთან მქონდა, რომელიც ტომის ტკივილებთან ერთად დამთავრდებოდა. იმას ვგულისხმობ, რომ პირველივე ჯერიდან ტომის ქცევაში იყო რაღაც გამოკვეთილად მწუხარე. თითქოს ამბობდა: „ჰო, ამას ვშვრებით და ძალიანაც კარგი, რომ ვშვრებით, მაგრამ დასანანი, რომ ასე დაგვიგვიანდა“.

მოგვიანებითაც, წესიერი სექსი რომ გვქონდა და თავს ბედნიერად ვგრძნობდით, სიმძიმის ეს გრძნობა მუდმივად თან გვდევდა. ყველაფერი ვიღონე მის მოსაშორებლად. არაფერს ვიშურებდი, ყველაფერი რომ დაბინდულიყო და სხვა აღარაფრისთვის დაგვრჩენოდა ადგილი. როცა ტომი ზემოდან იყო, ფეხებს მისთვის პირდაპირ მაღლა ვიშვერდი. ნებისმიერ სხვა პოზაშიც ყველაფერს ვამბობდი და ვაკეთებდი, რაც, ჩემი აზრით, სექსს გაგვიუმჯობესებდა და ვნებას შემატებდა. მაგრამ ის განცდა ბოლომდე მაინც არასოდეს ქრებოდა.

შეიძლება ოთახის ბრალიც იყო. დახორკლილ მინაში მზე შუა ზაფხულშიც ისე შემოდოდა, თითქოს უკვე შემოდგომა იდგა. შესაძლოა იმიტომ, რომ უწესრიგო ხმები, დროდადრო რომ ჩაგვესმოდა საწოლზე გართხმულებს, აქეთ-იქით მოსიარულე დონორებს ეკუთვნოდა და არა მწვანე მინდორში ნოველებსა თუ პოეზიაზე მოსაუბრე სტუდენტებს. იმის ბრალიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ხანდახან ყველაფერი იდეალურად რომ გამოგვივიდოდა, ერთმანეთის მკლავებში ჩავწვებოდით, რაღაც ნაწყვეტები ჯერ კიდევ თავში გვიტრიალებდა იქიდან, რაც ეს-ესაა გამოგვევლო, ტომი კი რამე ამდაგვარს იტყოდა: „უწინ ორჯერ ზედიზედ ადვილად გამომდიოდა. ახლა აღარ შემიძლია“. შემდეგ ეს გრძნობა ყველაფერს ჩრდილავდა და ტომისთვის პირზე ხელის დაფარება მიწევდა, უბრალოდ, მშვიდად წოლა რომ გაგვეგრძელებინა. ეჭვი არ მეპარება, ტომიც იმავეს გრძნობდა, რადგან ასეთი შემთხვევების შემდეგ ერთმანეთი ყოველთვის მყარად გვყავდა ჩაბლუჯული. თითქოს ამ გზით არ ვუშვებდით ახლოს ცუდ განცდას.

ჩემი ჩასვლის პირველ კვირებში მადამი და იმდღევანდელი საუბარი რუთთან თითქმის არ გვიხსენებია. თუმცა ის, რომ ტომის მომვლელი გავხდი, თავისთავად გვახსენებდა – დასაკარგი დრო აღარ გვქონდა. ასევე გვახსენებდა ამას ტომის დახატული ცხოველები.

ამ ცხოველებზე ბევრი მიფიქრია წლების განმავლობაში. იმ დღესაც, ნავის სანახავად რომ წავედით, მომინდა მეკითხა მათ შესახებ. კიდევ ხატავდა? კოტეჯებში რაც

დაეხატა, ის თუ შეინახა? მაგრამ ცხოველებთან დაკავშირებული მთელი ეს ისტორია შეკითხვის დასმას მიძნელებდა.

ერთ საღამოს, მომვლელობის დაწყებიდან, ასე, ერთი თვის თავზე, ტომის ოთახში ავედი. თავის სასკოლო მერხთან დამხვდა. ფრთხილად ათვალთვლებდა ნახატს. თითქმის სახით ეხებოდა ფურცელს. კაკუნზე შემიპატიჟა, მაგრამ როცა შევედი, თავი არ აუწევია. დანახვისთანავე მივხვდი, რომ თავის ერთ-ერთ წარმოსახვით არსებაზე მუშაობდა. კარის ზღურბლზე შევჩერდი. ვერ გადაამეწყვიტა, შევსულიყავი თუ არა. ბოლოს ტომიმ დახურა ბლოკნოტი, რომელიც – შევამჩნიე – იმ შავი ბლოკნოტებისნაირი იყო, კეფერსმა რომ მისცა წლების წინ. შევედი და სრულებით სხვა თემაზე ავლაპარაკდით. მალე თავისი ბლოკნოტი ისე გადადო, ცხოველები არც გვიხსენებია. ამის შემდეგ ხშირად მხვდებოდა ოთახში შესულს მერხზე დატოვებული ან ბალიშთან ჩავარდნილი ბლოკნოტი.

ერთხელაც ტომის ოთახში რამდენიმე წუთი გაგყავდა, სანამ სამედიცინო შემოწმებას დავიწყებდით. ამ დროს მის ქცევაში რაღაც უცნაურობა შევნიშნე: რაღაც გაუბედავი, თუმცაღა უკვე განზრახული. მეგონა, სექსს ითხოვდა. მერე თქვა: – მსურს, გულახდილად მითხრა, ქეით.

მერხიდან შავი ბლოკნოტი გამოიღო და მანახვა სამი სხვადასხვა ესკიზი, რომლებზეც ბაყაყის მსგავსი არსებები დაეხატა. გრძელი კუდები ჰქონდათ, თითქოს ზოგი მათგანი თავკომბალად დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში, შორიდან ამას ჰგავდა. ახლოდან კი თითოეული არსება პაწაწვინტელა დეტალების გროვას წარმოადგენდა, – იმ არსებებზე, უწინაც რომ მენახა.

– ამ ორს რომ ვაკეთებდი, ვფიქრობდი, ესენი რკინისა არიან-მეთქი. აი, ყველაფერს პრიალა ზედაპირი აქვს. აი, ეს კი, ვცადე, რეზინისა გამეკეთებინა. ხედავ? თითქმის რბილია. ახლა კი საბოლოო ვერსიის გაკეთება მინდა, მართლა კარგის, მაგრამ ვერ გადამიწყვეტია. რას ფიქრობ გულწრფელად, ქეით?

არ მახსოვს, რა ვუპასუხე. მახსოვს მხოლოდ ემოციების ძლიერი მოზღვავება, რომელმაც წამლეკა. ეს იყო ტომის ნახატებთან დაკავშირებით კოტეჯებში მომხდარი სკანდალის უკან ჩამოტოვების მისეული გზა. ვიგრძენი შვება, მადლიერება და აშკარა სიამოვნება. ისიც ვიცოდი, კიდევ ერთხელ რატომ ამოტივტივდნენ ცხოველები, ვიცოდი ტომის თითქოსდა უბრალო შეკითხვის უკან მდგარი ყველა შესაძლო აზრი. იმას მაინც ვხედავდი, რომ ტომი მიჩვენებდა – არ დამვიწყებიაო, მიუხედავად იმისა, რომ გულახდილად თითქმის არაფერზე გვისაუბრია. მიჩვენებდა, რომ თვითკმაყოფილებით არ იყო შეპყრობილი და თავისი წილი შეჰქონდა მთლიანის მომზადებაში.

მხოლოდ ეს არ მიგრძნია ამ განსაკუთრებული ბაყაყების ცქერისას იმ დღეს. ის ისევ იქ იყო, – ჯერ სუსტად, უკანა პლანზე, მაგრამ უფრო და უფრო იზრდებოდა, ისე, რომ მოგვიანებით ერთთავად მაფიქრებდა. ვცადე, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. როგორც კი ამ ფურცლებს შევხედე, აზრიც შემომიპარა. თითქოს ტომის ნახატები უწინდებურად ცინცხალი აღარ იყო. ჰო, ბევრი ასპექტით, ბაყაყები ძალიან ჰგავდნენ იმათ, რაც კოტეჯებში მენახა. თუმცა მას შემდეგ რაღაც გამქრალიყო. ისეთი დამუშავებული იყო, თითქოს ასლი გადაუღლიათო. ჰოდა, ის გრძნობაც დამიბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი დავსხლტომოდი, გრძნობა, რომ ყველაფერს

დაგვიანებით ვაკეთებდით; რომ ამის დრო ხელიდან გავუშვით და ჩვენს ამჟამინდელ გეგმებსა და ფიქრებში რაღაც სასაცილოც იყო და დასაძრახიც.

ახლა რომ ვიხსენებ, ვფიქრობ, შეიძლებდა ესეც იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენს გეგმებს ერთმანეთს იოლად ვერ ვუზიარებდით. ეჭვგარეშეა, კინგსფილდის სხვა დონორებს გადავადების მსგავსი რამ არც კი სმენოდათ. ამიტომაც, ცოტათი გვრცხვენოდა კიდეც, თითქოს სამარცხვინო საიდუმლოს ვატარებდით. იქნებ შედეგებისაც გვეშინოდა, თუ ამ საიდუმლოს გაგვიგებდნენ.

თუმცა, როგორც ვთქვი, არ მინდა კინგსფილდში გატარებული დრო ზედმეტად პირქუშად აღვიწეროთ. იმ დღის შემდეგ, ტომიმ თავის ცხოველებზე რომ მკითხა, თითქოს წარსულის ჩრდილები მთლად გაქრა და ჩვენც ბოლომდე ავუწყვეთ ფეხი ერთმანეთს. ნახატებზე ჩემი აზრი აღარ უკითხავს, მაგრამ ჩემი თანდასწრებით ხატვა მუდამ სიამოვნებაა. ხშირად ვატარებდით ნაშუადღევებს ასე: მე საწოლზე ვიწევი, ხანდახან ხმამაღლა ვკითხულობდი, ტომი კი მერხთან იჯდა და ხატავდა.

შეიძლება, უფრო დიდხანსაც გვნდომოდა ასე ყოფნა – უფრო მეტი დრო რომ გვექონოდა საუბრისთვის, სექსისთვის, ხმამაღლა კითხვისა თუ ხატვისთვის. ზაფხული მთავრდებოდა, ტომი ძალას იკრებდა, მისი მეოთხე ოპერაციის უწყების მოსვლის შანსი კი უფრო და უფრო იზრდებოდა. ვიცოდით, რაღაც-რაღაცებს სულ ასე, განუსაზღვრელად, ვერ გადავდებდით.

უკიდურესი მოუცლელობის გამო, კინგსფილდში თითქმის ერთ კვირას ვეღარ ჩავედი. ერთ დილას, როგორც იქნა, ჩავაღწიე. მახსოვს, თავსხმა წვიმა იყო. ტომის ოთახში თითქმის ბნელოდა. მის ფანჯარასთან ახლოს წვიმის წყლის ღარიდან თქრიალი ისმოდა. ტომის მთავარ ჰოლში კოლეგა დონორებთან ერთად ესაუბმა და ოთახში დაბრუნებულიყო. ლოგინზე ჩამომჯდარი დამხვდა. არაფერს აკეთებდა, უქმად მყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კარგა ხნის უძილო და გადაქანცული შევედი, მის ვიწრო საწოლზე შევხტი და ტომი კედლისკენ მივაჩოჩე. ასე ვიწევი რამდენიმე წუთს. ტომის ფეხის თითით რომ არ ეწვალებინა ჩემი მუხლები, შეიძლებოდა ჩამძინებოდა კიდეც. ბოლოს გვერდით წამოვუჯექი და ვუთხარი: – გუშინ მადამი ვნახე, ტომი. არ დავლაპარაკებია. უბრალოდ ვნახე.

შემომხედა, თუმცა არაფერი უთქვამს.

– დავინახე, როგორ ამოიარა ქუჩაზე და როგორ შევიდა თავის სახლში. რუთს სწორად გაუგია: მისამართი, კარი, ყველაფერი.

შემდეგ ავუწიერე, როგორ წავედი წინა საღამოს ლითლჰემპტონში, რაკი უამისოდაც სამხრეთ სანაპიროზე ვიყავი; როგორ ჩავუყევი – ბოლო ორი შემთხვევის მსგავსად – ზღვისპირა გრძელ ქუჩას; როგორ გავცდი ტერასიან სახლებს „ტალლის ქიმი“, „ხედი ზღვაზე“ და სხვა მსგავსი სახელებით, სანამ მივადექი სახალხო სკამს ტელეფონის ჯიხურის გვერდით. დავჯექი და დავიცადე, როგორც ადრე, გზის გადაღმა მდგარ სახლზე თვალმიშტერებულმა.

– ზუსტად როგორც დეტექტივებში ხდება, – განვაგრძე მე, – წინა ორ მისვლაზე საათ-ნახევარზე მეტ ხანს ვიჯექი და არაფერი, საერთოდ არაფერი. თუმცა გული მიგრძნობდა, რომ ამჯერად გამიმართლებდა. ისეთი დაღლილი ვიყავი, კინაღამ სკამზე ჩამეძინა. მერე კი თავი ავწიე და დავინახე: ქუჩას მოუყვებოდა. ზუსტად

უწინდელივით გამოიყურებოდა. შემეშინდა კიდეც. შეიძლება სახე მოჰბერებოდა ოდნავ. სხვა განსხვავებას ვერ შეამჩნევდი. იგივე ტანსაცმელი. ის კოხტა, ნაცრისფერი კოსტიუმი.

– ზუსტად ის კოსტიუმი ვერ იქნებოდა.

– არ ვიცი. თითქოს ის იყო.

– მერე? დალაპარაკება თუ სცადე?

– რა თქმა უნდა, არა, სულელო. დინჯად უნდა ვიმოქმედოთ. მაინცდამაინც კეთილად არასოდეს მოგვეპყრობია, გახსოვს?

მოვუყევი, როგორ ჩაიარა მადამმა ქუჩის მეორე მხარეს, ისე, რომ არ გამოუხედავს. როგორ ვიფიქრე წამით, რომ იმ კარსაც გასცდებოდა, რომელსაც ვუყურებდი, რომ რუთმა მცდარი მისამართი გაიგო. არა, მადამმა ჭიშკართან შეუხვია, პატარა შესასვლელი ბილიკი ორ-სამ ნაბიჯში დაფარა და კარს მიღმა გაუჩინარდა.

მოყოლას რომ მოვრჩი, ტომის ერთხანს ხმა არ ამოუღია. მერე მითხრა: – დარწმუნებული ხარ, რომ უსიამოვნებები არ შეგემთხვევა? სულ ისეთ ადგილებზე დადიხარ, სადაც არ უნდა იყო.

– შენი აზრით, რატომ ვარ ასეთი დაღლილი? ვირივით ვიმუშავე, ყველაფერი რომ მომესწრო. ახლა ვიპოვეთ მაინც.

გარეთ ისევ წვიმა ხმაურობდა. ტომი შემობრუნდა და თავი მხარზე დამადო.

– რუთმა კარგი საქმე გაგვიკეთა, – თქვა რბილად, – ანუ, სწორად გაუგია.

– ჰო, სწორად. დანარჩენი ჩვენზეა.

– რა უნდა ვქნათ? გეგმა გვაქვს?

– უბრალოდ მივალთ. მივალთ და ვკითხავთ. მომდევნო კვირას, გამოკვლევაზე რომ წაგიყვან ლაზორატორიაში, ერთი დღით შენს თავს გავათავისუფლებინებ და უკანა გზაზე ლითლჰემპტონში შევივლით.

ტომიმ ამოიხვნეშა და თავი კიდეც უფრო შემომიცურა მხარზე. ვინმეს რომ ენახა, იფიქრებდა, უენტუზიაზმოდ არისო, მე კი ვიცოდი, რას გრძნობდა. რამდენ ხანს გვიფიქრია გადავადებაზე, გალერეის თეორიასა და ამ ყველაფერზე და, აი, უეცრად კარზე მოგვადგა. მართლაცდა, ცოტა სახიფათო იყო.

– თუ გამოგვივა, – დაიწყო, – წარმოიდგინე, რომ გამოგვივიდა. წარმოიდგინე, რომ, ვთქვათ, სამი წელი მოგვცა ერთმანეთისთვის. მერე რას ვიზამთ? მიმიხვდი, ქეით? სად წავალთ. აქ ვერ დავრჩებით, ეს ცენტრია.

– არ ვიცი, ტომი. შეიძლება კოტეჯებში დავგაბრუნონ, შეიძლება – უაიტ მენშენში. შეიძლება სხვა ადგილიც ჰქონდეთ სადმე, ცალკე, ჩვენწაირებისთვის. ვნახოთ, რას გვეტყვის.

კიდევ რამდენიმე წუთს ლოგინზე ჩუმად ვიწექით და წვიმას ვუსმენდით. ცოტა ხანს ტომის ფეხით ვუკაკუნებდი, როგორც თვითონ შვრებოდა მანამდე. ბოლოს მიბიძგა და ფეხები ერთბაშად გადამიყარა საწოლიდან.

– მართლა თუ წავალთ, ცხოველებზეც უნდა გადავწყვიტოთ. ანუ საუკეთესოები ავარჩიოთ და თან წავილოთ. ექვსი ან შვიდი. კარგად უნდა შევარჩიოთ.

– კეთილი, – მივუგე მე, ავდექი და მკლავები გავჭიმე, – შეიძლება მეტიც წავილოთ. თხუთმეტი. ოციც კი. ჰო, წავალთ და მადამს ვნახავთ. რას გვიზამს? მივალთ და დაველაპარაკებით.

თავი ოცდამეერთე

წასვლის წინა დღეებში გამუდმებით წარმოვიდგენდი ტომის და ჩემს თავს კარის წინ, ზარის დასარეკად გამბედაობის მოკრების პროცესში, მერე კი – გულისფანცქალით მომლოდინეებს. თუმცა, სინამდვილეში, ეს კონკრეტული წამება აგვცდა.

არცთუ საუკეთესოდ განვითარებული დღიური მოვლენების ფონზე ცოტაოდენი იღბალი დავიმსახურეთ. იქითობისას მანქანამ გვიმუხთლა და ტომის ტესტებზე ერთი საათით დაგვაგვიანდა. შემდეგ, კლინიკის რაღაც შიდა მოუწესრიგებლობის მიზეზით, ტომის სამი ტესტის თავიდან გავლა მოუხდა. ამ ყველაფერმა ცოტათი გააბრუა და, საღამოს, ლითლჰემპტონისკენ რომ დავიძარით, გულისრევამ შეაწუხა. ამ შეგრძნების მოსაშორებლად წამდაუწუმ გაჩერება გვიწევდა.

ექვსი საათი ხდებოდა, დანიშნულების ადგილზე რომ ჩავედით. მანქანა ბინგოს კლუბის უკან დავაყენეთ. საბარგულიდან ტომის ბლოკნოტებიანი სპორტული ჩანთა ამოვიღეთ და ქალაქის ცენტრისკენ გავემართეთ. კარგი ამინდი იყო. მაღაზიები უკვე იკეტებოდა, მაგრამ პაბების გარეთ მაინც ბევრი ხალხი ისხდა. სვამდნენ და საუბრობდნენ. რაც მეტს დავდიოდით, მით უკეთ გრძნობდა თავს ტომი. ბოლოს გაახსენდა, რომ ტესტების გამო ლანჩი გაუცდა და, სანამ დღევანდელ განსაცდელს შეეჭიდებოდა, უნდა ეჭამა. ჰოდა, წასაღები სანდვიჩის დახლს ვეძებდით, რომ უეცრად ხელში ჩამეჭიდა. ისე მომიჭირა, ვიფიქრე, რაღაცის შეტევა დაეწყო-მეთქი. ტომიმ კი ყურში ჩამჩურჩულა: – ის არის, ქვით! შეხედე. საპარიკმახეროსთან მიდის.

ტომი არ შემცდარა. ძველებურ კოხტა, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი მადამი მოპირდაპირე ტროტუარზე მიაბიჯებდა.

გარკვეული დისტანცია დავიჭირეთ და გავყევით. ჯერ შენობებს შორის, საცალფეხო ქუჩაზე, მერე თითქმის დაცარიელებულ მთავარ ქუჩაზე. მგონი, ორივეს გაგვახსენდა ის დღე, სხვა ქალაქის ქუჩებში რუთის შესაძლებელს რომ დავყვებოდით. ამჯერად დევნა უფრო იოლი გამოდგა, რადგანაც მალე მადამმა იმ გრძელ სანაპირო ქუჩაზე გაგვიყვანა.

ქუჩა სწორი იყო და მთელ სიგრძეზე ჩამავალი მზის შუქი ანათებდა. მე და ტომი მივხვდით, რომ შეგვეძლო მადამი უფრო შორსაც გაგვეშვა, სანამ თითქმის წერტილადღა გამოჩნდებოდა, და მაინც არ დაგვეკარგებოდა. ის კი არა, თვით მისი

ქუსლების ექოც არ დაგვკარგვია, ექო, რომელსაც თავისებურად ეხმიანებოდა ტომის ბარძაყზე ჩანთის მიბაგუნების ყრუ და რიტმული ბგერა.

კარგა ხანს მივუყვებოდით ერთნაირი სახლების მწკრივებს. ერთ ტროტუარზე სახლები შეცვალა ბრტყელმა გაზონებმა, რომელთა მიღმა პლაჟის ფანჩატურების წვეტები იკვეთებოდა. თვითონ წყალი არ ჩანდა, მაგრამ თვალუწვდენელი ცითა და თოლიების ჭყვივლით მიხვდებოდით, რომ ახლოს იყო.

მეორე ტროტუარზე სახლები უცვლელად გრძელდებოდა. მალე ტომის ვუთხარი: – ცოტა დაგვრჩა. იმ სკამს თუ ხედავ? მაგაზე ვიჯექი. სახლი მაგის პირდაპირ დგას.

სანამ ამას ვეტყოდი, ტომი მშვიდად მოაბიჯებდა. ახლა კი თითქოს რაღაც ეტაკა. ნაბიჯს ისე უმატა, თითქოს მადამის დაწევა განიზრახა. ამჯერად ჩვენ და მადამს შორის აღარავინ იყო. ტომი დისტანციას ამცირებდა, მე კი მისი მკლავით დაჭერა და შეკავება მიწევდა. სულ მეშინოდა, ახლა მადამი მოტრიალდება და დაგვინახავს-მეთქი. მაგრამ არა, არ ტრიალდებოდა. ცოტაც და, უკვე თავის ჭიშკარში შედიოდა. კართან გაჩერდა და ჩანთაში გასაღებს დაუწყო ძებნა. ამასობაში ჩვენც მივედით. ჭიშკართან ვიდექით და მადამს ვუყურებდით. ისევ არ ტრიალდებოდა. ვიფიქრე, თავიდანვე შეგვნიშნა და განზრახ არ ტრიალდება-მეთქი. ისიც ვიფიქრე, რომ ტომი რაღაცას დაუყვირებდა და დიდ შეცდომასაც დაუშვებდა. ამიტომაც გავძახე ჭიშკრიდან ასე სწრაფად და უყოყმანოდ მხოლოდ მოკრძალებული „უკაცრავად!“. მადამი ისე მკვეთრად მობრუნდა, თითქოს რაღაც მესროლოს. რომ შემოგვხედა, შემაცია, დაახლოებით ისე, როგორც წლების წინ, მთავარ შენობასთან რომ ჩავუსაფრდით. თვალეები ისევ ისეთი ცივი ჰქონდა, სახე – უფრო მკაცრი, ვიდრე მახსოვდა. არ ვიცი, გვიცნო თუ არა იმწამს, მაგრამ უეჭველად დაინახა და მიხვდა, ვინ ვიყავით. თვალნათლივ ჩანდა, როგორ დაიჭიმა, თითქოს ორი დიდი ობობა აპირებდა მისკენ გაცოცებას.

შემდეგ გამომეტყველებაში რაღაც შეეცვალა. გათბა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ უეცარი დაჭიმულობა გაუქრა. ჩამავალ მზეზე თვალმოჭუტულმა, დაკვირვებით დაგვიწყო შესწავლა.

– მადამ, – ვუთხარი ჭიშკარზე დაყრდნობილმა, – თქვენი შოკირება არ გვინდა, მაგრამ ჩვენ... ჰეილშემელები ვართ. მე ქეთი ეიჩი ვარ, თუ გახსოვართ. ეს კი ტომი დია. სამტროდ არ მოვსულვართ.

რამდენიმე ნაბიჯით მოგვიახლოვდა.

– ჰეილშემელები... – თქვა და მის სახეზე ნამდვილად შევნიშნეთ მკრთალი ღიმილი, – არ ველოდი. სამტროდ თუ არ ხართ, მაშინ რისთვის მოხვედით?

ტომი მეყსეულად ჩაერთო: – უნდა დაგელაპარაკოთ. რაღაცები მოვიტანე, – ჩანთა ასწია, – შეიძლება თქვენი გალერეისთვის ისურვოთ. უნდა დაგელაპარაკოთ.

მადამი იდგა და თითქმის არ ინძრეოდა ჩამავალ მზეში. თავი ისე დახარა, თითქოს სანაპიროდან მომავალ რაღაც ხმას აყურადებდეს. მერე ისევ გაიღიმა, ოღონდ თავისთვის და არა ჩვენთვის.

– კარგი, ბატონო. შემობრძანდით და ვნახოთ, რისი თქმა გინდათ.

შესვლისას სადარბაზო კარის ფერადი მინის პანელები შევნიშნე. თუმცა ტომიმ კარი რომ მოხურა, საკმაოდ ჩამოხნელდა. ისეთ ვიწრო დერეფანში აღმოვჩნდით, თითქოს ორივე კედელს მხოლოდ იდაყვების გაშლითაც შევეხებოდით. მადამი წინ გაჩერდა ზურგით ჩვენკენ, თითქოს ისევ რაღაცას უსმენდა. მის მიღმა გავხედე ვიწრო დერეფანს, რომელიც ორად იყოფოდა: მარცხნივ კიბე ადიოდა, მარჯვნივ კი ვიწრო ტალანი უფრო ღრმად იჭრებოდა სახლში.

მადამს მივბაძე და მეც მივაყურადე, მაგრამ სიჩუმის მეტი არაფერი ისმოდა. მერე, სადღაც ზედა სართულზე, ჩუმი დარტყმა გაისმა. ეს ხმა მადამისთვის რაღაცას ნიშნავდა, რადგან მობრუნდა, ბნელ გასასვლელზე მიგვითითა და გვითხრა: – იქ მიდით და დამელოდეთ. მალე ჩამოვალ.

კიბეს აუყვავა. ჩვენი ყოყმანი რომ შენიშნა, მოაჯირზე გადმოიხარა და კვლავ სიბნელისკენ მიგვითითა.

– იქ, – თქვა და ზემოთ გაუჩინარდა.

მე და ტომი წინ წავედით და აღმოვჩნდით იმაში, რაც სასტუმრო ოთახი უნდა ყოფილიყო. თითქოს მოახლის მსგავს ვინმეს ოთახი სადამოსთვის გაემზადებინა, თვითონ კი წასულიყო. ფარდებჩამოფარებულ ოთახში მაგიდის მქრქალი ნათურები ენთო. ძველი ავეჯის სუნი ვიგრძენი, სავარაუდოდ – ვიქტორიანულის. ბუხარი დაფით იყო ამოქოლილი. ცეცხლის ადგილას კი ხალიჩასავით ნაქსოვი ბუს მსგავსი ფრინველის სურათი იდო. პირდაპირ გვიყურებდა იქიდან. ტომი მკლავზე შემეხო და პატარა მრგვალი მაგიდის იქით ჩარჩოში ჩასმულ სურათზე მიმითითა.

– ჰეილშემია, – მითხრა ჩურჩულით.

მივუახლოვდით, მაგრამ ვერ დავრწმუნდი. აკვარელით შესრულებული სასიამოვნო ნახატი იყო, მაგრამ მის ბნელ მინაში იქვე მდგარი ლამპის აბლაბუდიანი აბაჟური ირეკლებოდა და თითქმის არაფერი ჩანდა.

– იხვების ტბორის გაღმა ნაპირის ხედია, – თქვა ტომიმ.

– რას გულისხმობ? – მივუგე ჩურჩულით, – ტბორი არ ჩანს. უბრალოდ, სოფლის ხედია.

– არა, ტბორი უკან არის დარჩენილი, – ტომი უცნაურად გაღიზიანდა, – უნდა გაიხსენო. ტბორი უკან მოიქცე და ჩრდილოეთის სათამაშო მოედანს გახედე...

სახლში ისევ რაღაც ხმები გაისმა და ჩვენც გავჩუმდით. კაცის ხმას ჰგავდა. შეიძლება ზედა სართულიდან მოდიოდა. შემდეგ მადამის ხმა გავიგონეთ, კიბეზე ჩამოდიოდა: – ჰო, მართალი ხარ, მართალი.

მის შემოსვლას ველოდით, მაგრამ ნაბიჯის ხმამ კარს ჩაუარა და სახლის უკანა მხარეს გავიდა. ვიფიქრე, ალბათ, ჩაის გააკეთებს და ქერის კვერებთან ერთად, საგორავებელი მაგიდით შემოიტანს-მეთქი. მაგრამ მალევე გადავიფიქრე: „ალბათ, გადავავიწყდით, ახლავა გავახსენდით, შემოვა და სახლიდან გავგყრის“. მერე კაცის უხეშმა ხმამ ზემოდან რაღაც დაიძახა. ისე მოგუდულად ისმოდა, შეიძლება ორი სართულით მაღლაც ყოფილიყო. მადამის ფეხის ხმა დერეფანში დაბრუნდა.

– გითხარი, რა უნდა ქნა. გააკეთე, – ზემოთ ასძახა მან.

მე და ტომიმ კიდევ რამდენიმე წუთს დავიცადეთ. უცებ ოთახის უკანა კედელი ამოძრავდა. თითქმის მაშინვე მივხვდი, რომ საქმე მართლა კედელთან კი არ მქონდა, არამედ ორ გასაცურებელ კართან, რომლებსაც ერთი გრძელი ოთახის წინა ნაწილის გადასატახრავად იყენებდნენ. მადამმა კარი მხოლოდ ნაწილობრივ გააღო, თვითონ დადგა და მოგვაჩერდა. მის უკან გახედვა ვცადე, მაგრამ იქ მხოლოდ სიბნელე ჩანდა. ვიფიქრე, ელოდება, როდის ავუხსნით ჩვენი მოსვლის მიზეზს-მეთქი. მაგრამ ბოლოს თვითონ დაიწყო: – თქვენ მითხარით, ქეთი ეიჩი და ტომი დი ვართო, ჰო? რამდენი ხნის წინ იყავით ჰეილშემში?

ვუპასუხე. ვერ გამერკვია, ვახსოვდით თუ არა. ისევ იქ, ზღურბლზე იდგა, თითქოს შემოსვლა-არშემოსვლაზე ყოყმანობდა. ამჯერად ტომი ალაპარაკდა: – თქვენი დიდი ხნით დაკავება არ გვინდა, მაგრამ რაღაცაზე უნდა დაგელაპარაკოთ.

– კეთილი. როგორც იტყვით. მაშინ, ჯობია, კარგად მოთავსდეთ.

ხელები გამოსწია და ზურგებზე დააწყო ორ ერთნაირ სავარძელს. ეს შესტი რაღაც უცნაურად გააკეთა, თითქოს არ უნდოდა ჩვენი დასმა. ვიგრძენი: თუ შემოთავაზებას მივიღებდით და დავსხდებოდით, მადამი ჩვენ უკან დარჩებოდა და სკამის საზურგეებიდან ხელებს არც კი აიღებდა. თუმცა, მისკენ რომ წავედით, თვითონაც გამოემართა. შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ ჩვენ შორის რომ გადიოდა, თითქოს მხრები შესწია. დასაჯდომად რომ მოვბრუნდით, ფანჯრებზე ჩამოფარებულ ხავერდის მძიმე ფარდებთან იდგა და ისე გვიყურებდა, როგორც მასწავლებელი უყურებს მოსწავლეებს. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მომეჩვენა. შემდგომში ტომიმ მითხრა: მეგონა, მადამი სიმღერას დაიწყებდა, მის უკან ფარდები აიწეოდა, ქუჩისა და ზღვისპირისაკენ მიმავალი გაშლილი, ბალახიანი სივრცის სანაცვლოდ დიდი სცენა გამოჩნდებოდა, ისეთი, ჰეილშემში რომ იყო, და ამ სცენაზე მომღერალთა გუნდიც კი იდგებოდაო. მეცინებოდა, როცა ვიხსენებდი ერთმანეთს ჩაჭიდებულ მის ხელებს, ფართოდ გაშლილ იდაყვებს, თითქოს მართლაც სამღერად ემზადებოდა. ისე, არა მგონია, ასეთი რამ ტომის მაშინვე ეფიქრა. მახსოვს, როგორ აღელდა და, თანაც, დაიძაბა. ეშინოდა, რამე უადგილო არ წამოვაცრანტალოო. ამიტომაც, როცა მადამმა არცთუ უჟმურად გვკითხა, რაზე გასურთ ლაპარაკიო, მე სწრაფად დავიწყე.

თავიდან, ალბათ, ცოტა გაუგებრად ვლაპარაკობდი, მერე კი, როცა დავრწმუნდი, რომ მადამი ბოლომდე მომისმენდა, დავწყნარდი და სიტყვებიც დავალაგე. მთელი კვირების განმავლობაში ვატრიალებდი თავში, რას და როგორ ვეტყოდი. ვატრიალებდი ხანგრძლივი მგზავრობის დროს თუ ავტოგასამართი სადგურების კაფეების ჩუმ მაგიდებთან ჯდომისას. მაშინ ისე რთულად მეჩვენებოდა, რომ, საბოლოოდ, გეგმის მოხაზვა გადავწყვიტე: რამდენიმე უმნიშვნელოვანეს წინადადებას ლექსივით დავიზეპირებდი, მერე კი ერთი წერტილიდან მეორემდე მისვლის ლოგიკურ გზას მოვხაზავდი. ახლა მადამი წინ მეჯდა და ჩემ მიერ მომზადებული მასალის უდიდესი ნაწილი არასაჭიროდ მეჩვენა, ნაწილი – არასწორად. უცნაური ის იყო (ამას მოგვიანებით ტომიც დაეთანხმა), რომ მადამი, თავისი გარეგნულად მტრული და უცხო ხასიათის მიუხედავად, ახლა ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ, ბევრად უფრო ახლობელ ადამიანად მეჩვენა, ვიდრე ბოლო წლებში ნანახი ნებისმიერი სხვა ვინმე. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა სითბოს გამოსახატავად არაფერი უთქვამს და არაფერი უქნია. ამიტომაც, უეცრად ყველაფერი, რასაც გონებაში ვამზადებდი, ერთად დაიძრა. ისე გულახდილად და მარტივად

ველაპარაკე, როგორც, ალბათ, წლების წინ მასწავლებელს დაველაპარაკებოდი. ვუთხარი, რა ჭორები გვსმენოდა ჰეილშემელებზე და გადავადებაზე. ისიც ვთქვი: გვესმის, რომ ჭორები შეიძლება დამახინჯებული იყოს, ამიტომაც მათზე დიდ იმედებს არ ვამყარებთ-მეთქი.

- თუნდაც ეს სინამდვილეს შეეფერებოდეს, გვესმის, რომ დადლილი ხართ იმ წყვილებისგან, რომლებიც ჭეშმარიტ შეყვარებულობას გიმტკიცებენ. მე და ტომი დარწმუნებული რომ არ ვიყოთ, არ მოვიდოდით და არ შეგაწუხებდით.

- დარწმუნებული? - უკვე კარგა ხანი იყო, მადამს არაფერი ეთქვა და ორივე მოულოდნელობისგან შევკრთით, - დარწმუნებული ვართო, იმახით? დარწმუნებული, რომ ერთმანეთი გიყვართ? როგორ შეიძლება ეს იცოდეთ? სიყვარული ეგეთი ადვილი გგონიათ? ანუ, ერთმანეთი გიყვართ. ძალიან გიყვართ. მაგას მეუბნებით?

თითქმის სარკაზმით გველაპარაკებოდა, მაგრამ შემდეგ მის თვალეში ცრემლების კვალი შევნიშნე. შევცბი. ხან ერთს გვიყურებდა, ხან მეორეს.

- გჯერათ, რომ ძალიან გიყვართ ერთმანეთი? და ამიტომაც ამ... გადავადებისთვის მოხვედით ჩემთან? რატომ? რატომ მოხვედით?

ეს ისე არ უკითხავს, რომ ჩვენი ჩანაფიქრის უაზრობა მეგრძნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს განადგურებულადაც ვიგრძნობდი. მაგრამ მთლად ასეც არ უთქვამს. უფრო გამომცდელ კითხვას ჰგავდა, კითხვას, რომლის პასუხი თვითონვე იცოდა. თითქოს იგივე რუტინა უწინ სხვა წყვილებთანაც ჩაეტარებინა. ამან დამიტოვა იმედი. ტომი კი, ეტყობა, შეშფოთდა და საუბარში ჩაერთო: - თქვენი გალერეის გამო მოვედით. გვგონია, რომ ვიცით, რისთვისაც არსებობს.

- ჩემი გალერეის? - მადამი ზურგით ფანჯრის რაფას მიეყრდნო, ფარდა შეარხია და ნელა ჩაისუნთქა, - ჩემი გალერეა. ალბათ, ჩემს კოლექციას გულისხმობთ. ნახატები, ლექსები და ყველაფერი, რასაც თქვენგან წლების განმავლობაში ვაგროვებდი. ჩემთვის მძიმე სამუშაო იყო, მაგრამ ჩვენ მისი გვჯეროდა. მაშინ ყველას სჯეროდა. ანუ, ფიქრობთ, რომ იცით, რატომ ვაკეთებდით ამას. საინტერესო იქნება თქვენი მოსმენა. რადგან ჩემს თავს სულ მაგას ვეკითხები, - მადამის მზერამ სწრაფად გადმოინაცვლა ტომიდან ჩემზე, - ძალიან შორს ხომ არ მივდივარ?

არ ვიცოდი, რა მეთქვა, და უბრალოდ მივუგე: - არა, არა.

- ზედმეტი მომივიდა. მაპატიეთ. ამ თემაზე ხშირად მომდის ზედმეტი. დაივიწყეთ ჩემი ბოლო სიტყვები. ახალგაზრდავ, რაღაც უნდა გეთქვათ ჩემს გალერეაზე. გთხოვთ. გისმენთ.

- იმისთვის, რომ გარჩევა შეგძლებოდათ, - მიუგო ტომიმ, - რაღაც ხელჩასაჭიდი რომ გქონოდათ. სხვაგვარად რას იზამდით, როდესაც სტუდენტები მოგადგებოდნენ და გეტყოდნენ, შეყვარებულები ვართო?

მადამის მზერამ ისევ ჩემზე გადმოინაცვლა. მომეჩვენა, რომ მკლავზე მიყურებდა. დავიხედე კიდევ სახელოზე, სკლინტი ან რამე ხომ არ მაქვს-მეთქი. შემდეგ მითხრა: - და გგონიათ, რომ თქვენს ნამუშევრებს მაგ მიზნით ვაგროვებდი? ჩემი გალერეა,

როგორც ყველანი უწოდებდით. ვიცინე, როცა პირველად გავიგე, რომ გალერეას ეძახდით. მერე კი, დროთა განმავლობაში, მეც ასე დავიწყე კოლექციის აღქმა. ჩემი გალერეა. და როგორ? ამიხსენით, ახალგაზრდავ, როგორ დამეხმარებოდა ჩემი გალერეა ნამდვილი შეყვარებულების დანახვაში?

– ჩვენი სამყაროს დანახვაში დაგეხმარებოდათ, – მიუგო ტომიმ, – რადგან...

– რა თქმა უნდა! – გააწყვეტინა მადამმა, – თქვენი ხელოვნება თქვენს შინაგან სამყაროს ავლენს! მაგიტომ, ჰო? რადგან თქვენი ხელოვნება თქვენს სულს წარმოაჩენს! – უცრად ისევ მომიბრუნდა და მკითხა: – ზედმეტი მომივიდა?

ასე მანამდეც მითხრა. ისევ მომეჩვენა, რომ სახელოს რომელიღაც წერტილზე მიყურებდა. თუმცა ახლა იმ პაწია ეჭვმა, რომელიც „ზედმეტი მომივიდა?“-ს პირველად გაგონებისას გამიჩნდა, ზრდა იწყო. კარგად დავაკვირდი მადამს. მან ჩემი გამომცდელი მზერა იგრძნო და ისევ ტომის მიუბრუნდა.

– კარგი. განვაგრძოთ. რას ამბობდით?

– საქმე ისაა, რომ მაშინ ცოტა აჭრილი ვიყავი, – განაგრძო ტომიმ.

– თქვენს ხელოვნებაზე ამბობდით რაღაცას. როგორ წარმოაჩენს ხელოვნება შემოქმედის სულს.

– იმის თქმა მინდა, – თავისი არ დაიშალა ტომიმ, – რომ იმ დროს აჭრილი ვიყავი და ხელოვნებისთვის არ მიმიხედავს. არაფერი შემიქმნია. ახლა ვიცი, რომ უნდა შემექმნა, მაგრამ ძალიან არეული ვიყავი. ასე რომ, თქვენს გალერეაში ჩემი არაფერი გაქვთ. ვიცი, ჩემი ბრალია და, ალბათ, ძალიან დავაგვიანე. მაგრამ დღეს მოვიტანე რაღაცები, – ჩანთა აიღო და ელვის გახსნას შეუდგა, – ზოგი ახლახან შეიქმნა, ზოგიც – კარგა ხნის წინ. ქეითის ნამუშევარი ისედაც გექნებათ. გალერეაში ბევრი რამ გამოგატანათ. არა, ქეით?

წამით ორივე მე მიყურებდა. შემდეგ მადამმა თქვა ძალიან ჩუმად: – საწყალი არსებები... რა გიქენით მთელი ჩვენი სქემებითა და გეგმებით!

ამ სიტყვებს ბოლომდე დააცალა გახმიანება. მეგონა, ისევ ვხედავდი მის თვალებში ცრემლებს. ბოლოს მომიბრუნდა და მკითხა: – განვაგრძოთ ეს საუბარი? კიდევ გნებავთ?

ეს თქვა და ბუნდოვანი აზრი, მანამდეც რომ მქონდა, უფრო გამოიკვეთა. ჯერ „ზედმეტი ხომ არ მომდის?“ და ახლა „განვაგრძოთ?“. შიშით გავაცნობიერე, რომ ეს კითხვები არც ჩემთვის იყო განკუთვნილი, არც ტომისთვის, არამედ ვიღაც სხვისთვის, ვინც ჩვენ უკან, ოთახის ბნელ ბოლოში შეყუჟული გვისმენდა.

ნელა მივბრუნდი და ბნელში შევიხედე. ვერაფერი დავინახე, მაგრამ ხმა გავიგონე, მექანიკური, უჩვეულოდ შორეული ხმა. ეს სახლი თითქოს ბევრად უფრო შორს მიდიოდა სიბნელეში, ვიდრე მეგონა. მერე ჩვენკენ დაძრული სილუეტი დავინახე და ქალის ხმამაც წარმოთქვა: – კი, მარი-კლერ. განვაგრძოთ.

ჯერ კიდევ სიბნელეში ვიყურებოდი, მადამის ქმენის მსგავსი ხმა რომ მომესმა. მე და ტომის ჩაგვიარა და იმ სიბნელეში შევიდა. ისევ გაისმა მექანიკური ხმები. სიბნელიდან

კვლავ ამოყვინთულ მადამს ეტლით მოჰყავდა ვიღაც. ისევ შუაში გაგვიარა. კიდევ ცოტა ხანს ვერ ვხედავდი ეტლში მჯდომის სახეს, რადგან მადამი თავისი სხეულით ფარავდა. მერე ეტლი შემოაბრუნა და უთხრა: – თქვენ დაელაპარაკეთ. თქვენ სანახავად არიან მოსულები.

– ჰო, ვგონებ.

ეტლში სუსტი, დაჩაჩანაკებული სხეული გამოჩნდა. ყველაზე მეტად ხმით ამოვიცანი.

– მის ემილი... – რბილად თქვა ტომიმ.

– დაელაპარაკეთ, – ისე თქვა მადამმა, თითქოს ყველაფრისაგან ხელს იბანდა. თვითონ ეტლის უკან დადგა და თვალები ჩვენ მოგვანათა.

თავი ოცდამეორე

– მარი-კლოდი მართალია, – თქვა მის ემილიმ, – მე უნდა მელაპარაკებოდეთ. მარი-კლოდი ბევრს მუშაობდა ჩვენი პროექტისთვის, რომელიც ისე დამთავრდა, რომ მას რაღაცით გული გაუტეხა. რაც შემეხება მე, რა იმედგაცრუებასაც უნდა განვიცდიდე, არც ისე ცუდად ვგრძნობ თავს. ჩემი აზრით, ისიც დასაფასებელია, რასაც მივაღწიეთ. მაგალითად, თქვენ. ყველაფერი კარგად გამოგივიდათ. ეჭვიც არ მეპარება, ბევრი ისეთის თქმა შეგიძლიათ, რითიც ვიამაყებ. სახელები შემახსენეთ. არა, არა, მაცალეთ. მგონი, გავიხსენებ. შენ ის ცუდხასიათიანი ბიჭი ხარ, ცუდხასიათიანი, მაგრამ დიდგულიანი. ტომი. მართალი ვარ? შენ კი, რა თქმა უნდა, ქეითი ეიჩი ხარ, ჩინებული მომვლელი. შენზე ბევრი გვსმენია. ხომ ხედავთ, მახსოვს. გავბედავ და ვიტყვი, რომ ყველანი მახსოვხართ.

– მერედა, რა ბედენაა ან თქვენთვის, ან მათთვის? – იკითხა მადამმა და ეტლს მოსცილდა, ჩვენ შორის გაიარა და სიბნელეში შევიდა. ალბათ, იმ ადგილის დასაკავებლად, სადაც მანამდე მის ემილი იყო.

– მის ემილი, ძალიან სასიამოვნოა თქვენი ნახვა, – წამოვიწყე მე.

– რა კარგია, ამას რომ ამბობთ. მე გიცანით, თქვენ კი თავისუფლად შეიძლებოდა ვერ გეცნეთ. სხვათა შორის, ქეითი ეიჩი, ახლახან აქ, გარეთ, სკამზე იჯექით, როცა ჩაგიარეთ და ნამდვილად ვერ მიცანით. ჯორჯს შეხედეთ, დიდ ნიგერიელს, მე რომ მიმაგორებდა. ჰო, ჰო, კარგა ხანს უყურებდით მას, ის კი – თქვენ. მე არაფერი ვთქვი და თქვენ ვერ მიცანით. დღეს კი, ამ კონტექსტში, ერთმანეთს ვცნობთ. ახლა, ჩემი ნახვის შემდეგ, ორივე შეცბუნებული ჩანხართ. ამ ბოლო დროს კარგად ვერა ვარ, მაგრამ, ვიმედოვნებ, ეს უცნაური აპარატი საბოლოო გამოსავალი არ არის. ძვირფასებო, სამწუხაროდ, იმდენ ხანს ვერ შევძლებ თქვენთან მასლაათს, რამდენსაც ვისურვებდი. მალე ჩემი ტუმბოს წასაღებად კაცები მოვლენ. ფრიად საინტერესო ნივთია. ჯორჯმა გარშემო დამცავი მასალა ჩაუფინა, მაგრამ მე მაინც წაყოლა დავიჟინე. მაგ ხალხს ვერ ენდობი. უხეშად ექცევიან, მანქანაში აქეთ-იქით ახეთქებენ, მერე კი მათი თანამშრომელი ამტკიცებს, თავიდანვე დაზიანებული იყო. ადრე უკვე შეგვემთხვა ასეთი რამ, ამიტომაც ამჯერად გაყოლა დავიჟინე. მშვენიერი ნივთია, ჰეილშემშიც თან მქონდა და კარგი საფასურის მიღებასაც ვაპირებ. ჰოდა, რომ მოვლენ, ვშიშობ, თქვენი

დატოვება მომიწევს. მაგრამ, ძვირფასებო, ვხედავ, რომ გულისთქმით მოსულხართ. უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ თქვენი ნახვა მახარებს. მარი-კლოდსაც ახარებს, თუმცა მისი გარეგნული იერით ამას ვერ მიხვდებით. ასე არ არის, ძვირფასო? ჰო, თავს იკატუნებს, მაგრამ ასეა. გულზე მოხვდა, რომ გვიპოვეთ და მოხვედით. ოჰ, გაბრაზებულია, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, სტუდენტებო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ახლა კი ვეცდები თქვენს შეკითხვებს ვუპასუხო. ეგ ჭორი უთვალავჯერ მსმენია. ჯერ კიდევ ჰეილშემის დროს წელიწადში ორი-სამი წყვილი მოდიოდა და ჩვენთან დასალაპარაკებლად აქ შემოსვლას ლამობდა. ერთმა მოგვწერა კიდევ. ვფიქრობ, ძნელი არ არის ასეთი დიდი ადგილ-მამულის პოვნა, თუ წესების დარღვევა გადაგიწყვეტია. ჰოდა, ეგ ჭორი თქვენამდეც დიდი ხნით ადრე არსებობდა.

– მის ემილი, – ვთქვი მე, როცა ის გაჩუმდა, – ჩვენ იმის ცოდნა გვსურს, სიმართლეა ეს თუ ჭორი.

რამდენიმე წამს კიდევ გვიყურა, შემდეგ ჩაისუნთქა: – ჰეილშემში, როგორც კი ეს თემა წამოიჭრებოდა, კარგად და საიმედოდ ვახშობდი. ჩვენგან წასული მოსწავლეების ნალაპარაკებს კი რას მოვუხერხებდი? ბოლოს დავრწმუნდი იმაში, რაც მარი-კლოდსაც სჯერა, არა, ძვირფასო? დავრწმუნდი, რომ ეს ჭორი უბრალო, ერთჯერადი ჭორი არ არის, ანუ ისეთი ჭორია, რომელიც სულ თავიდან იქმნება. წყაროსთან მიხვალ, ჩაახშობ, მაგრამ ყოველთვის ამოხეთქავს სხვაგან. ასე დავასკვნენ და ამაზე ღელვას მოვეშვი. მარი-კლოდს არასოდეს აღელვებდა ეს. ფიქრობდა: „თუ ასეთი სულელები არიან, დაე, სჯეროდეთ“. დიახ, მაგ მჯავე სახეებს ნუ მაჩვენებთ. თავიდანვე ასე ვფიქრობდით. მრავალი წლის შემდეგ დავიწყე ფიქრი, რომ იქნებ არ უნდა ვიღელვო. ბოლოს და ბოლოს, მე არაფერი ჩამიდენია. იმ რამდენიმე იმედგაცრუებულ წყვილს კი ყოველივე დანარჩენი მაინც აღარ დაუტოვებს მცდელობის შესაძლებლობას. მათთვის ეს რაღაც საოცნებოა. პატარა ფანტაზია. რა უშავს ამას? თქვენ ორს კი ეს, როგორც ვხედავ, არ გეხებათ. თქვენ სერიოზულები ხართ. თქვენ კარგად გიფიქრიათ. ფრთხილად იმედოვნებდით. თქვენნაირი სტუდენტების შემხედვარე ნამდვილად ვნანობ. სულაც არ მახარებს თქვენი იმედების გაცრუება, მაგრამ ასეა.

ტომის შეხედვა არ მინდოდა. გამოგნებლად მშვიდად ვგრძნობდი თავს. მის ემილის სიტყვებს, წესით და რიგით, უნდა გავენადგურებინეთ. მაგრამ იყო რაღაც უფრო ღრმად მიმნიშნებელი. ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ჯერ არ თქმულიყო. იმის ალბათობაც კი იყო, რომ მის ემილი გვატყუებდა. ჰოდა, ვკითხე: – ანუ, გსურთ, გვითხრათ, რომ გადავადება არ არსებობს? რომ ვერაფერი გაეწყობა?

თავი ნელა გააქნია: – ჭორში სიმართლე არ არის. მაპატიეთ. ასეა.

უეცრად ტომიმ იკითხა: – არც ადრე იყო სიმართლე? ჰეილშემის დახურვამდე?

მის ემილიმ თავის ქნევა განაგრძო.

– ეს არასოდეს ყოფილა სიმართლე, მორნინგდეილის სკანდალამდეც კი. მაშინ ჰეილშემი ყველაფრის უფრო ადამიანურად, უფრო უკეთესად კეთების შუქურად ითვლებოდა, მაგრამ ეს არც მაშინ ყოფილა სიმართლე. ამ მომხიბლავი ჭორის შესახებ ჯობია ყველაფერი ნათლად ითქვას. სულ ეს არის. ვაი, ტუმბოზე ხომ არ მოვიდნენ?

ზარი შეწყდა და კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. ვიწრო დერეფანში კაცები ლაპარაკობდნენ. მაღალი სიბნელიდან გამოვიდა, ოთახი გადაკვეთა და გავიდა. მის

ემილი ეტლიდან გადმოიხარა. გაფაციცებით უსმენდა. შემდეგ თქვა: – ისინი არ არიან. ის საბაგელი კაცია, დეკორაციების კომპანიიდან. მარი-კლოდი მიხედავს. ჰოდა, ჩემო ძვირფასებო, კიდევ რამდენიმე წუთი გვაქვს. სხვა რამეზეც ხომ არ გინდოდათ საუბარი? არადა, ეს ყველაფერი წესდების მკაცრი დარღვევაა და მარი-კლოდსაც არასდროს არ უნდა შემოეყვანეთ შინ. ბუნებრივია, მეც მაშინვე უნდა გამეშვით, როგორც კი გავიგე, რომ აქ იყავით. მაგრამ მარი-კლოდს დიდად აღარ ადარდებს მათი წესდება. გამოგიტყდებით და, არც მე მადარდებს. ასე რომ, თუ კიდევ ცოტა ხანს გასურთ დარჩენა, მოხარული ვიქნები.

– თუ ჭორი მართლაც არასოდეს ყოფილა სიმართლე, მაშინ რატომ მიგქონდათ ჩვენი ნივთები? არც გალერეა არსებობდა? – ჰკითხა ტომიმ.

– გალერეა? ჰო, ეგ ჭორი კი იყო სიმართლესთან ახლოს. გალერეა არსებობდა. გარკვეულწილად, ახლაც არსებობს. დღესდღეობით აქაა, ამ სახლში. გადარჩევა მომიხდა, რასაც ნამდვილად ვნანობ. აქ ყველაფერი დაეტეოდა. რატომ მიგქონდა თქვენი ნამუშევრები? ამას მეკითხებით, არა?

– არა მხოლოდ, – მივუგე მე, – საერთოდ, რატომ ვმუშაობდით მაგ ნივთების შექმნაზე? რატომ გვასწავლიდით, გვამხნევებდით და გვაკეთებინებდით ამ ყველაფერს? თუ, უბრალოდ, უნდა გავიღოთ ორგანოები და დავიხოცოთ, რატომ გვიტარებდით იმდენ გაკვეთილს? ამდენი წიგნი და საუბარი რისთვის და რა მიზნით?

– და საერთოდ ჰეილშემი, რატომ? – ეს მადამა დერეფნიდან თქვა. ისევ ჩაგვიარა და ოთახის ჩაბნელებულ ნაწილში შევიდა, – თქვენს ადგილას ამ კითხვას დავსვამდი.

მის ემილის მზერა მადამს მიჰყვა და ერთხანს ჩვენ მიღმა შეჩერდა. მიბრუნებაც მომიხდა იმის სანახავად, რანაირ მზერას გაცვლიდნენ ერთმანეთში, მაგრამ თითქოს ისევ ჰეილშემში ვიყავით და წინ უნდა გვეცქირა მთელი ყურადღებით. შემდეგ მის ემილიმ თქვა: – ჰო, საერთოდ ჰეილშემი, რატომ? ამ კითხვის დასმა ძალიან შეუყვარდა მარი-კლოდს. არცთუ დიდი ხნის წინ კი, მორნინგდეილის სკანდალამდე, ასეთი კითხვის დასმა აზრადაც არ მოუვიდოდა. იცი, რომ მართალი ვარ და ეგრე ნუ მიყურებ! იმხანად ასეთ კითხვას ერთადერთი ადამიანი თუ დასვამდა: მე. მორნინგდეილამდე დიდი ხნით ადრე, სულ თავიდანვე ამას ვკითხულობდი. ამით სხვებს საქმეს ვუადვილებდი. შეეძლოთ უდარდელად გაეგრძელებინათ თავ-თავიანთი სამუშაო. მათ შორის თქვენც, მოსწავლეებს. თქვენ ნაცვლად ვლელავდი და ვსვამდი შეკითხვებს. სანამ მყარად ვიდექი, არც ერთ თქვენგანს ეჭვები არ აწუხებდა. შენ კი სვამდი შენს კითხვებს, ბიჭუნავ. მოდი, მათ შორის ყველაზე მარტივს ვუპასუხოთ და იქნებ ყველა დანარჩენსაც მოერგოს პასუხად. რატომ მოგქონდა თქვენი ნამუშევარი? რატომ? წუთის წინ საინტერესო რაღაც თქვი, ტომი, მარი-კლოდთან რომ განიხილავდი ამ საკითხს. შენ თქვი, ხელოვნება შინაგან სამყაროს ააშკარავებსო. ასე თქვი, არა? ჰოდა, დიდად არ შემეცდარხარ. იმიტომ მიგქონდა თქვენი ნამუშევრები, რომ, ჩვენი აზრით, თქვენს შინაგან სამყაროს ააშკარავებდა. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მიგქონდა იმის დასამტკიცებლად, რომ, როგორც ასეთი, საერთოდ გაგაჩნდათ სული.

მის ემილი შეჩერდა, მე და ტომიმ კი კარგა ხნის შემდეგ პირველად შევხედეთ ერთმანეთს.

– რისთვის გინდოდათ მაგის დამტკიცება, მის ემილი? – ვკითხე მე. – ნუთუ ვინმე ფიქრობდა, რომ სული არ გვაქვს?

ქალს სახეზე მსუბუქი ღიმილი გამოესახა.

– ასეთ შემცბარს რომ გხედავ, გული მიჩუყდება. ეს თავისებურად ამტკიცებს, რომ ჩვენს სამუშაოს თავი კარგად გავართვით. ჰო, რატომ უნდა შეჰპარვოდა ვინმეს ეჭვი თქვენს სულიერებაში? მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ წლების წინ, დასაწყისში, ყველა ასე არ ფიქრობდა. იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც არ ფიქრობს ყველა თქვენნაირად. თქვენ, ჰეილშემელებმა, მას შემდეგაც კი, რაც გარეთ გამოხვედით და ამ სამყაროში ცხოვრობთ, მთელი რეალობის ნახევარიც არ იცით. მთელ ქვეყანაში ზრდიან სტუდენტებს ისეთ სავალალო მდგომარეობაში, როგორსაც ჰეილშემში ვერც კი წარმოიდგენდით. ახლა, როცა ჩვენ აღარ ვართ, ყველაფერი მხოლოდ გაუარესდება.

ისევ შეჩერდა. წამით მომეჩვენა, რომ მოჭუტული თვალებით ფრთხილად გვამოწმებდა. ბოლოს განაგრძო: – სხვა თუ არაფერი, ის მაინც ვიცოდით, რომ ჩვენს ხელში თქვენ მშვენიერ გარემოცვაში იზრდებოდით. ისიც ვიცოდით, რომ ჩვენგან წასვლის შემდეგაც ასცდებოდით საშინელებათა შორის უმძიმესს. ამას მაინც ვაკეთებდით თქვენთვის. რაც შეეხება თქვენს ოცნებას, – გადავადების შესაძლებლობაზე ოცნებას, – ასეთი რამის მოხერხება ჩვენი შესაძლებლობის მიღმა იყო მაშინაც კი, როდესაც გავლენიანობის მწვერვალზე ვიყავით. მაპატიეთ. ვიცი, ეს ამბავი არ გაგახარებთ. ოღონდაც ნუ დამწუხრდებით. იმედია, შეძლებთ დააფასოთ ის, რისი მოცემაც ჩვენ შევძელით. როგორები ხართ ორივე! კარგი ცხოვრება გამოიარეთ, განათლებულები და კულტურულები ხართ. მიმძიმს, მეტის მოცემა რომ ვერ შევძელით, მაგრამ უნდა გაიაზროთ, რამდენად უარესი იყო ოდესღაც. როცა მარი-კლოდი და მე ვიწყებდით, მაშინ ჰეილშემისნაირი ადგილები საერთოდ არ არსებობდა. პირველები ვიყავით გლენმორგან ჰაუსთან ერთად. რამდენიმე წლის შემდეგ საუნდერს ტრასტი გამოჩნდა. ჩვენ ყველანი ერთად პატარა, მაგრამ ძალზე გახმაურებულ მოძრაობად ვიქცეით, რომელიც შეწირვების პროგრამის მთელ სისტემას დაუპირისპირდა. რაც მთავარია, მსოფლიოს დავუმტკიცეთ, რომ თუ მოსწავლეები ადამიანურ, კულტურულ გარემოში გაიზრდებიან, ისინი შეძლებენ ისეთივე ჭკვიანები და მგრძობიარეები იყვნენ, როგორც ნებისმიერი ადამიანი. მანამდე ყველა კლონი – ან სტუდენტი, როგორი სახელდებაც გვერჩივნა – მხოლოდ სამედიცინო მეცნიერების მომარაგების მიზნით არსებობდა. უწინ, ომის შემდგომ ხანაში, ხალხისთვის არაფერს წარმოადგენდით, მხოლოდ – კოლბაში მოქცეულ ჩრდილოვან ობიექტებს. არ მეთანხმები, მარი-კლოდ? რაღაც ძალიან ჩუმადაა. როგორც წესი, ამ თემაზე საუბრისას ვერ გააჩუმებ. თქვენმა აქ ყოფნამ, ძვირფასებო, მგონი, ენა დაუბა. ძალიანაც კარგი. ახლა რაც შეეხება შენს კითხვას, ტომი. აი, ამიტომ ვაგროვებდით თქვენს ნამუშევრებს. საუკეთესო ნიმუშები მოგვქონდა და სპეციალურ გამოფენებს ვაწყობდით. სამოცდაათიანების მიწურულს, ჩვენი გავლენიანობის მწვერვალზე, მთელ ქვეყანაში დიდ ღონისძიებებს ვატარებდით. ვინ აღარ მოდიოდა დასასწრებად: მინისტრები, ეპისკოპოსები. სიტყვით გამოდიოდნენ, დიდ ფინანსებს გვპირდებოდნენ. „აი, შეხედეთ! – ვამბობდით ჩვენ, – შეხედეთ ამ ხელოვნებას! როგორ ბედავთ იმის მტკიცებას, რომ ამის შემქმნელები რამით ჩამოუვარდებიან ჩვეულებრივ ადამიანებს?“ ოჰ, დიდი მხარდაჭერა გვქონდა იმ დროს. ხალხი ჩვენკენ იყო.

კიდევ რამდენიმე წუთს ჰყვებოდა მის ემილი იმდროინდელ ამბებს. ბევრი ისეთი სახელი ახსენა, რომელიც ჩვენთვის არაფერს ნიშნავდა. ერთხანს თავი დილის მორიგ შეკრებაზე გვეგონა, როცა მის ემილი ჩვენთვის გაუგებარ თემებზე ლაპარაკობდა. მგონი, სიამოვნებდა კიდევ ლაპარაკი. თვალების გარშემო ნაზი ღიმილი ეფინა. უეცრად შეიცვალა და სხვანაირი ტონით წარმოთქვა: – მაგრამ რეალობის შეგრძნება არასოდეს დაგვიკარგავს, არა, მარი-კლერ? ჩვენი საუნდერსტრასტელი კოლეგებისგან განსხვავებით, ჩვენს ოქროს ხანაშიც კი არ დაგვვიწყებია, რა მძიმე ბრძოლაში ვიყავით ჩართული. შემდეგ მორწინგდილის ამბავი მოხდა, მას კიდევ ერთი-ორი რამ მოჰყვა და, ვერც კი მივხვდით, ისე დაგვარგეთ მთელი ჩვენი მონაპოვარი.

– მაგრამ არ მესმის, რატომ უნდოდა ხალხს, რომ სტუდენტებს ასე ცუდად მოჰქცეოდნენ? – ვთქვი მე.

– შენი დღევანდელი გადასახედიდან ეგ გაკვირვება სავსებით გასაგებია, ქეით, მაგრამ სცადე, ყველაფერს ისტორიის ჭრილში შეხედო. ომის შემდეგ, ადრეულ ორმოცდაათიანებში, მეცნიერული გარღვევა გარღვევას მოსდევდა და ყველაფერში ღრმად ჩაძიებისა და წუნ-ნაკლის გამოამჟღავნების დრო არ იყო. ჰოპ და, წინ გადაგვეშალა ადრე უკურნებელი მრავალი დაავადების საშველი გზები, ახალი შესაძლებლობები. მსოფლიოს ყველაზე მეტად ეს უნდოდა და ამას ამჩნევდა. ჰოდა, კარგა ხანს ხალხს იმის დაჯერება ერჩივნა, რომ ეს ორგანოები არსაიდან მოდიოდა ან, უარეს შემთხვევაში, ვაკუუმში იზრდებოდა. კი, კამათი იყო. თუმცა ამასობაში ხალხმა შეიტყო... შეიტყო სტუდენტების შესახებ. როცა გაიგეს, როგორ იზრდებოდით და დაფიქრდნენ იმაზე, საერთოდ უნდა არსებობდეთ თუ არა, უკვე გვიანდა იყო. პროცესს ველარაფერი შეაჩერებდა. სამყაროს, რომელიც კიბოს განკურნებას შეეჩვია, როგორღა მოსთხოვ წამლის გადაგდებას და ბნელ დროში დაბრუნებას? უკან დასახევი გზა არ არსებობდა. როგორი უსიამოვნოც უნდა ყოფილიყო ადამიანებისთვის თქვენი არსებობა, მაინც უფრო აღელვებდათ თავიანთი შვილების, ცოლების, მშობლებისა და მეგობრების დაცვა კიბოსგან, ნერვული სისტემის თუ გულის დაავადებებისგან. ჰოდა, კარგა ხანს ჩრდილში გინახავდით. ხალხი კი მთელი მონდომებით ცდილობდა თქვენზე არ ეფიქრა. თუ მაინც ფიქრობდნენ და თავს ირწმუნებდნენ, რომ ნამდვილად არ იყავით მათნაირები, ანუ ადამიანზე ნაკლები იყავით, მაშინ არც სადარდებელი არსებობდა. ყველაფერი ასე მიდიოდა ჩვენი პატარა მოძრაობის ჩამოყალიბებამდე. ხომ ხედავთ, რის წინააღმდეგ წავედით? შეუძლებელს ვცდილობდით. სამყარო სტუდენტებისგან ორგანოებს ითხოვდა. სანამ ასე იყო, ხალხს თქვენში ჩვეულებრივი ადამიანების დანახვა გაუჭირდებოდა. მრავალი წელი ვიბრძოლეთ და თქვენთვის უამრავი რამ გავაუმჯობესეთ, თუმცაღა – მხოლოდ თქვენი რჩეული ნაწილისთვის. მერე კი მორწინგდილის სკანდალი მოხდა, მას კიდევ რაღაცები მოჰყვა და კლიმატი ისე შეიცვალა, გააზრებაც ვერ მოვასწარით. აღარავის უნდოდა, რომ ჩვენ გვერდით დამდგარი დაენახათ. ჰეილშემის, გლენმორგანის და საუნდერს ტრასტის ჩვენი პატარა მოძრაობა ქარმა წაიღო.

– მორწინგდილის სკანდალი რაღა იყო, სულ რომ იმეორებთ, მის ემილი? – ვკითხე მე, – თქმა მოგიწევთ, რაკი არ ვიცით.

– ან საიდან უნდა იცოდეთ? მასებს არასოდეს სმენიათ მის შესახებ. ერთ საკმაოდ ნიჭიერ მეცნიერს, ჯეიმს მორწინგდილს ეხება. შოტლანდიის ერთ შორეულ მხარეში საქმიანობდა. ალბათ, ეგონა, აქ ნაკლებ ყურადღებას მივიქცევო. იგი ადამიანებს

გაზრდილი შესაძლებლობებით – აღმატებული გონებითა და სხეულით – დაჯილდოებული შვილების ყოლას სთავაზობდა. მსგავსი იდეები, რა თქმა უნდა, სხვებსაც ჰქონიათ, მაგრამ ამ მორწინებელი საქმე წინამორბედებზე ბევრად უფრო შორს წაიყვანა და კანონის საზღვრებსაც გასცდა. ეს რომ შეიტყვეს, მის მუშაობას წერტილი დაუსვეს და თითქოს ყველაფერი ამით დამთავრდა. ოღონდაც არა ჩვენთვის. როგორც ვთქვი, მასებში მორწინებელის იდეას დიდი ინტერესი არც გამოუწვევია, მაგრამ გარკვეული ატმოსფერო კი შექმნა. ხალხს რაღაც გაახსენა. გაახსენა შიში, რომელიც ყოველთვის ჰქონდა. შეწირვის პროგრამისთვის თქვენისთანა სტუდენტების შექმნა ერთი საქმეა, მაგრამ ახალი ბავშვების თაობა, რომელიც საზოგადოებაში თავის ადგილს დაიჭერს, სრულებით სხვა. ჩვენსაზე ამკარად უკეთესი ბავშვები. არა! ამან ხალხი შეაშინა და უარი ათქმევინა.

– კი მაგრამ, მის ემილი, ეგ ყველაფერი ჩვენთან რა კავშირშია? ასეთი მიზეზით ჰეილშემი რატომ უნდა დახურულიყო?

– თვალსაჩინო კავშირს ვერც ჩვენ ვხედავდით, ქეთო. თავიდან ვერა. ახლა ხშირად ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი დანაშაულია. მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, ჩვენს თავში ნაკლებად ვყოფილიყავით ჩაფლული და მთელი ძალები მოგვეკრიბა, როდესაც პირველად გასკდა მორწინებელის ამბავი, შეიძლება გაგვეხერხებინა კიდეც რამე. ჰო, მარი-კლოდი არ მეთანხმება: რაც უნდა გვექნა, მოსახდენს მაინც ვერ აცდებოდითო. შეიძლება მართალიც იყოს. მერე, მარტო მორწინებელიც არ იყო. სხვა რაღაცებიც მოხდა იმ დროს. მაგალითად, ის ავხორცი სერიალი. ყველაფერი, რაც გაკეთდა, გაკეთდა დინების მიმართულების შესაცვლელად. თუმცა, ალბათ, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მთავარი პრობლემა სხვა აღმოჩნდა. ჩვენი პატარა მოძრაობა ყოველთვის ფაქიზი და ჩვენს მხარდამჭერთა ახირებებზე ზედმეტად დამოკიდებული იყო. სანამ ზურგის ქარი უბერავდა, სანამ რომელიმე კორპორაცია ან პოლიტიკოსი ჩვენს მხარდაჭერაში სარგებელს ხედავდა, ჩვენც ზედაპირზე ვტივტივებდით. ბრძოლა მაინც ყოველთვის გვიწევდა. მორწინებელის ამბის შემდეგ კი შანსი აღარ დაგვრჩა. სამყაროს აღარ უნდოდა იმის გახსენება, როგორ მუშაობდა შეწირვების პროგრამა. აღარც თქვენზე, სტუდენტებზე, უნდოდათ ფიქრი და არც იმ პირობებზე, რომელშიც იზრდებოდით. ანუ, ძვირფასებო, ისევ ჩრდილში მოუნდათ თქვენი შეჩურთვა, ჩრდილში, სადაც მარი-კლოდის და ჩემი მსგავსები საერთოდ არ გამოჩნდებოდნენ. და, რა თქმა უნდა, ყველა ის გავლენიანი პირი, უწინ ფრთებქვეშ რომ გვინახავდა, უკვალოდ აორთქლდა. ერთ წელიწადში ერთიმეორის მიყოლებით დაკვარგეთ ყველა სპონსორი. როგორც შეგვეძლო, დრო გავწელეთ. გლენმორგანზე ორი წლით მეტ ხანს გავძელით. ბოლოს და ბოლოს, როგორც იცით, ჩვენც დაგვხურეს. დღეს თითქმის ვეღარსად ნახავთ ჩვენი ამაგის კვალს. ჰეილშემის მსგავსს ქვეყანაში ვეღარაფერს იპოვით. მხოლოდ უზარმაზარი სახელმწიფო „სახლები“ დარჩა. და მინდა გითხრათ, ძვირფასებო: იმის მიუხედავად, რომ ამ „სახლებში“ დღეს რაღაცით უფრო კარგია, ვიდრე წარსულში იყო, ზოგი ადგილის პირობები რომ განახვავთ, რამდენიმე ღამეს თეთრად გაათენებთ. რაც შეგვეხება მე და მარი-კლოდს, ჩვენი პოზიციებიდან უკან დავიხიეთ და ამ სახლში გავმაგრდით. ზედა სართულზე ჩვენი ნამუშევრების ზვინი დგას და ჩვენს ძველ საქმიანობას გვახსენებს. გვახსენებს ვალების ზვინსაც, რომელიც დიდად არ გვსიამოვნებს. გვაქვს აგრეთვე მოგონებები ყველა თქვენგანზე. და კიდეც იმის ცოდნა, რომ იმაზე უკეთესი ცხოვრება მოგვცით, ვიდრე უჩვენოდ გექნებოდით.

- არ გაბედოთ და მადლობის გადახდა არ მოსთხოვოთ, - გაისმა უკნიდან მადამის ხმა, - რატომ უნდა იყვნენ მადლიერი? აქ ბევრად უფრო დიდი რამისთვის მოვიდნენ. რა იციან იმაზე, რაც მივეცი, იმდენ წელზე, იმხელა ბრძოლაზე მათი გულისთვის? ეს ყველაფერი მაგათ ღვთის ბოძებული ჰგონიათ. აქ მოსვლამდე ჩვენს ღვაწლზე არაფერი იცოდნენ. ახლა კი მხოლოდ იმედგაცრუებას გრძნობენ იმიტომ, რომ მთლად ყველაფერი ვერ მივეცი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ გარედან ხმა გაისმა და ზარიც დაირეკა. მადამი სიბნელეს გამოეყო და შემოსასვლელში გავიდა.

- ამჯერად, უცილობლად კაცები იქნებიან, - თქვა მის ემილიმ, - უნდა გავემზადო. თქვენ შეგიძლიათ კიდევ დარჩეთ ცოტა ხანს. კაცებმა ტვირთი ორ კიბეზე უნდა ჩამოიტანონ. მარი-კლოდი მიხედავს, რომ არ დააზიანონ.

მე და ტომი ბოლომდე ვერ ვიჯერებდით, რომ ყველაფერი ასე მთავრდებოდა. არც ერთი არ ავმდგარვართ, მის ემილის ეტლიდან წამოსაყენებლად კი მაინც არავინ გამოჩნდა. ერთ წამს ისიც კი ვიფიქრე, თვითონ ადგება-მეთქი. არ განძრეულა. მხოლოდ წინ გადმოიხარა და მიაყურადა, როგორც მანამდე. შემდეგ ტომიმ თქვა: - ანუ ნამდვილად არ არსებობს არაფერი, გადავადება ან რამე მსგავსი.

- არა, ტომი, მსგავსი არაფერია. შენი ცხოვრება უნდა გადიოდეს იმ გზას, რომელზეც დააყენეს.

- ანუ, მის ემილი, თქვენ იმას ამბობთ, რომ ყველაფერი, რაც გამოვიარეთ, გაკვეთილები და ასე შემდეგ, მხოლოდ იმის ნაწილი იყო, რაც ეს-ესაა მოგვიყვებით? სხვა არაფერი ყოფილა?

- მესმის, თავს ჭადრაკის პაიკებად გრძნობთ. მართლაცდა, შეიძლება ეგრე შეხედოთ. მაგრამ დაფიქრდით: თქვენ იღბლიანი პაიკები იყავით. რაღაც კლიმატი იდგა, რომელიც უკვე გაქრა. ხანდახან ამ ცხოვრებაში ასეთი რაღაცეებიც ხდება და უნდა მიიღოთ. ხალხის გრძნობა და შეხედულება ჯერ ერთ მხარეს მიდის, მერე - მეორე მხარეს, თქვენ კი ამ პროცესის გარკვეულ მონაკვეთში მოგიხდათ გაზრდა-ჩამოყალიბება.

- ეს შეიძლება მხოლოდ ტენდენცია იყოს, რომელიც მოვიდა და წავიდა, - ვთქვი მე, - მაგრამ ჩვენთვის ეს სიცოცხლეა.

- ჰო, მართალია. მაგრამ დაფიქრდით: თქვენ ბევრ აქამდე მოსულზე უფრო ადვილად გამოძვერით. და, ვინ იცის, შემდგომ მომსვლელებს რისთვის მოუწევთ თვალის გასწორება? ბოდიშს გიხდით, სტუდენტებო, მაგრამ ახლა უნდა დაგტოვოთ. ჯორჯ! ჯორჯ!

დერეფანში ხმაური იყო. ალბათ, ამიტომაც ვერ გაიგო ჯორჯმა ძახილი და არც უპასუხა. ტომიმ იკითხა: - მის ლუსიც მაგიტომ წავიდა?

თავიდან ვიფიქრე, დერეფანზე გადართულმა მის ემილიმ ტომის ნათქვამი ვერც გაიგონა-მეთქი. ბორბლებიან სავარძელში გასწორდა და ნელ-ნელა კარისკენ გაგორდა. იმდენი სკამი და პატარა მაგიდა იდგა, მეგონა, გზას ვერ გაიკვლევდა. უკვე ადგომას და ბილიკის გაკვალვას ვაპირებდი, რომ მის ემილი შეჩერდა.

– ლუსი უეინრაიტი... ჰო, ჰო, პატარა პრობლემებს რომ გვიქმნიდა, – შეჩერდა და სავარძელი ტომისკენ მიატრიალა. – პატარა პრობლემები შეგვიქმნა, უთანხმოება. თუმცა, შენს კითხვას რომ ვუპასუხო, ტომი, ეს უთანხმოება იმასთან არაფერ შუაშია, რაც ახლა მოგიყვით. პირდაპირ კავშირში ნამდვილად არ არის. უფრო საშინაო საკითხს დავარქმევდი.

ვიფიქრე, რომ მეტს არაფერს იტყოდა, და ვკითხე: – მის ემილი, თუ შეიძლება, გვინდა ვიცოდეთ ეგ ამბავი, მის ლუსისთან დაკავშირებით.

მის ემილიმ წარბები ასწია.

– ლუსი უეინრაიტის? თქვენთან ახლოს იყო? მაპატიეთ, ძვირფასო სტუდენტებო, ისევ მავიწყდება. ლუსი ჩვენთან დიდხანს არ ყოფილა. ასე რომ, ჰეილშემის მოგონებაში მას მხოლოდ პერიფერიული ადგილი უჭირავს, თან არცთუ მთლად ლამაზი. თუმცა ვაფასებ, თუ ზუსტად იმ წლებში იყავით ჰეილშემში... – მის ემილიმ თავისთვის გაიცინა, თითქოს რაღაცას იხსენებდა. ოთახს მიღმა მაღამი კაცებს ხმამაღლა ლანძღავდა, მაგრამ მის ემილის თითქოს ინტერესი დაჰკარგოდა.

კონცენტრირებული გამომეტყველებით დასრიალებდა მოგონებებში. ბოლოს თქვა: – საკმაოდ კარგი გოგო იყო ლუსი უეინრაიტი. ჩვენთან გარკვეული დრო დაყო, მერე კი რაღაც იდეებმა შეაწუხა. ფიქრობდა, რომ თქვენ მეტად უნდა ყოფილიყავით საქმის კურსში, უკეთ გცოდნოდათ, რა გელოდათ, ვინ იყავით და რისთვის იყავით. სჯეროდა, რომ რაც შეიძლება სრული შეხედულება უნდა შეგქმნოდათ რეალობაზე და რომ სხვანაირად მოქცევა თქვენი ღალატი იქნებოდა. მისი შეხედულება განვიხილეთ და დავასკვნით, რომ ცდებოდა.

– რატომ? – იკითხა ტომიმ. – რატომ ჩათვალეთ ასე?

– რატომ? გულში კარგი ედო, ამაში ეჭვი არ მეპარება. ვხედავ, მოგწონდათ კიდეც. მასწავლებლის მშვენიერი მონაცემები ჰქონდა, მაგრამ ზედმეტად თეორიული რამ უნდოდა. ჰეილშემს უკვე მრავალი წლის განმავლობაში ვმართავდით და ისიც ვიცოდით, რა იმუშავებდა, რა აჯობებდა სტუდენტებისთვის სამომავლოდ. ლუსი უეინრაიტი კი იდეალისტი იყო. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მას პრაქტიკულობისა არაფერი ეცხო. გესმით? ჩვენ თქვენთვის რაღაცის მოცემა შევძელით, რასაც ახლაც ვერავინ წაგართმევთ. ამის მოცემას კი ზუსტად თქვენი შეფარებით ვახერხებდით. სხვაგვარად, ჰეილშემი ჰეილშემი არ იქნებოდა. კარგი, ხანდახან რაღაცების დამალვა, თქვენი მოტყუება გვიწევდა. ბევრ რამეში გაცურებდით. ალბათ, ასეც შეიძლება ითქვას, მაგრამ იმ წლებში შეგიფარეთ და ბავშვობა გაჩუქეთ. ლუსი აზროვნებდა, მაგრამ მისი შეხედულებების მიხედვით რომ გვემოქმედა, თქვენი ჰეილშემური ბედნიერება დაინგრეოდა. ხომ ხედავთ, ახლა როგორები ხართ! ვამაყობ თქვენი ნახვით. თქვენ თქვენი ცხოვრება ააგეთ იმაზე, რაც ჩვენ მოგეცით. ჩვენ რომ არ დაგვეცავით, დღეს ისინი არ იქნებოდით, ვინც ხართ. გაკვეთილებში არ ჩაყვინთავდით, ხატვასა და წერაში არ ჩაიკარგებოდით. ან რატომ დახატავდით, რომ გცოდნოდათ, წინ რა ელოდა თითოეულ თქვენგანს? გვკითხავდით, ამ ყველაფერს რა აზრი ჰქონდაო, და რით შეგედავებოდით? ამიტომაც მოუხდა ლუსის წასვლა.

გავიგონეთ, როგორ უყვიროდა მაღამი კაცებს. მთლად წყობიდან არ იყო გამოსული, მაგრამ შემაშინებლად მკაცრი ხმა ჰქონდა. კაცების ხმა კი, აქამდე რომ კამათობდნენ, ახლა აღარ ისმოდა.

– შეიძლება, სწორედ იმიტომ ართმევს საქმეს თავს ასე ეფექტურად მარი-კლოდი, რომ მე აქ დავრჩი, თქვენთან, – თქვა მის ემილიმ.

არ ვიცი, ეს რამ მათქმევინა. შეიძლება იმან, რომ ვიცოდი: შეხვედრა მალე დამთავრდებოდა, ან იმან, რომ მომინდა გამეგო, ზუსტად რას ფიქრობდნენ ერთმანეთზე მის ემილი და მადამი. მოკლედ, ხმას დავუწიე, თავის მოძრაობით კარზე ვანიშნე და ვუთხარი: – მადამს არასოდეს მოვწონდით. ისე ეშინოდა ჩვენი, როგორც ობობების და მსგავსი რამეების ეშინიათ ხოლმე.

დავიცადე. მინდოდა მენახა, გაბრაზდებოდა თუ არა მის ემილი. და თუ გაბრაზდებოდა, ინტერესსაც დავკარგავდი. მართლაცდა, სწრაფად მომიბრუნდა, თითქოს დაჭმუჭნილი ქალაქი მესროლა. თვალები ისე მომანათა, რომ ჰეილშემი გამახსენდა. თუმცა წყნარი და რბილი ხმით გვიპასუხა: – მარი-კლოდმა თქვენთვის ყველაფერი გააკეთა. მუშაობდა, მუშაობდა და მუშაობდა. რამე არ შეგეშალოს, ჩემო პატარავ, მარი-კლოდი თქვენკენაა და ყოველთვის თქვენკენ დარჩება. თქვენი ეშინია? თქვენი ყველას გვეშინია. მეც კი მიწევდა ჰეილშემში გატარებულ თითოეულ დღეს საკუთარ თავში თქვენდამი შიშის დათრგუნვა. ხანდახან, ჩემი ფანჯრიდან რომ გადმოგხედავდით, გული რეჩხს მიშვრებოდა... – შეჩერდა და თვალები ისევ გაუნათა რალაცამ, – მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა: ამნაირ განცდებს საქმის კეთებაში არ დავებრკოლებინე. გრძნობებს შევებრძოლე და გავიმარჯვე. ახლა კი, თუ დამეხმარებით და აქედან გამიყვანთ, მადლიერი დავრჩებით. იქ ჯორჯი უნდა მიცდიდეს ჩემი ყავარჯნებიანად.

ორივეს იდაყვებით დაგვეყრდნო და სამივენი ფრთხილად გავედით ჰოლში. ჩვენს დანახვაზე ექთნის ხალათში გამოწყობილი ზორბა მამაკაცი სასწრაფოდ დაფაცურდა და ყავარჯნები მოიტანა.

ღია კარი ქუჩაში გადიოდა. ჯერ კიდევ ჩანდა დღის სინათლე, რამაც აშკარად გამაკვირვა. მადამის ხმა გარედან შემოდიოდა. ამჯერად კაცებს უფრო მშვიდად ელაპარაკებოდა. ვიფიქრე, ჩემი და ტომის გასხლტომის დროა-მეთქი. მაგრამ ჯორჯი ყავარჯნებს შორის შეურყევლად მდგომ მის ემილის ქურთუკის ჩაცმაში ეხმარებოდა. მათ გვერდით დარჩენილ გასასვლელში ვერ გავეტეოდით. ალბათ მის ემილისთან დასამშვიდობებლადაც ვიცდიდით. შესაძლოა, ყოველივეს შემდეგ მადლობის გადახდაც გვინდოდა. ზუსტად ვერ ვიტყვი. მის ემილი კი თავისი კარადით იყო დაკავებული. გარეთ მდგარ კაცებს რალაცების ახსნა დაუწყო და ჯორჯთან ერთად ისე გავიდა, უკან არც მოუხედავს.

მე და ტომი კიდევ ცოტა ხანს დავრჩით ჰოლში. არ ვიცოდით, რა გვექნა. საბოლოოდ, გარეთ რომ გავედით, დავინახე, რომ გრძელი ქუჩის მთელ გაყოლებაზე ლამპიონები აენთოთ, ცა კი ჯერ არ ჩაბნელებულიყო. მძლოლი თეთრ ფურგონს ქოქავდა. ფურგონის უკან ძველი, ვეება ვოლვო იდგა, მის უკანა სავარძელზე კი მის ემილი იჯდა. ფანჯარასთან დახრილი მადამი მის ემილის ნათქვამს კვერს უკრავდა. ჯორჯმა საბარგული დახურა და მძლოლის კარს მიაშურა. ფურგონი დაიძრა და მის ემილის ვოლვოც უკან მიჰყვა.

მიმავალ მანქანებს მადამი კარგა ხანს გაჰყურებდა. მერე მობრუნდა, შინ შესვლა დააპირა, მაგრამ ტროტუარზე რომ დაგვინახა, მოწყვეტით შედგა, კინაღამ უკანაც კი გადახტა.

– მივდივართ, – ვუთხარი მე, – მადლობას გიხდით საუბრისთვის. თუ არ შეწყუბდებით, მის ემილის ჩვენ ნაცვლად დაემშვიდობეთ.

დავინახე, როგორ მაკვირდებოდა ნაშუადღევის სინათლეზე. შემდეგ მითხრა: – ქეთი იქი... მახსოვხარ. ჰო, მახსოვხარ, – გაჩუმდა, მაგრამ მზერა არ მოუცილებია.

– მე მგონი, ვიცი, რაზე ფიქრობთ, – ვუთხარი ბოლოს, – მგონი, ვხვდები.

– კეთილი, – თქვა მეოცნებე ხმით, თუმცა მისმა მზერამ ფოკუსი დაკარგა, – კეთილი. აზრების მკითხველი ყოფილხარ. მითხარი.

– ერთხელ, ერთ ნაშუადღევს, საძინებელ ოთახში მნახეთ. ახლომახლო სხვა არავინ იყო. მე კასეტას ვუსმენდი, მუსიკას. თვალდახუჭული, ცეკვის მოძრაობებს ვაკეთებდი და ამ დროს თქვენ დამინახეთ.

– ძალიან კარგია, აზრების მკითხველო. შენ სცენაზე უნდა გამოდიოდე. ახლადა გიცანი. ჰო, მახსოვს ეგ შემთხვევა. დღემდე მახსენდება ხოლმე, დროდადრო.

– უცნაურია. მეც.

– ჰო.

საუბრის დამთავრება ასეც შეგვეძლო: ერთმანეთს დავმშვიდობებოდით და დავშორებოდით, მაგრამ მადამი მოგვიახლოვდა. თვალმოუცილებლად ჩამყურებდა სახეში.

– მაშინ ბევრად პატარა იყავი. მაგრამ... ჰო... შენ ხარ.

– თუ არ გინდათ, ნუ მიპასუხებთ, მაგრამ ყოველთვის მაინტერესებდა ერთი რამ. შეიძლება გკითხოთ?

– შენ კითხულობ ჩემს გონებას, მე შენსას – ვერა.

– იმ... იმ დღეს ცუდ ხასიათზე იყავით. მიყურებდით. როცა მივხვდი და თვალები გავახილე, მიყურებდით და, მგონი, ტიროდით. არა, მგონი კი არა, ვიცი, რომ ტიროდით, მიყურებდით და ტიროდით. რატომ?

მადამის გამომეტყველება არ შეცვლილა. ისევ სახეში მიყურებდა.

– იმიტომ, რომ შემოსვლისას მუსიკა შემომესმა, – თქვა ბოლოს ისე ჩუმად, თითქოს ეშინოდა, მეზობლებმა არ გაიგონონო, – ჯერ ვიფიქრე, რომელიმე დაუდევარ მოსწავლეს ჩართული დარჩენია-მეთქი. შენს საძინებელში შემოსულმა კი შენ დაგინახე. პატარა გოგო მარტო ცეკვავდი. ისეთი გრძნობით ცეკვავდი... და მუსიკა, სიმღერა. იმ სიტყვებში რაღაც იყო. დიდი მწუხარება.

– მაგ სიმღერას „არასოდეს გამიშვა“ ერქვა, – ვუთხარი და მადამისთვის ორი სტრიქონი წავიმღერე, ძალიან ჩუმად: „არასოდეს გამიშვა. ო, ჩემო პატარავ, არასოდეს გამიშვა...“

თავი დამიქნია – თითქოს თანხმობის ნიშნად.

– ჰო, ეგ სიმღერა იყო. იმის შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ მოვისმინე, რადიოსა და ტელევიზორში. მარტოდ მოცეკვავე იმ პატარა გოგოს მახსენებს, გამუდმებით.

– ამბობთ, აზრებს ვერ ვკითხულობო, მაგრამ იქნებ კითხულობდით იმ დღეს. იქნებ მაგიტომაც ატირდით ჩემ დანახვაზე, რადგან, სინამდვილეში, რაზეც უნდა ყოფილიყო სიმღერა, მე ჩემეულ ვერსიაზე ვცეკვავდი. მეგონა, ქალზე იყო, რომელსაც უთხრეს, ბავშვი არ გეყოლებათ. მერე კი, მაინც რომ ეყოლა და ძალიან გაუხარდა, მკერდზე მიიკრა და იმის შიშით, არაფერმა დაგვაშოროსო, ამბობდა: „არასოდეს გაგიშვებ, ჩემო პატარავ“. სიმღერა სულაც არ არის ამ შინაარსის, მაგრამ იმხანად თავში ეს მქონდა. იქნებ ჩემი აზრები წაიკითხეთ და ამიტომაც დასევდიანდით ასე. მაშინ დიდად სამწუხარო ვერაფერი დავინახე, ახლა კი, როცა ვიხსენებ, ვხედავ.

მადამს ველაპარაკებოდი, მაგრამ ვიგრძენი, როგორ ამომიდგა ტომი გვერდში. მისი ტანსაცმლის ქსოვილიც გავარჩიე და სხვა ყველაფერიც.

– ძალიან საინტერესოა, – ისევ დაიწყო მადამმა, – მაგრამ რა აზრების მკითხველიც დღეს ვარ, მაშინაც იგივე ვიყავი. მე სულ სხვა რამის გამო ვტიროდი. იმ დღეს შენს ცეკვას რომ ვუყურე, სხვა რამე დავინახე: ახალი სამყარო, რომელიც სწრაფად ახლოვდებოდა. უფრო მეცნიერული, ეფექტური, დიახ, მეტი წამლით აღჭურვილი ძველ სწულებებთან საბრძოლველად. ძალიან კარგი, მაგრამ მკაცრი, ბოროტი სამყარო. პატარა გოგონა დავინახე, მაგრად დახუჭული თვალებით. მკერდზე ძველი სამყარო მიეკრა, სამყარო, რომელსაც დიდი დღე აღარ ეწერა და გოგონამ ეს გულის სიღრმეში იცოდა. ამიტომაც ეჭირა და ემუდარებოდა, არასოდეს გამიშვაო. აი, რა დავინახე. სინამდვილეში, შენ ამას არ ფიქრობდი, ვიცი, მაგრამ დავინახე და გული დამემსხვრა. და არც არასოდეს დამვიწყებია.

მოგვიახლოვდა და ჩვენგან ორიოდ ნაბიჯზე შეჩერდა.

– დღეს სადამოს გაგონილმა თქვენმა ამბებმაც გული ამიჩუყა, – ტომის გახედა და ისევ მე მომიბრუნდა, – საბრალო არსებებო! ნეტავ შემემძლოს, დაგეხმაროთ. თუმცა ახლა მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ხართ.

ხელი გამოიწოდა და ლოყაზე დამადო. თან სულ სახეში მიყურებდა. ვგრძნობდი, მთელი სხეულით კანკალებდა, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია. მის თვალებში ისევ ცრემლები გამოჩნდა.

– საბრალო არსებებო, – გაიმეორა თითქმის ჩურჩულით. მიბრუნდა და სახლში შევიდა.

უკანა გზაზე მადამსა და მის ემილისთან შეხვედრაზე თითქმის არაფერი გვითქვამს. თუ მაინც ვახსენებდით, ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებს ვხეებოდით: მათ დაბერებას ან მათ სახლში ნანახ ნივთებს.

წამოვედი ყველაზე უკაცრიელი, მეორეხარისხოვანი გზებით, სადაც სიბნელეს მხოლოდ ჩვენი ფარები თუ არღვევდა. დროდადრო სხვა ფარებსაც ვხვდებოდით. შეგრძნება მიჩნდებოდა, რომ ის ფარები სხვა მომვლელებს ეკუთვნოდათ, შინ რომ ბრუნდებოდნენ მარტო ან – ჩემსავით – თავიანთ დონორებთან ერთად. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ამ გზებს სხვებიც იყენებდნენ, მაგრამ იმ ღამეს ისეთი განცდა მქონდა, რომ ეს ბნელი შემოსავლელელები მხოლოდ ჩვენნაირებისთვის არსებობდა.

უშველებელნიშნებიანი, ჩინებულკაფეებიანი და მოელვარეასფალტიანი დიდი ტრასები კი ყველა დანარჩენისთვის იყო. არ ვიცი, ტომიც რამე ამდაგვარს ფიქრობდა თუ არა. შეიძლება, ფიქრობდა კიდევ, რადგან ერთხელ შენიშნა: – ნამდვილად უცნაური გზები გცოდნია, ქეით.

ამას რომ ამბობდა, ჩაიცინა, მერე კი ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ, ერთ ბნელ გზაზე რომ მივდიოდით, უეცრად თქვა: – მგონი, მის ლუსი იყო მართალი და არა მის ემილი.

არ მახსოვს, ამაზე რამე ვუპასუხე თუ არა. თუ ვუპასუხე და, სიღრმისეული არაფერი. მაგრამ მაშინ შევამჩნიე მის ხმაში რაღაც, რამაც განგაშის შორეული ზარები ჩამოკრა. მახსოვს, როგორ გადავიტანე მზერა დაკლაკნილი გზიდან ტომიზე. ის, უბრალოდ, ჩუმი იჯდა და ღამეს გაჰყურებდა.

– ქეთ, შეგვიძლია გავჩერდეთ? – თქვა რამდენიმე წუთის შემდეგ, – მაპატიე, მაგრამ ერთი წუთით უნდა გადავიდე.

მეგონა, ისევ გული ერეოდა და მანქანა სასწრაფოდ მივაყენე მესერთან. იქ სინათლის ერთი სხივიც არ იყო. ჩემი ანთებული ფარების მიუხედავად, მეშინოდა, მოსახვევიდან სხვა მანქანა არ გამოვარდნილიყო და არ დაგვჯახებოდა. ამიტომ, ტომი რომ გადავიდა და სიბნელეში გაქრა, არ გავყევი. რაღაც მიზანდასახულად კი გადავიდა – თითქოს მიზნად დაესახა, შეუძლოდაც რომ ყოფილიყო, თვითონ მიეხედა თავისი თავისთვის. ჰოდა, ისევ მანქანაში ვიჯექი და ვფიქრობდი, აღმართზე ცოტა მაღლა ხომ არ ავგორდე-მეთქი, როცა ყვირილი გავიგონე.

თავიდან ტომი არც მეგონა. ვიფიქრე, ვიღაც გიჟი იმალებოდა ბუჩქებში. მეორედ და მესამედაც რომ მომესმა, მანქანიდან უკვე გადმოსული ვიყავი. ტომის ხმა ვიცანი, მაგრამ ამას არ დავუმშვიდებივარ. წამით პანიკაშიც კი ჩავვარდი, რადგან არ ვიცოდი, ტომი სად იყო. ყვირილის მიმართულებით წასვლა რომ ვცადე, გაუვალმა ბარდმა გამაჩერა. გასასვლელი მოვძებნე, თხრილი გადავიარე და ღობეს მივადექი. ზედ გადავძვერი და რბილ ტალახში ჩავხტი.

გარემო ბევრად უკეთ დავინახე. მინდორზე ვიდექი, ციცაბოდ რომ ეშვებოდა ქვემოთ, ჩემგან არცთუ შორს. ხეობაში რომელიღაც სოფლის სინათლეები მოჩანდა. მართლა ძლიერი ქარი ქროდა. ერთ მომენტში ისე დაქროლა, ღობეს ჩავეჭიდე, რომ არ წავექცეულიყავი. მთვარე სავსე არ იყო, მაგრამ მაინც ანათებდა. შორიანხლოს, იქ, სადაც მინდორი დაქანებას იწყებდა, ტომის ფიგურა გავარჩიე. მძვინვარებდა, ყვიროდა, მუშტებს და მუჯლუგუნებს იქნევდა.

მისკენ გაქცევა ვცადე, მაგრამ ფეხები ტალახში ჩამეფლო. ტალახი ტომისაც უშლიდა. ფეხის ერთ-ერთ მოქნევაზე გასრიალდა და სიბნელეში ჩავარდა. არეული ლანძღვა მაინც არ შეუწყვეტია. როცა მივალწიე, მაშინღა დგებოდა ფეხზე. მთვარის შუქზე ტალახით მოთხვრილი და ბრაზით აღეწილი სახე დავლანდე. ჰაერში აქნეულ ხელებს ვწვდი და მაგრად ჩავბლუჯე. ჩემი მოცილება სცადა, მაგრამ არ დავნებდი მანამდე, სანამ ყვირილი არ შეწყვიტა და არ ვიგრძენი, რომ მძვინვარება ჩაუცხრა. მერე შევამჩნიე, რომ მასაც მოეხვია მკლავები ჩემთვის. ასე ვიდექით მინდვრის თავში. თითქოს წლები გადიოდა, ჩვენ კი არაფერს ვამბობდით, მხოლოდ ერთმანეთი გვეჭირა. ქარი გვიბერავდა და სამოსს გვიფრიალებდა. წამით ვიფიქრე, ერთმანეთი იმიტომ გვიჭირავს, რომ ამ ღამეში ქარისგან წაღებას სხვანაირად ვერ გადავურჩებით-მეთქი.

ბოლოს, ერთმანეთს რომ მოვშორდით, ტომიმ ჩაიბუტბუტა: – ძალიან ვწუხვარ, ქეთ! – მერე მერყევად გაიცინა და დაამატა: – კიდევ კარგი, მინდორში ძროხები არ არიან. გვარიანად დავაფრთხოვდი.

მივუხვდი, ჩემი დარწმუნება უნდოდა, უკვე დავწყნარდიო. მაგრამ მკერდი ისევ აჩქარებით აუღ-ჩაუდიოდა და ფეხებიც უკანკალებდა. მანქანისკენ ერთად წავედით. ვცდილობდით, ფეხი არ დაგვსრიალებოდა.

– ფუნის სუნი აგდის, – ვუთხარი ბოლოს.

– ღმერთო ჩემო! ამას როგორ ავხსნი? უკნიდან მოგვიწევს შეპარვა.

– უნდა ჩაეწერო.

– ღმერთო! – თქვა და ისევ გაიცინა. მანქანაში რაღაც ჩვრები ვიპოვე და ნეხვის ძირითადი მასა მოვიშორეთ. ჩვრების ძებნაში საბარგულიდან ამოვიღე სპორტული ჩანთა, რომელშიც ტომის ნახატები იდო. როცა გზა განვაგრძეთ, შევამჩნიე, რომ ეს ჩანთა ტომის სალონში შემოეტანა.

ერთხანს უხმოდ ვიარეთ. ჩანთა კალთაში ედო. ველოდებოდი, როდის იტყოდა რამეს ნახატებზე. თავში ისიც კი გავივლე, ახალი სიმშაგისთვის ემზადება და ნახატების ფანჯრიდან გადაყრას აპირებს-მეთქი. თუმცა ჩანთა ორივე ხელით ჩაებლუჯა და გზას გაჰყურებდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა: – ვნანობ ამ ბოლო ამბავს, ქეით. მართლა. ნამდვილი იდიოტი ვარ. რაზე ფიქრობ, ქეით?

– ჰეილშემს ვიხსენებდი, ეგრე რომ გიჟდებოდი ხოლმე, შენ შემყურეებს კი არაფერი გვესმოდა. საერთოდ ვერ გაგვეგო, როგორ ბრაზდებოდი ეგრე. ახლა კი, უბრალოდ, აზრად მომივიდა: იმიტომ მძვინვარებდი, რომ თავიდანვე იცოდი.

ტომი ჩემს ნათქვამს დაუფიქრდა და თავი გააქნია.

– მაგას ნუ იფიქრებ, ქეით. არა, უბრალოდ, ჩემი ბრალი იყო. ყოველთვის. იდიოტი ვიყავი. ეგ იყო და ეგ, – ცოტა ხნის შემდეგ ჩაიცინა და დაამატა: – ისე, საინტერესო იდეაა. იქნებ მართლა ვიცოდი რამე გულის სიღრმეში, რაღაც ისეთი, რაც დანარჩენებისთვის უცხო იყო.

თავი ოცდამესამე

მოგზაურობის მომდევნო კვირაში დიდი არაფერი შეცვლილა, თუმცა ცვლილებებს ველოდი და, ოქტომბრის დასაწყისისთვის შევამჩნიე კიდეც. ერთი მხრივ, ტომი თავისი ცხოველების ხატვას აგრძელებდა, ეგაა, ჩემი თანდასწრებით მუშაობა აღარ უყვარდა. ისე უკანაც არ წავსულვართ, როგორც თავიდან ვიყავით, როცა მისი მომვლელი გავხდი და კოტეჯებში მომხდარი ამბები ჯერ კიდეც ტვირთად გვაწვა. თითქოს ტომის ეფიქრა და დასკვნამდე მისულიყო: როცა მოუნდებოდა, ცხოველების ხატვას განაგრძობდა, ჩემ დანახვაზე კი შეწყვეტდა. ამ გადაწყვეტილებას დიდად არ გავუწიბილებივარ, პირიქით, რამდენადმე მესიამოვნა კიდეც: ცხოველები, ერთად ყოფნისას სულ სახეში რომ შემოგვცქეროდნენ, მხოლოდ ართულებდნენ ურთიერთობას.

თუმცა კიდეც იყო ცვლილებები, რომლებიც არ მომწონდა. იმას არ ვამბობ, მის ოთახში კარგ დროს აღარ ვატარებდით-მეთქი. დროდადრო სექსიც კი გვქონდა. საქმე ის იყო, რომ ვხედავდი, უფრო და უფრო როგორ უტოლებდა ტომი თავს ცენტრში მყოფ სხვა

დონორებს. ვთქვათ, რომელიმე ჰეილშემელს თუ ვიხსენებდით, ადრე თუ გვიან, ტომის საუბარი გადმოჰქონდა თავის რომელიმე თანამედროვე მეგობარზე, რომელსაც იმის მსგავსი რამ გაეკეთებინა, რაზეც ვსაუბრობდით. ერთი გამორჩეული შემთხვევაც მოხდა. კინგსფილდისკენ დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მანქანა გავაჩერე და გადმოვედი. „კვადრატი“ ისე გამოიყურებოდა, როგორც მაშინ, ნავის მონახულების დღეს რუთთან ერთად რომ მოვედი. შემოდგომის ღრუბლიანი საღამო იდგა. არავინ ჩანდა, გასართობი შენობის გადმოწეული სახურავის ქვეშ შეჯგუფებული დონორების გარდა. ტომიც მათ შორის იდგა, მხრით ბოძზე მიყრდნობილი. შესასვლელის კიბეზე ჩაკუზულ დონორს უსმენდა. ოდნავ მივუახლოვდი და გავჩერდი. ველოდი იქ, ნაცრისფერი ცის ქვეშ. ტომიმ დამინახა, მაგრამ უწინდებურად განაგრძო მეგობრის მოსმენა. ბოლოს მან და დანარჩენებმა სიცილი ატეხეს. ამის შემდეგაც უსმენდა და ილიმებოდა. მერე მიმტკიცებდა, განიშნე, რომ მოსულიყავიო. მაგრამ თუ მართლაც მანიშნა, ნამდვილად არა – თვალსაჩინოდ. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემი მიმართულებით განუსაზღვრელად გაიღიმა და ისევ მეგობარს მიუბრუნდა. კარგი, ვთქვათ, მართლაც დაკავებული იყო რაღაცით, ორიოდე წუთის შემდეგ კი ერთად ავედით მის ოთახში. მაგრამ ადრე მაინც სხვანაირად ხდებოდა. მხოლოდ ის არ მოხდა, რომ „კვადრატზე“ მალოდინა. ლოდინს რა უშავს? მთავარი ის იყო, რომ, მისი მხრიდან, პირველად ვიგრძენი რაღაც ბრაზნარევი სირცხვილის მსგავსი ჩემთან ერთად წამოსვლის გამო. მის ოთახში კი ჩვენ შორის არცთუ კარგი ატმოსფერო დამყარდა.

მართალი გითხრათ, ბევრ რამეს მეც ისე აღვიქვამდი, როგორც ტომი. როცა ვიდექი და მათ ვუყურებდი, რაღაც მოულოდნელი ძვრა ვიგრძენი. რაღაც უცნაურად ჩალაგებულიყვნენ ეს დონორები – ფეხზე მდგომნი თუ დამჯდარნი – ტლანქ ნახევარწრედ, უცნაური პოზები მიეღოთ. თითქოს განზრახ მოკალათებულიყვნენ ისე, რომ მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინათ, რა განსაკუთრებული იყო თითოეული მათგანი მთელი სამეგობროსთვის. ჩვენი პატარა ჯგუფი გამახსენა, პავილიონში რომ ვისხედით ხოლმე. ამ შედარებამ, როგორც გითხარით, ჩემში რაღაც შეძრა და ტომის ოთახში მეც ისევე ნაწყენად ვგრძნობდი თავს, როგორც ის.

იმდენჯერ გამივლიდა ბრაზის პატარა ჭვალი, რამდენჯერაც ტომი მეტყოდა, ესა და ეს არ გესმის, რადგან ჯერ დონორი არ ხარო. ერთ კონკრეტულ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, რომელსაც ახლავე მოგიყვებით, ეს მხოლოდ და მხოლოდ პატარა ჭვალი იყო. როგორც წესი, ტომი ამას ნახევრად ხუმრობით, თითქმის სიყვარულითაც მეუბნებოდა. ჩხუბამდე თვით მაშინაც კი არ მისულა საქმე, როცა უფრო სერიოზულად უთქვამს რამე, მაგალითად, როდესაც მთხოვა, ჩემს სარეცხს სამრეცხაოში ნულარ ატარებ, მე თვითონ მივხედავო. მაშინ ვკითხე: – რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ჩვენგანი ჩაიტანს პირსახოცებს? მაინც მაგ მხარეს მივდივარ.

ამაზე ტომიმ თავი გააქნია: – მისმინე, ქეით, ჩემს საქმეებს თავად მივხედავ. დონორი რომ იყო, მიხვდებოდი.

ცოტა შემწარა, მაგრამ მაინც იოლად დასავიწყებელი აღმოჩნდა. ერთხელ კი, როგორც გითხარით, მართლა ამიმღვრია გუნება თავისი დონორობის ხსენებით.

მისი მეოთხე ოპერაციის ცნობა ერთი კვირის მოსული იყო. ეს მოულოდნელი არ ყოფილა და ოპერაციაზე უკვე ხშირად გვილაპარაკია. საერთოდ, ლითლჰემპტონში გამგზავრების შემდეგ ყველაზე ინტიმური საუბარი მეოთხე ოპერაციასთან

დაკავშირებით გვექონდა. ზოგი ამ საკითხზე უსასრულად და უაზროდ ლაყბობს, ზოგი – მხოლოდ ხუმრობს, ზოგიც სულ არ იღებს ხმას. თანაც, დონორებს ერთი უცნაური ჩვევა აქვთ: მეოთხე ოპერაციას მოსალოც რამედ აქცევენ ხოლმე. დონორი „მეოთხეზე“ (მაშინაც კი, როდესაც მანამდე დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა) განსაკუთრებული პატივით იმოსება. ექიმები და ექთნებიც კი მიჰყვებიან ამ ჩვევას: მეოთხე ოპერაციაზე შესულ დონორს თეთრხალათიანები უდიმიან და ხელს ართმევენ. მე და ტომი ამ საკითხზე ხან ხუმრობა-ხუმრობით ვსაუბრობდით, ხანაც სერიოზულად და ფრთხილად. განვიხილეთ ყველა მეთოდი, რომლებიც ადამიანებს ამ დაბრკოლების გადასალახავად მოეგონებინათ, და ამ მეთოდების შედეგებიც. ერთხელ, შებინდებისას, გვერდიგვერდ რომ ვიწექით, ტომიმ მითხრა: – ის თუ იცი, ქეით, ყველა მეოთხეზე რატომ ღელავს? ექვი ეპარებათ. დარწმუნებულნი რომ იყვნენ ოპერაციის წარმატებაში, ასე არ იღელვებდნენ. ზუსტად კი ვერასოდეს გვეუბნებიან.

უწინ მიფიქრია, როგორ ვუპასუხებდი, ეს საკითხი თუ ამოტივტივდებოდა. აი, ამოტივტივდა, მე კი საპასუხო დიდი ვერაფერი მოვძებნე. მხოლოდ მივუფე: – უბრალო სისულელეა, ტომი. ჭორი, განთქმული ჭორი. მაგაზე ფიქრიც არ ღირს.

ტომიმ ალბათ იცოდა, რომ ჩემს სიტყვებს ვერაფრით დავიცავდი. ისიც ეცოდინებოდა, რომ სვამდა კითხვას, რომელზეც ექიმებსაც კი არ აქვთ ჩამოყალიბებული პასუხი. თქვენც გაგონილი გექნებათ, რომ მეოთხე ოპერაციის შემდეგ, ტექნიკური თვალსაზრისით, დონორი ცოცხლად აღარ ითვლება, მაგრამ, გარკვეულწილად, მაინც გონზე რჩება; რომ ამ ზღვარს იქითაც არის უამრავი ოპერაცია; არავითარი სარეაბილიტაციო ცენტრები, მომვლელები თუ მეგობრები; რომ დონორი აღარაფერს ელის, დარჩენილი ოპერაციების გარდა, სანამ საბოლოოდ აპარატიდან გამორთავენ. საშინელებათა ფილმს ჰგავს. ადამიანებს, როგორც წესი, არ უყვართ ამაზე ფიქრი. არც ექიმებს, მომვლელებს და, ჩვეულებისამებრ, არც დონორებს. მაგრამ, დროდადრო, დონორი მაინც წამოჭრის ხოლმე ამ თემას, როგორც ტომიმ წამოჭრა იმ საღამოს. ახლა მინდოდა, კარგად გვესაუბრა. თუმცა მისი ნათქვამი უაზრობად მოვნათლე და თემა ორივემ დავხურეთ. ვიცოდი, ტომის ეს აფიქრებდა. მიხაროდა, ამდენი მაინც რომ გამანდო. საბოლოო ჯამში, შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მეოთხე ოპერაციისთვის საკმაოდ კარგად ვემზადებოდით ერთობლივად. ამიტომაც დამაკარგვინა წონასწორობა ტომის ნათქვამმა ერთ დღეს, მინდორში სეირნობისას.

კინგსფილდის ტერიტორია დიდს არაფერს მოიცავს. „კვადრატი“ თვალსაჩინო ცენტრია, რამდენიმე ნაგლეჯი მიწა კი, შენობების უკან, უდაბნოსავით უნაყოფოა. ყველაზე დიდი ნაგლეჯი, რომელსაც დონორები „მინდორს“ ეძახიან, უხვად გაბარდული სარეველას და ნარშავას მართკუთხედიან, რომელიც ბადით შემოულობავთ. იმთავითვე ლაპარაკობდნენ ამ ადგილის გადაქცევაზე დონორებისთვის განკუთვნილ ბაღად, მაგრამ ჯერაც არ განეხორციელებინათ. დღემდე იგივე სიტუაციაა. მართლაც რომ მოებათ თავი ამ საქმისთვის, დიდად მყუდრო ადგილად მაინც ვერ აქცევდნენ ახლოს გამავალი ავტომაგისტრალის გამო. და მაინც, დონორებს მოუსვენრობა რომ იპყრობთ და გასეირნება სჭირდებათ, სწორედ აქ მოდიან, აქაურ ჭინჭრებში და მაცვლებში დაძვრებიან. იმ დღეს სქელი ბურუსი იწვა. ვიცოდი, მინდორი წყლით იქნებოდა გაჟღენთილი, მაგრამ ტომიმ სასეირნოდ წასვლა დაიჟინა. რა გასაკვირია, მინდორში, ჩვენ გარდა, არავინ იყო და ტომისაც, ალბათ, სწორედ ეს უნდოდა. რამდენიმე წუთის ძრომიალის შემდეგ ბადესთან შეჩერდა და

მის გადაღმა, თეთრ ბურუსს მიაჩერდა. მერე თქვა: – ცუდად ნუ გამიგებ, ქეით, მაგრამ უკვე ბევრი ვიფიქრე და, მგონი, აჯობებს სხვა მომვლელი ვიყოლიო.

ამის გაგონებიდან რამდენიმე წამში მივხვდი, რომ გაკვირვებული სულაც არ დავრჩი, რომ რატომღაც ველოდი კიდევ ამ სიტყვებს. თუმცა მაინც გავბრაზდი და არაფერი მითქვამს.

– არა მარტო იმიტომ, რომ მეოთხე ოპერაცია ახლოვდება. მარტო ეგ არ არის. გასულ კვირაში მომხდარისა და ეგეთი რაღაცების მიზეზითაც. თირკმლის ამბავი რომ იყო, ასეთი რამეები უფრო და უფრო გახშირდება.

– მაგიტომაც მოვედი და გიპოვე, – მივუგე მე, – ზუსტად მაგიტომ მოვედი შენს დასახმარებლად. იმისთვის, რაც ახლა იწყება. რუთსაც ეგ უნდოდა.

– რუთს ჩვენთვის სხვა რამე სურდა, – თქვა ტომიმ, – ამ ბოლო ეტაპზე კი დიდად არ ენდომებოდა, ჩემი მომვლელი ყოფილიყავი.

– ტომი, – დავიწყე მე (ახლა ვვარაუდობ, რომ ვმძვინვარებდი, თუმცა მაინც ჩუმად და თავდაჭერილად ვმეტყველებდი), – მე უნდა დაგეხმარო, მაგიტომ მოგძებნე თავიდან.

– რუთს ჩვენთვის სხვა რამე სურდა, – გაიმეორა ტომიმ, – ეს კი სულ სხვაა. არ მინდა, ისეთ დღეში მნახო, ქეით.

მიწას დაჰყურებდა და ხელისგული მავთულის ღობეზე მიებჯინა, თითქოს სადღაც ბურუსის მიღმა მანქანების მოძრაობას აყურადებდა.

– რუთი გაიგებდა, – თქვა თავის მსუბუქი გაქნევით, – დონორი იყო და გაიგებდა. იმას არ ვამბობ, თავისთვისაც აუცილებლად იგივე ენდომებოდა-მეთქი. რომ შესძლებოდა, იქნებ ბოლომდეც ენატრე მომვლელად. იმას კი აუცილებლად გაიგებდა, რომ მე სხვანაირად მსურს. ზოგჯერ უბრალოდ ვერ ხედავ, ქეით. ვერ ხედავ იმიტომ, რომ დონორი არ ხარ.

ეს რომ მითხრა, მივბრუნდი და წავედი. როგორც ვთქვი, იმისათვის, რომ მომვლელად აღარ ვენდომებოდი თითქმის მზადაც კი ვიყავი. ყველა წვრილმანის შემდეგ, მას შემდეგ, რაც „კვადრატზე“ მალოდინა, მართლა მეტკინა იმის გაგონება, რომ, სხვა დონორების გარდა, თავისი თავისგან და რუთისგანაც გამომაცალკევა.

ეს დაპირისპირება დიდ ჩხუბში არ გადაგვზრდია. როცა ღობესთან დავტოვე, მის ოთახზე შორს ვერსად წავედი. რამდენიმე წუთში თვითონაც ამოვიდა. ამასობაში მეც დავწყნარდი, ტომიც დამშვიდებულიყო. ჰოდა, საკითხზე უკეთ დალაპარაკებაც შევძელით. ადვილი არ იყო, მაგრამ მშვიდობა დავამყარეთ და მომვლელის შეცვლის გზებიც კი განვიხილეთ. შემდეგ, სუსტ სინათლეში, გვერდიგვერდ რომ ვისხედით მისი საწოლის კიდეზე, მითხრა: – ჩხუბი აღარ მსურს, ქეით, მაგრამ ძალიან მინდა გკითხო: მომვლელობით თუ იღლები ხოლმე? ჩვენ დონორები წლების წინ გავხდით, შენ კი წლების განმავლობაში მომვლელი. ნუთუ არასოდეს გინდება, რომ იჩქარონ და ცნობა გამოგიგზავნონ?

მხრები ავიჩეჩე.

– არ მენადვლება. თანაც, კარგი მომვლელების არსებობა მნიშვნელოვანია. მე კი კარგი მომვლელი ვარ.

– მართლა ასე მნიშვნელოვანია? ჰო, კარგი მომვლელის ყოლა ნამდვილად კარგია. მაგრამ, საბოლოოდ, მართლა ეგეთი მნიშვნელოვანია? ასე თუ ისე, დონორები მაინც იდონორებენ და, ბოლოს, გათავდებიან.

– რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. კარგ მომვლელს ნამდვილად დიდი ცვლილება შეაქვს დონორის ცხოვრებაში.

– მაგრამ ამდენს რომ დარბიხარ, იქანცები და დროს კენტად ატარებ? ხომ გიყურებ, თითქოსდა ცვდები. უნდა გინდოდეს, ქეით, ხანდახან უნდა გინდებოდეს, რომ გაგაჩერონ. არ ვიცი, რატომ არაფერს ეუბნები, არ ეკითხები, ასე რატომ აგვიანებენ. – ხმა რომ არ ამოვიღე, განაგრძო: – უბრალოდ გეუბნები, მეტი არაფერი. ნულარ ვიჩხუბებთ.

ხელი მხარზე დავადე და ვუთხარი: – ჰო, იქნებ აღარც მალოდინონ დიდხანს, მაგრამ ახლა მუშაობა არ უნდა შევწყვიტო. შეიძლება, შენ არ გინდოვარ გვერდით, მაგრამ სხვებს ვუნდივარ.

– მგონი, მართალი ხარ, ქეით. მართლა კარგი მომვლელი ხარ. შენ რომ შენ არ იყო, ჩემთვის იდეალურიც იქნებოდი, – გაიცინა და ხელი მომხვია. ისევ გვერდიგვერდ ვისხედით და ტომიმაც განაგრძო: – სულ რაღაც მდინარეზე ვფიქრობ. ძალიან სწრაფ წყალში ორი ადამიანი ერთმანეთზე მოჭიდებას ცდილობს. ეჭიდებიან, რაც ძალი და ღონე აქვთ, მაგრამ, საბოლოოდ, წყალს ვერ უძლებენ. ძალიან ძლიერი დინებაა. ხელი უნდა გაუშვან და წყალს ცალ-ცალკე გაჰყვნიენ. მგონი, ჩვენც ეგრე ვართ. დასანანია, ქეით, ჩვენ ხომ მთელი ცხოვრება გვიყვარდა ერთმანეთი, სამუდამოდ ერთად დარჩენა კი არ შეგვიძლია.

ეს რომ თქვა, გამახსენდა, როგორ ვეჭიდებოდი ტომის იმ ქარწალებულ მინდორში, უკანა გზაზე ლითლჰემპტონიდან. არ ვიცოდი, ახლა თვითონაც ამაზე ფიქრობდა, თუ მდინარეებსა და ძლიერ დინებებზე. კიდევ დიდხანს ვისხედით საწოლზე, ფიქრებში ჩაკარგულნი. ბოლოს ვუთხარი: – მაპატიე, წყობიდან რომ გამოვედი. დაველაპარაკები, ვეცდები და ვიზრუნებ, რომ ვინმე კარგი მოგამაგრონ.

– დასანანია, ქეით, – გაიმეორა. მგონი, იმ დილას სხვა არაფერი გვითქვამს.

მომდევნო რამდენიმე კვირა – ბოლო პერიოდი ახალი მომვლელის მოსვლამდე – გასაოცრად მშვიდ დროდ მახსენდება. შეიძლება მე და ტომი ვცდილობდით, კარგად მოვპყრობოდით ერთმანეთს, მაგრამ დრო მართლაც უდარდელად გარბოდა. შეიძლება იფიქროთ, რომ ჩვენი ასე ყოფნა მხოლოდ წარმოსახვითი იყო, თუმცა იმხანად საკმაოდ ბუნებრივი ჩანდა. ჩემი ორი სხვა დონორით ვიყავი დაკავებული ჩრდილოეთ უელსში და კინგსფილდს იმდენ დროს ვეღარ ვუთმობდი, რამდენსაც ვისურვებდი. თუმცა კვირაში სამ-ოთხჯერ მისვლას მაინც ვახერხებდი. აცივდა, მაგრამ მშრალი და, ხშირად, მზიანი ამინდები შენარჩუნდა. ტომის ოთახში საათები გაგვყავდა ხან სექსში, უფრო ხშირად – საუბარში, ხანაც მე ვკითხულობდი, ტომი კი მისმენდა. ერთი-ორჯერ ტომიმ თავისი რვეულიც კი გამოიღო და ახალ ცხოველებზე წაიშუშავა, სანამ მე საწოლზე ვიწექი და ვუკითხავდი.

ერთ დღესაც უკანასკნელად მივედი. სუსხიანი დეკემბრის დღის ორი საათი დაწყებულიყო, როცა მივედი და ტომის ოთახს მივაშურე. სანახევროდ ველოდი რაღაც ცვლილებას, ზუსტად არ ვიცი, რას. შეიძლება იმასაც ვფიქრობდი, რომ ოთახში დეკორაციები დამხვდებოდა. რასაკვირველია, ყველაფერი ჩვეულებრივად დამხვდა, რაც, საბოლოოდ, შვებად ჩავთვალე. არც ტომი გამოიყურებოდა განსხვავებულად, მაგრამ ლაპარაკი რომ დავიწყეთ, გაგვიძნელდა თავის ისე დაჭერა, თითქოს ერთ-ერთი მორიგი დღე ყოფილიყო. თუმცა ბოლო კვირებში იმდენი ვისაუბრეთ ამ დღეზე, რომ რამე კონკრეტულის გაკეთების საჭიროებას ვერ ვგრძნობდით. მგონი, არც ერთს არ გვეხალისებოდა ისეთი საუბრის დაწყება, რომელსაც კარგად ვერ დავასრულებდით და მოგვიანებით ვინანებდით. ამიტომაც შეიცავდა ჩვენი იმდღევანდელი საუბარი რაღაც სიცარიელეს.

მხოლოდ ერთხელ, მის ოთახში ორივეს უაზრო ბოდიალის შემდეგ, კვითხე: – ტომი, გიხარია, რომ, სანამ ცოცხალი იყო, რუთმა ვერ გაიგო, რას ვიზამდით მე და შენ ბოლოს?

საწოლზე მიწოლილმა ერთხანს კიდევ უყურა ჭერს, მერე მიპასუხა: – ერთი უყურე! იმ დღეს მეც მაგას ვფიქრობდი. რუთი ხომ ყოველთვის ჩვენგან განსხვავებულად უდგებოდა ასეთ საკითხებს. მე და შენ თავიდანვე – პატარაობაშიც კი – ყველაფრის ჩაძიებას ვცდილობდით. გახსოვს, ქეით, ჩვენი საიდუმლო საუბრები? რუთი ეგეთი არ იყო. ყოველთვის უბრალოდ დაჯერება ერჩივნა. ასე რომ, გარკვეული აზრით, ვგონებ, ნამდვილად ჯობდა ასე მომხდარიყო... თუმცა ყველაფერი, რაც გავარკვიეთ მის ემილიზე და ასე შემდეგ, რუთთან მიმართებით არაფერს ცვლის. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის კარგი უნდოდა, საუკეთესო.

იმ მომენტში რუთზე დიდი საუბრის გამართვა არ მინდოდა და უბრალოდ დავეთანხმე ტომის. ახლა კი, როცა ფიქრისთვის მეტი დრო მაქვს, არ ვიცი, რა ვთქვა. ჩემი ერთი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ რუთს გაანდობდა ყველაფერს, რაც მე და ტომიმ აღმოვაჩინეთ. ჰო, შეიძლება, მაინცდამაინც არ მოსწონებოდა, შეიძლება დაენახვებინა მისთვის, რომ ზიანი, რომელიც ერთ დროს მოგვაყენა, ვერ გამოსწორდებოდა ისე იოლად, როგორც მას ეგონა. და გულახდილად თუ გეტყვით, ალბათ, ცოტათი მინდა კიდევ, რომ რუთს ეს ყველაფერი სიკვდილამდეც სცოდნოდა. თუმცა ეს, ძირითადად, მაინც სხვა რამე მგონია და არა ჩემი შურისმაძიებლური თუ სულმდაბალი სწრაფვა. როგორც ტომიმ თქვა, საბოლოოდ, რუთმა ჩვენთვის საუკეთესო მოინდომა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს, მანქანაში, თვითონ თქვა, ვერასოდეს მაპატიებო, – რუთი ცდებოდა. დღეს მასზე აღარ ვბრაზობ. როდესაც ვამბობ, ვისურვებდი, მთლიანი სურათი დაენახა-მეთქი, ეს იმიტომ, რომ მასევე დიანებს აზრი, რომ რუთმა ჩემგან და ტომისგან განსხვავებულად დაამთავრა. ახლა ერთ მხარეს მე და ტომი ვართ, მეორე მხარეს – რუთი. ყოველივეს შემდეგ, ეს გულს მიმძიმებს. რომ ხედავდეს, ალბათ, რუთსაც დაუმძიმებდა.

იმ დღეს მე და ტომის გამომშვიდობების დიდი სცენა არ გაგვიმართავს. დრო რომ მოვიდა, კიბეზე ჩამომყვა. ამას, როგორც წესი, არასოდეს აკეთებდა. გზად მანქანისკენ, ერთად გადავკვეთეთ „კვადრატი“. მზე უკვე შენობების უკან მიმალულიყო. გადმოკიდებული სახურავის ქვეშ, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ჩრდილოვანი ფიგურა ჩანდა, „კვადრატი“ კი ცარიელი იყო. მანქანამდე ტომის ხმა არ ამოუღია, იქ კი ჩაიცინა და თქვა: – იცი, ქეით, ჰეილშემში ფეხბურთს რომ ვთამაშობდი, ერთი საიდუმლო მქონდა. გოლს რომ გავიტანდი, ასე ვბრუნდებოდი (ორივე მკლავი

ტრიუმფულად ასწია ჰაერში) და ჩემიანებისკენ გავრბოდი. თავს არასოდეს ვიგიჟებდი, უბრალოდ, ხელემაწეული გავრბოდი, – წამით გაჩუმდა. ხელები ისევ ჰაერში ჰქონდა. შემდეგ დაუშვა და გაიღიმა, – გონებაში კი, ქეით, უკან რომ მოვრბოდი, ვითომ წყალში მოვტყაპუნობდი. ღრმად არა, დიდი-დიდი კოჭებამდე წყალში. ყოველ ჯერზე ამას წარმოვიდგენდი. ტყლაპ-ტყლუპ, ტყლაპ-ტყლუპ, – ხელები ისევ ასწია, – მსიამოვნებდა. ეს ესაა გაიტანე, მობრუნდი და – ტყლაპ-ტყლუპ, ტყლაპ-ტყლუპ, – შემომხედა და ისევ ჩაიცინა, – ეს ამდენ ხანს არავისთვის მითქვამს.

მეც გავიცინე და ვუთხარი: – ტომი, შე გიჟო ბავშვო.

მერე ერთმანეთს ვაკოცეთ – უბრალო პატარა კოცნით – და მე მანქანაში ჩავჯექი. სანამ მოვაბრუნებდი, ტომი ადგილზე დარჩა. წამოვედი. ტომიმ გაიღიმა და ხელი დამიქნია. სარკეში ვუყურებდი. თითქმის გაუჩინარებამდე იქ იდგა. სულ ბოლო წამს დავლანდე, როგორ ასწია ისევ ხელი და გადმოვიდებული სახურავისკენ მიბრუნდა. „კვადრატის“ გაქრა სარკეში.

რამდენიმე დღის წინ ვესაუბრებოდი ჩემს ერთ-ერთ დონორს, რომელიც ჩიოდა: ჩვენი უძვირფასესი მოგონებებიც კი საოცარი სისწრაფით ჭკნებაო. მე ამას არ ვიზიარებ. ჩემი ყველაზე ღირებული მოგონებები არასოდეს ჭკნება. ჯერ რუთი დავკარგე, მერე – ტომი, მათთან დაკავშირებული მოგონებები კი არ დამეკარგება.

ვგონებ, ჰეილშემიც დავკარგე. ახლაც გაიგებთ ამბავს ყოფილი ჰეილშემელისა, რომელიც თვით ჰეილშემის თუ არა, იმ ადგილის პოვნას მაინც ცდილობს, სადაც ის იდგა. დროდადრო იმის შესახებაც დადის ჭორები, რა ბედი ეწია ჰეილშემს: სასტუმრო, სკოლა, ნანგრევი. მე კი ამდენს დავდივარ მანქანით, მაგრამ ჰეილშემის მოძებნა არასოდეს მიცდია. რა დღეშიც უნდა იყოს ამჟამად, მისი დანახვა არ მსურს.

მართალია, ვამბობ, ჰეილშემს არასოდეს ვეძებ-მეთქი, ხანდახან მაინც მეჩვენება, რომ მანქანიდან მისი ნაგლეჯი დავლანდე. მოშორებით სპორტულ პავილიონს ვამჩნევ და ვრწმუნდები, რომ ჩვენია. ან დიდი მუხის გვერდით მდგომ ალვის მწკრივს ვხედავ და, მგონია, სამხრეთის მოედანს მეორე მხრიდან ვუახლოვდები. ერთხელ, ერთ ნაცრისფერ დილას, გლაუსესტმირის გზის ერთ მონაკვეთზე გზისპირას მიყენებულ გაფუჭებულ მანქანას ჩავუარე. ეჭვიც არ შემპარვია, რომ მანქანასთან მდგომი გოგონა, ცარიელი თვალებით რომ გაჰყურებდა ტრასაზე მქროლავ სხვა მანქანებს, ჩვენზე ორი წლით უფროსი სუზანა სი იყო, სეილების ერთ-ერთი დამკვირვებელი. ასეთი წამები მაშინ დგება, როდესაც სულ არ ველოდები და თავში სულ სხვა რამ მიტრიალებს. ასე რომ, იქნებ ვარ კიდევ ჰეილშემის ძიებაში.

თუმცა, როგორც ვთქვი, საგანგებოდ არ ვეძებ. თანაც, წლის ბოლოდან ასე აღარ ვიქროლებ, ანუ, როგორც ჩანს, ვეღარსად გადავაწყდები ჰეილშემს. ფიქრის შემდეგ შემიძლია ვთქვა: კმაყოფილი ვარ, ასე რომ მოხდება. ეს ჰგავს ჩემს მოგონებებს ტომისა და რუთზე. რომელიმე ცენტრში რომ გამგზავნიან და მშვიდ ცხოვრებას დავიწყებ, ჰეილშემი გონებაში უსაფრთხოდ შენახული მექნება. ჰო, ამას ვერავინ წამართმევს.

ერთადერთი, რაც განზრახ ჩავიდინე, ნორფოლკში უმიზეზოდ წასვლა იყო მას შემდეგ, რაც ტომის გარდაცვალების ამბავი შევიტყვე. არაფერ კონკრეტულს არ ვეძებდი. სანაპირომდე არც კი ავსულვარ. შეიძლება, უბრალოდ, იმ რუხი ცისა და ირგვლივ გადაჭიმული უკაცრიელი ველების ნახვა მომიხდა. ერთ მომენტში ისეთ გზაზე

აღმოვჩნდი, რომელზეც უწინ არასოდეს ვყოფილვარ. ნახევარი საათის განმავლობაში არ ვიცოდი, სად ვიყავი და არც მადარდებდა. მინდორს მინდორზე გავდიოდი – ერთმანეთისგან გაუმიჯნავს. მხოლოდ ჩემი ძრავის ხმით დამფრთხალი ფრინველების გუნდი თუ ამოფრინდებოდა კვლებიდან ხანგამოშვებით. ბოლოს, როგორც იქნა, შორს რამდენიმე ხე დავლანდე. მათ მივაშურე, გავჩერდი და მანქანიდან გადმოვედი.

მოხნულ მამულებთან ვმდგარვარ. მინდორში შებიჯებას ორ ღონეზე მავთულხლართგაყოლებული ღობე არ მანებებდა. ამ ღობისა და ჩემს თავზე აზიდული სამი თუ ოთხი ხის გარდა, უზარმაზარ ტერიტორიაზე ქარს ვერაფერი დააბრკოლებდა. ღობის მთელ სიგრძეზე, განსაკუთრებით ქვედა მავთულზე, ათასნაირი ნაგავი გაჭედდილიყო. ზღვის ნაპირზე გამორიყულ ნაგავს ჰგავდა. ქარმა ნაგავი, ალბათ, მრავალ მილზე ატარა, სანამ ამ ხეებთან და წყვილ მავთულხლართთან მოიტანდა. ხის ტოტებშიც ვხედავდი ქარზე მოტყლაშუნე დახეული ცელოფნის და ქაღალდის პარკებს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა უცნაურ ნაგავს ვუყურებდი, ცარიელ მინდვრებზე მქროლავ ქარს შევიგრძნობდი და ჩემს ფანტაზიასაც გასაქანი მივეცი. ბოლოს და ბოლოს, ნორფოლკში ვიყავი, ტომი კი სულ ორიოდე კვირის დაკარგული მყავდა. ვფიქრობდი ნაგავზე, ტოტებში მოფრიალე ცელოფანზე, ღობეში ჩაჭედილ მასაზე, ზღვის ნაპირზე გამორიყულს რომ ჰგავდა. თვალები ნახევრად დავხუჭე და წარმოვიდგინე, რომ ეს იყო ადგილი, სადაც თავს იყრიდა ყველაფერი, რაც ოდესმე დავკარგე. და თუ საკმარის ხანს დავიცდიდი, მინდვრების გადაღმა, ჰორიზონტზე, პატარა სხეული გამოჩნდებოდა, ნელ-ნელა გაიზრდებოდა და მეც ტომის ვიცნობდი. იგი ხელს დამიქნევდა, იქნებ, დაემახა კიდევ.

ფანტაზია ამის იქით აღარ წასულა. არ გავუშვი. თვალებიდან ცრემლები მცვიოდა, მაგრამ არ ვქვითინებდი. არც თავი დამიკარგავს. ცოტა ხანს შევიცადე, მანქანაში დავბრუნდი და წავედი იქ, სადაც მმართვედა, რომ ვყოფილიყავი.

[1] arTurma: erTgvari TamaSi.

www.PDF.ChiaturaINFO.GE